საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№6 (193)
20 - 26 თებერვალი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

3 კოაბი-ტაცია და სიკვდილის კონვეიერი



4 ალექსანდრე ჭაჭია:

## ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ღირსეულად იქცევა

«გივი თარგამაძე არის სააკაშვილის მარჯვენა ხელი — ტერორის 13 აღმასრულებელი»

14 გასცა თუ არა ციხის ბუნტისას სროლის ბრძანება გიგა ბოკერიამ?

«უამრავჯერ გვცემეს, მაგრამ ერთ ელჩს 18 არ ამოუღია ხმა»

## ახრჩოლებული შუქურა, ანუ დაგვეხსენი, ძია სემ, რა გვაქვს შენთან საზიარო? 8



## რისთვის ჩამოვიდა ქართული კონსტი-ტუციის ამერი-კელი მამა? 6



«თუ სააკაშვილი 16 ციხეში არ მოხვდა, ეს არ იქნება სამართლის აღდგენა ქვეყანაში»

«თიბისი ბანკი», ფინანსურ პოლიციასთან და პროკურატურასთან ერთად, ყველა უკანონო და თაღლითურ ქმედებაში მონაწილეობდა» 19

## ვინ დააფინანსა 10 ოპერაცია «ორი პატრიარქი» და რა მიზანს ემსახურებოდა ოპერაცია «აღსარება»



**ახალ ხელისუფლებას აქვს რესურსი, შეცვალოს ეს ვითარება და ჩიხში შესული საქართველო გზაზე გაიყვანოს. ამას არც ისე ბევრი რამ სჭირდება — დღევანდელი ვითარების პირუთვნელი ანალიზი, რეგიონსა და მსოფლიოში არსებული სხვადასხვა ინტერესის არა დაპირისპირება, არამედ დაბალანსება.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველო უნდა გახდეს შეთანხმების და არა დაპირისპირების ადგილი

**მუდამ მეინსტრიმის მაძიებელმა ქართველმა ექსპერტ-პოლიტოლოგებმა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, მცირე ხნის დაბნეულობის შემდეგ გადაჯგუფება დაიწყეს. ადრე ერთიანად ევროინტეგრაციაზე მომართულნი ახლა რუს ექსპერტებთან მრგვალ მაგიდასაც მიუსხდნენ და პრემიერთან რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივებზეც დაიწყეს მსჯელობა.**



ბიძინა ივანიშვილი:

**ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს შეთანხმების და არა დაპირისპირების ადგილი, საქართველო ბუნებრივად არის დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა და კულტურათა თანხმობის ადგილი, და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ საქართველო პოლიტიკური თანხმობის ადგილიც გახდეს**

თავდაპირველად გამოხატული გაოცება — როგორ შეიძლება თან ნატოსკენ ისწრაფვოდე და თან რუსეთთან მოაგვარო ურთიერთობა, ახალმა პარადიგმამ შეცვალა. საბოლოოდ, პარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარის, თედო ჯაფარიძის, მიერ შეთავაზებული 14-პუნქტიანი შეთანხმების ყველაზე საკამათო, მე-9 პუნქტმა ასეთი სახე მიიღო:

**„საკუთარი სახელმწიფო სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის აუცილებელი გათვალისწინებით, საქართველომ უნდა შეძლოს, ითამაშოს ხელშემწყობის და არა შემაფერხებლის როლი რუსეთის ფედერაციის, ამერიკის შეერთებული შტატების და ევროკავშირის დაახლოებისა და ინტერესების დაბალანსების შესაძლო პოლიტიკურ პროცესში. საქართველომ ხელი უნდა შეუწყოს კავკასიაში პოლიტიკურ დიალოგს და ეკონომიკურ თანამშრომლობას რეგიონის სახელმწიფოთა ძირეული ინტერესების თანხვედრისთვის. საქართველო და მთლიანად სამხრეთ კავკასია უნდა გახდეს არა სტრატეგიული ინტერესების კონფრონტაციის, არამედ ამ ინტერესთა მრავალმხრივად სასარგებლო ასპარეზობის სივრცე“.**

თითქოსდა, რა არის ამაში ახალი ან გაუგებარი? მაგრამ სულ ახლახან ამის გაგონებაც კი არ უნდოდათ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს. მათ ერთადერთი ვექტორი მიაჩნდათ საქართველოსთვის სიცოცხლისუნარიანად და მის კონსტიტუციაში შეტანასაც კი ითხოვდნენ. **პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ყრილობაზე 16 თებერვალს ბიძინა ივანიშვილმა გამჭვირვალედ მიანიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის სწრაფვა ევროპისკენ არავის კუთვნილება არ არის.**

„ევროპა საქართველოსთვის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი არ იყო. ამას მოწმობს ჩვენი სარწმუნოება, კულტურა, ქართველი კაცის მსოფლმხედველობა. სულხან-საბას, ილიასა და ვაჟას ქვეყანაში ვერავინ დაიჩემებს — ვერც „ნაციონალური მოძრაობა“ და ვერც „ქართული ოცნება“, — რომ ევროპული გეზი მხოლოდ მისი კუთვნილებაა. ტყუილია, რომ ევროპული არჩევანი „ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილებაა, ტყუილია, რომ ვინმე აპირებს ამ გზიდან გადახვევას. ეს არჩევანი ქართველმა ხალხმა დიდი ხანია გააკეთა“.

ზოგადი პროდასავლური რიტორიკის და ამერიკის შეერთებული შტატების მისამართით გამოთქმული მადლობის მიუხედავად, მის სიტყვაში სულ სხვა ფრაგმენტი იყო საყურადღებო: **„ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს შეთანხმების და არა დაპირისპირების ადგილი, საქართველო ბუნებრივად არის დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა და კულტურათა თანხმობის ადგილი, და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ საქართველო პოლიტიკური თანხმობის ადგილიც გახდეს“.**

ეს არ არის ახალი აზრი. **ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია** ჯერ კიდევ 2000 წელს **„საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგიაში“** ქვეყნის ფუძემდებლური ეროვნული ინტერესების ჩამოთვლისას მიუთითებს:

**„საგარეო უსაფრთხოების სისტემაში გარანტირებული მდგრადი ადგილის უზრუნველყოფას, ცივილიზაციათა ურთიერთშეთანხმებისას გეოპოლიტიკური მდგომარეობის ყველა დადებითი ასპექტის აქტიური გამოყენებით; ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციათა შორის, დიდი ქვეყნებისა და სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების სტრატეგიულ ინტერესთა შორის თავისებური „ხიდის“ ფუნქციის მოპოვებას, რაც უმნიშვნელოვანესია თანამედროვე ისტორიაში“.**

სწორედ ხიდი უნდა ვიყოთ და არა ინსტრუმენტი, ბრმა იარაღი ვიღაცის ხელში. ამ რეგიონში იარაღის ჟღარუნი კარგის მომტანი არ არის. ყველამ თვალნათლივ ვნახეთ, რომ 2008 წლის აგვისტოში ჩვენმა ჯარმა, რომლის გაწვრთნაში ამერიკელები აქტიურად იყვნენ ჩართულნი, საკუთარი ქვეყანა ვერ დაიცვა, თუმცა იგივე ჯარი ავღანეთში ნატოს საჭიროებებს საკმაოდ კარგად უმკლავდება. ამ ფონზე საკითხავია: **რისთვის ვისწრაფვით ნატოში, თუ მასში წევრობის გარეშეც ვმონაწილეობთ ყველა საპარტნიორო პროგრამაში, ხოლო ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული საკითხის, ტერიტორიების გამთლიანების თვალსაზრისით ნატო არა დამხმარე, არამედ უფრო ხელის შემშლელი ფაქტორია?**

„ნაციონალური მოძრაობის“ სურვილი, რომ როგორმე „ქართული ოცნება“ პრორუსულ ძალად წარმოეჩინა დასავლეთის თვალში, ამჯერად ვერ განხორციელდა. იმის უარყოფა, რომ კონფლიქტსა და დაპირისპირებას თანხმობა სჯობს, აშკარად კონტრპროდუქტიულია. ამას დასავლეთიც ვერ გაიგებს. წლების განმავლობაში პირველად გამოიკვეთა ასე თუ ისე შერაცხადი პოლიტიკური ვექტორი და მასთან დაპირისპირება ყოფილი მმართველი გუნდისთვის უკიდურესად რთული იქნება.

დასაწყისში „მუდამ მეინსტრიმის მაძიებელი ქართველი ექსპერტ-პოლიტოლოგები“ ვახსენე. ახალი ვექტორისკენ მათმა გადაჯგუფებამ „ნაციონალური“ ფლანგი მოაშიშვლა და მათაც სასწრაფოდ შეავსეს რიგები ყოფილი მოხელეებით. დღე არ გავა, რომ ამ ახლადგამომცხვარმა ექსპერტებმა სატელევიზიო ეთერებში აპოკალიფსური სურათი არ დახატონ. ისინი კვლავ ძველი კურსის ერთგული რჩებიან და „ქართული ოცნების“ დემონიზაციისთვის ძალ-ღონეს არ იშურებენ.

მათი ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ „რუსეთი დაპირებებს არ ასრულებს“ და მათ არავინ პასუხობს, რომ ნატომაც არ შეასრულა რუსეთისთვის მიცემული დაპირება – არ გაფართოებულიყო აღმოსავლეთით; არავინ პასუხობს, რადგან ნატოზე აუგის თქმა ჯერ კიდევ არ არის ახალი მეინსტრიმი. არც იმას ახსენებს ვინმე, რომ დაპირებებს დიდ პოლიტიკაში არავითარი ფასი არ აქვს. მათ მაშინ ასრულებენ, როცა ანგარიშს გიწევენ. ანგარიშს კი, თავის მხრივ, მაშინ გიწევენ, როცა შენც უწევ მათ ანგარიშს.

**„ნაციონალურ“ ელიტას არ უნდა იმის შეგნება, რომ დღეს რუსეთი აღარ არის ის ქვეყანა, რომელსაც დასავლეთი ანგარიშს არ უწევდა. არც იმის აღიარება სურთ, რომ სწორედ მათმა დამღუპველმა კურსმა გამოიწვია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება, დასავლეთის მიერ მათი არაღიარების პოლიტიკა კი საქართველოსთვის მხოლოდ მოკვეთილი კიდურის პროთეზის როლს ასრულებს.**

ასეთივე წინდაუხედავნი იყვნენ მაშინაც, როცა ხელისუფლებაში იმყოფებოდნენ. მაშინ თვალსაჩინო საფრთხის ვერდამნახავები ახლა არასამთავრობო სექტორიდან ეფემერული საფრთხეებით აშინებენ ახალ ხელისუფლებას. კოაბიტაციით გართული „ქართული ოცნება“ კი თავს იმართლებს, იმის მაგივრად, რომ საკუთარი ცოდვები და დანაშაული წამოაძახოს მათ.

კიდევ ერთი ამონარიდი **ალექსანდრე ჭაჭიას** ინტერვიუდან: **„როცა 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში ომი დაიწყო, მაშინვე გაზეთ „ალიას“ ფურცლებიდან მივმართე საქართველოს ხელისუფლებას, სასწრაფოდ დავიწყოთ მოლაპარაკება რუსეთთან, თორემ ერთი კვირაც თუ დააგვიანეთ, რუსეთი აფხაზეთსაც და სამხრეთ ოსეთსაც აღიარებს-მეთქი! დიახ, საქართველოს ხელისუფლებას შევთავაზე, ოღონდ თქვენ გამოთქვით მზადყოფნა და მე მოვაგვარებ მოლაპარაკების საკითხს, შევაჩეროთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების პროცესი-მეთქი.**

ამაზე მიპასუხეს, რუსეთი ვერ გაბედავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას, ამას საერთაშორისო თანამეგობრობა არ დაუშვებსო. **კიდევ ერთხელ დავურეკე ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენელს და ვუთხარი — გადაეცით მიშა სააკაშვილს, რომ, თუ თვითონ არ შეუძლია მოლაპარაკებებში ჩართვა, ეს ეკლესიის მეშვეობით გავაკეთოთ-მეთქი! მზად ვიყავი, მაღალი რანგის რამდენიმე ქართველი სასულიერო იერარქი ჩამეყვანა ჯერ ილორში და მერე სოხუმში და დაწყებულიყო მოლაპარაკებები, მაგრამ ამ შეთავაზებაზეც არანაირი პასუხი არ მიმიღია!**

ეს იმას ნიშნავს, არანაირი მიმართულებით, არანაირი ხაზით, არანაირი საშუალებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში წარმატების მიღწევა დღევანდელ ხელისუფლებას არ სჭირდება. აი, ეს არის სიმართლე, მორჩა და გათავდა“!

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მიმართ რუსეთის ნდობა ნულოვანი იყო. ახალ ხელისუფლებას აქვს რესურსი, შეცვალოს ეს ვითარება და ჩიხში შესული საქართველო გზაზე გაიყვანოს. ამას არც ისე ბევრი რამ სჭირდება — დღევანდელი ვითარების პირუთვნელი ანალიზი, რეგიონსა და მსოფლიოში არსებული სხვადასხვა ინტერესის არა დაპირისპირება, არამედ დაბალანსება.

**თამარ დავითულიანი**

ემოცია



## «შენ ხარ პრანჭია კაცი!» — წულუკიანის რეპლიკა ვაშაძეს

**უმცირესობის წევრ გიორგი ვაშაძესა და თეა წულუკიანს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა. ურთიერთშელაპარაკება მაშინ დაიწყო, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების კონფერენციაზე ვაშაძე სიტყვით გამოდიოდა. დეპუტატი გამოსვლაში იუსტიციის სამინისტროდან თანამშრომლების უკანონოდ გათავისუფლებაზე საუბრობდა.**

ამის საპასუხოდ კი იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ვაშაძის უკმაყოფილება იმითაა გამოწვეული, რომ მან დიპლომატიური პასპორტი უკანონოდ ვერ აიღო. გიორგი ვაშაძის თქმით კი, გათავისუფლებულია ის თანამშრომელი, რომელიც მისთვის დიპლომატიური პასპორტის გაცემის პროცესში მონაწილეობდა. იუსტიციის მინისტრმა ცხარე კამათის დასრულების შემდგომ გიორგი ვაშაძეს ასე მიმართა: „რაღა უნდა გელაპარაკო, შენ ხარ პრანჭია კაცი“.

ინციდენტის დასრულების შემდეგ იუსტიციის მინისტრს ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია, თუმცა თავად გიორგი ვაშაძემ აღნიშნა, რომ წულუკიანი უმცირესობის მიმართ აგრესიას უკვე ღიად გამოხატავს და ემოციებს ველარ იკავებს.

**„ჩვენი ძაღლიშვილების“ ეპოქა დასრულდა, სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს კბილებით არავინ დაიცავს, თუ სათვალავში რამდენიმე კომიკურ, მეორეხარისხოვან პერსონაჟს არ ჩავაგდებთ. სხვათა შორის, ბოლო დროს დასავლეთში სააკაშვილის პოლიტიკური ადვოკატების კალიბრი მკვეთრად შემცირდა; ზოგს, ალბათ, ცუდი წინათგრძნობა გაუჩნდა, ზოგი კი კარგად (წინმსწრებად) ინფორმირებულია.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კოაბიტაცია და სიკვდილის კონვეიერი

**ორშაბათს საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა „შერატონ მეტეხი პალასში“ არასამთავრობოებთან გამართულ შეხვედრაზე ძალზე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: „პროკურატურამ, სასჯელაღსრულების სამინისტროს დახმარებით, 18 სხვადასხვა დაწესებულებაში განთავსებული ორი ათასი პატიმრისგან აიღო ჩვენება, რომლებიც ყვებიან ცემის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ“.**



კბილაშვილის თქმით, **„2005-12 წლებში საპყრობილეებში 700-ზე მეტი ადამიანია გარდაცვლილი. მიმდინარეობს მათი გარდაცვალების რეალური მიზეზების დადგენა, ვინაიდან, წინასწარი მონახაზით, რეალობა ის არის, რომ მათი დიდი ნაწილი უბრალოდ მოკლულია“. „როცა ფაქტებს დავდებთ და ეს, სავარაუდოდ, მარტის დასაწყისისთვის მოხდება, მას მივცემთ ისეთ შეფასებას, რომელიც ახალი სიტყვა უნდა იყოს ქართული სამართალწარმოების სისტემაში. კერძოდ, ეს არის სისტემური სახელმწიფო დანაშაული, რომელიც აქამდე არ გამოგვივლენია“,** — განაცხადა მთავარმა პროკურორმა (ინტერპრესნიუსი).

აშკარაა, რომ ამდენი ადამიანის მოკვდინება არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ცალკეული შეცდომების შედეგი; მასშტაბებიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში საუბარი სიკვდილის ნამდვილ კონვეიერზე მოგვიწევს. **თუ სასამართლო პროკურატურის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს საკმარისად დამაჯერებლად ჩათვლის, ეს გახდება კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ საქართველოში „დემოკრატიის შუქურის“ საფარქვეშ ერთი ჩვეულებრივი, ბინძური, სისხლიანი დიქტატურა მოქმედებდა.**

ამავე კონტექსტში, ალბათ, უნდა განვიხილოთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის, სოზარ სუბარის, ორშაბათის განცხადებაც: **„ყოველთვიურად 1200-მდე პატიმარი მიგვყავს საავადმყოფოებში. მათ დიდ ნაწილს დაზიანებები მიღებული აქვს ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების ძალადობრივი პოლიტიკის შედეგად. უმეტესობას ოპერაციები უკეთდება ხერხემალზე, ცხვირზე და არის შემთხვევები, როდესაც ოპერაცია კეთდება ფეხებს შორის, გარკვეული რაოდენობის პატიმრებმა სათესლე ჯირკვლები დაკარგეს“.** (მედიანიუსი).

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ხანდახან, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ძველი რეჟიმის წარმომადგენლებს შეიძლება ბიუჯეტში ხელის ფათური ეპატიოთ და (არასასურველია, მაგრამ ლათინური ამერიკის და აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ნამდვილად მომხდარა) არ დაისაჯონ ის გამომძიებლები და მოსამართლეები, რომლებმაც ციხეებში ასობით პოლიტპატიმარი ჩაყარეს, მაგრამ **თვალის დახუჭვა ასეთ ფაქტებზე, ამდენ მკვლელობაზე, შეუძლებელია. სახელმწიფო, რომელიც ამას გააკეთებს, დაკარგავს უფლებას სამართლებრივად და ცივილიზებულად იწოდებოდეს.**

კბილაშვილის განცხადებისა და სხვა რეზონანსულ საქმეებზე გამოძიების მიმდინარეობის დინამიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, **ძალიან მალე საუბარი სააკაშვილზე, მის გარემოცვაზე და მათ მომავალზე, იურიდიული და არა პოლიტიკური ტერმინის გამოყენებით მოგვიწევს.** „ნაციონალები“ გააკეთებენ ყველაფერს იმისთვის, რომ პროკურატურის განცხადებები „გადაფარონ“ და წარმოაჩინონ მისი მოქმედება, როგორც პოლიტიკური რეპრესიების ნაწილი, თუმცა ამჯერად ამის გაკეთება მათთვის არც ისე იოლი იქნება, თუმცა ეს მათი პრობლემაა. მთავარი კი ისაა, რომ, **როგორც კი პროკურატურა ოფიციალურად დაიწყებს ოპერირებას ტერმინით „სისტემური სახელმწიფო დანაშაული“, გადაილახება რუბიკონი და სააკაშვილის რეჟიმის გასამართლების პროცესი, სავარაუდოდ, შეუქცევად ხასიათს მიიღებს.**

არაერთი კომენტატორი მიიჩნევს, რომ ეს არ მოეწონება დასავლეთს, კერძოდ კი ამერიკელებს, რომლებმაც, თავის დროზე, „ვარდოსნებს“ უპრეცედენტო დახმარება აღმოუჩინეს და მათ შეიძლება ახალ ხელისუფლების შეკავება სცადონ. **ამ კონტექსტში, ალბათ, ორი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ. ჯერ ერთი, პროკურატურა ჯერჯერობით არ ჰკიდებს ხელს იმ საქმეებს, რომელთა ფარგლებში შეიძლება ვაშინგტონელი ჩინოვნიკების დანაშაული გამოიკვეთოს.** კონკრეტული მაგალითი: 2011 წლის ივლისში „ეხო მოსკვის“ ეთერში 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას ნინო ბურჯანაძემ (იმ არჩევნების პერიოდში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა), შემდეგი რამ თქვა: **„მე ვთვლი, რომ 2008 წლის იანვარში დასავლელ მეგობრებთან ერთად საბედისწერო შეცდომა დავუშვით. ყველამ ვიცოდით, რომ მეორე ტური იყო, მაგრამ ამაზე თვალი დავხუჭეთ. მშვენივრად მახსოვს, ჩვენი დასავლელი მეგობრების ასეთი... დაჟინებული რჩევები, განსაკუთრებით ჩემი მისამართით, რომ არავითარ შემთხვევაში არ გამოგვეცხადებინა მეორე ტური“.** აქ ყველაფერი თითქოსდა ცხადია და საუბარი ეხება არჩევნების გაყალბებას, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალებას და, შესაძლოა, იმას, რასაც სისხლის სამართლის კოდექსის 309-ე მუხლის 1 პუნქტი ასე აღწერს: **„უცხო ქვეყანასთან, უცხოეთის ორგანიზაციასთან ან მათ წარმომადგენელთან ანტიკონსტიტუციური მოლაპარაკების წარმოება საქართველოს სუვერენიტეტის შეზღუდვის ან მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის სხვაგვარი ზიანის მიყენების მიზნით“.**

ერთი შეხედვით, პროკურატურის ახალი ხელმძღვანელი ამ განცხადებით ავტომატურ რეჟიმში უნდა დაინტერესებულიყო, მაგრამ გამორიცხული არაა, რომ ეს არ მოხდება, რადგან **გამოძიების ბოლომდე მიყვანამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს არა მხოლოდ უმცროსი ბუშის ადმინისტრაციის, არამედ აშშ-ის იმიჯს.** ალბათ, დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას აგვისტოს ომის (და მისი წინარე პერიოდის) ზოგიერთ ბუნდოვან ეპიზოდთან ან ტელეკომპანია „იმედის“ დარბევასთან დაკავშირებით (დღემდე დაუდგენელია, შედგა თუ არა 2007 წლის 7 ნოემბერს საღამოს ქართველი მაღალჩინოსნების სატელეფონო საუბარი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინთან და რამდენად შეესაბამება სიმართლეს ის მძიმე ეჭვები, რომლებიც მას უკავშირდება). **საინტერესოა, შეგვიძლია თუ არა ვივარაუდოთ, რომ ახალი ხელისუფლება ფრთხილობს და, ასე ვთქვათ, გაგებით ეკიდება ამერიკელების ინტერესებს და მათგან ანალოგიურ დამოკიდებულებას ელოდება.**

დასავლეთში ბევრი ექსპერტისთვის თუ ჟურნალისტისთვის სააკაშვილი დარჩება „დემოკრატიის მეჩირაღდნედ“, ვიდრე ქართველი ბრალმდებლები, სასამართლოს საპირისპიროს არ დაუმტკიცებენ. ის, რომ ქართველებისთვის „ყველაფერი ისედაც ცხადია“, ამ დამოკიდებულებას ვერ შეცვლის და წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების მყისიერ გადახედვას არ გამოიწვევს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამქვეყნად უდანაშაულობის პრეზუმფცია არსებობს. მაგრამ **იმის წარმოდგენა, რომ ვინმე დასავლეთში აქტიურად შეეწინააღმდეგება ასობით პატიმრის მკვლელობის, 26 მაისის სისხლიანი დარბევის და სხვა კოშმარული ეპიზოდების გამოძიებას, არაკორექტულია. „ჩვენი ძაღლიშვილების“ ეპოქა დასრულდა, სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს კბილებით არავინ დაიცავს, თუ სათვალავში რამდენიმე კომიკურ, მეორეხარისხოვან პერსონაჟს არ ჩავაგდებთ. სხვათა შორის, ბოლო დროს დასავლეთში სააკაშვილის პოლიტიკური ადვოკატების კალიბრი მკვეთრად შემცირდა; ზოგს, ალბათ, ცუდი წინათგრძნობა გაუჩნდა, ზოგი კი კარგად (წინმსწრებად) ინფორმირებულია.**

მთელ ამ სიტუაციაში არის ერთი საინტერესო ნიუანსი. თუ ჩვენ განვიხილავთ სააკაშვილის რეჟიმს და „ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პროექტს, რომელშიც ამერიკელებმა დიდი ინვესტიცია ჩადეს, ჩვენთვის შეიძლება გასაგები გახდეს მათი შენიღბული გულისწყრომა იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ადამიანების სრულფასოვანი ინტეგრირება ახალ პოლიტიკურ რეალობაში ვერ ხერხდება; **საზოგადოების დიდი ნაწილი უარს ამბობს იმაზე, რომ „ნაციონალები“ ლეგიტიმურ პოლიტიკურ ძალად აღიქვას** („ოპოზიციის ლეგიტიმურობა“ ცოტა უცნაურად კი ჟღერს, თუმცა მისი მწვავე ნაკლებობა დღევანდელ საქართველოში ნამდვილად იგრძნობა).

იყო ასეთი არაღიარებული სახელმწიფო, ამერიკის კონფედერაციული შტატები... მამაცი, ამაყი ადამიანები („ნაციონალებს“ ნამდვილად ვერ შევადარებთ)... უნიკალური კულტურა... მდიდარი პლანტაციები და თვალწარმტაცი ხედები... შემდეგ მოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები, ყველაფერი ეს გადაბუგეს და აღგავეს პირისაგან მიწისა. შემდეგ იყო რეკონსტრუქციის მძიმე და მტკივნეული პერიოდი და მხოლოდ მის შემდეგ დაიწყო ჩრდილოელებისა და სამხრეთელების რეალური, სრულფასოვანი თანაცხოვრება და ერთობლივი ზრუნვა სამშობლოზე. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ **თავისუფლებისა და მონობის თანაარსებობა, ანტაგონისტური მსოფლმხედველობის მქონე პოლიტიკოსების** (აქ საუბარი ფუნდამენტურ პრინციპებზეა და არა განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებზე „ნორმის ფარგლებში“) **კოაბიტაცია შეუძლებელია.** განა აბრაამ ლინკოლნს უხაროდა, როდესაც შერმანის ჯარმა ჯორჯიას ტაიფუნივით გადაუარა? მაგრამ სხვა გზა არ იყო. სამხრეთმა პრინციპულად არასწორი არჩევანი გააკეთა და საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა.

რა თქმა უნდა, ეს განსხვავებული ისტორიული კონტექსტია და **ჩვენთან, მადლობა ღმერთს, სამოქალაქო ომი არ მიმდინარეობს, თუმცა მთავარია ის, რომ ბრძოლა მონათმფლობელობის წინააღმდეგ** (კლასიკური იქნება თუ თანამედროვე) **კომპრომისზე დაფუძნებული თანაცხოვრებით ვერასოდეს დაგვირგვინდება.** ამერიკელებს შეუძლიათ შეეგუონ „ნაციონალების“ ანიჰილაციას, შეუძლიათ (თეორიულად, თორემ ამის ალბათობა ნულია) გადმოსხან 82-ე დივიზია და სააკაშვილის რეჟიმი აღადგინონ, მაგრამ **ისინი, ალბათ, ვერასოდეს მოახერხებენ „ნაცმოძრაობის“, როგორც ერთ-ერთი ლეგიტიმური პოლიტიკური ძალის, ინტეგრაციას ახალ პოლიტიკურ რეალობაში; საზოგადოების დიდი ნაწილი ამას გააფთრებულ წინააღმდეგობას გაუწევს და თავის რჩეულს, ბიძინა ივანიშვილსაც კი არ დაინდობს, თუ ის შეეცდება აზრი შეაცვლევინოს.**

ასეთი, კონფიგურაციის ძიებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტები სხვა შედეგს ვერ მოიტანენ. ასე რომ, გენერალ ულის გრანტის თქმის არ იყოს (არ უთქვამს, თუმცა მისი პოლიტიკის არსი ეგ იყო), ჯერ — კაპიტულაცია, შემდეგ — რეკონსტრუქცია, შემდეგ — ყველაფერი დანარჩენი.

ვინ იცის, იქნებ 70 წლის შემდეგ გამოჩნდეს მწერალი, რომელიც დაწერს რომანს „წყალწაღებულნი“ და სრულიად საქართველო დაიტირებს სკარლეტ ო’ჰარას და მშვენიერ სამხრეთს, უკაცრავად, მიხეილ სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“, თუმცა ეს, ალბათ, მაინც გადაჭარბებული მოლოდინია; ამ მასალაზე მხოლოდ სამგროშიანი ვოდევილის დაფუძნება თუ მოხერხდება.

**კულმინაცია ახლოვდება; გამორიცხულია, იმ ტიპის განცხადებას, რომელიც მთავარმა პროკურორმა გააკეთა, კონკრეტული ნაბიჯები და შედეგები არ მოყვეს და ისიც აშკარაა, რომ აბსოლუტურად უადგილოა რამდენადმე სერიოზული საუბარი კოაბიტაციაზე, ვიდრე არ დადგინდება, რა გარემოებებში დაიღუპა ამდენი ადამიანი** (და არა მხოლოდ ეს). **არსებობს ზღვარი, რომელსაც, რაც არ უნდა მოხდეს, ნორმალური ადამიანი ვერ გადააბიჯებს.**

**18 თებერვლის განცხადებით, არჩილ კბილაშვილმა საკუთარ თავზე უდიდესი პასუხისმგებლობა აიღო. თუ ის დამაჯერებელ მტკიცებულებებს ვერ წარმოადგენს, საზოგადოებას, სავარაუდოდ, მისი თანამდებობასთან შეუსაბამობის საკითხის დაყენება მოუწევს.** ეს ერთგვარი „ჭეშმარიტების მომენტია“; საქართველო და მსოფლიო ელოდება ფაქტებს, რათა საბოლოოდ განსაზღვროს, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში სააკაშვილის რეჟიმი.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ გავხდით მოწმენი ხელისუფლების არნახული უმეცრების, გონებრივი შეზღუდულობისა და უზნეობისა. მთელი XX საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებული ქართველი ხალხის მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი იგნორირებული აღმოჩნდა, ამ პოტენციალის მატარებელი მეცნიერები, ინჟინრები, პედაგოგები კი სოციალური ცხოვრებიდან გააძევეს. საზოგადოებამ დეგრადირება დაიწყო.“**

# ალექსანდრე ჭაჭია: ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ღირსეულად იქცევა

**ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ალექსანდრე ჭაჭია.**

**— ბატონო ალექსანდრე, როგორ შეაფასებთ 8 თებერვალს თბილისში მომხდარ მოვლენებს?**

— როდესაც „ნაცონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში მოვიდა და დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები, ხალხის ცემა, ქონების წართმევა, ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ვეუბნებოდი, — არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი ხელისუფლებაში ყოფნა ადრე თუ გვიან დამთავრდება, ნუ იზამთ ისე, რომ რუსთაველზე დაცვის გარეშე ველარ გაიაროთ. ისინი მპასუხობდნენ, რომ ძალაუფლებას ხელიდან აღარ გაუშვებდნენ, რომ ამერიკა არავის დაანებებს მათთვის თითის დაკარებას. ამის შემდეგ, დაიჯერეს რა საკუთარი დაუსჯელობა, დაიწყეს ქუჩაში ადამიანების დახოცვა, ციხეში წამება, პოლიტიკური ოპონენტების ქვეყნიდან გაძევება. დღეს კი განკითხვის დრო მოვიდა.

**სამწუხაროდ, ეს არის უკანასკნელი 20 წლის მანძილზე საქართველოს ხელისუფალთა დაავადება. ყველა ხელისუფლება ისე იქცეოდა, თითქოს მას სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა ხელისუფლებაში ყოფნა გარანტირებული. გაიხსენეთ გარდაცვლილ ზურაბ ჟვანიას თავდაჯერებული განცხადებები, რომ „მოქალაქეთა კავშირი“ ხელისუფლებაში დიდი ხნით, რამდენიმე ათწლეულით მოვიდა. ვიღას ახსოვს დღეს „მოქალაქეთა კავშირი“? მის ყოფილ ფუნქციონერებს რცხვენიათ იმის აღიარება, რომ ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ. აღარ იქნება სააკაშვილი პრეზიდენტი — აღარ იქნება არანაირი „ნაციონალური მოძრაობაც“, კიდევ ერთ-ორ წელიწადში კი ყველას დაავიწყდება, რომ ეს მოძრაობა არსებობდა, მაგრამ სანამ სააკაშვილი და მისი ოდიოზური თანაგუნდელები გამოდიან ტელევიზიით და ცდილობენ ხალხის დამოძღვრას, საზოგადოების გაღიზიანება იზრდება და არ გამოვრიცხავ, რომ ამ დეპუტატებსა და ყოფილ ჩინოვნიკებს ხალხი პირველივე შესაძლებლობისთანავე დაუწყებს ცემას.**

ძალიან მეცოდება ის სიმპათიური გოგონა, რომელსაც ცხვირში მოხვდა, მაგრამ ამასთანავე მახსენდება კადრები, რომელზეც აღბეჭდილია ათეულობით გასისხლიანებული ადამიანი, ხელკეტიანი და ავტომატიანი პოლიციელების ფეხქვეშ გაგდებული, ასფალტზე რომ ეყარა. დამეთანხმებით, რომ ძალადობის დონე ამ ორ შემთხვევაში არათანაზომიერია. თანამებრძოლის ცხვირის გამო აღშფოთების გამოსახატავად პირველ რიგში მორალური უფლებაა საჭირო, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის მანძილზე ეს უფლება ვერ დაიმსახურა. სხვათა შორის, **ის, რაც დღეს ხდება, გაკვეთილი უნდა იყოს ახალი ხელისუფლებისთვის. ახალ დეპუტატებსა და ჩინოვნიკებს უნდა ახსოვდეთ, რომ სავარძლებში ისინი სამუდამოდ არავის დაუსვია, და ისე უნდა მოიქცნენ, რომ მომავალში შეეძლოთ ქალაქის ქუჩებში თავისუფლად სიარული და სუფთა სინდისით ადამიანებთან ურთიერთობა.**

**— რამდენად კვალიფიციური იყო, თქვენი აზრით, პოლიციის მოქმედება და მისი მცდელობა, — თავიდან აეცილებინა ძალადობა?**

— მე არა ვარ მასობრივ ღონისძიებათა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალისტი, პოლიციის პროფესიონალიზმი რომ შევაფასო. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ, **ვინაიდან „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებს საქართველოში სისტემატურად და საყოველთაოდ ვერ სცემენ, ესე იგი სამართალდამცავები ვითარებას აკონტროლებენ.**

**— თქვენი აზრით, რაში მდგომარეობს „ნაციონალური მოძრაობის“, იმ სახელისუფლო გუნდის მთავარი უბედურება, რომელიც 9 წლის მანძილზე მართავდა საქართველოს?**

— მთავარი უბედურება არის მათი მორალური და პროფესიონალური მოუმზადებლობა სახელისუფლო ფუნქციების შესასრულებლად. ჩვენმა ხალხმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც 35 წლის პრეზიდენტი აირჩია. ამ ახალგაზრდამ, რომელიც მთელი რიგი კომპლექსებით იტანჯებოდა, მათ შორის მასზე უფროსი, განათლებული ადამიანების მიმართ, შემოიკრიბა ასეთივე დაკომპლექსებული, ინტელექტუალურად და ზნეობრივად ჩამოუყალიბებელი გოგო-ბიჭები და მისცა მათ საშუალება, თავიანთი კომპლექსები ქვეყნისა და ადამიანების მიმართ ენთხიათ. შედეგად **ჩვენ გავხდით მოწმენი ხელისუფლების არნახული უმეცრების, გონებრივი შეზღუდულობისა და უზნეობისა. მთელი XX საუკუნის მანძილზე ჩამოყალიბებული ქართველი ხალხის მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი იგნორირებული აღმოჩნდა, ამ პოტენციალის მატარებელი მეცნიერები, ინჟინრები, პედაგოგები კი სოციალური ცხოვრებიდან გააძევეს. საზოგადოებამ დეგრადირება დაიწყო.**



**«ვინაიდან «ნაცმოძრაობის» აქტივისტებს საქართველოში სისტემატურად და საყოველთაოდ ვერ სცემენ, ესე იგი სამართალდამცავები ვითარებას აკონტროლებენ»**

თუ გახსოვთ, ხელისუფლების გუნდის ერთ-ერთმა შტერმა წევრმა განაცხადა, რომ მას არათუ 40 წლის ადამიანი, 40 წლის ხეც კი არ სჭირდება, ანუ ქვეყნის ხელმძღვანელობამ უარი თქვა ერის უმრავლესობაზე, გამოაცხადა რა ეს უმრავლესობა თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და მორალით არასაჭირო, ზედმეტ ელემენტად. ეს არის არნახული დანაშაული საკუთარი ხალხის, მისი წარსულისა და მომავლის წინაშე. სხვათა შორის, დღეს ამ დანაშაულის ავტორთა უმრავლესობის ასაკი 40 წელიწადზე მეტია, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ისინი ძალაუფლების დათმობას რატომღაც არ ჩქარობენ.

12-13 წლის წინ, როდესაც ცხადი გახდა, თუ რა შედეგები მოჰყვებოდა იმას, რომ ამერიკელები ემზადებოდნენ შევარდნაძისგან „ახალგაზრდა რეფორმატორებისთვის“ ძალაუფლების გადასაცემად, პრესაში გამოვედი ინიციატივით, პრეზიდენტის თანამდებობისთვის მინიმალურ ასაკობრივ ცენზად 50 წელი დაგვეწესებინა. მაშინ მხარი არავინ დამიჭირა. **დარწმუნებული ვარ, რომ მინისტრებიც, საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეებიც, გუბერნატორებიც და, სხვათა შორის, სხვადასხვა დონის მოსამართლეებიც 40-45 წელზე ნაკლებისა არ უნდა იყვნენ. ეს ის ასაკია, როდესაც ნორმალური ადამიანი ინტელექტუალურად, პროფესიონალურად, ზნეობრივად უკვე ჩამოყალიბებულია, შეთვისებული აქვს მორალი, ქცევის ტრადიციული ნორმები, საკუთარი ხალხის სოციოკულტურული თავისებურებანი, არის ეროვნული მსოფლმხედველობის მატარებელი. ასეთი ადამიანი გრძნობს, ესმის საკუთარი ხალხის და, შესაბამისად, შეუძლია უხელმძღვანელოს მას. ეს მიდგომა არანაირად არ აკნინებს ახალგაზრდების უფლებებს. პირიქით, სწორედ ეს არის ზრუნვა ახალგაზრდა კადრების მართებულ აღზრდასა და ზრდაზე.** როდესაც 23-25 წლის ადამიანი დეპუტატი ან მინისტრი ხდება, ჩათვალეთ, რომ მისი ცხოვრება დამახინჯებულია: 2-4 წელიწადში ის კარგავს თანამდებობას და ხდება არავინ: პროფესია ვერ შეითვისა, ნულიდან დაწყება უკვე „არ ეკადრება“, ხოლო ტრიბუნიდან მოტლიკინის რანგში ის უკვე არავის სჭირდება. მოდით, გადავხედოთ იმ ახალგაზრდა კადრებს, რომლებმაც შევარდნაძე და სააკაშვილი ხელისუფლებაში მოიყვანეს და დღეისთვის პოლიტიკურ არენაზე არ ჩანან. ვინ არიან ისინი დღეს? ზედმეტი ბარგი, პერსპექტივის გარეშე განზე მოსროლილები. კიდევ კარგი, არასამთავრობო ორგანიზაციების რეგისტრირება და ამერიკის საელჩოსთან გრანტის მიღების იმედით გრძელ რიგში დგომა მაინც ისწავლეს.

**— თქვენი აზრით, რამდენად კომპეტენტურია საქართველოს ამჟამინდელი მთავრობა, რამდენად მაღალია ახალი მინისტრების პროფესიონალიზმის დონე?**

— ხელისუფლებაში სხვადასხვაგვარი ადამიანები არიან. მე მათ პირადად არ ვიცნობ, შესაბამისად, შეფასებაც მხოლოდ მათი საჯარო გამოსვლების მიხედვით შემიძლია. დადებითი შთაბეჭდილება მოახდინეს ფინანსთა, იუსტიციის, კულტურის, ჯანდაცვის მინისტრებმა, მთავარმა პროკურორმა... მთავრობის მუშაობის შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ქვეყანა ისეთ მძიმე მდგომარეობაშია, რომ მოკლე დროში ვერაფერს გააკეთებ. საქართველო დღეს არის დაშლილი, არშემდგარი სახელმწიფო დანგრეული მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, სამეცნიერო-ტექნიკური ბაზით და დეგრადირებული კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემით. **საჭიროა სახელმწიფოებრივი განვითარების მკაფიო კონცეფცია, ეროვნული ეკონომიკის ეფექტური მოდელი და დარგების განვითარების კონკრეტული, მიზნობრივი პროგრამები. რაც მთავარია, მთავრობის წევრებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი საქართველოს მხოლოდ ნაწილის მთავრობას წარმოადგენენ...**

**— საინტერესოა თქვენი აზრი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ახალი ხელისუფლების ძალისხმევათა შესახებ. შეიძლება თუ არა ახალი ხელისუფლების ნაბიჯები ამ მიმართულებით შევაფასოთ წინა წლებთან შედარებით უფრო ეფექტურ ნაბიჯებად?**

— არანაირი ეფექტი არ გვაქვს და ჯერჯერობით მოსალოდნელიც არ არის. კარგია ის, რომ შეიცვალა რიტორიკა, ნაკლებია რუსეთის, აფხაზი და ოსი ხელმძღვანელების მიმართ შეურაცხმყოფელი გამოხდომები. ის მაინც იგრძნობა, რომ ახალი ხელისუფლება დაინტერესებულია პოზიტიური ცვლილებებით. ყოფილი ხელისუფლება ამით დაინტერესებული არ ყოფილა. თუ გაიხსენებთ, კერძოდ, ვინ იყო შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს ამ საკითხებით დაკავებული, ცხადი გახდება, რომ ქვეყნის ხელისუფლება შედეგით დაინტერესებული არ იყო. **ჩვენთან ტერიტორიული მთლიანობის პრობლემით დაკავებული იყვნენ ულიმღამო, უსუსური ადამიანები, რომელთაც არავინ იცნობდა არც სოხუმში, არც ცხინვალში და არც მოსკოვში. არც ერთ თავმოყვარე სახელმწიფო მოღვაწეს აზრადაც კი არ მოუვიდოდა მათთან სერიოზული მოლაპარაკების გამართვა. ისე, ამ მხრივ ვითარება დიდად არ შეცვლილა. ჩვენი პოტენციური პარტნიორებისთვის დღესაც უცნობია, თუ ვინ არის დაკავებული საქართველოში ამ საკითხებით.** ასახელებენ რეინტეგრაციის საქმეებში მინისტრის გვარს, მაგრამ განა ვინ დაელაპარაკება ასეთი დასახელების მქონე უწყების ხელმძღვანელს? და საერთოდ, **ის ადამიანები მოსკოვსა და სოხუმში, რომლებზეც რეალურად არის საქმე დამოკიდებული, მინისტრს არ დაელაპარაკებიან.** ▶

**„პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ყველაფერი, რასაც წარმავალი ხელისუფლება აკეთებდა, სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რისკენაც მიისწრაფვოდა ზვიად გამსახურდია»

**— პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ მას დალაგებული აქვს კონტაქტები აფხაზ წარმომადგენლებთან, რომლებთანაც ხორციელდება არაოფიციალური მუშაობა ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების შესამუშავებლად.**

— აფხაზეთში სულ რამდენიმე ადამიანია, რომელთაც შეუძლიათ გადაწყვეტილებების მიღება ან მათ მიღებაზე ზეგავლენის მოხდენა. არც ერთ მათგანს დღესდღეობით ქართულ მხარესთან არანაირი კონტაქტი არ აქვს. ეს სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

**— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზაქარეიშვილი დიდი მონდომებით აკეთებს თავის საქმეს. ის ჩვენს კონფლიქტებში კარგ პროფესიონალად ითვლება...**

— სავსებით შესაძლებელია. მე მას არ ვიცნობ, მაგრამ ღმერთმა ხელი მოუმართოს თავის საქმიანობაში წარმატების მისაღწევად. რაც შეეხება პროფესიონალიზმს, პროფესიონალი არ შესთავაზებდა აფხაზურ მხარეს რკინიგზის გახსნას ისე, რომ გარანტირებული უარი მიეღო. პროფესიონალი ჯერ ჩართავდა აფხაზ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებაში სომხეთის წარმომადგენლებს, მერე სომხებთან ერთად პროცესში რუსეთის ჩართვას უზრუნველყოფდა და მხოლოდ ამის შემდეგ, მიიღებდა რა დადებით ინფორმაციას, წამოაყენებდა შესაბამის წინადადებას. აუცილებელია საკუთარი ქვეყნის რეპუტაციაზე ზრუნვა, რომელიც კნინდება ასეთ წინადადებებზე ცივი უარის მიღებით.

**— ახლახან მიხეილ სააკაშვილმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ არ კარგავს საქართველოს ევროკავშირში შესვლის იმედს. 9 წელიწადი ის ამბობდა, რომ დარწმუნებულია მალე ამ კავშირში შესვლაში, ახლა კი მხოლოდ „იმედს არ კარგავს“. გახდა თუ არა ევროკავშირში შესვლის პერსპექტივა უფრო ეფემერული?**

— ეს პერსპექტივა ეფემერული არ არის, იგი, უბრალოდ, არ არსებობს. **ჯერ ერთი, ევროკავშირმა დაასრულა გაფართოების პროცესი და ახალ წევრებს აღარ მიიღებს; მეორე — წამყვანი ევროპული ქვეყნები არ მიიჩნევენ საქართველოს ევროპის ნაწილად; მესამე — ევროკავშირი რომც ფართოვდებოდეს, მასში სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს გაწევრიანება მხოლოდ თურქეთის გაწევრიანების შემდეგ იქნება შესაძლებელი. თურქეთი, მოგეხსენებათ, უკვე წლებია, დაჟინებით ითხოვს ევროკავშირში მიღებას და რამდენიც უნდა მოითხოვოს, მას იქ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ; და მეოთხე — ევროკავშირი თავად არის დაშლის ზღვარზე და უახლოესი 5-7 წლის მანძილზე ჩვენ მისი დაშლის უშუალო მოწმეები გავხდებით.**

ძალიან სასაცილოა, როდესაც ყველა ოფიციალურ ღონისძიებაზე, შენობების ფასადებზე, ჩინოვნიკების კაბინეტებში გვერდიგვერდ საქართველოსა და ევროკავშირის დროშებს ვხედავთ. ევროპელები გაკვირვებული და ირონიული მზერით უყურებენ ამას და დაგვცინიან. ასეთი პროვინციალიზმი, ჩემი აზრით, დამამცირებელია ჩვენი ხალხისთვის.

**— ახალი ხელისუფლება ასევე დეკლარირებს ნატოსა და ევროკავშირში შესვლის იდეის ერთგულებას.**

— დეკლარირება შეიძლება, მთავარია, ცრუ მიზნებს არ დავუქვემდებაროთ რეალური სახელმწიფოებრივი საქმიანობა. **შევარდნაძემ და სააკაშვილმა ჩვენს საზოგადოებას თავს მოახვიეს ცრუ მიზნები — ნატო და ევროკავშირი. ხალხმა არაფერი იცოდა არც ერთის და არც მეორის შესახებ, მაგრამ პროპაგანდის ზეგავლენით ეს ცრუ მიზნები ყველა უბედურების პანაცეად, სამოთხისკენ მიმავალ გზად აღიქვა. ნებისმიერ ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ ნაბიჯს ხელისუფლება სწორედ ამ ცრუ მიზნების — ნატოსა და ევროკავშირისკენ ხელის გაშვერით ამართლებდა — აქაოდა ნატოსა და ევროკავშირში შესასვლელად არისო საჭირო.** გადადგომის შემდეგ არაერთ ინტერვიუში შევარდნაძემ აღიარა, რომ ეს მიუღწეველი მიზნებია, ანუ ის 10 წლის მანძილზე ატყუებდა ხალხს. სააკაშვილიც რამდენიმე წელიწადში აღიარებს ამას, თუმცა იქვე დაამატებს, რომ მას შეეძლო შეუძლებელი, მაგრამ არ მისცეს საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება. **ორივე რეჟიმი, შევარდნაძისა და სააკაშვილის, იყო მარიონეტული, მათ სჭირდებოდათ, როგორმე აეხსნათ ხალხისთვის, თუ რატომ იქცეოდნენ არა საკუთარი სახელმწიფოს, არამედ გარე ძალების ინტერესების შესაბამისად.** ახსნა კი იყო შემდეგი: ასეა საჭირო ნატოში შესასვლელად. ჩვენი მმართველების ზურგსუკან ნატოს რომ არ ეციმციმა, განა ქართველი ხალხი დაანებებდა მათ ომის დაწყებას აფხაზეთსა და ცხინვალში, რუსეთთან თვითმკვლელობის ტოლფას კონფრონტაციაზე წასვლას? ან ავღანეთში უცხო ინტერესებისთვის სასაკლაოზე საკუთარი შვილების გაგზავნას? განა დაანებებდა ვინმე ხელისუფლებას ახალგაზრდობის გარყვნას, ეკლესიის დამცირებას, უცხოელებზე მიწის გაყიდვას? განა ქართველი ხალხი შეეგუებოდა იმას, რომ საქართველოს უმაღლესი ხელისუფალი, აგერ უკვე 20 წელია, არის აშშ-ის ელჩი? ამ ყველაფერს სჭირდებოდა გამართლება და ისიც მოიძებნა ნატოსა და ევროკავშირის სახით. **ქვეყნის მმართველებმა კარგად იცოდნენ, რომ ატყუებენ ხალხს, მაგრამ, როგორც მარიონეტებს, საზოგადოებისთვის სხვა არაფრის შეთავაზება არ შეეძლოთ, მათთვის ნებადართული იყო მხოლოდ იმ პოლიტიკის გატარება, რომელსაც კარნახობდნენ და რომლისთვისაც ისინი ხელისუფლებაში დასვეს.**

ივანიშვილი თვისობრივად განსხვავებულ მდგომარეობაშია. ის ხელისუფლებაში მოიყვანა რეჟიმისადმი ხალხის შეუწყნარებლობის ტალღამ, უფრო მეტიც, ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა ქართველი ხალხის მიერ რეჟიმის პოლიტიკის კატეგორიული უარყოფის წყალობით. **როგორც რეალურმა პოლიტიკოსმა** (არადა, ივანიშვილი კარგი პოლიტიკოსი აღმოჩნდა), **მან თავი შეიკავა პირდაპირი შეფასებებისგან, მაგრამ, როგორც პრაგმატიკოსს, მშვენივრად ესმის, რომ ცრუ მიზნები ხალხის დეზორიენტირებას ახდენს, შეუძლებელს ხდის საზოგადოების კონსოლიდაციას, ქვეყნის კატასტროფიდან გამოსაყვანად ძალისხმევის კონცენტრირებას. მიაქციეთ ყურადღება — ივანიშვილი არსად არ იჩემებს, რომ საქართველოს მიიღებენ ევროკავშირსა და ნატოში, არ ასახელებს კონკრეტულ თარიღებს, როგორც ამას პერიოდულად აკეთებდნენ შევარდნაძე და სააკაშვილი. ის საუბრობს იმაზე, რომ საქართველომ ბევრი უნდა იმუშაოს ევროკავშირის სტანდარტებთან მისაახლოებლად, და ეს სწორია.** ევროპულ პრაქტიკაში ბევრი რამაა ისეთი, რაც ჩვენ უნდა ავითვისოთ, მაგრამ არა ჩვენს სინამდვილეში ხელოვნური გადმოტანით, ბრმა კოპირებით, არამედ შერწყმის, ცხოვრების მოწყობის ტრადიციულ ქართულ მოდელთან ურთიერთშეღწევის გზით. არის ევროპაში ბევრი რამ ისეთიც, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია.

> «მგონია, რომ ივანიშვილი არ დაუქვემდებარებს თავის მოღვაწეობას ცრუ მიზნებს, როგორც ამას მისი წინამორბედები აკეთებდნენ, და ამ ცრუ მიზნებს არ შესწირავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს»

**მგონია, რომ ივანიშვილი არ დაუქვემდებარებს თავის მოღვაწეობას ცრუ მიზნებს, როგორც ამას მისი წინამორბედები აკეთებდნენ, და ამ ცრუ მიზნებს არ შესწირავს საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.**

**— როგორც ჩანს, კმაყოფილი ხართ ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობით...**

— დიახ, ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ღირსეულად იქცევა. სხვათა შორის, ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას საერთო ნაცნობების მეშვეობით ვცდილობდი, ბიძინა ივანიშვილი ჩართულიყო პოლიტიკურ მოღვაწეობაში, რათა შევარდნაძის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი დაეკავებინა. საჭირო იყო იმ კატასტროფის თავიდან აცილება, რომლისკენაც ახალგაზრდა დამანგრეველებისთვის ხელისუფლების გადაცემით შევარდნაძე ქვეყანას მიაქანებდა, და ივანიშვილს შეეძლო ამის გაკეთება. მაშინ მიპასუხეს, რომ ესაუბრნენ მას, მაგრამ ივანიშვილმა პოლიტიკაში ჩართვაზე კატეგორიული უარი განაცხადა, მაგრამ ნათქვამია — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

**— ერთ-ერთი მწვავე პრობლემა, რომელიც აქტიურად განიხილება საზოგადოებაში, არის საკითხი — როგორი უნდა იყოს პრეზიდენტის არჩევნები. რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?**

— **თუ უკვე დამტკიცებულია მმართველობის საპარლამენტო მოდელი, მაშინ პრეზიდენტი პარლამენტმა უნდა აირჩიოს. ერთდროულად ძლიერი პარლამენტი, ძლიერი პრემიერი და ძლიერი პრეზიდენტი — ეს ფსევდოდემოკრატიული დემაგოგიაა.** რეალურ ცხოვრებაში ასე არ ხდება, მითუმეტეს გაკოტრებულ ქვეყნებში, რომლებიც ჯერ ფეხზე უნდა წამოდგნენ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი ნომინალური ფიგურა უნდა იყოს, ანუ მხოლოდ მოაწყოს მიღებები დღესასწაულებზე, ჩაიბაროს რწმუნების სიგელები ელჩებისგან, ატაროს ჰალსტუხი და გაიბლინძოს. **საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის უსაქმურების შენახვის ფუფუნება.** პრეზიდენტის ფუნქციები (მხედველობაში მაქვს არა ფორმალური, კონსტიტუციური, არამედ რეალური) ქვეყნის იმ სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის.

მიმაჩნია, რომ **პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიურ რესპუბლიკებთან ურთიერთობა. საქმე ისაა, რომ დასავლეთის ვექტორზე ჩვენთან ბევრი ოფიციალური პირი და სტრუქტურა მუშაობს — პრემიერი, პარლამენტის თავმჯდომარე და საპარლამენტო კომიტეტები, საგარეო საქმეთა სამინისტრო და რიგი სხვა უწყებებისა, ხოლო იმ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებზე, რომლებიც ჩამოვთვალე, სერიოზულად არავინ მუშაობს.** რეინტეგრაციის საქმეთა მინისტრთან აფხაზეთის, ოსეთისა და მით უმეტეს რუსეთის ხელმძღვანელობა საგნობრივად არაფერს განიხილავს. რუსეთთან ურთიერთობებში სპეციალური წარმომადგენელის სამ თვეში ერთხელ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან შეხვედრის შედეგი კი იქნება ერთობლივი ვახშამი და პირობა, რომ სამი თვის შემდეგ კიდევ ერთხელ შეხვდებიან. დრო კი მიდის და უნდა ვაღიაროთ, რომ — არა საქართველოს სასარგებლოდ.

საჭიროა გარღვევა, ამ სამუშაოს ხარისხობრივად ახალ დონეზე აყვანა. საჭიროა მაღალი სახელმწიფოებრივი სტატუსის მქონე პირი, რომელიც გავა პირდაპირ მოლაპარაკებაზე უმაღლესი ხელმძღვანელობის რგოლებთან და დაძრავს საქმეს მკვდარი წერტილიდან. პრემიერ-მინისტრი ამით ვერ დაკავდება — მას აქვს უდიდესი მოცულობის შიდა პრობლემები, დიდ დროს ართმევს ურთიერთობა დასავლელ პარტნიორებთან, რომელთა ზეწოლასაც წარმატებით უმკლავდება; ამასთანავე, პრემიერი უმაღლესი სახელმწიფო პირია და ის მოლაპარაკებათა პროცესში შეთანხმების მიღწევის სტადიაზე უნდა ჩაერთოს, ანუ მას მუდმივად უნდა ჰქონდეს მანევრის საშუალება.

პარლამენტის თავმჯდომარე, ჩემი აზრით, კარგად ართმევს თავს თავის მოვალეობებს, მაგრამ ზემოხსენებული საქმიანობისთვის არ გამოდგება — მას აქვს მკაფიოდ გამოკვეთილი „მედასავლეთის“ იმიჯი და, რა თქმა უნდა, უდავოდ გააჩნია სერიოზული ვალდებულებები დასავლელ პარტნიორებთან, ამიტომ არც რუსები, არც აფხაზები მასთან გულწრფელად არ ისაუბრებენ. ამ მნიშვნელოვანი საქმისთვის საჭიროა მესამე პირი ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლო ეშელონიდან — ანუ პრეზიდენტი. **რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არამხოლოდ სტატუსს, არამედ პიროვნულ საკითხსაც. ახალი პრეზიდენტი არაფრით არ უნდა იყოს დაკავშირებული წინა რეჟიმებთან, რომლებიც ჩვენი პარტნიორების აღქმაში ომთან და სისხლთან ასოცირდებიან.** სასურველია, რომ იგი მათთვის პოზიტიურად ცნობილი იყოს, თუმცა, შესაძლოა, ის იყოს აბსოლუტურად ახალი სახე. მთავარია, იგი აცნობიერებდეს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას — 1-2 წელიწადში ვითარების კარდინალურად შეცვლას.

სხვათა შორის პრეზიდენტის ფუნქციის ასეთი განმარტება მოხსნის კონკურენციის, ამ თანამდებობისთვის ბრძოლისა და ამ ბრძოლის თანმდევი ინტრიგების პრობლემას. არა მგონია, ბევრი პრეტენდენტი მოიძებნოს, რომელთაც ამ ჩიხში მოქცეული საკითხებით დაკავების სურვილი ექნებათ. ამ საკითხებს მხოლოდ ლამაზი და ფუჭე დაპირებებით ვერ მოაგვარებ, ახალი პრეზიდენტის ფხა და შესაძლებლობა პირველივე თვეებში გამოჩნდება. ამიტომ ამ პოსტის დაკავებას მხოლოდ ის ადამიანი დათანხმდება, რომელიც დარწმუნებულია წარმატებაში და ფლობს აუცილებელ პოტენციალს — კავშირებს, პირად ავტორიტეტს, სერიოზული წინადადებების პაკეტს. ასეთი ადამიანები კი ბევრნი არ არიან.

**— წლებია, ხართ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ თავმჯდომარე. ბოლო დროს საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ სააკაშვილი სამეგრელოში გადაბარგებას და ამ რეგიონის ახალი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურ ბასტიონად გადაქცევას აპირებს. რამდენად რეალურია ასეთი სცენარი?**

— ამ ხმებს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ავრცელებენ ახალი ხელისუფლების დაშანტაჟების მიზნით. **სააკაშვილისა და მისი ჩინოვნიკების დასაცავ არანაირ ბასტიონად სამეგრელო არ გადაიქცევა. არ არის საჭირო, ისე წარმოვაჩინოთ საქმე, თითქოს სამეგრელოში ველური პროვინციელები ცხოვრობენ, რომლებიც მზად არიან, დაიცვან ის ხელისუფლება, რომელმაც ქვეყანას დაშლა, სიღარიბე და დეგრადაცია მოუტანა. სამეგრელოში გონიერი, განათლებული, განსაკუთრებით მაღალი სახელმწიფოებრივი შეგნების მქონე ხალხი ცხოვრობს. არც გამსახურდიასა და სააკაშვილს შორის პარალელების გავლებაა საჭირო, ეს მკრეხელობაა.** ყველაზე სამარცხვინო ის არის, რომ სააკაშვილის გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ზვიადის თანამოაზრედ მიიჩნევენ. ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ამ ადამიანებს არაფერი გაეგებათ და წარმოდგენაც არ აქვთ, თუ რა უნდოდა ზვიად გამსახურდიას საქართველოსთვის. იყოს ზვიად გამსახურდიას მომხრე და ამავე დროს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, შეუძლია ან უპრინციპო აფერისტს, ან აბსოლუტურ უვიცს, რომელსაც არასოდეს წაუკითხავს და არასოდეს ესმოდა ზვიად გამსახურდიასი. **ყველაფერი, რასაც წარმავალი ხელისუფლება აკეთებდა, სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რისკენაც მიისწრაფვოდა ზვიად გამსახურდია.**

სამეგრელოს მოსახლეობას არანაირი ანტისახელისუფლო განწყობა არ აქვს. იქ არის ცენტრალური ხელისუფლებისადმი ზოგადი უნდობლობა, რადგანაც უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, წინასაარჩევნო დაპირებების გარდა, სამეგრელოს არაფერი მიუღია. რეგიონი უკიდურესად არის გაჩანაგებული, შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედი ემიგრაციაშია. სასწრაფოდ საჭიროა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ზომების მიღება, რათა ეს, ქვეყნისთვის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი კუთხე გამოცოცხლდეს.

ესაუბრა
**ირაკლი თოდუა**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხომ არ გამოიწვევს ამ ჯგუფების ამოქმედება უცხოელების გაუმართლებელ ჩარევას ქვეყნის საშინაო საქმეებში? ხომ არ შეფერხდება სამართლიანობის აღდგენის პროცესი იმით, რომ ჰამარბერგის ჯგუფის ექსპერტები ყველა წარმოსადგენი ნორმის დაცვას მოითხოვენ? ხომ არ გადაიქცევა ლესიგის ჯგუფი უცხო ქვეყნების დაკვეთის შემსრულებლად და, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, კონსტიტუციაში ნელი მოქმედების ნაღმებს ხომ არ ჩაგვიდებს?**

# რისთვის ჩამოვიდა ქართული კონსტიტუციის ამერიკელი მამა?

**მალე მნიშვნელოვან ადგილს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ორი უცხოელი დაიკავებს. საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფს, რომელიც ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით შეიქმნება და გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებს მონიტორინგს გაუწევს, ჩვენთვის კარგად ნაცნობი შვედი დიპლომატი და უფლებადამცველი თომას ჰამარბერგი უხელმძღვანელებს; მას რეკომენდაცია ევროკომისარმა შტეფან ფულემ გაუწია. კიდევ ერთ ჯგუფს, რომელიც საკონსტიტუციო პროცესებს და დემოკრატიული რეფორმების მიმდინარეობას დააკვირდება და მთავრობისთვის რეკომენდაციებს შეიმუშავებს, სათავეში სამართლის ცნობილი ექსპერტი ლოურენს ლესიგი ჩაუდგება. რაზე შეიძლება მიანიშნებდეს ამ ჯგუფების შექმნა?**



თომას ჰამარბერგი



ლოურენს ლესიგი

## ორნი თბილისში

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, **ეს ჯგუფები იქმნება „იმისათვის, რომ ზუსტი ინფორმაცია გავიდეს ევროპაში და ზუსტად იცოდნენ ამერიკელებმა, რა პროცესები და როგორ ვითარდება ქვეყანაში, ძალიან კარგი იქნება რამდენიმე ექსპერტის ჩამოსვლა, რომლებიც საქართველოს საზოგადოების ზოგიერთ წარმომადგენელთან ერთად, რომლებიც არ არიან პოლიტიკოსები და პროცესებში არ მონაწილეობენ, ობიექტურ ინფორმაციას მიაწვდიან ამერიკასა და ევროპას. გარდა ამისა, ძალიან საინტერესო იქნება მათი დასკვნები. მათ შორის ჩვენთვისაც, პოლიტიკოსებისთვის, ორივე მხარისთვის — პოზიციისთვისაც და ოპოზიციისთვისაც. ბატონმა ლესიგმა განაცხადა თანხმობა. კიდევ გვაქვს რამდენიმე ექსპერტთან მოლაპარაკება და უახლოეს მომავალში მოვახერხებთ კარგი გუნდის შეკრებას. ეს აუცილებლად დაეხმარება იმ პროცესების განვითარებას, რომლებიც ცოტა გაგვიჭიანურდა და, რბილად რომ ვთქვათ, ზედმეტად ემოციურად მიმდინარეობს დღეს საქართველოში“** (ინტერპრესნიუსი).

იმ სტრატეგიის არსის დადგენაში, რომელიც ამ სიტყვების უკან, შესაძლოა, დგას, პარადოქსულად, შეიძლება ნიქსონის ადმინისტრაციის „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკის გახსენება დაგვეხმაროს. 1969 წლიდან მოყოლებული ვაშინგტონმა დაიწყო თანდათანობითი დისტანცირება ვიეტნამის ომში უშუალო მონაწილეობისგან, სამხრეთვიეტნამური ჯარის გაძლიერება და მთელი რიგი პასუხისმგებლობების მისთვის გადაბარება; იგივე დატვირთვა აქვს სხვა ქვეყნებსა და რეგიონებში მოგვიანებით გაჩენილ ტერმინებს — „ავღანიზაცია“, „ჩეჩენიზაცია“ და ა. შ. **ჩვენ შემთხვევაში კი საქმე კონფლიქტის „ამერიკანიზაციასთან“ ან, უფრო ფართოდ, „დასავლეთიზაციასთან“ გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ საუბარი არა სამხედრო, არამედ პოლიტიკურ კონფლიქტს ეხება, პრინციპი არსებითად იგივეა — „დასავლეთის ფრონტის“ წინა ხაზზე, იქ, სადაც სააკაშვილის მოკავშირეები და ლობისტები ახალ ხელისუფლებას ყველა აკრძალული ხერხის გამოყენებით უტევენ, სასურველია, იმ პირებმა იმოქმედონ, რომლებიც ამ გარემოსთან მაქსიმალურად ადაპტირებულინი არიან, ამ ადგილს მალე ჰამარბერგის და ლესიგის ჯგუფების ექსპერტები დაიკავებენ.**

ამ ორ პიროვნებას სააკაშვილის ლობისტებისგან ძალიან მაღალი რეპუტაცია განასხვავებს; ისინი არასოდეს იცავენ იმ პრინციპებს, რომელთაც თვითონ არ იზიარებენ, ამიტომ საუბარი მათზე, როგორც ბანალურ დაქირავებულ მებრძოლებზე, არ შეიძლება. მაგრამ ახალ ხელისუფლებას ეს არც სჭირდება, მისთვის **მნიშვნელოვანია,**

**ამ ორ პიროვნებას სააკაშვილის ლობისტებისგან ძალიან მაღალი რეპუტაცია განასხვავებს; ისინი არასოდეს იცავენ იმ პრინციპებს, რომელთაც თვითონ არ იზიარებენ, ამიტომ საუბარი მათზე, როგორც ბანალურ დაქირავებულ მებრძოლებზე, არ შეიძლება**

**რომ საქართველოდან მაქსიმალური გამჭვირავალობის პირობებში, ობიექტური ინფორმაცია გადიოდეს და მას ძალზე ავტორიტეტული დასავლელი ექსპერტები ახმოვანებდნენ.** ერთ-ერთ მთავარ მიზანს, სავარაუდოდ, იმ მითის გაქარწყლება წარმოადგენს, რომ ივანიშვილის მთავრობა რაღაც პრინციპულად ანტიდემოკრატიულს აკეთებს (ხელისუფლების უზურპაცია, პოლიტიკური რეპრესიები და ა. შ.), რაზეც „ნაციონალები“ ბრიუსელსა და ვაშინგტონში დღედაღამ გაჰკივიან. ამასთანავე, ორივე ჯგუფების მუშაობის პროცესში საუბარი აუცილებლად მიდგება სააკაშვილის რეჟიმის მიერ როგორც ზოგადად დემოკრატიის, ისე კონკრეტული ადამიანების უფლებების უხეშ შეზღუდვაზე.

საზოგადოებაში შეიძლება ბუნებრივად გაჩნდეს რამდენიმე კითხვა: **ხომ არ გამოიწვევს ამ ჯგუფების ამოქმედება უცხოელების გაუმართლებელ ჩარევას ქვეყნის საშინაო საქმეებში? ხომ არ შეფერხდება სამართლიანობის აღდგენის პროცესი იმით, რომ ჰამარბერგის ჯგუფის ექსპერტები ყველა წარმოსადგენი ნორმის დაცვას მოითხოვენ? ხომ არ გადაიქცევა ლესიგის ჯგუფი უცხო ქვეყნების** (სინამდვილეში ერთი ქვეყნის, ცნობილი ფრაზის არ იყოს: ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გვარს არ დავასახელებ) **დაკვეთის შემსრულებლად და, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, კონსტიტუციაში ნელი მოქმედების ნაღმებს ხომ არ ჩაგვიდებს?** ეს კითხვები შეიძლება ერთობ ალარმისტულად ან კონსპიროლოგიურად მოგვეჩვენოს, რადგან საუბარი მხოლოდ ექსპერტების ჯგუფებს შეეხება და არა ვენეციის კომისიას ან სტრასბურგის სასამართლოს, მაგრამ ფაქტია, ეს კითხვები გაჩნდება და ეს, ბოლო წლების მწარე გამოცდილებიდან და უცხო ქვეყნების ზოგიერთი წარმომადგენლის არაკეთილსინდისიერებიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკური და ლეგიტიმური იქნება.

**მიუხედავად იმისა, რომ უამრავ ადამიანს სამართლიანობის სასწრაფოდ აღდგენა სწყურია, ამის გაკეთება იურიდიული პროცედურების იუველირული სიზუსტის დაცვის გარეშე, საქართველოს უდიდეს პრობლემებს მოუტანს და ამ მხრივ თომას ჰამარბერგის ჩართვა პროცესში, ალბათ, მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ. სააკაშვილის მმართველობის წლებში პროკურატურა და სასამართლო პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა, ფაქტობრივად, რეპრესიულ ხელკეტს წარმოადგენდა და, ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, იქ მომუშავე ბევრმა ადამიანმა, უბრალოდ, არ იცის, როგორ უნდა იმოქმედოს ახალ პირობებში.** ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ შუა საუკუნეების კბილის ექიმი, რომელიც მხოლოდ მაშის გამოყენებით მუშაობდა, XXI საუკუნის ტექნიკით სავსე კაბინეტში მოიყვანეს და ყველა თანამედროვე ნორმის დაცვა მოსთხოვეს; თუ არაფერს ასწავლიან და მუდმივი კონტროლის ქვეშ არ ამყოფებენ, ის ისევ თავის ბარბაროსულ, სისხლში გასვრილ ინსტრუმენტს იხმარს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც არაფერი დაშავდება იმით, თუ ადგილობრივ უფლებადამცველებს უცხოელებიც დაეხმარებიან; გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჰამარბერგს არ სჩვევია, თავი წარმოაჩინოს „ჭეშმარიტებად უკანასკნელ ინსტანციად“.

რაც შეეხება ლოურენს ლესიგს, მას ჩვენში არც ისე კარგად იცნობენ, არადა, 90-იანების დასაწყისში, მან საქართველოს კონსტიტუციის შექმნაში უშუალო მონაწილეობა მიიღო და ამის შესახებ საინტერესო ისტორიებს ყვება.

## ჯეფერსონი ჯერ კიდევ ცოცხალია

**ლოურენს ლესიგი 51 წლისაა. მან სახელი გაითქვა არა მხოლოდ ლექციებით ჰარვარდსა და სტენფორდში, არამედ** (და უპირველესად) **თავისი წიგნით „თავისუფალი კულტურა“** (2004), **რომელმაც მოძრაობას თავისუფალი ინფორმაციისთვის იდეოლოგიური ფუნდამენტი შეუქმნა. ინტელექტუალური საკუთრების პრობლემებზე მუშაობის გარდა, ის იბრძვის პოლიტიკური კორუფციისა და თანამედროვე ვაშინგტონური ლობიზმის მანკიერებების წინააღმდეგ** (საგულისხმო ინფორმაციაა). ყველა იმ თემის ჩამოთვლა, რომელთან მიმართებაში ლესიგი თავის დამოკიდებულებას აქტიურად აფიქსირებს, ძალიან შორს წაგვიყვანს, უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ ინტერესი აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობის (და გარდამავალ პერიოდში კანონშემოქმედების პროცესის მიმართ) მას 90-იანების დასაწყისში გაუჩნდა. სამართლის ექსპერტები, როგორც წესი, არც ისე პოპულარულები არიან, თუმცა ლოურენს (ლარი) ლესიგს, მისი აქტიური სამოქალაქო პოზიციიდან გამომდინარე, უამრავი ადამიანი გულშემატკივრობს, რომელთა უმრავლესობა ახალგაზრდა, ფრიად ენერგიული ლიბერალია.

90-იანების დასაწყისში, ლარი ლესიგი ჩიკაგოს უნივერსიტეტში სამარ- ▶

## ნატოს სტანდარტის ტუალეტებიც მითი ყოფილა

**გასულ კვირას თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილესთან, პოლკოვნიკ ლადო ჩაჩიბაიასთან ერთად სენაკსა და ქუთაისში ქართული არმიის ორი სამხედრო ბაზა მოინახულა.**

ამის შემდეგ თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ფოტო და ვიდეომასალა, რომელშიც ჩანს სენაკის მე-2 და ქუთაისის მე-3 ქვეითი ბრიგადების ინფრასტრუქტურის არცთუ სახარბიელო სახე. **წინა ხელისუფლება და მისი თავდაცვის მინისტრები იმით ამაყობდნენ, რომ ყაზარმებში „NATO-ს სტანდარტის ტუალეტები“ მოაწყვეს, თუმცა ასეთი სტანდარტი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, ბუნებრივია, არასოდეს ჰქონია, რადგან გამართულად მომუშავე და სუფთა პირსაბანი და ტუალეტი 21-ე საუკუნეში გასაკვირი არ უნდა იყოს, თუნდაც ყაზარმაში.** ფოტო და ვიდეოკადრებში, რომლებიც თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა, კარგად ჩანს მწყობრიდან გამოსული და გაპარტახებული ტუალეტები და პირსაბანები. თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ ბოლო წლებში სამხედრო უწყებისთვის დაახლოებით 5,5 მლრდ ლარი დაიხარჯა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის ჯარს და თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას არ მოხმარებია, რადგან ეს ხარჯი არ იყო გამჭვირვალე და არ არსებობდა მისი კონტროლის მექანიზმი.

NATO

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არც ერთი მოდელი, საპრეზიდენტო იქნება, საპარლამენტო თუ შერეული, არ შეიძლება ფეტიშად გადავაქციოთ. მთავარია, რამდენად უზრუნველყოფს ის დემოკრატიის პრინციპების დაცვას და (მეორე მხრივ) მართვის ეფექტურობას კონკრეტულ კონტექსტში; კონსტიტუცია ამ შემთხვევაში ერთგვარი კარკასის როლს ასრულებს და, რაც უფრო ნაკლებია მასში კრიტიკული, კონფლიქტოგენური წერტილი, მით უკეთესი. მთავარი, რაც ახალ კანონმდებლობაში უნდა ჩაიდოს, ალბათ, მორიგი მახინჯი რეჟიმის ჩამოყალიბებისგან დაცვის მექანიზმებია.**

◀ თალს ასწავლიდა (ისევე, როგორც ბარაკ ობამა; ერთმანეთი იქ გაიცნეს) და აღმოსავლეთევროპული კონსტიტუციონალიზმის შესწავლის ცენტრის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. ლესიგი სამი წლის განმავლობაში, სხვა ექსპერტებთან ერთად, კონსულტაციას უწევდა საქართველოს ხელისუფლებას კონსტიტუციის შექმნის პროცესში, რისთვისაც 1995 წლის ბოლოს ედუარდ შევარდნაძის სამადლობელი წერილი მიიღო. საუნივერსიტეტო გამოცემამ („University of Chicago Chronicle", 07.12.95), ამ ფაქტს საგანგებო პუბლიკაცია მიუძღვნა და საქართველოს კონსტიტუციის შექმნის ფინალური ეტაპი ასე აღწერა **„1994 წლის ოქტომბერში შევარდნაძის მიერ შერჩეული 10 ქართველი, რომლებიც სხვადასხვა ფრაქციას წარმოადგენდნენ, საბოლოო პროექტის დასაწერად ჩიკაგოში ჩამოვიდნენ. იურიდიული ფაკულტეტის კონფერენცდარბაზი საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობის ცენტრი გახდა. დაიდგა ორი კომპიუტერი დოკუმენტის ქართულად და ინგლისურად დასაწერად".** ლესიგი და სხვა ექსპერტები 10 ქართველ დელეგატთან მუშაობდნენ. **„ისინი ხშირად გვეკითხებოდნენ „რა გავაკეთოთ?", — ყვება ლესიგი: ჩვენ ვიმეორებდით, რომ ეს ჩვენი გადასაწყვეტი არ იყო... ჩვენი საქმე იყო კონტექსტის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა და არა დოკუმენტის დაწერა".** ამ მონაკვეთმა ნამდვილად შეიძლება დატოვოს შთაბეჭდილება, რომ ლესიგის როლი 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციის შექმნაში არა მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო.

ამა წლის 8 თებერვალს თავის ბლოგში **ლოურენს ლესიგმა გაიხსენა საინტერესო საუბარი საქართველოს მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრთან, აწ გარდაცვლილ ალექსანდრე ჩიკვაიძესთან. ამ დიალოგს ლესიგი „გაკვეთილს" უწოდებს** (საუბრის მომენტში ამერიკელი ექსპერტი შევარდნაძესთან შეხვედრას ელოდებოდა). **„რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ამერიკის ისტორიაში?"** — ჰკითხა ჩიკვაიძემ ლესიგს. **„წარმოდგენა არ მქონდა რაზე ფიქრობს ის და საყოველთაოდ ცნობილი თარიღები ჩამოვუთვალე",** — წერს ლესიგი, მაგრამ თანამოსაუბრემ უპასუხა: **„არასწორია, არასწორია, არასწორია. 1801 წლის 4 მარტი... იმიტომ, რომ ამ დღეს მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა ორ ფუნდამენტურად დაპირისპირებულ ძალას შორის. ერთ-ერთმა მხარემ (პრეზიდენტმა ჯონ ადამსმა და ფედერალისტებმა) დამარცხება აღიარა, მაგრამ უჩვენა მსოფლიოს, რომ ამერიკაში დემოკრატია მოვიდა".**

**ამის შემდეგ, ლესიგი წერს, რომ „ეს საკითხი საქართველოში სწორედ ახლა დგას" და რომ მიხეილ სააკაშვილმა უნდა გადაგვიწყვიტოს, გახდება თუ არა ადამსი, მითუმეტეს, რომ, ამერიკელი ექსპერტის აზრით, „საქართველოსთვის სააკაშვილს, როგორც პრეზიდენტს, სავარაუდოდ, მეტი აქვს გაკეთებული, ვიდრე ადამსს შეერთებული შტატებისთვის".**

ამ ფრაზის გამო არაერთ ადამიანს საქართველოში ლარი ლესიგის და მისი შეხედულებების მიმართ შეიძლება მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს; ეს საკმაოდ ცუდი სტარტია. რა თქმა უნდა, ჯონ ადამსის დაპირისპირებამ თომას ჯეფერსონთან კინაღამ იმსხვერპლა ახალგაზრდა რესპუბლიკა, მისმა მოუქნელობამ მიიყვანა ქვეყანა გამოუცხადებელ ომამდე საფრანგეთთან. ან რად ღირდა 50-ზე მეტი თანამოაზრის მოსამართლეებად დანიშვნა თანამდებობიდან წასვლამდე ერთი დღით ადრე (მის სახელს სხვა კრიზისებიც უკავშირდება). მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, ჯონ ადამსი არავის დაუდანაშაულებია, ათობით თუ არა, ასობით ადამიანის მკვლელობის და წამების ორგანიზებასა და აშკარად დიქტატორული მეთოდების გამოყენებაში. სად ერეკლე (უკაცრავად), სად ჯონი და სად მიხეილი? — ჰკითხავენ ეს ადამიანები ლარი ლესიგს.

მაგრამ ეს პირველი, ემოციური რეაქცია იქნება, რომელსაც, ალბათ, არ უნდა ავყვეთ. მითუმეტეს რომ ამ პასაჟის მიღმა, სათანადო სურვილის არსებობის შემთხვევაში, შენიღბული ირონიის აღმოჩენა შეიძლება. **ჯონ ადამსი, ალბათ, ყველაზე არაპოპულარული და საკამათო ფიგურაა აშშ-ის დამფუძნებლებს შორის; სააკაშვილს კი მუდამ სურდა საქართველოსთვის ჯორჯ ვაშინგტონი ან, როგორც მინიმუმ, თომას ჯეფერსონი გამხდარიყო.** მეტი სიცხადისთვის, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე თანამედროვე პოლიტიკოსს, XII საუკუნის მეფეებიდან, რატომღაც დემეტრე I-ის უფროსი ძეს, დავით V-ს, ვადარებთ. ან რა შეუძლია სააკაშვილს იმის გარდა, რომ შეეცადოს, ჯონ ადამსს მიბაძოს და (მეტ-ნაკლებად) ღირსეულად წავიდეს? ისე, **ნამდვილად საინტერესოა, ისტორიაში „მეორე ადამსის" სახელით შევა თუ „გარეკილ პირველის"?**

**არც ისაა გამორიცხული, რომ ისტორიაში სააკაშვილისთვის რამდენადმე შესამჩნევი ადგილი არ მოიძებნოს; ხანდახან ერი უცნაურ არჩევანს აკეთებს და ამა თუ იმ მმართველს, უბრალოდ, ივიწყებს.**

ჯონ ადამსი 1826 წლის 4 ივლისს, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელმოწერიდან ზუსტად 50 წლის შემდეგ გარდაიცვალა. მისი ბოლო სიტყვები (ძალზე სახასიათო შტრიხია) იყო: **„თომას ჯეფერსონი ჯერ კიდევ ცოცხალია".** არადა, მისი მთავარი, მასზე გაცილებით წარმატებული პოლიტიკური ოპონენტი, იმავე დღეს, რამდენიმე საათით ადრე გარდაიცვალა, თუმცა ადამსმა ამის შესახებ ვერ შეიტყო.

ალბათ, დროა, ისტორიული პარალელები და პერპენდიკულარები გვერდზე გადავდოთ, **მთავარია, რომ დაკვირვება ლარი ლესიგის მოქმედებაზე შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გავერკვეთ იმაში, თუ როგორ აღიქვამენ საქართველოში შექმნილ სიტუაციას ამერიკელები, რა რეცეპტებს გვთავაზობენ და რა უნდათ ამ ეტაპზე ჩვენგან.**



**მთავარი, რაც ახალ კანონმდებლობაში უნდა ჩაიდოს, ალბათ, მორიგი მახინჯი რეჟიმის ჩამოყალიბებისგან დაცვის მექანიზმებია**

## რას გვეტყვი ახალს, ლარი?

თავის 1995 წლის ინტერვიუში საუნივერსიტეტო გაზეთისთვის ლოურენს ლესიგმა თქვა: **„მათ (ქართველებს) ისეთი პერსონის შექმნის ეშინიათ, რომელსაც ხალხის ნებაზე სუვერენიტეტის დამყარების პრეტენზია ექნება"** (ისე აუხდეს ყოველივე კარგი, როგორც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ქართველების ეს შიშნარევი წინათგრძნობა გამართლდა). **საერთოდ, მის მაშინდელ განცხადებებს ლაიტმოტივად გასდევს ირიბი მინიშნება საფრთხეზე, რომელსაც პრეზიდენტის ფართო უფლებები ქმნის და ის იმედს გამოთქვამს, რომ შევარდნაძე თავშეკავებულად იმოქმედებს.** ალბათ, სადღაც ამ სივრცეში შეიძლება შევადგინოთ პირველი ტესტი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, დავადგინოთ, რა პრინციპებს დაეყრდნობა ლესიგი კონსულტირების პროცესში ან კიდევ (უარეს შემთხვევაში) ვის ინტერესებს ემსახურება.

**არის სამი თემა: პრეზიდენტის უფლებები**, რომლებიც ახალ კონსტიტუციაში გაიწერება, **მისი არჩევის წესი** (თუ „სუფთა" საპარლამენტო მოდელზე გადავალთ) და **მწვავე კრიზისების წამოქმნის შესაძლებლობა**, რომელიც 2010 წლის შესწორებებმა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი თითქოსდა „საპატიო ნოტარიუსად" გადააქციეს, მაინც დატოვეს. ლესიგის ჯგუფის პოზიცია ყოველივე ამასთან დაკავშირებით, საინტერესო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას მოგვცემს (საქართველოში მიჩნეულია, რომ ამერიკელები მუდამ საპრეზიდენტო რესპუბლიკისკენ გვიბიძგებდნენ). მაგრამ ეს მხოლოდ პირველადი ტესტი იქნება; **მთავარია, რა სტრატეგიულ მიმართულებას აირჩევს ჯგუფი — აქტუალური, მაგრამ ლოკალური ხასიათის მქონე პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც ამ კონკრეტულ მომენტში ივანიშვილს, სააკაშვილს და „მთელ ამ კოაბიტაციას" უკავშირდება, თუ ორიენტაციას მომავალზე და მდგრადი დემოკრატიის შექმნაზე.**

საერთოდ, **არც ერთი მოდელი, საპრეზიდენტო იქნება, საპარლამენტო თუ შერეული, არ შეიძლება ფეტიშად გადავაქციოთ. მთავარია, რამდენად უზრუნველყოფს ის დემოკრატიის პრინციპების დაცვას და (მეორე მხრივ) მართვის ეფექტურობას კონკრეტულ კონტექსტში; კონსტიტუცია ამ შემთხვევაში ერთგვარი კარკასის როლს ასრულებს და, რაც უფრო ნაკლებია მასში კრიტიკული, კონფლიქტოგენური წერტილი, მით უკეთესი. მთავარი, რაც ახალ კანონმდებლობაში უნდა ჩაიდოს, ალბათ, მორიგი მახინჯი რეჟიმის ჩამოყალიბებისგან დაცვის მექანიზმებია.** შეიძლება პარადოქსულად გაიჟღეროს, მაგრამ აშშ-ის „დამფუძნებელი მამების" ერთ-ერთი მთავარი მოტივი იყო შიში, რომ მათ მიერ შექმნილი სისტემა ტირანის აღზევებას დაუშვებდა და ამის გასანეიტრალებლად კანონმდებლობაში დამატებით დამცავ ზღუდეებს ქმნიდნენ, რომლებიც დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ზედმეტადაც კი მოგვეჩვენოს.

ტაქტიკური პრობლემებიდან გამომდინარე, **სისტემის მორიგი მისადაგება „ძლიერი ხელის" მიმართ, როგორც ეს აქამდე ხდებოდა, თუნდაც ამას სტაბილურობის უზრუნველყოფის აუცილებლობა გვკარნახობდეს, კარგს, სავარაუდოდ, არაფერს მოგვიტანს. რამდენადაც ბრძენი და თავშეკავებული არ უნდა იყოს ესა თუ ის მმართველი, რომელსაც უზომოდ გაფართოებულ უფლებებს მივანიჭებთ, ალბათ, ყოველთვის მოგვიწევს იმის გახსენება, რომ მარკუს ავრელიუსის მემკვიდრე კომოდუსი იყო, რომელმაც მამას იმდენი შრომა წყალში ჩაუყარა, რომის ისტორიაში სამარცხვინო ფურცლები ჩაწერა და „ხუთი კეთილი იმპერატორის ეპოქა" სრული ბაქანალიით დაასრულა.**

შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ ლესიგის ჯგუფი საერთოდ არ გვჭირდება (აგერ — ჩვენი კონსიტუციონალისტები, აგერ — ვენეციის კომისია), მაგრამ მას თავის გამოჩენის შესაძლებლობა, ალბათ მაინც უნდა მივცეთ. საქმე მხოლოდ ზემოთ ნახსენებ „ვიეტნამიზაციაში" (უკაცრავად, „ამერიკანიზაციაში") როდია; ეს მაინც ტაქტიკური პრობლემაა, რომლის გადაწყვეტას ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ მოხერხებულად ცდილობს. **საინტერესო სულ სხვა რამ არის: რას გვეტყვიან ეს ექსპერტები ახალ კონსტიტუციასთან დაკავშირებით; ეს ინფორმაცია შეიძლება ბევრი პოლიტიკური რებუსის ამოხსნაში დაგვეხმაროს.**

**დიმიტრი მონიავა**

**დაკვირვება ლარი ლესიგის მოქმედებაზე შესაძლებლობას მოგვცემს, უკეთ გავერკვეთ იმაში, თუ როგორ აღიქვამენ საქართველოში შექმნილ სიტუაციას ამერიკელები, რა რეცეპტებს გვთავაზობენ და რა უნდათ ამ ეტაპზე ჩვენგან**

## ბუტა რობაქიძის მეგობრის განცხადებით, დღეს გავრცელებული კადრები სიცრუე და მონტაჟია

**ბუტა რობაქიძის მეგობარმა ირაკლი მიქაბაძემ „პრაიმ-ტაიმის" პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა:**

„პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ იმ კადრებში აღნიშნულია, თითქოს ჩვენი მანქანა მთელი დღე ძებნაზე იყო გადაცემული. ამ მანქანით ჩვენ მთელი დღის განმავლობაში ვიმოძრავეთ და პატრულის არაერთ ეკიპაჟს გავუარეთ გვერდი, თუ ვიძებნებოდით, რატომ არც ერთხელ არ გაგვჩერეს მანქანა. რაც შეეხება იარაღს, ჩვენ რომ მანქანაში იარაღი გვქონოდა, ან გაქცევას შევეცდებოდით, ან იარაღის მოშორებას, ასე არ მოვქცეულვართ. იმ ამბის გადამღები ოპერატორი მუქაბანიით თავად ამბობს, რომ დაკავების მომენტში იარაღი მანქანაში არ იყო. არავითარ ჩხუბს და არავითარ ინციდენტს დღის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია და, თუ კი არსებობდა კადრები ამდენი წლის მანძილზე, რომელიც ჩვენს დანაშაულს ამტკიცებდა, რატომ გავრცელდა მაინცდამაინც ახლა? ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ კადრები, უბრალოდ, შეკერილი სიცრუეა და მეტი არაფერი".



ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკიდან წაქეზებულმა, დაუსჯელობაში დარწმუნებულმა სააკაშვილმა წამოიწყო ცხინვალის ავანტიურა, რის შედეგად დეიურედაც დავკარგეთ (ვაი თუ სამუდამოდაც) ტერიტორიები და უპირველესად ამ მიზეზით, ჰალსტუხის მღოღნელი და გორში ცხვირით მიწისმხვნელი პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნით, 2009 წელს აგორებული აქციებისას დასავლეთიდან კვლავ კბილებით დაიცვეს დემოკრატიის „ვარსკვლავბიჭუნა“**

# ახრჩოლებული შუქურა, ანუ დაგვეხსენი, ძია სემ, რა გვაქვს შენთან საზიარო?



**წერილის სათაური აკაკის სტრიქონების პერიფრაზია მისი ერთ-ერთი გამოუქვეყნებელი ლექსიდან „ნაძალადევ საქმროს“. აბა, „როსტომიჩმა“ რა იცოდა, რომ საუკუნეების განმავლობაში ვერ მიადგა იმდენი ზიანი ქართულ ცნობიერებას, სულიერებას, ეროვნულ მენტალიტეტს, მართლმადიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, ბოლოს და ბოლოს, ქართულ დემოგრაფიას, რამდენიც ზოგადად დასავლეთთან და კონკრეტულად ჩვენს „მეგობარ“ ამერიკასთან სულ რაღაც 20-ოდე წლის ინტენსიური ფლირტაობისას!..**

არადა, იყო დრო, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც ჩემი, უაღრესად ამერიკანიზებული თაობა, ყოველგვარი ბრჭყალების გარეშე, მართლაც, როგორც უანგარო მეგობრებს, ისე უყურებდა შეერთებულ შტატებს! უფრო მეტიც, საბჭოთა საქართველო, 15 მოკავშირე რესპუბლიკათა შორის, ყველაზე ანტისაბჭოურად და, შესაბამისად, პროამერიკულად განწყობილი რესპუბლიკა იყო და „ამერიკის ხმასა“ თუ „რადიო თავისუფლებასთან“ ლამენათევებს გულუბრყვილოდ გვჯეროდა, რომ ამერიკელები, ბოროტების საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე „ოქროს სარაიას“ აგვიშენებდნენ ქართველებს!

**ძია სემის მომხიბვლელობიდან ქართველების განხიბვლის პროცესი ლამის საბჭოეთის დაშლისთანავე დაიწყო, რამაც კრიტიკულ ზღვარს დღეს მიაღწია და არა მგონია, იანკების შელახულ იმიჯს რაიმე ეშველოს, რადგან „სახელის გატეხვას თავის გატეხვა სჯობიაო“, ნათქვამია!**

ჯერ იყო და პოსტსაბჭოთა საქართველოს პირველ, ეროვნულ ხელისუფლებას ჩაუდგა კრიჭაში ამერიკის მეთაურობით მთელი დასავლეთი და „დინების საწინააღმდეგოდ მცურავი“ ზვიად გამსახურდია მოაშთეს; მერე შევარდნაძის ხელისუფლებას აცალეს 10 წელი, სანამ გამოზრდიდა უბეში „ახალგაზრდა რეფორმატორებს“, დასავლეთის უპირობო მარიონეტებს, როგორც ქართველი კაცი იტყოდა, ყურმოჭრილ ყმებს და „ვარდების რევოლუციაც“ გაგვითამაშეს...

**... და დადგა ნანატრი ჟამი ლიბერასტობისა საქართველოში — ყოველივე ეროვნულის, ტრადიციულის, მართლმადიდებლურის მნგრეველი და წამბილწველი, მიშნაცების ქართველთმოძულე, ფაშისტურ-სადისტური რეჟიმის ზეობის ხანა დაიწყო!**

9 წელიწადი სულს უბერავდნენ დასავლეთიდან სააკაშვილის კრიმინალურ რეჟიმს, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ (დაბლიუ) ბუშმა დემოკრატიის შუქურა უწოდა საქართველოს და მის პრეზიდენტს ოქროს ბიჭუნას ეძახდნენ თეთრ სახლში, მიუხედავად იმისა, რომ კასტრირებული კონსტიტუციის, ნულოვანი ტოლერანტობით გადავსებული ციხეების, იმავე ციხის ბუნტის სასტიკი ჩახშობის, ქუჩებში ათობით დახვრეტილი ბიჭის, 7 ნოემბრის აქციის და ტელეიმედის დარბევის გამო, დემოკრატიის შუქურა მოკლე ხანში მყრალი ჭრაქივით ახრჩოლდა, ევროპა-ამერიკა მაინც მშვიდად „უპრავებდა“ ყველაფერს, რასაც კი მოისურვებდნენ მანიაკი მარიონეტები!

ამერიკიდან წაქეზებულმა, დაუსჯელობაში დარწმუნებულმა სააკაშვილმა წამოიწყო ცხინვალის ავანტიურა, რის შედეგად დეიურედაც დავკარგეთ (ვაი თუ სამუდამოდაც) ტერიტორიები და, უპირველესად, ამ მიზეზით, ჰალსტუხის მღოღნელი და გორში ცხვირით მიწისმხვნელი პრეზიდენტის გადაყენების მოთხოვნით, 2009 წელს აგორებული აქციებისას დასავლეთიდან კვლავ კბილებით დაიცვეს დემოკრატიის ვარსკვლავბიჭუნა. **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში უპრეცედენტოდ მაშტაბური, პერმანენტული აქციებისას ბევრიც გვჟეჟეს, პლასტიკური ტყვიებით თვალებიც დაგვთხარეს, ეროვნული სტადიონი მაინც გავავსეთ მთელი დასავლეთის „დინგი დუნიის დასანახავად“...**

ამის შემდეგ იყო 26 მაისს რუსთაველზე გალეწილი სისხლიანი კალო, რომელსაც მწვანე შუქი ამერიკის მაშინდელმა ელჩმა, ჯონ ბასმა, აუნთო საკუთარი უგვანო განცხადებით და შედეგად, ასობით ნაცემ-ნაწამები, წვიმიან ქვაფენილზე ერთმანეთის მიჯრით თევზებივით დაყრილი, დაბორკილი დემონსტრანტები და სახურავებზე შეყრილი მიცვალებულები!

**არავის ჰქონდა იმის იმედი, რომ სააკაშვილი 26 მაისს ერთი მუჭა მომიტინგეების მოთხოვნით გადადგებოდა, მაგრამ აბსოლუტური პოლიტიკური სტაგნაციის ჟამს, რაც ისევ დასავლეთიდან შემოგდებული რვიან-ექვსიანების კლოუნადისა და ადგილობრივი არჩევნების იწილო-ბიწილოს გამო სუფევდა, „სახალხო კრების“ მიერ ორგანიზებული პროტესტი, როგორც მინიმუმ, ქართველი საზოგადოების ლიტურგიული ძილიდან გამოყვანას ისახავდა მიზნად!**

> **დამდგარი ტრაგიკული შედეგებიდან გამომდინარე, რომლის ამსახველმა კადრებმა მთელი ცივილიზებული სამყარო შეძრა, იმის იმედი გააჩინა, რომ ბოლოს და ბოლოს დასავლეთიდან ადეკვატური რეაქციები წამოვიდოდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე! დასავლეთმა არც ამჯერად დაიჯერა «თბილისის ცრემლების»**

თუმცა დამდგარი ტრაგიკული შედეგებიდან გამომდინარე, რომლის ამსახველმა კადრებმა მთელი ცივილიზებული სამყარო შეძრა, იმის იმედი გააჩინა, რომ ბოლოს და ბოლოს დასავლეთიდან ადეკვატური რეაქციები წამოვიდოდა, მაგრამ შენც არ მომიკვდე! დასავლეთმა არც ამჯერად დაიჯერა „თბილისის ცრემლების“ — კვლავ პილატესებრი დუმილი ან, უკეთეს შემთხვევაში, ქეთრინ ეშთონების თუ მანუელ ბაროზოების წკავწკავი არაპროპორციული ძალის გამოყენების შესახებ, თორემ დანარჩენი „დემოკრატიულ აჟურში“ იყოო; მათ შორის, მეორე დღეს, იქვე, სადაც „კვლავ გადარეცხეს სისხლი ქვაფენილს“, ჯალათი პრეზიდენტის მიერ სამხედრო აღლუმის მიღებაც...

ტყუილად დაღვრილი სისხლი არ არსებობს და 26 მაისს მანქურთი ჯალათების მიერ დაღვრილმა სისხლმა იმავე წლის ოქტომბერში ჰპოვა გამოძახილი — ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც 2011 წლის 7 ოქტომბერს მართლაც ტექტონიკური ძვრები გამოიწვია ქართულ პოლიტიკაში, თავადვე განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი ფაქტორი, გნებავთ, ბოლო წვეთი, 26 მაისი იყოო!

**მოქალაქეობის ჩამორთმევას, ქართუ ბანკის ანგარიშების გაყინვას და იმავე ბანკის კალვერას ბანდის სტილში დაყაჩაღებას და დიქტატორული რეჟიმის სხვა, მყისიერ ქმედებებს თავი რომც დავანებოთ, სატელიტური ანტენების დაპატიმრება, ანუ ინფორმაციის მიღების დაბლოკვა, წესით, ისეთი მიულებელი რამ უნდა ყოფილიყო დემოკრატიის მამებისთვის, რომ სააკაშვილისთვის საჯაროდ უნდა აეხიათ ავტორიტარული ყურები...**

მაგრამ დასავლეთიდან არა თუ კვლავ დუმილის, არამედ გაუგონარი ცინიზმის მოწმენი გავხდით, როდესაც მიშნაცების „დედობილი“, ჰილარი კლინტონი, ბათუმში ჩამოვიდა და ქართული დემოკრატიის წინგადადგმულ ნაბიჯებზე უტიფრად ისაუბრა, მან ამით ამერიკის ადმინისტრაციის სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისადმი უპირობო მხარდაჭერას გაუსვა ხაზი!

**ეს ხაზი, ვერც ციხის გამაოგნებელმა კადრებმა შეაცვლევინა ამერიკას და სააკაშვილთან უნისონში საუბრებით ბოლო მომენტამდე კბილებით იცავდა მას — დასავლეთიდანაც ისმოდა, რომ ასეთი რამეები სხვაგანაც მომხდარა და რომ მთავარი, ამ შემთხვევაში, სააკაშვილის მიერ გატარებული დროული „ორგვივოდები“ იყო, ორიოდე მინისტრის განთავისუფლების სახით. დასავლეთმა და ამერიკამ მხოლოდ მას შემდეგ „დაზადნეს“, რაც სექტემბრის ბოლოს ქუჩაში გამოსული ლამის მთელი თბილისი იხილეს.**

თუმცა ბოლომდე ხელი მაინც არ აუღიათ ცოცხების სკანდალში გახვეული რეჟიმის ფარულ მხარდაჭერაზე — დღე და ღამეს ასწორებდნენ აშშ-ის საელჩოში, რათა როგორმე ოპოზიციის სახით მაინც შეენარჩუნებინათ „ნაციონალური მოძრაობა“, რისი დასტურიც თუნდაც ის იყო, რომ ახალი ელჩი რიჩარდ ნორლანდი თავად ჩაბრძანდა საარჩევნოდ ყველაზე „ცხელ“ სამეგრელოში, როგორც აღმოჩნდა, ლამის სეხნია, როლანდ ახალაიას მხარდასაჭერად!

**ამერიკელების დამსახურებაა, რომ ნაცები, რომელთაც რეიტინგული პულსი არ ესინჯებათ, 40%-ით შევიდნენ ახალ პარლამენტში! ანუ, თუ ადრე სააკაშვილი თავად ნიშნავდა საკუთარ ოპოზიციას, ახლების, ლეიბების თუ ქდმის სახით, ახლა ამერიკელებმა დაგვინიშნეს ქართველ ხალხს ოპოზიციად ნაცბანდა და მისი ვადაგასული პრეზიდენტი!..**

უფრო მეტიც, სააკაშვილის მიერ აშენებულ დემოკრატიას ჩაუწერეს აქტივში ხელისუფლების არჩევნებში დამარცხების შესაძლებლობა, რაც ქართველი ხალხისთვის სულში ჩაფურთხება იყო, რადგანაც იმავე ხალხმა კარგად დაინახა ხაშურის მაგალითზე, თუ რაზე იყვნენ წამსვლელები „ნაცები“, რომ არა ერთმუშტად შეკრული, გაბრაზებული ქართველი ხალხი!

**რატომ სჩადიან ამას? ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, პასუხი ნათელი და მარტივია — ზოგადად დასავლეთი და კონკრეტულად აშშ, ზვიად გამსახურდიადან დაწყებული, საქართველოში ყოველივე ეროვნული შეფერილობის მოვლენას ჩანასახშივე ებრძვის!**

მიუხედავად რესპუბლიკელების, თავისუფალი დემოკრატების, ერთი სიტყვით, კოალიციაში შემავალი მკვეთრად პროდასავლური პარტიებისა, ამერიკას „გონივრული ეჭვი“ უჩნდება, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილის მიერ გარკვეული დროით ოსტატურად მორგებული ანტურაჟია. არა მგონია, ბიძინა ივანიშვილი იმდენად უცოდინარი იყოს, რომ სოხუმ-ცხინვალის დაბრუნებაზე (თუ მართლა იღვწის ამისთვის) რუსეთის კეთილი ნების გარეშე ოცნებობდეს. ნების, რომელსაც ძალისძალად, ერთად აღებული აშშ-ევროპაც ვერ შეაცვლევინებს რუსეთს!

ამერიკელების მითითებითვე მგონია ნაცების „კუჭის აშლა“ კონსტიტუციაში საგარეო კურსის უცვლელობის დაფიქსირების მიმართ, რაც, იმის გარდა, რომ პრაგმატულად უაზრობაა, ისედაც გაუგონარი აბსურდია, რადგანაც...

## უცვლელი საგარეო კურსი მხოლოდ მიცვალებულს აქვს!..

აი, მაშინ, როდესაც „ნაგამი ვპირიოდ“ გაგიდებენ მხარზე და ამქვეყნიდან იმ ქვეყანაში უცვლელი საგარეო (სასაფლაოსკენ მიმავალი) კურსით მიგაბრძანებენ!

**ამას გარდა, არავინ იცის, ხვალ რა მოხდება. უფრო სწორად „გუშინდლიდან“, ანუ ვლადიმერ პუტინის ხელმესამე გაპრეზიდენტებიდან, ვიდრე „ხვალემდე“, ყოველმა გონიერმა ადამიანმა იცის, რომ, როგორც მინიმუმ, უახლოესი 12 წელიწადი სოხუმ-ცხინვალის გასაღები არა თუ კრემლში იდება, არამედ პირადად ვალოდია პუტინის ყელზე ეკიდება!..**

ჰოდა, ხვალ რომ მოხდეს სასწაული (მეუფე სერაფიმეს აზრით, სოხუმ-ცხინვალის დაბრუნება მხოლოდ ღვთის სასწაულით თუ მოხდება) და რუსეთმა რაღაცის სანაცვლოდ, თუნდაც ის „რაღაც“ ევრაზიულ კავშირში შესვლა იყოს (ნეტავი მართლა ამ მცირე ფასს გვაკმარებდნენ), დაკარგულის უკან დაბრუნების რეალური პერს- ▶

# ამერიკელების დამსახურებაა, რომ „ნაცები“, რომელთაც რეიტინგული პულსი არ ესინჯებათ, 40%-ით შევიდნენ ახალ პარლამენტში! ანუ, თუ ადრე სააკაშვილი თავად ნიშნავდა საკუთარ ოპოზიციას, ახლებს, ლეიბებს თუ ქდმ-ის სახით, ახლა ამერიკელებმა დაგვინიშნეს ქართველ ხალხს ოპოზიციად ნაცბანდა და მისი ვადაგასული პრეზიდენტი!..

ავი მუსაიფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პექტივა დაგვანახოს და არამხოლოდ დაგვანახოს, არამედ ამ გზისკენ მიმავალი „რუსული მაპი“ მოგვცეს და პირველ ეტაპზე დევნილები დააბრუნოს საკუთარ სახლებში, კონსტიტუციაში დეგენერატული ჩანაწერის გამო უნდა ვთქვათ ამაზე უარი?!

**მაშინ ახლავე, რიტორიკის დონეზეც ვთქვათ უარი სოხუმ-ცხინვალზე და, როგორც სახედარი მის წინ ჯოხზე დაკიდებულ თივის ბულულს მისდევს, ჩვენც „ნა-ტო, ნატოს“ უტოპიური სკანდირებით ვიაროთ ევროკავშირისკენ და სანაცვლოდ სკამზე დადებული ჭიკარტის ფუნქცია ვიკისროთ, ანუ დასავლეთის საამებლად კავკასიაში რუსეთის გამღიზიანებლის როლი ვითამაშოთ და ვინძლო ერთხელაც ისე მიგვიმტვრიონ ცხვირპირი, რომ, აფხაზეთი კი არა, იქნებ ჯავახეთიც უკან დაგვრჩეს!..**

## „თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ გინდა მომიარო“?..

ეს ქვესათაურიც აკაკის იმ ლექსის სტრიქონია, ოღონდაც პერიფრაზის გარეშე. დავარცხნილ-დასუფთავებული ნამდვილად არის ბებერი ევროპა თუ ყმაწვილი აშშ, მაგრამ მე აქ ე. წ. **დასავლურ ფასეულობებს ვგულისხმობ, რითაც „თავი წაგვჭამეს“ ქართველებს შინ თუ გარეთ და, რაც მთავარია, უსაფუძვლოდ, რადგანაც, ჯერ ერთი, ვერ გამიგია, რითია ნაკლები ევროპულ ღირებულებებზე ქართული, გნებავთ, კავკასიური ღირებულებები და მეორეც, თუ რამე გააჩნდათ დასავლეთში მისაბაძი, მისგან არაფერი ან თითქმის არაფერია დარჩენილი და თანამედროვე ევროპა-ამერიკა ერთ დიდ ნეოლიბერალურ გარყვნილების ბუდედ, ბაბილონის გოდოლად არის ქცეული!**

მაგრამ ამაზე ქვემოთ...

8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარის შემდეგ, დასავლეთიდან ბოლო დროს თითქოს მიმცხრალმა კრიტიკამ „ქართული ოცნების“ მიმართ ახალი ძალით იფეთქა — კვლავ გაჩნდა დასავლურ პრესაში შეკვეთილი სტატიები, საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დაჭერების თაობაზე და, რაც მთავარია, ევროპელ ემისართა ჯგრო მოაწყდა თბილისს, ვადაგასული, მაგრამ მაინც „დაჩაგრული“ სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის საქომაგოდ:

**„ევროპის სახალხო პარტიის თავმჯდომარე ვილფრედ მარტენსი და ვიცე-პრეზიდენტი იაცეკ სარიუშ-ვოლსკი საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებენ, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაციისა და ძალადობის გამო, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიის წევრებზე ხორციელდება, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ მოლაპარაკებები, შესაძლოა, ჩაიშალოს“.**

**მოდი და ნუ გაიმეორებ ათასჯერ თქმულს — თქვე შობელძაღლებო, მაშინ სად იყავით, როდესაც სააკაშვილი და მისი ნაცბანდა 9 წელიწადი ძალადობდა საკუთარ ხალხზე?**

მაგრამ არა, ამ ნეოლიბერალებს ის მუცლის გვრემა აქვთ, რომ როგორმე, იქნება და, მოხერხდეს ფაშისტური რეჟიმის რევანში — ტყუილად არ აღიარებენ იმავე განცხადებაში, რომ „ნაცების“, რესპუბლიკელების, ქდმ-ის ლიბერასტული ალი-კვალ ევროპის სახალხო პარტიას იმედები გაუცრუა 1 ოქტომბრის შედეგებმა!

ამიტომაც ეახლნენ „მწოლიარე ავადმყოფ“ ჩიორას სახლში, თუმცა სახლში როო? იმ ოთახის ღარიბული ინტერიერი და „ატამანკა“, რომელზეც წინა დღეებში ასკინკილა მოხტუნავე ჩიორა იყო წამოპლაკული, სპეციალურად დადგმულ სცენას ჰგავდა, ხოლო თავად ჩიორამ სოფი ლორენის ფილუმენა ბორდელის კახპა მომაგონა — **ფილუმენამ თუ მილიონერი დომეს ცოლობას გამოჰკრა ხელი ავადმყოფობის სიმულაციით, ფილუმენა-ჩიორამ ტანჯული ოპოზოციის მანტია მოირგო იმავე ხერხით!..**

უფრო შორს ამერიკელი კონგრესმენები წავიდნენ, ახალი სახელმწიფო მდივნის, ჯონ ქერისადმი, მიმართვაში:

**„ქართველი ხალხის უფლებების, თავისუფლების დაცვისა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, გადადგათ ნაბიჯები აშშ-ის ინტერესების დასამტკიცებლად საქართველოს თავისუფლებისა და დემოკრატიის საკითხში. მოგიწოდებთ, გამოიყენოთ სრული დიპლომატიური რესურსი არსებული კრიზისის საპასუხოდ“, — ნათქვამია წერილში.**

იქნებ ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს „აშშ-ის ინტერესების დასამტკიცებლად“, თუ არა იმას, რასაც მეტროპოლიის კოლონიასთან დამოკიდებულება ჰქვია? ან სად იყო იანკების „სრული დიპლომატიური რესურსი“, როდესაც ცოცხებით გვაუპატიურებდნენ ქართველებს?

ეკონომიკის ამუშავებას, სამუშაო ადგილების შექმნას დრო და ფინანსები უნდა, მაგრამ, რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ამას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება და უცებ გავაკეთებთო, არა ერთხელ გვსმენია წინასაარჩევნოდ ივანიშვილისგან!

როგორც ჩანს, ეს მთლად მასე იოლი არ ყოფილა ან სხვა რამეშია საქმე! ყოველ შემთხვევაში, ბაჩო ახალაიას გარდა, სხვა მაღალჩინოსნები არა თუ დაპატიმრებული, ადეკვატური ბრალდებით დაკითხულებიც ვერ ვნახეთ. გასაგებია, რომ კუბლაშვილის სასამართლო საბოტირებს პროკურატურას და წინასწარ პატიმრობას თითქმის არავის უსჯის, მაგრამ, დალოცვილო, ვანო მერაბიშვილს რომ ყალბი პასპორტის გამო იბარებ, გირგვლიანის თუ ჟვანიას ჩახლართულ საქმეებს რომ თავი დავანებოთ, 7 ნოემბრის, 26 მაისის საქმეებში მერაბიშვილის ბრალეულობა ხელისგულზე არ დევს? ადექი და ამ მუხლებით წაუყენე ბრალი რა, შე კაი კაცო, და მერე გაბედოს და გირაო შეუფარდოს თუნდაც კუბლაშვილის სასამართლომ!



**პრეზიდენტის სასახლეში უნდა გაიხსნას ოკუპაციის კიდევ ერთი, ამჯერად ნაციონალური პარტიის მიერ საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი, რომელშიც გამოიფინება 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმის დანაშაულობათა ვიდეო, ფოტო, აუდიო თუ სხვა სახის მტკიცებულებები**

**ან ლაფანყურის ე. წ. სპეცოპერაციის გამოძიებას რა უნდა? ოპერაციის, რის გამოც ლამის სრულიად კავკასიური ომი დაიწყო! ამ პრობლემებს თომას ჰამერბერგის არბიტრად ჩამოყვანა, ჯერ ერთი, ვერ უშველის და მეორეც, შეურაცხმყოფელია, რადგანაც სად ბრძანდებოდნენ ჰამერბერგები, როდესაც ნახევარი საქართველო ციხეებში ამოგვალპეს? რა არის მამაძაღლი, ევროპის დაუკითხავად დასაჭერი ვერ უნდა დავიჭიროთ? სად არის მაშინ ჩვენი სუვერენიტეტი? მაგრამ არა, სამართლიანობის აღდგენის პროცესს თავად „ქართული ოცნების“ კოალიციაში ამუხრუჭებენ და დროა, რომ ბიძინა ივანიშვილმა მაგიდაზე მუშტი დაკრას და მის უდიდებულესობა, ქართველი ხალხის უზენაეს ნებას დაუმორჩილოს კოალიციაში შემავალი ნეოლიბერალები!**

რა თქმა უნდა, თუ ბატონი ბიძინაც თვლის, რომ 1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვება ქართველი ხალხის ძალისხმევის შედეგია და არა სააკაშვილის აშენებული დემოკრატიის თუ ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ დამსახურება!

აუცილებლად უნდა გასამართლდეს „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დამნაშავეთა პარტია. **ზუსტად ისე, როგორც გერმანული ფაშიზმი გასამართლდა ნიურნბერგში და საქართველოშიც ისევე დასჯადი უნდა იყოს „ნაცების“ დანაშაულების უარყოფა, როგორც გერმანიაშია დასჯადი ნაცისტების ბოროტების უარყოფა! უფრო მეტიც, რაღაც მაგნიტსკის სიის მსგავსი უნდა შევქმნათ და საქართველოს საზღვარი ვერ უნდა გადმოკვეთოს იმან, ვინც „ნაცების“ პარტიას, როგორც დამნაშავეთა პარტიას, არ აღიარებს!**

პრეზიდენტის სასახლეში კი, რომელიც ისედაც „ნაცების“ დანაშაულებათა სიმბოლური ძეგლია, უნდა გაიხსნას ოკუპაციის კიდევ ერთი, ამჯერად ნაციონალური პარტიის მიერ საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი, რომელშიც გამოიფინება 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმის დანაშაულობათა ვიდეო, ფოტო, აუდიო თუ სხვა სახის მტკიცებულებები. სასახლის წინ კი უნდა დაიდგას ცოცხის გიგანტური მონუმენტი, ხოლო სასახლის ფასადზე გაკეთდეს წარწერა: ბოროტსა სძლია კეთილმან, რაც „ნაცების“ ცინიზმის კიდევ ერთი გამოვლინებაა. უნდა შეიცვალოს — ეს აღარასოდეს განმეორდება! როგორც აწერია ხოლმე ხოლოკოსტის მუზეუმებს ევროპაში!

მართლაც, ეს რა საშინელებები გადავიტანეთ 9 წლის მანძილზე, ხალხო, რას გავუძელით? ამის გაფიქრებაც კი შეგზარავს და უფრო იმის, თუ რას გვიზამდნენ ეს ფაშისტები, 1 ოქტომბერს რომ არ გვემარჯვა და კიდევ უარესი — რას გვიზამენ „ნაცები“, რომ მოხდეს წარმოუდგენელი და დაიბრუნონ ხელისუფლება — ფუი ეშმაკს, ჯვარი აქაურობას!..

**რაც შეეხება „ნაცებიდან“ სისხლის სამართლის დამნაშავეებს, წინადადება შემომაქვს, რომ მათ, ციხე კი არა, გამასწორებელი სამუშაოები მიესაჯოთ ლაფანყურის ტყეში, სადაც მარმარილოს საბადოებია და, რადგან „ნაცების“ სულიერი წინაპრების პროფესია ქვისმთლელობაა, თანამედროვე ნაცმასონებმაც მარმარილოს ქვები თალონ, ოღონდ ყოველგვარი ტექნიკის გარეშე, ხელით... ჰა, ჰა, „კირკის“ გამოყენების უფლებით!**

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თუმცა რეალურადაც არ აწყენდათ მსგავსი სასჯელი — აბა, ერთი წარმოვიდგინოთ სპარტაკივით თავწაკრულები და „კირკით“ ხელში ვანო მერაბიშვილი, მამაშვილი ახალაიები, ზურა ადეიშვილი, გია ბარამიძე, სოსო (დაგიჭერ) თოფურიძე და სხვ. ქართველი ხალხის მიერ აღიარებული სისხლის მსმელები...

**სერიოზულად კი, დროა, ჩვენმა ეკლესიამაც ხმა ამოიღოს და, სანამ სამართალი სასამართლო პურს ჭამს, მანამდე ანათემას გადასცენ ნაცბანდის ცნობილი დამნაშავენი! ახლაც ხომ არ შეუვარდებათ სოსო თოფურიძე და გიგი უგულავა სინოდის სხდომაზე?!**

ასეთ შემთხვევაში „ნაცები“ იძულებულნი გახდებიან, დემაგოგიის ლამფას დაუწიონ და ივანიშვილსაც გაუადვილდება დასავლეთევროპელი თუ ამერიკელი არამკითხე „მეგობრების“ შემოტევის მოგერიება, რომელთაც ერთადერთი, რაც მაღალ დონეზე აქვთ საკუთარ ქვეყნებში, ეს ადამიანის უფლებების დაცვის გარნირით, მამათმავლობა-ლესბოსელობის, სექტების, ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებისკენ ტოტალური სწრაფვაა, რასაც, პირველ რიგში, სთხოვენ ევროსაბჭოში შემავალ სახელმწიფოებს, როგორც ტესტს, ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე ერთ-ერთ მთავარ პირობას!

„განათლებულ“ ევროპას უკვე ორი გაცხადებული პედერასტი, ბერლინისა და პარიზის მერი, ხოლო ციურიხში ლესბოსელი მერი ჰყავთ. პედერასტია, აგრეთვე, გერმანიის საგარეო მინისტრი, გვიდო ვესტერველე. მსოფლიო მაშტაბით, უკვე 11 (ჰოლანდია, ბელგია, ესპანეთი(!!!), სამხრეთ აფრიკა, კანადა(!), ნორვეგია, პორტუგალია, არგენტინა(!!!), ისლანდია, დანია, შვეცია) ქვეყანაშია ერთსქესიანი ქორწინებები კანონით ნებადართული, ხოლო აშშ-ში, ბრაზილიაში, მექსიკის რამდენიმე შტატში (რიგში კათოლიკური საფრანგეთია) ამას წინათ მრავალათასიანი საპროტესტო გამოსვლები გაიმართა როგორც მომხრეების, ასევე მოწინააღმდეგეების. თუმცა ამ უკანასკნელთათვის ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონება კი არ იყო მიუღებელი, არამედ ასეთი წყვილებისთვის შვილების აყვანის უფლების მიცემა?! საფრანგეთის ახალმა ლიბერალმა პრეზიდენტმა ფრანსუა ორლანდმა თუ წინასაარჩევნო(!!!) დაპირება შეასრულა და ერთსქესიანი ქორწინებები დააკანონა, 60-მილიონიანი საფრანგეთიც ოფიციალურად გაპედერასტდება და დარტანიან, ათოს, პორთოს, არამისზე რაინდულ ლეგენდასაც ჩამოეცლება რომანტიული საბურველი!

ეს ნახევრად ხუმრობით. სერიოზულად კი ეს კატასტროფის ტოლფასი იქნება ევროკავშირისთვის, რადგანაც **საფრანგეთი, გერმანიასთან ერთად, ევროკავშირის ის ორი ეკონომიკური ვეშაპია, რომელთა გარშემოც ტრიალებენ ევროკავშირის სხვა „თანასწორუფლებიანი“ ქვეყნები და მათთვის საფრანგეთ-გერმანიის მაგალითი შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს!**

ამას დაუმატეთ ამერიკის აწ უკვე ყოფილი სახელმწიფო მდივნის, მადამ კლინტონის 2 წლის წინანდელი განცხადება, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია მთელ მსოფლიოში ლგბტ-პედერასტების უფლებების დაცვა, ხოლო პრეზიდენტმა ობამამ ამ უფლებების დაცვის ხარისხს პირდაპირ მიაბა ამერიკის ფინანსურ-პოლიტიკური დახმარება; აგრეთვე, ისიც, თუ როგორ ურცხვად მიუძღოდნენ წინ რიგაში გამართულ გეიაღლუმს ამერიკის ელჩები ბალტიის ქვეყნებში; ისიც გავიხსენოთ, რომ ობამამ უკვე შეასრულა ჯერ კიდევ პირველად არჩევის წინ დადებული პირობა და აშშ-ის ჯარში კანონით დაუშვა სექსუალური უმცირესობების მსახურება და შარშან უკვე პირველი ლესბოსელი გენერლის კურთხევაც იზეიმეს პენტაგონში. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ შარშან, ობამას მეორედ არჩევის პარალელურად, რამდენიმე შტატში ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებაზე რეფერენდუმიც ჩატარდა, რის შემდეგაც „ბედნიერი“ შტატების რაოდენობა უკვე 13-ია(!!!) ამერიკაში და რამდენიმე რიტორიკულ კითხვას დავსვამ:

**საით, ვისკენ მივდივართ, ვის ვეტენებით, მართლაც რა გვაქვს შენთან საზიარო, დასავლეთო, ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს?**

**დავით მხეიძე**

**P.S. ზუსტად 4 წლის წინ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს, ამ სტატიას რომ ეხმაურება, ისეთი კითხვა დავუსვი: დღეს ლამის რეფრენად იქცა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. თქვენ რას იტყვით, სინამდვილეში ვინ ვართ ჩვენ, ბატონო ჭაბუა, ევროპელები თუ აზიელები?**

**„ჩვენ არც ევროპელები ვართ, არც აზიელები. ჩვენ ვართ ის, როგორი სულიერებითაც მოვედით ამ დალოცვილ, მაგრამ „შარიან“ მიწა-წყალზე, პლუს ის, რაც ევროპიდან და აზიიდან ვისესხეთ და გავიქართულეთ. ჩვენ ქართველები ვართ“!!!**

**ჩემი ვისაც არ გჯერათ, გენიალურ ჭაბუას მაინც დაუჯერეთ, თორემ ეს დასავლელი ნეოლიბერალები, სადაც „ნაცებთან“ კოაბიტაციას გვაიძულებენ, იმავეს პედერასტებთანაც დაგვაძალებენ, რაც, პრინციპში, ერთი და იგივეა და რას შობი მერე?**

**„ჭკუით, ქართველებო“!..**

**დროა, ჩვენმა ეკლესიამაც ხმა ამოიღოს და, სანამ სამართალი სასამართლო პურს ჭამს, მანამდე ანათემას გადასცენ ნაცბანდის ცნობილი დამნაშავენი! ახლაც ხომ არ შეუვარდებათ სოსო თოფურიძე და გიგი უგულავა სინოდის სხდომაზე?!**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სპეცოპერაცია „ორი პატრიარქი“ 2006 წელს დაიწყო „თავისუფლების ინსტიტუტმა“ და 2009 წელს კრახით დასრულდა. სხვადასხვა ამერიკული ფონდებიდან, რომლებიც „თავისუფლების ინსტიტუტმა“ გრანტების სახით მიიღო, ამ ოპერაციაზე 5 მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა.**

# ვინ დააფინანსა ოპერაცია «ორი პატრიარქი» და რა მიზანს ემსახურებოდა ოპერაცია «აღსარება»



**არასამთავრობო ორგანიზაციად წოდებული „თავისუფლების ინსტიტუტი“ რომ ყველა იმ უბედურების სათავეა, რომლებიც ბოლო წლებში საქართველოში ტრიალებს, ეს ჩვენში ყველა ჭკუათმყოფელს კარგად მოეხსენება. ამერიკული და ევროპული გრანტებით დაფინანსებული ეს ორგანიზაცია მტერია ყველაფრისა, რაც ძვირფასია ჭეშმარიტად ქართველი ადამიანისთვის. ლიბერალური დემოკრატიის საფარველში გახვეული ეს ულმერთოთა ინსტიტუტი, ვითომ უმცირესობათა უფლებების დაცვის საბაბით, ყველანაირი ბინძური მეთოდით ცდილობს, მრავალსაუკუნოვან ქართულ სახელმწიფოს ბალავერი, მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია, შეურყიოს.**

ამ ორგანიზაციის მამამთავარნი 9 წელი იყვნენ ხელისუფლებაში და ფეხქვეშ გათელეს ქართველი კაცის ღირსება. მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს გვიბღალავდნენ, რელიგიას გვიგინებდნენ და სანაცვლოდ ძალადობის, გარყვნილების, უმეცრების დანერგვას ცდილობდნენ. ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც ევროპელ თუ ოკეანისგაღმელ მეპატრონეთა დავალების შესრულება. **30 ვერცხლზე გაყიდულ ეშმაკის მსახურთა ამ საკრებულოს უმთავრესი მიზანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საპატრიარქოსგან ჩამოცილება, საპატრიარქოს ეპარქიებად დაშლა და ამ ეპარქიების მეთაურებად მათ მიერ მართული ეპისკოპოსების დასმა იყო.** საამისოდ კი, თამამად შეიძლება თქმა, ყველაფერზე მიდიოდნენ.

თუ რა უბედურება ტრიალებდა წლების მანძილზე „თავისუფლების ინსტიტუტში“, რა გეგმა-სქემებით მოქმედებდნენ ეკლესიის, პატრიარქის, მღვდელმთავრებისა და რიგითი სასულიერო პირების წინააღმდეგ, ვინ იყვნენ ამ შეთქმულების ავტორები და შემსრულებლები, ამის შესახებ, კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, ექსკლუზიურად მოგითხრობთ. პიროვნება, რომელმაც ეს ინფორმაცია მოგვაწოდა, ერთხანს თავად მუშაობდა „თავისუფლების ინსტიტუტში“, შემდეგ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში იყო დასაქმებული, რომელიც იურიდიულად დამოუკიდებელი იყო, მაგრამ რეალურად „თავისუფლების ინსტიტუტს“ ემორჩილებოდა, მის დაკვეთებს ასრულებდა. ეს არასამთავრობო ორგანიზაცია მხოლოდ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელთა რეკომენდაციების წყალობით ღებულობდა სისტემატიურად გრანტებს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან. ჩვენი ინფორმატორი ვინაობის გამხელისგან თავს შიშის გამო იკავებს, რადგან, მართალია, „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგები ხელისუფლებას ჩამოშორდნენ, მაგრამ შურისძიების, ანგარიშის გასწორების ძალა ჯერაც შერჩათ. გარდა ამისა, ჩვენი წყარო ამ ინსტიტუტის უცხოელ მფარველებსაც უფრთხის, რომელთაგანაც, ასევე, სიკეთეს არ მოელის.



**„თავისუფლების ინსტიტუტი“ მედიით რეგულარულ თავდასხმებს აწყობდა ქართულ ეკლესიასა და მის უმაღლეს იერარქებზე. მათი მიზანი, ცხადია, ეკლესიისა და მისი მესაჭის სახელის შებღალვა იყო.**

დირექტივებს, თუ როგორ უნდა ემოქმედათ, ამერიკიდან იღებდნენ. თუმცა ამ დირექტივების ადაპტირება ქართული რეალობისთვის უკვე ინსტიტუტის „ტვინების“ საფიქრალი იყო. ამ გეგმების შემუშავება-დახვეწაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ **გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი, გიგი თევზაძე, დავით პაიჭაძე, ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა, მამუკა ახვლედიანი, გივი თარგამაძე, ამირან მესხელი, აკაკი მინაშვილი, გიორგი მელაძე.**

ყველა მათგანს სხვადასხვა მიმართულება ებარა: ზოგს — საპატრიარქოს სახელის გატეხა, ზოგს — პატრიარქისა და ზოგსაც — კონკრეტული მაღალი თუ დაბალი იერარქისა. მართლმადიდებლური ეკლესიის სახელის შებღალვის პარალელურად, **ამ ადამიანებს ევალებოდათ ასევე ე. წ. რელიგიურ უმცირესობათა დაპირისპირება ქართული ეკლესიისთვის, რელიგიური შუღლის გაღვივება და სხვადასხვა რწმენის საქართველოს მოქალაქეების დაპირისპირება.** ამ საქმეში მათ ის ევროპელი და ამერიკელი თეოლოგები, ფსიქოლოგები, პიარის სპეციალისტები და სხვა სფეროს ექსპერტები უწევდნენ კონსულტაციებს, რომელთაც სხვადასხვა ქვეყანაში ამგვარი მუშაობის გამოცდილება უკვე ჰქონდათ.

როდესაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ იდეოლოგები ქვეყნის სათავეში მოექცნენ, **ერთ-ერთი პირველი, რაც მათ ჩაიდინეს, გლდანის ეკლესიის ამბიონიდან მამა ბასილის (მკალავიშვილი) გამოთრევა სპეცრაზმის მიერ და დაპატიმრება იყო. ეს სპეცოპერაცია 2004 წლის 12 მარტს განხორციელდა.** მოგეხსენებათ, მაშინ ეკლესიის კარი „ურალით“ შეანგრიეს და მრევლსაც, რომელიც საკუთარ მოძღვარს იცავდა, სასტიკად გაუსწორდნენ. ამ ვანდალიზმში, სპეცრაზმელთა გარდა, „თავისუფლების ინსტიტუტის“ ახალგაზრდული ფრთაც აქტიურად მონაწილეობდა — ორგანიზაცია „კმარას“ წევრები. წყაროს ინფორმაციით, **აღნიშნული სპეცოპერაციის შესახებ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა და უკვე გადეპუტატებულმა გიგა ბოკერიამ მის შემცვლელ ლევან რამიშვილთან ერთად სპეციალური ანგარიში წარუდგინა ამერიკის მაშინდელ ელჩს საქართველოში.** გარდა ამისა, მან ანგარიში საქართველოში მყოფ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და დაზვერვის ცენტრალური ბიუროს წარმომადგენლებსაც ჩააბარა. **მამა ბასილის დაპატიმრებიდან მოკლე ხანში გამოიკვეთა ის „კმარელი“ ხუთეული, რომელთაც ამერიკულმა მხარემ არათუ რეკომენდაცია გაუწია, მეტიც, კატეგორიულად მოსთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, რომ მათი კარიერული წინსვლა ყოველმხრივ უზრუნველეყო. აი, ეს ხუთეულიც: ბაჩო** და **დათა ახალაიები, ჟანი კალანდაძე, ვასილ სანოძე და ამირან მესხელი.** მართალია, დათა ახალაია და ვასილ სანოძე მიხეილ სააკაშვილის ჯერაც ნედლ ხელისუფლებაში უკვე რაღაცას წარმოადგენდნენ, ამირან მესხელიც უკვე მუშაობდა უშიშროების საბჭოს მდივნის — ვანო მერაბიშვილის თანაშემწედ, მაგრამ მათ ამ არაადამიანური დანაშაულით დაიწყეს ელვისებური იერარქიული აღმასვლა. მათგან ერთ-ერთი, ჟანი კალანდაძე, ავტოავარიაში დაიღუპა. მამა ბასილმა ამასწინათ განაცხადა, რომ ჟანი კალანდაძეს სინანულით უთქვამს სულის დალევამდე, — იმიტომ ვკვდები, რომ გლდანის ეკლესის დარბევასა და მამა ბასილის დაჭერაში მივიღე მონაწილეობაო. **მამა ბასილის „სამაგალითოდ“ დასჯისთვის, ეკლესიის შებილწვისა და მრევლის შეურაცხყოფისთვის „თავისუფლების ინსტიტუტმა“ იმ პერიოდში უპრეცედენტოდ დიდი გრანტი — 1 მილიონი დოლარი მიიღო.**

დონორი ორგანიზაცია კი **„ამერიკის დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტი“** გახლდათ. დიახ, **მილიონ დოლარად შეაფასეს ამერიკელებმა მართლმადიდებლური ეკლესიის დარბევა და მისი მოძღვრის წვერებით თრევა და დაპატიმრება.**

ცხადია, „თავისუფლების ინსტიტუტი“ გრანტებს ოფიციალურად სულ სხვა მიზნებისთვის იღებდა, მაგრამ ყველა გადმორიცხულ თანხას ან ფარული რეკომენდაცია მოჰყვებოდა, ანდა ამ ფარულ დავალებას ინსტიტუტის მესვეურნი ამერიკის საელჩოდან იღებდნენ. სწორედ ამერიკული მხარის შემუშავებულია ნებისმიერი ულირსი მეთოდით სასულიერო პირების გადმობირების გეგმაც. **ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის გავლენიანი ჩინოსნების კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ მიხეილ სააკაშვილს სრულად არ აემოქმედებინა კონკორდატი** — ქართულ სამოციქულო ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელსაც 2002 წელს მოაწერეს ხელი ედუარდ შევარდნაძემ და ილია მეორემ.

ამერიკელებს განსაკუთრებით კონკორდატის მე-11 მუხლი აღიზიანებდათ, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ. **„სახელმწიფო ადასტურებს მე-19- მე-20 საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-1990 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისთვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს. როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე“**. ამერიკელებმა დაარწმუნეს გიგა ბოკერია და მისი გუნდი, რომ, თუ ეკლესიას კუთვნილი ქონება დაუბრუნდებოდა, მთლიანად საპატრიარქო და ცალკეული სასულიერო პირები დამოუკიდებლობას გაიმყარებდნენ, უმჯობესი იქნებოდა, თუ ეკლესია სახელმწიფოსგან დაფინანსდებოდა. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფო ეკლესიაზე გავლენას გააძლიერებდა და ცალკეულ სასულიერო პირებზე მატერიალური საშუალებებით ზემოქმედების ბერკეტები გაეზრდებოდა. **პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ამერიკელთა წინადადებას და ფაქტია, სახელმწიფოს ეკლესიისთვის კუთვნილი ქონება დღემდე არ დაუბრუნებია.**

**სწორედ ამერიკელთა უშუალო რჩევით დაამონტაჟეს საპატრიარქოსა და საქართველოს ყველა ეპარქიაში ფარული მოსასმენი აპარატურა. ამ საქმისთვის ინსტრუქტორი ამერიკიდან ჩამოვიდა, რადგან ქართულ სპეცსამსახურებს იმ ტიპის მინიატურულ მოსასმენ აპარატურასთან შეხება არ ჰქონდათ, რომლებიც ამერიკელებმა თან ჩამოიტანეს. ამ ულმერთო სპეცოპერაციას თავად „თავისუფლების ინსტიტუტში“ კოდური სახელიც დაარქვეს — „აღსარება“.** ცხადია, ფორმალურად ამ ღონისძიებას ვანო მერაბიშვილი ახორციელებდა, თუმცა, რასაც ამერიკელები ეუბნებოდნენ, ვანო იმას აკეთებდა. ამ ინფორმაციის უტყუარობა მხოლოდ შარშან, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დადასტურდა: **2012 წლის დეკემბერში საპატრიარქოდან გაჟონა ინფორმაციამ და ის მედიითაც გავრცელდა, რომ საპატრიარქოში არა ერთ ადგილას და მათ შორის, ქორ-ეპისკოპოსებისა და ეპისკოპოსების სამუშაო ოთახებში, თავად პატრიარქის სამუშაო და სასტუმრო ოთახებშიც კი, ფარული მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს და გაანეიტრალეს.**

ამერიკული სპეცსამსახურების წარმომადგენლებმა ქართული ეკლესიის წინააღმდეგ კიდევ ერთ შეთქმულებაში მიიღეს მონაწილეობა. ყველას კარგად მოეხსენება, რომ არაერთმა მაღალმა სასულიერო პირმა მიიღო სახელმწიფოსგან საჩუქრად სხვადასხვა მარკის ავტომობილები. აბსოლუტურად ყველა მანქანის სალონში სხვადასხვა ადგილას ჩამონტაჟებული იყო ფარული მოსასმენი მინიატურული აპარატურა, რომელიც კვების წყაროსთან იყო მიერთებული, ძრავის ამუშავებისთანავე ირთვებოდა და ინფორმაციას გადასცემდა, ძრავის გამორთვიდან კი 2 საათის განმავლობაში ავტონომიურად მუშაობდა. ყველა მანქანა, ვიდრე კონკრეტულ საეპისკო- ▶

**რომელ სასულიერო პირებზე უნდა ემუშავათ კუდის აგენტებს, ამას «თავისუფლების ინსტიტუტი» განსაზღვრავდა. შემოვლითი გზით, ვანო მერაბიშვილის კაბინეტის გავლით «დასავერბოვკებელი» მღვდელ-მონაზვნების სია უშუალოდ დათა ახალაიას მისდიოდა, ის სიას დაამტკიცებდა და შესასრულებლად თავის მოადგილეს, სოსო თოფურიძეს, გადასცემდა, თოფურიძე კი სპეცგანყოფილებას უგზავნიდა**

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართულ-ამერიკული სპეცსამსახურები სასულიერო პირებისადმი მარტო სახელმწიფოსგან გადაცემულ ავტომანქანებში არ ამონტაჟებდნენ ანალოგიურ აპარატურას. ეკლესიებისთვის მანქანებს საპატრიარქოც ყიდულობდა, მრევლიც და ცალკეული ბიზნესმენებიც. სპეცაგენტები ოპერაცია „ალსარების ფარგლებში“ მრევლში ჩანერგილ აგენტებს წვრთნიდნენ, ასწავლიდნენ, რა და როგორ გაეკეთებინათ და მათი მეშვეობით მაინც ახერხებდნენ „ჟუჩოკების“ ჩამონტაჟებას.**

პოსოს გადაეცემოდა, 1 დღით ჩერდებოდა კუდის მიერ კონტროლირებად ერთ-ერთ ავტოსადგომზე („მოდულის“ შენობაში, ავტოსადგომზე შეგნებულად არ მიჰყავდათ) და იქ ხდებოდა მოსასმენი აპარატურის მანქანაში დამონტაჟება. ამ ოპერაციას კუდის უფროსის მოადგილე სოსო თოფურიძე ხელმძღვანელობდა, თუმცა **ეს იმდენად მნიშვნელოვანი ოპერაცია იყო, რომ ამერიკელ სპეციალისტებთან ერთად ყველა მანქანას, ვიდრე საჩუქრად გადასცემდნენ მღვდელმსახურებს, კუდის უფროსი დათა ახალაია და შს მინისტრის მოადგილე ამირან მესხელი ადგილზე ამოწმებდნენ.** ცხადია, ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის ხელდასხმით კეთდებოდა.

**ქართულ-ამერიკული სპეცსამსახურები სასულიერო პირებისადმი არამარტო სახელმწიფოსგან გადაცემულ ავტომანქანებში ამონტაჟებდნენ ანალოგიურ აპარატურას. ეკლესიებისთვის მანქანებს საპატრიარქოც ყიდულობდა, მრევლიც და ცალკეული ბიზნესმენებიც. სპეცაგენტები ოპერაცია „ალსარების ფარგლებში“ მრევლში ჩანერგილ აგენტებს წვრთნიდნენ, ასწავლიდნენ, რა და როგორ გაეკეთებინათ და მათი მეშვეობით მაინც ახერხებდნენ „ჟუჩოკების“ ჩამონტაჟებას.**

ეს მიკროჩიპები კი იმდენად მცირე ზომისაა, მანქანა რომც დაშალო, სპეციალური დეტექტორის გარეშე მისი აღმოჩენა შეუძლებელია.

კუდში შექმნილი იყო სპეციალური განყოფილება, რომელიც იკვლევდა და სწავლობდა თითქმის ნებისმიერი რანგის სასულიერო პირის საერო ცხოვრებას. რომელ სასულიერო პირებზე უნდა ემუშავათ კუდის აგენტებს, ამას „თავისუფლების ინსტიტუტი“ განსაზღვრავდა. **შემოვლითი გზით, ვანო მერაბიშვილის კაბინეტის გავლით „დასავერბოვკებელი“ მღვდელ-მონაზვნების სია უშუალოდ დათა ახალაიას მისდიოდა, ის სიას დაამტკიცებდა და შესასრულებლად თავის მოადგილეს, სოსო თოფურიძეს გადასცემდა, თოფურიძე კი სპეცგანყოფილებას უგზავნიდა.** ყველა ოპერაციის კურატორი და საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელი სწორედ სოსო თოფურიძე იყო. ვფიქრობ, ამის შემდეგ მაინც აღარ გაიკვირვებს მავანი, თუ რატომ ესწრებოდა წმინდა სინოდის სხდომას სოსო თოფურიძე 2011 წლის 18 ივლისს, როცა იქ ე. წ. რელიგიების შესახებ კანონი იხილებოდა. ალბათ, ისიც გასაგებია, რატომ გამოჟონა ინფორმაციამ წმინდა სინოდის სხდომიდან, რომ თოფურიძე, როგორც სხდომის დაწყებამდე, ასევე მისი მიმდინარეობისას, ცდილობდა, ზეწოლა მოეხდინა წმინდა სინოდის წევრებზე.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რა სიბინძურეებს სჩადიოდა კუდი სოსო თოფურიძის მეთაურობით. **ბევრ სასულიერო პირს ჰქონდა კრიმინალური ან ამორალური წარსული, რომელთა საქვეყნოდ გამხელაც, სულ მცირე, ცხადია, თავად არ ესიამოვნებოდა, ზოგიერთისთვის კი ეს სასულიერო მოღვაწეობის დასრულების ტოლფასი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო.** ამ სასულიერო პირებს სოდის აგენტურა უკავშირდებოდა, თანამშრომლობას სთავაზობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპრომატების გამოქვეყნებით



**გეგმის საბოლოო მიზანი კი საპატრიარქოს ორად გახლეჩვა იყო — ცხადია, კვლავ პროვოკაციის საფუძველზე, უმნიშვნელოვანეს რელიგიურ საკითხთან დაკავშირებით, პატრიართან დაპირისპირებული ეპისკოპოსი და მისი მომხრეები პროტესტის ნიშნად გამოეყოფოდნენ საპატრიარქოს, შეეცდებოდნენ ხალხის დარწმუნებას, რომ პატრიარქი და მისი მომხრეები მცდარი გზით მიდიან, ჭეშმარიტ რწმენას უღალატეს და თავად არიან ჭეშმარიტი სარწმუნოების დამცველები. ყველაფერი დასრულდებოდა საპარტიარქოს გახლეჩვით, ახალი საპატრიარქოსა და მეორე პატრიარქის გაჩენით**

**ამერიკული გეგმით, უკვე დასუსტებულ საპატრიარქოში ნაცადი მეთოდით ჩამოაგდებდნენ შუღლს და მის დაქუცმაცებას ეცდებოდნენ. საამისოდ ამერიკელები არც ფულს და არც ინტელექტუალურ ძალებს არ დაიშურებდნენ. მათი საბოლოო მიზანი საპატრიარქოს 5 ან 6 ეპარქიად დაშლა და მათი გაკონტროლება იყო «დაყავი და იბატონე» პრინციპით**

ემუქრებოდა. **ეს განყოფილება, ასევე, აგროვებდა მასალებს სასულიერო პირების უკვე ეკლესიაში მოღვაწეობის პერიოდში ჩადენილი ამქვეყნიური ცოდვების შესახებ.**

ამ ყველაფრის შესახებ არსებობდა აუდიო და ვიდეოჩანაწერები, სხვა სახის მტკიცებულებები, მოწმეთა ჩვენებები, რომელნიც, ცხადია, კუდის აგენტები იყვნენ. სასულიერო პირებს აშანტაჟებდნენ, აძალებდნენ თანამშრომლობას და სანაცვლოდ კარიერულ წინსვლასა და მატერიალურ კეთილდღეობას ჰპირდებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათაც ამ კომპრომატების მედიითა და სოციალური ქსელით გავრცელებით ემუქრებოდნენ. ღმერთმა განსაჯოს, ვინ გაუძლო ამ ზეწოლასა და ცდუნებას და ვინ — ვერა.

**სასულიერო პირებზე ზემოქმედების ერთი მეთოდი იყო მათი ოჯახის წევრების, მეგობრების, ნათესავებისთვის კრიმინალური საქმის „შეკერვა“.**

კონკრეტული სასულიერო პირის შვილს, ძმას ან მამას ჩაუდებდნენ ნარკოტიკს და შემდეგ მას ეუბნებოდნენ — თუ გსურს, ყოველგვარი საპროცესო გარიგების გარეშე გავათავისუფლოთ შენი ოჯახის წევრი და თან აღძრული სისხლის სამართლის საქმეც ისე გავაქროთ, რომ ამის შესახებ ინფორმაცია შს სამინისტროს არქივშიც კი არ დარჩეს, მაშინ ჩვენთან უნდა ითანამშრომლოო. ცხადია, კუდის თანამშრომლები ამ „კრიმინალური შემთხვევის“ საიდუმლოს შენახვის პირობასაც იძლეოდნენ და თან სასულიერო პირსა და მის ოჯახს, როგორც ერთჯერად სოლიდურ მატერიალურ სარგებელსაც ჰპირდებოდნენ, ასევე არანაკლებ სოლიდურ და მუდმივ ფინანსურ შემოსავალსაც.

**ჩვენმა წყარომ დღემდე გაუხმაურებელი და „თავისუფლების ინსტიტუტის“ მორიგი ვერაგული გეგმის შესახებაც გვიამბო. საბედნიეროდ, ეს გეგმა ჩაიშალა. ამ საქმეს, ცხადია „ამერიკელი ძიძების“ — კონსულტანტების დახმარებით, ლევან რამიშვილი თავკაცობდა. მისი მიზანი იყო, გადმოებირებინათ რომელიმე, მრევლისთვის საყვარელი, პატივსაცემი მაღალი წოდების სასულიერო პირი — მიტროპოლიტი, ეპისკოპოსი. შემდეგ, ხელისუფლების ხელთარსებული მედიასაშუალებებისა და სხვა პიარტექნოლოგიებით, აღნიშნული ეპისკოპოსი უნდა გაეხადათ ძალზე პოპულარული, მეტიც, თითქმის პატრიარქის საპირწონე.**

პარალელურად იმუშავებდნენ სხვა მაღალ სასულიერო პირებზე, ცხადია, წმინდა სინოდის წევრებზე და შეეცდებოდნენ მათ გადმობირებასაც. ამას თუ მოახერხებდნენ, შექმნიდნენ პატრიარქთან დაპირისპირებულ მღვდელმთავართა დაჯგუფებას, რომელსაც შემდეგ სათავეში „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფავორიტი ეპისკოპოსი ჩაუდგებოდა.

პატრიარქს, ბუნებრივად, ეყოლებოდა თავისი და მართლმადიდებლობის ერთგული დამცველები ანუ, პატრიარქის მომხრე დაჯგუფება თავისთავად იქნებოდა წმინდა სინოდში. გეგმის ავტორებსაც ეს აძლევდათ ხელს. **ამ გეგმის თანახმად, მათ შორის პერმანენტული დაპირისპირების პროვიცირება უნდა მომხდარიყო. სახელისუფლო მედიასაშუალებები, ამ მოვლენებს პატრიარქისა და მისი მომხრეების საზიანოდ გააშუქებდნენ, ხოლო სარწმუნოების დამცველებად და ჭეშმარიტ პატრიოტებად ხალხს მათთან დაპირისპირებულ დაჯგუფებას წარმოუდგენდნენ. გეგმის საბოლოო მიზანი კი საპატრიარქოს ორად გახლეჩვა იყო** — ცხადია, კვლავ პროვოკაციის საფუძველზე, უმნიშვნელოვანეს რელიგიურ საკითხთან დაკავშირებით, პატრიარქთან დაპირისპირებული ეპისკოპოსი და მისი მომხრეები პროტესტის ნიშნად გამოეყოფოდნენ საპატრიარქოს, შეეცდებოდნენ ხალხის დარწმუნებას, რომ პატრიარქი და მისი მომხრეები მცდარი გზით მიდიან, ჭეშმარიტ რწმენას უღალატეს და თავად არიან ჭეშმარიტი სარწმუნოების დამცველები. **ყველაფერი დასრულდებოდა საპარტიარქოს გახლეჩვით, ახალი საპატრიარქოსა და მეორე პატრიარქის გაჩენით, მრევლისა და რწმენის გაყოფით. თუ ეს გეგმა წარმატებით განხორციელდებოდა, ისევ „თავისუფლების ინსტიტუტი“ და მისი ამერიკელი პატრონები იზრუნებდნენ მეორე პატრიარქის პიარზე და მისკენ მრევლის გადაბირებაზე.**

აღნიშნულ გეგმას, რომელსაც „თავისუფლების ინსტიტუტში“ კოდური სახელი „ორი პატრიარქი“ ერქვა, უკვე მოგახსენეთ, რომ ლევან რამიშვილი ხელმძღვანელობდა. შარშან „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში მამა ელიზბარმა (დიაკონოძე) დაადასტურა ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია, რომ ლევან რამიშვილი მორმონია. მორმონთა სექტა მართლმადიდებლობის ერთ-ერთი უდიდესი მტერია. **სპეცოპერაცია „ორი პატრიარქი“ 2006 წელს დაიწყო „თავისუფლების ინსტიტუტმა“ და 2009 წელს ის კრახით დასრულდა.** სხვადასხვა ამერიკული ფონდებიდან, რომლებიც „თავისუფლების ინსტიტუტმა“ გრანტების სახით მიიღო, ამ ოპერაციაზე 5 მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა. **ამხელა თანხა და 4-წლიანი შრომა ამერიკელებს უმარტივესი მიზეზის გამო ჩაეყარათ წყალში — უმაღლეს მღვდელმსახურთა შორის ვერავინ მოიძიეს, ვინც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შეეტოქებოდა და შემდეგ მისი ტოლ-სწორი და საპირწონე შეიქნებოდა.**

ეს მათ უამრავმა ღია თუ შეფარულმა გამოკვლევამ დაუდასტურა, რომელთაც, ამერიკელთა დაკვეთით, სისტემატიურად ატარებდა სხვადასხვა კვლევითი ჯგუფი. წყაროს ინფორმაციით, ოპერაცია „ორი პატრიარქის“ დაფინანსება რამდენიმე ამერიკულმა არასამთავრობო ფონდმა აიღო საკუთარ თავზე. ერთი მათგანი „ამერიკის ტოლერანტობის ცენტრია“, რომელსაც 2006 წელს ოპერაციის საწყისი ეტაპი დაუფინანსებია.

„ორი პატრიარქის“ წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, „თავისუფლების ინსტიტუტი“ გაჩერებას არ აპირებდა. უცნობია იმ გეგმის დეტალები, რომლის მიხედვითაც საპატრიარქოს გახლეჩვის შემთხვევაში იმოქმედებდნენ, თუმცა, ქართულ ეკლესიაზე შეტევა რომ უნდა გაგრძელებულიყო, ეს ვიცით. **ამერიკული გეგმით, უკვე დასუსტებულ საპატრიარქოში ნაცადი მეთოდით ჩამოაგდებდნენ შუღლს და მის დაქუცმაცებას ეცდებოდნენ. საამისოდ ამერიკელები არც ფულს და არც ინტელექტუალურ ძალებს არ დაიშურებდნენ. მათი საბოლოო მიზანი საპატრიარქოს 5 ან 6 ეპარქიად დაშლა და მათი გაკონტროლება იყო „დაყავი და იბატონე“ პრინციპით.**

ამით ამერიკელები მთავარ მოწინააღმდეგეს მოიცილებდნენ თავიდან და „თავისუფლების ინსტიტუტის“, მის წიაღში გამოზრდილი გახელისუფლებული გოგო-ბიჭების მეშვეობითა და მიხეილ სააკაშვილის წინამძღოლობით, თავზე დაგვამხობდნენ ამ ქვეყანას და ჰომოსექსუალების, ბისექსუალებისა და ლესბოსელების სათარეშოდ გახდიდნენ. ცხადია, **დაქუცმაცებული ქართული ეკლესია, არათუ ტრადიციული და ძლიერი რელიგიების შემოტევას, იეღოველთა და სხვა სექტების იერიშებსაც ველარ გაუძლებდა და ეს ჩვენი საქართველო ათასგვარი სექტანტისა და მამაძაღლის საჯიჯგნად იქცეოდა.** დვრიტაგამოცლილთ ნელ-ნელა ჭირს მოგვჭამდა ქართული ტრადიციები, გაგვიუფასურდებოდა კულტურა და ცხოვრების ადათ-წესები; ამერიკელები ისე გადაგვაჯიშებდნენ ქართველებს, როგორც არაერთი და ორი ერი გაუყენებიათ მოუსავლეთის გზას. აი, რამხელა ტრაგედიასა და უბედურებას გადავრჩით უფლის ნებითა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის გამჭრიახობისა და შეუდრეკელობის წყალობით.

წყაროს ინფორმაციით, **მართალია, ოპერაცია „ორი პატრიარქი“ ჩავარდა, მაგრამ თავიანთი უმთავრესი მიზნის განხორციელებაზე „თავისუფლების ინსტიტუტსა“ და მის უცხოელ პარტნიორებს ხელი არ აუღიათ — ისინი ხელსაყრელ დროსა და გარემოებას ელოდებიან.**

**ლევან ჯავახიშვილი**



**სპეცოპერაციის შესახებ «თავისუფლების ინსტიტუტის» ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა და უკვე გადეპუტატებულმა გიგა ბოკერიამ მის შემცვლელ ლევან რამიშვილთან ერთად სპეციალური ანგარიში წარუდგინა ამერიკის მაშინდელ ელჩს საქართველოში. გარდა ამისა, მან ანგარიში საქართველოში მყოფ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და დაზვერვის ცენტრალური ბიუროს წარმომადგენლებსაც ჩააბარა**

ნაც-ჩეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბესო ჯუღელი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური სახეც იყო. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების სიაში მისთვის ადგილი ვერ გამოინახა. ბესო ჯუღელი იტალიაში გადასახლდა და „ნაციონალების“ კრიტიკას მიჰყო ხელი. 2008 წლის ნოემბერში მედიის საშუალებით მაშინდელი მთავრობა საბავშვო ბაღად მოიხსენია, რომელთაც ჭკუა არ მოეკითხებოდათ. მან ისიც აღნიშნა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან არაფერი აკავშირებდა, სატელეფონო საუბრებიც კი.**

# თარგამაძის ნევრასთენია და ბარნოვას კომფორტოლოგია

**რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა გივი თარგამაძე ბრალდებულად ცნო და მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა. გამოძიების ინფორმაციით, 2012 წლის ივნისში რუსი ოპოზიციონერები: სერგეი უდალცოვი, ლეონიდ რაზვოზჟაევი და კონსტანტინე ლებედევი გივი თარგამაძეს არეულობების დაფინანსებაზე შეუთანხმდნენ. აღნიშნული საუბრის ამსახველი ვიდეომასალა გადაცემაში „პროტესტის ანატომია“ აჩვენეს. რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის ინფორმაციითვე, გივი თარგამაძე 6 მაისს „ბალოტნაიას მოედანზე“ პოლიციასა და დემონსტრატებს შორის შეტაკებების ორგანიზებაში „კონკრეტულ როლს“ ასრულებდა. საქმეში 20-ზე მეტი ადამიანი ფიგურირებს. რუსეთში მასობრივი არეულობის ორგანიზება და „ბალოტნაიას საქმე“ ამ ეტაპზე გაერთიანებულია. მასმედიის ინფორმაციით, გივი თარგამაძე, „ვარდების რევოლუციის“ გარდა, მონაწილეობდა „ნარინჯისფერ“ და „ტიტების რევოლუციებში“. ასევე ბელარუსში მასობრივი საპროტესტო აქციების ჩატარების მცდელობაში.**



## დაუსჯელი ხულიგანი

მაშინ ეს ამბავი ქართულ მედიაში ფართოდ გაშუქდა. დაზარალებულები საჯაროდ აცხადებდნენ, რომ გივი თარგამაძეს კანონის შესაბამისად პასუხი უნდა ეგო, მაგრამ...

2002 წლის 8 ივნისს გივი თარგამაძესა და დონაძეებს შორის მოხდა ჩხუბი. გვიან ღამით დიდ დიღომში დავით დონაძის მანქანას დაეჯახა ირაკლი აბაშიძის ავტომობილი, რომელიც თარგამაძის ქორწილიდან მთვრალი მოდიოდა. შემთხვევის ადგილზე, აბაშიძის შეტყობინებით, მივიდნენ თარგამაძე და მისი მეგობრები. ინციდენტმა მძაფრი ხასიათი მიიღო. **გივი თარგამაძემ და მისმა მეგობრებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს მამა-შვილ დონაძეებს. გივი თარგამაძემ თავში ბოთლი ჩაარტყა დავით დონაძეს, რის გამოც იგი საავადმყოფოში მოათავსეს.** ამ საქმეში არსებობს ქალაქის სამმართველოს მიერ საქმის გამოძიების დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: **„თარგამაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ხულიგნურ მოქმედებაში და დავით დონაძეს კეფის არეში ჩაარტყა მომარჯვებული საგანი, იქვე მდებარე ჯიხურში შეძენილი ნახევარლიტრიანი „ბორჯომის“ მინის ბოთლი, რის შედეგადაც ხანმოკლე დროით დავით დონაძემ წონასწორობა დაკარგა. შემდეგ გივი თარგამაძემ, ირაკლი აბაშიძემ და თანამონაწილეებმა წააქციეს დავით დონაძე და განაგრძეს მისი ცემა. აღნიშნულის დანახვაზე შვილის დახმარების აღმოსაჩენად გაემართა ნოდარ დონაძე, რომელიც ასევე წააქციეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საბოლოოდ, გივი თარგამაძემ წაქცეულ, ნაცემ დავით დონაძეს სპეციალურად მომარჯვებული საგანი ესროლა. ზემოაღნიშნული „ბორჯომის“ ბოთლი, რომელიც სახის არეში მოარტყა... დავით და ნოდარ დონაძეების ცემის დროს თარგამაძე, აბაშიძე, ბუცხრიკიძე და მათთან ერთად მყოფი პირები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ მამა-შვილს. ჩხუბის დასრულების შემდეგ ნოდარ დონაძე მივარდა გივი თარგამაძეს და უთხრა, რომ პასუხს აგებინებდა ჩადენილი დანაშაულისთვის, რაზეც გივი თარგამაძემ ცინიკურად უპასუხა, რომ აღნიშნული ქმედებისთვის მას პასუხს ვერავინ აგებინებდა. ხმარობდა საგინებელ სიტყვებს, კერძოდ, ახსენებდა მამაკაცის სასქესო ორგანოს და სხვ.“**

პრესკონფერენციაზე ნოდარ დონაძემ დააზუსტა, რაში მდგომარეობდა თარგამაძის მიერ ნახსენები უცენზურო სიტყვები. თარგამაძეს მისთვის უთქვამს, სადაც გინდა, იქ მიჩივლე, ... არავის მოაჭამოო. გარდა ამისა, დანაშაულის მეორე დღეს დონაძეების სახლში რეკავდნენ თარგამაძის მეგობრები და ოჯახის წევრებს ეუბნებოდნენ, ვერც პოლიციაში და ვერც სასამართლოში ვერ მოგვერევით, მანქანას კი გაგაკეთებინებთო. **დონაძეები პირობას დებდნენ, გივი თარგამაძე თუ არ აღიარებდა სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულს და თუნდაც ბოდიშს არ მოუხდიდა მათ, არ მოეშვებოდნენ და სამართლის ძალით პასუხს აგებინებდნენ.**

**დონაძეების ადვოკატი ოთარ ბერიშვილი მიიჩნევდა, რომ ანტიკორუფციულ საბჭოში თარგამაძის ყოლა პრეზიდენტის (შევარდნაძე) შეურაცხყოფა იყო, ამიტომ თარგამაძესთან დაკავშირებული წერილი ანტიკორუფციულ საბჭოში შეიტანა. ანტიკორუფციული საბჭოს მდივან კახა უგულავას კი პასუხი არ გაუცია. თარგამაძის ინტერესებს ადვოკატი ეკა ბესელია იცავდა.**

## მარიკა ბარნოვას შორსმჭვრეტელობა?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაზარალებული პოლიციელი დავით დონაძე მკურნალობდა ორთაჭალაში მდებარე ე. წ. ემვედეს ჰოსპიტალში. **საავადმყოფოს პერსონალმა კონფიდენციალურ საუბარში განგვიცხადა, რომ ჰოსპიტლის მაშინდელმა ნევროლოგიური განყოფილების გამგემ მარიკა ბარნოვამ მომხდარის თაობაზე შესაბამის ორგანოებს არ შეატყობინა, მოგვიანებით კი ეს „სულგრძელი საქციელი“ საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენა.**

სულ მალე „ნაცმოძრაობა“ ქვეყნის სათავეში მოვიდა, მის რიგებში კი გივი თარგამაძეც ირიცხებოდა. როდესაც ჰოსპიტლის პრივატიზაციის საკითხი წამოიჭრა, ბარნოვას, რომელსაც ამ უძრავი ქონების დასაკუთრება სურდა, უთქვამს, **თარგამაძეს ჩემი ვალი აქვს და ამ საქმეში დამეხმარებაო.** სულ მალე ჰოსპიტალი მარიკა ბარნოვას მფლობელობაში გადავიდა და მას შპს „ნიკოლოზ ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალი“ დაერქვა. ერთ მშვენიერ დღეს კი ბარნოვამ ჰოსპიტლის პერსონალის თითქმის ნახევარი სამსახურიდან გაათავისუფლა. სხვათაშორის, შს მაშინდელმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ბარნოვას სამინისტროს დაქვემდებარებაში ჰოსპიტლის დაბრუნება შესთავაზა, რაზეც მწვავე უარი მიიღო. ბარნოვას ეს ხელს არ აძლევდა, რადგან ამ შემთხვევაში სახელფასო განაკვეთები და შემოსავალი ნაკლები იქნებოდა. ასე კი თვითონ იყო ყველაფრის ბატონ-პატრონი და, პერსონალის თქმითვე, საგადასახადო ინსპექციას ჰოსპიტალი თავისი ყურადღებით არ „შეუწუხებია“.

## ჯუღელი და ბარნოვა

მარიკა ბარნოვა ცნობილი ქართველი პოლიტიკოსისა და ბიზნესმენის, ბესო ჯუღელის, მეუღლეა. 1985-87 წლებში თელავის ქარხანა „მიონის“ დირექტორი იყო. 1987-92 წლებში — მეტალურგიული ქარხანა „ჰიდრომეტალურგხელსაწყოს“ დირექტორი. 1992-93 წლებში საქართველოს მრეწველობის მინისტრი. 1995 წელს საქართველოს პარლამენტში აირჩიეს დემოკრატიული პარტიის სიით. **ბესო ჯუღელი „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური სახეც იყო. 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების სიაში მისთვის ადგილი ვერ გამოინახა. ბესო ჯუღელი იტალიაში გადასახლდა და „ნაციონალების“ კრიტიკას მიჰყო ხელი. 2008 წლის ნოემბერში მედიის საშუალებით მაშინდელი მთავრობა საბავშვო ბაღად მოიხსენია, რომელთაც ჭკუა არ მოეკითხებოდათ.**

მან ისიც აღნიშნა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილთან არაფერი აკავშირებდა, სატელეფონო საუბრებიც კი.

2012 წლის ივნისში, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა, „ნაციონალურ მოძრაობაზე“ განაწყენებული ბესო ჯუღელი GHN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დემოკრატიის განვითარებისთვის ყველაფერი გააკეთა. **„ხელისუფლებაში რა ძალაც არ უნდა მოვიდეს, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ეჭვი მეპარება, იმ ძალამ დემოკრატიის განვითარებას შეუწყოს ხელი. ვფიქრობ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველაფერი გააკეთა ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების განვითარებისთვის. შესაძლოა, საქართველოში არ გვაქვს ისეთი დემოკრატია, როგორც, მაგალითად, დანიასა და ნორვეგიაშია, მაგრამ სააკაშვილმა საქართველოში დემოკრატიის განვითარებისთვის გარკვეული ნაბიჯები გადადგა.**

„ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, ხელისუფლებაში რომელი პოლიტიკური ძალაც არ უნდა მოვიდეს, არა მგონია, მათ დემოკრატიის დამყარება შეძლონ. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აჩვენა, რომ ის დემოკრატიის განვითარებისთვის ნამდვილად იბრძვის, თუმცა საქართველო ჯერ მზად არა არის დემოკრატიისთვის. ბიძინა ივანიშვილი ნამდვილად დემოკრატი ადამიანია, იდეები კარგი აქვს, მაგრამ მეორე საკითხია, მის ირგვლივ გაერთიანებული გუნდი რამდენად შეუწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას. არიან კი ამისთვის მზად ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანებული პოლიტიკური ძალები?“

ბოლო დროს მედიით ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბესო ჯუღელი, შესაძლოა, იტალიაში დანიშნულიყო ელჩად. თავად ჯუღელმა მედიასთან აღნიშნული ფაქტი უარყო, მაგრამ იქვე დასძინა, რომ, თუ ახალი ხელისუფლება შესთავაზებდა, იგი ამ წინადადებას დათანხმდებოდა.

## ჭოპორტი თუ „მშვენიერა“

**ჭოპორტში ერთი პატარა ხელოვნური წყალსაცავია, რომელიც სასმელი წყლის ბუნებრივ ფილტრაციას ახდენს. თბილისის მოსახლეობა სასმელი წყლით სწორედ ამ მაგისტრალიდან მარაგდება.Pამ ტერიტორიაზე თიბვა და ფეხის დადგმაც კი აკრძალულია. პარლამენტარ ბესო ჯუღელის სახლი კი სოფელ ჭოპორტში სწორედ აკრძალულ ზონაში მდებარეობს.** ჯუღელმა სახლი შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს აიშენა. „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების შემდეგ კი ჯუღელის მეზობლად ორი სახლი აშენდა, რომელთაგან ერთი პრეზიდენტ სააკაშვილის ბიძას — თემურ ალასანიას, ხოლო მეორე პირველი ლედის, სანდრა რულოვსის, მშობლებს ეკუთვნით. აღნიშნული სახლები სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა ააშენა, მას შემდეგ, რაც ჯუღელის სახლის კანონიერების საკითხზე უკვე არსებობდა დავა. აღსანიშნავია ისიც, რომ **ჯუღელმა სანამ სააკაშვილს „გაუნაწყენდებოდა“ და იტალიაში გაიქცეოდა, ძირძველი ქართული სოფლის სახელწოდება ჭოპორტი ძველმოდურად მიიჩნია და „მშვენიერა“ უწოდა.** 2007 წელს მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აცხადებდა, რომ ჯუღელს ჭოპორტში სახლი კანონის გვერდის ავლით აქვს აშენებულიო.

**ბესო საბაშვილი:** — მას შემდეგ, რაც ჯუღელის სამოსახლოს კანონიერებით დავინტერესდი, გავიგე, რომ წყალკანალიდან ელაპარაკნენ ამ უკანონობის აღკვეთის საკითხზე, ამიტომ დეპუტატის მეუღლე, მარიკა ბარნოვა, შეეცადა, სახლი კანონიერად გაეფორმებინა. დუშეთის გამგეობიდან ნებართვას ითხოვდა, მაგრამ, როგორც ვიცი, გამგეობამ არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა. გამგეობა ვერ გასცემს ნებართვას, თუ წყალკანალის ნებართვა არ იქნება. წყალკანალის მხრიდან კი ასეთ რამეზე წასვლა დიდ სკანდალს გამოიწვევდა, ხელისუფლების პირველი პირების მიმართ ღრმა შიშისა და პატივისცემის მიუხედავად. ესეც ხელისუფლების ორმაგი სტანდარტი, რაც არ შეიძლება ზოგადად ხალხისთვის, ის შეიძლება ზოგადად ამათთვის.

**„საქართველო და მსოფლიო“ მარიკა ბარნოვას დაუკავშირდა.**

**— ქალბატონო მარიკა, რამდენიმე წლის წინ გივი თარგამაძემ ჩხუბში პოლიციელი დაჭრა. დაზარალებულმა თქვენს ჰოსპიტალში გაიარა მკურნალობის კურსი. როგორც ამბობენ, მაშინ თქვენ შესაბამისი დოკუმენტაცია საგამოძიებო ორგანოებს არ გადაეცით...**

— ასეთი შემთხვევა თუ იყო, როგორ არ გადავცემდით. ჩვენ ყველას ყველაფერს ვაძლევთ. რატომ არ უნდა გადაგვეცა?

**— ამბობენ, რომ ამის სანაცვლოდ თარგამაძე გარკვეული დოკუმენტების გადაფორმებაში დაგეხმარათ...**

— არა, არა! არაფერი მაგდაგვარი არ ყოფილა. მე რომ შემესყიდა ან რაღაც დახმარება დამჭირვებოდა, ამის საჭიროება არ არსებობდა. გადმოფორმებაში რატომ უნდა დამხმარებოდა? საავადმყოფო იყო „ემვედესი“, მერე გახდა შპს და გადაეცა ეკონომიკის სამინისტროს, ახლა გახდა საპატრიარქოსი. მანდ სად იყო დახმარების საჭიროება, არ მესმის. შსს-ს დაქვემდებარებიდან ძალიან არ გვინდოდა გამოყოფა, რადგან ყველანაირად კომფორტულად ვიყავით.

**— თუმცა დამეთანხმებით, რომ ფინანსურ სამსახურს არასდროს შეუმოწმებია თქვენი საავადმყოფო.**

— ფინანსური სამსახური ჩვენთან არასდროს შემოსულა. თუ საავადმყოფოსთან რაღაც პრეტენზია არსებობს, იმ შემთხვევაში ამოწმებენ. ჩვენ, ასე ვთქვათ, ყველაფერს ვიცავთ.

**— ქალბატონო მარიკა, პერსონალის გათავისუფლებას და მათ მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი ჰქონდა?**

— პირადად მე ვთვლი, რომ იმაზე მეტი თანამშრომელი გვყავს, ვიდრე საჭიროა. ფიზიკურ შეურაცხყოფას...

**— ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიხსენებია, ქალბატონო მარიკა...**

— ახლა უკვე ერთი და იგივე გახდა. ამჟამად პატიმარს ველარ მიაყენებ შეურაცხყოფას. მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობაშიც, მოგეხსენებათ, ფიზიკური და მორალური მხარე ერთ კონტექსტში გადის. პირადად მე დაწესებულებაში პატივისცემის მეტი არაფერი მიგრძვნია, თუ გნებავთ, თანამშრომლებს ჰკითხეთ.

**ასმათ ჯალმაიძე,**
**ანა ქევხიშვილი**

„ვერ მონახავთ ვერც ერთ საბუთს და დოკუმენტს, რომელზეც თარგამაძეს, უგულავას, მერაბიშვილს თუ სხვა მაღალჩინოსანს ხელი ჰქონდეს მოწერილი. ისინი ბრძანებებს და მითითებებს ზეპირად გასცემდნენ და ამით კვალს არ ტოვებდნენ.“

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პეტრე მამრაძე:

# გივი თარგამაძე არის სააკაშვილის მარჯვენა ხელი — ტერორის აღმასრულებელი

**საქართველოს თავდაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, გივი თარგამაძის, სახელს არაერთი სკანდალი უკავშირდება როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ. შეგახსენებთ, რომ რუსეთის საგამოძიებო კომისიამ ოფიციალურად დაადანაშაულა ქართველი დეპუტატი რუსული ოპოზიციის დაფინანსებასა და ხელმძღვანელობაში, რაც საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა, თუმცა ამ ეპიზოდზე გაუგებარი ტონით საუბრობს საქართველოს პრეზიდენტი. რუს ჟურნალისტებთან საუბარში სააკაშვილი აცხადებს, რომ გივი თარგამაძე აღფრთოვანებულია ასეთი ბრალდებებით... ერნესტო ჩეგევარას შემდეგ მსოფლიო ისტორიაში არავის ღირსებია ისეთი ყურადღება, როგორიც თარგამაძეს (იგულისხმება ბრალდება მსოფლიო რევოლუციონერობაში). რამდენად ადეკვატურია ბატონი გივის აღფრთოვანება ან ჩვენი პრეზიდენტის პათოსი, ამ და სხვა საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტიკოსი პეტრე მამრაძე ესაუბრება.**



**— ბატონო პეტრე, გივი თარგამაძე არის ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოში საკვანძო თანამდებობა ეკავა, ამავე დროს ის თავად გვევლინება კანონდამრღვევად. რასთან გვაქვს საქმე: არის ეს უპასუხისმგებლობა თუ, უბრალოდ, უგუნურება ამ ადამიანის მხრიდან?**

— გივი თარგამაძეზე ყოველთვის ერთგვარი ტკივილით მიწევს ფიქრი თუ საუბარი. საქმე ის არის, რომ კარგად ვიცნობ მის მამას — ვასილ თარგამაძეს. ის წესიერი ადამიანია, ინტელიგენტი, ფიზიკოსი, თავისი საქმის კარგი მცოდნე, რასაც ვერ ვიტყვი მის შვილზე... გივი თარგამაძის ქმედებები ყოველგვარ საზღვარს სცდება, რაც სრული უპასუხისმგებლობაა მისი მხრიდან; აღსანიშნავია, მისი საეჭვო კავშირები კრიმინალურ სამყაროსთანაც.

**— ე. წ. შავ სამყაროს გულისხმობთ?**

— დიახ, სწორედ შავ სამყაროს. **ჩვენ გვახსოვს, როგორი ხმაურით დააკავეს ეს ეგრეთ წოდებული ქურდები. ხშირად ეს დაკავებები ტელევიზიითაც შუქდებოდა, მაგრამ გავიდა წლები და სხვადასხვა არხით ვიგებთ, რომ ხმაურით დაკავებული მთელი ეს ქურდები ჩუმჩუმად გაუშვეს, მეტიც, ხელიც კი შეუწყვეს მათ საზღვარგარეთ წასვლას.** ამის შემდეგ ამ ადამიანებთან თარგამაძის საუბრებს ვისმენთ. უფრო მეტიც, უკრაინაში თარგამაძე კანონიერ ქურდებს დონეცკის განადგურებით ემუქრება. ასეთი აფსურდები ხშირი იყო და წინა ხელისუფლების პირობებში დაუსჯელი დარჩა. მინდა აღვნიშნო, რომ მაშინ დამოუკიდებელმა იურისტებმა სასამართლოში სარჩელიც კი შეიტანეს, რადგან კრიმინალურ სამყაროსთან აშკარა კავშირისთვის საქართველოს კანონმდებლობით ადამიანი 15-წლიანი პატიმრობით ისჯება, ხოლო თარგამაძეს არც უარუყვია, რომ ეს მისი ხმა იყო და საკმაოდ უტიფრადაც კი ეჭირა თავი.

**— გივი თარგამაძე ერთ-ერთი იმ მაღალჩინოსანთაგანია, რომელმაც ხელი შეუწყო საკუთარი ქვეყნის რუსეთთან ომში ჩაბმას. თქვენი აზრით, თარგამაძე მიზანმიმართულად აქეზებდა მთავარსარდალს საომარი მოქმედებების დასაწყებად?**

— 2008 წლის ზაფხულში, აგვისტომდე გივი თარგამაძე ტელევიზიის ღია ეთერში კატეგორიულად აფრთხილებდა რუსეთს, რომ საქართველოში უკვე გათხრილი იყო საფლავები რუსი ჯარისკაცებისთვის და, თუ ისინი მაინც გაბედავდნენ ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმას, აუცილებლად ჰპოვებდნენ სიკვდილს. ამავე დროს, ის მიმართავდა რუს დედებს და აფრთხილებდა, დაეცვათ საკუთარი შვილები... თქვენ ხომ წარმოგდგენიათ, რას ნიშნავდა ასეთი მიმართვა ტრადიციული სკოლის რუსი გენერლებისთვის...

მიზანმიმართულად იქცეოდა თუ არა? გიპასუხებთ: რამდენადაც მე მას ვიცნობ, თავს ვერ დავდებ, რომ რაიმეს ეს ადამიანი გააზრებულად აკეთებდა ან აკეთებს. **იულია ლატინინამაც კი, რომელიც ცნობილია, როგორც სააკაშვილის რეჟიმის თანმიმდევრული აპოლოგეტი, უდალცოვთან ეპიზოდისას, თარგამაძე უპასუხისმგებლო ლოთად, იდიოტად და კლინიკურად ფსიქიკამოშლილ ადამიანად მოიხსენია.** რეიგანის მრჩეველი დაგ ბენდოუ, როცა სააკაშვილს „იდიოტ ბავშვს“ უწოდებს, გულისხმობს კლინიკურ გადახრას და არა სალანძღავ სიტყვა „იდიოტს“. აქაც იგივეა, თუმცა სრული უპასუხისმგებლობა აშკარად სახეზეა. აქვე ლატინინას შევახსენებ, რომ ეს იდიოტი ლოთი და უპასუხისმგებლო ადამიანი, სხვათაშორის, სააკაშვილის მარჯვენა ხელია და მისი მოღვაწეობა იმიტომ გაგრძელდა ამდენ ხანს, რომ სააკაშვილს მოსწონს.

**— რის იმედად იწყებდნენ ომს რუსეთთან?**

— ეს იყო დიდი ავანტიურა, შეიძლება ეს დაუჯერებელია იმათთვის, ვინც ამ ხალხს ახლოს არ იცნობს, მაგრამ მე თარგამაძესაც და სააკაშვილსაც ვიცნობ. **მათ მართლა სჯეროდათ, რომ ჩაატარებდნენ „ბლიცკრიგს“, ანუ ელვისებურ ომს. ამ ომის ფარგლებში მთლიანად აიღებდნენ სამხრეთ ოსეთის ყოფილ ოლქს, ისე, რომ რუსეთის მთავრობა ვერაფერს მოასწრებდა; გადაკეტავდნენ როკის გვირაბს, რაც შუასაუკუნეობრივი სიბნელის გამოხატულებაა, რადგან დღეს, როცა თვითმფრინავები და რაკეტები დაფრინავენ, როკის გვირაბი და კავკასიონის ქედი, სამხედრო თვალსაზრისით, არაფრის სჭირდება, მაგრამ მათ სწამდათ ეს.**

მათ ეგონათ, რომ რუსეთის მთავრობა დასავლეთის შიშით ვერ გაბედავდა სრული მასშტაბით თავისი ძალების ამოქმედებას და, როცა დაიწყებოდა საომარი მოქმედებები, დასავლეთი და შეერთებული შტატები სააკაშვილის მხარეს დაიჭერდა. აი, აქედან მოდიოდა ეს მეგალომანია, რომელიც დასრულდა იმით, რომ პანიკაში ჩავარდნილი სააკაშვილი გორში წინ და უკან დარბოდა, მაშინ, როცა აღარაფერი ხდებოდა. ეს არის სრულიად ირაციონალური რამ და ზუსტად ვიცი, რომ თარგამაძე ყოველთვის იყო ამ სამხედრო მოქმედებების მომხრე. **საერთოდ უნდა ითქვას, რომ თარგამაძე სააკაშვილის უგუნური, უპასუხისმგებლო, ირაციონალური „ქორების“ სიაში იყო. ის არა თუ გააჩერებდა სააკაშვილს, არამედ უფრო წააქეზებდა და უბიძგებდა ომისკენ.**

**— რა ხდებოდა ომის დროს ჯარში? ამბობენ, რომ ჯარისკაცებს საკმარისი ტყვიებიც არ ჰქონდათო, ეს მართალია?**

— ტყვიები კი არა, საკმარისი წყალიც არ ჰქონდათ.Aასე რომ, ყველაფერი მართალია და, ვისაც არ სჯერა, შეუძლია რონ ასმუსის წიგნი წაიკითხოს, სხვათაშორის, ეს ადამიანი ეხმარებოდა საქართველოს ნატოში შესვლაში და იგი თავის წიგნში წერს, რომ მართვის სისტემა მთლიანად მოშლილი იყო, რომ ცხინვალში ქართველ ბიჭებს ხელჩართული ბრძოლის დროს მობილურით უხდებოდათ მეთაურებთან და ერთმანეთთან დაკავშირება, ხოლო **სამოქალაქო ხელმძღვანელობა წამდაუწუმ ერეოდა ბრძოლის მიმდინარეობაში, რამაც ყველაფერი არია. სამოქალაქო ხელმძღვანელობაში, პირველ რიგში, უგულავა, თარგამაძე და მსგავსი ადამიანები იგულისხმებიან. ეს ამბავი თავის დროზე უცხოელმა დიპლომატებმა მითხრეს.**

მინდა გითხრათ ერთი შემზარავი ფაქტი. სამთავრობო წრეებში ცნობილია, რომ **გივი თარგამაძე არის ერთ-ერთი, ვინც რონ შავაძისა და დავით ცინდელიანის სადისტური მკვლელობის უკან დგას.** გაგახსენებთ, 2008 წლის აგვისტოს ქალაქ ბათუმში საშინელი წამებით მოკლეს ოფიცერი შავაძე, რომელსაც ყველა ძვალი და ხერხემალი გადამტვრეული ჰქონდა, სხეულში კი 20 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი. მისი ცხედარი ორ დღის შემდეგ იპოვნეს. მაშინ თარგამაძე გამოვიდა და საშინელი რამ განაცხადა, რომ შავაძე ნარკოტიკებზე დააკავეს, რომ იგი გაიქცა და ორმხრივი სროლის დროს დაიღუპა. შავაძის მეუღლე ყველაფერს ამბობდა, რაც რონინ შავაძეს დამართეს, რის გამოც მასზე ტერორი ხორციელდებოდა. ამერიკისა და საფრანგეთის მაშინდელი ელჩების ჩარევამ ეს ქალბატონი გადაარჩინა. **გივი თარგამაძე არის სააკაშვილის მარჯვენა ხელი — ტერორის აღმასრულებელი.**

**— გივი თარგამაძე ასევე მხილებულია სხვა ქვეყნის შიდა პოლიტიკაში უხეშად ჩარევასა და სხვადასხვა შავბნელ საქმიანობაში, პოლიტიკური პირის მკვლელობის ორგანიზების მცდელობაში. თანაც ის ამას აკეთებდა, როგორც პოლიტიკური თანამდებობის პირი და არა, როგორც მოქალაქე. ამაზე რა კომენტარს გააკეთებთ?**

— ჩვენ გვახსოვს კადრები, თუ როგორ გეგმავს მთვრალი თარგამაძე უცხო ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებას, ასევე გვახსოვს მისი სატელეფონო საუბრები კიევში კანონიერ ქურდებთან....მისი მუქარები, რომ, თუ ისე არ იქნება, როგორც მას სურს, იგი, მსუბუქად რომ ვთქვათ, გადაუვლის ყველას და ა. შ. რა შეიძლება ამაზე ითქვას?! **ლუკაშენკოს ხელისუფლებიდან ჩამოშორების მიზნით, თარგამაძე, კალანდაძე და სხვები ბელარუსში იყვნენ მივლინებულნი. სხვათაშორის, ეს ის ლუკაშენკოა, რომელსაც თარგამაძე, სააკაშვილი და სხვები ევროპის უკანასკნელ დიქტატორს უწოდებდნენ.**

**— თარგამაძეს და სხვა მაღალჩინოსნებს საკმაოდ მძიმე დანაშაულებში ედებათ ბრალი, როგორ მოხდება მათი დასჯა?**

— მკვეთრად გავყოთ პოლიტიკური შეფასება, რაც სახეზეა და რაც ზედაპირზეა, და რისი მომსწრეც ვართ მთელი ერი; მისი განცხადებები, მისი საქციელი მისი ფიზიკური მდგომარეობა (რომ ის არის ნამდვილად უგუნური, უპასუხისმგებლო ადამიანი და სრულად იმსახურებს ლატინინასეულ შეფასებებს), ეს არის მხოლოდ ერთი მხარე.

მეორე მხარეა გამომძიებლები, სამართალდამცავები დადგენილი სამართლებრივი ნორმების დაცვით რას დაუმტკიცებენ და რას ვერა. თქვენ **ვერ მონახავთ ვერც ერთ საბუთს და დოკუმენტს, რომელზეც თარგამაძეს, უგულავას, მერაბიშვილს თუ სხვა მაღალჩინოსანს ხელი ჰქონდეს მოწერილი. ისინი ბრძანებებს და მითითებებს ზეპირად გასცემდნენ და ამით კვალს არ ტოვებდნენ.**

მინდა ვთქვა, რომ საქართველოს ისტორიაში მოხდა ძალიან სამარცხვინო რამ, როცა ქვეყნის სათავეში მოვიდა ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც თავისი გაუაზრებელი, უპასუხისმგებლო, ავანტიურული ქმედებებით უდიდესი დარტყმა მიაყენა ჩვენს ქვეყანას და საფრთხეც კი შეუქმნა მის არსებობას. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ამ ადამიანებმა 2010 წელს გვაჩვენეს „მოდელირებული ქრონიკა“, რის შემდეგაც „სქაინიუსმა“ მათ ოფიციალურად უწოდა სააკაშვილისა და მისი კლოუნების თეატრი.

ესაუბრა **ეკა კახიანი**

«გივი თარგამაძე არის ერთ-ერთი, ვინც რონინ შავაძისა და დავით ცინდელიანის სადისტური მკვლელობის უკან დგას»

«იულია ლატინინამაც კი, რომელიც ცნობილია, როგორც სააკაშვილის რეჟიმის თანმიმდევრული აპოლოგეტი, უდალცოვთან ეპიზოდისას, თარგამაძე უპასუხისმგებლო ლოთად, იდიოტად და ფსიქიკამოშლილ ადამიანად მოიხსენია»

## ჩელიშია

"უფალი ბრძანებს: „ხემან, რომელმაც არ გამოიღოს ნაყოფი კეთილი, ძირში უნდა მოიჭრას და ცეცხლში დაიწვას", სწორედ ასე უნდა მოიჭრას და მოიკვეთოს ხელისუფლება, რომელმაც ერი აქამდე მიიყვანა, ცეცხლში უნდა დაიწვას ადამიანები, რომლებსაც ბიჭების გაუპატიურება მოუვიდათ აზრად."

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### მამა როსტომი (ლორთქიფანიძე):

# რა შეიძლება ვუწოდო პირველ პირს, რომელიც თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე თავისი დაცვის უფროსის ლაჯებში შეძრომას ცდილობდა?!

**„ნაცმოძრაობის" საშინელი ეპოქის დასასრულს რომ დაინახავ და მერე იმასაც ხედავ, თუ როგორ იბრძვიან ზნედაცემული ადამიანები ხელისუფლებაში დასარჩენად, საშინელი აზრები მოგდის თავში. ეს აზრები იმ ადამიანებს, რომელთა შვილებიც ციხეებში გააუპატიურეს და რომელთა მიმართაც ბევრი სხვა უკეთურება ჩაიდინეს, იარაღამდეც მიიყვანს... ზოგს წყევლამდე, ზოგს კი ცემამდე... და აკი სცემეს კიდეც, მაგრამ ისე ვერა, რომ ქართველ ერს გული მოეფხანა. მაგალითად, მამა როსტომ (ლორთქიფანიძე) ამბობს, რომ „ნაცები" ისედაც დაწყევლილები არიან.**



**— რა სახელი შეიძლება ეწოდოს ხელისუფალს, რომელიც უწლოვან გოგონებს ბუჩქებისკენ გასვლას ურჩევს, ვიღაც გერმანელ ქალს ჩუმად ყურში ეჩურჩულება, რომ ქართველების მენტალობა როგორმე უნდა შეცვალოს...**

ძნელი მისახვედრი არ არის, მენტალობის შეცვლაში ის უსახელო ადამიანი რასაც გულისხმობდა — მას ქართველების აზროვნების შეცვლა უნდოდა. ეს ამაზრზენია! რა შეიძლება ვუწოდო ხელისუფლებას, რომლის პირველი პირი, თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე თავისი დაცვის უფროსის ლაჯებში შეძრომას ცდილობდა?!

მსოფლიოში არ არსებობს პოლიტიკოსი, რომელიც ამას ჩაიდენდა, არ არსებობს პოლიტიკოსი, რომელიც ნაციონალური აზროვნების შეცვლას შეეცდებოდა. თავისუფლების, დამოუკიდებლობის და სხვა ბედნიერებათა მეშვეობით უნდა დაიმკვიდროს ერმა საკუთარი ადგილი ცივილიზებულ სამყაროში.

ქართველებს გვყავდა მეფე როსტომ ხანი, რომელიც 42 წელი იჯდა სამეფო ტახტზე. მისი მეფობის დროს უამრავი ტაძარი შენდებოდა, იმაზე მეტი, ვიდრე დავით აღმაშენებლის პერიოდში, მაგრამ მან დაუშვა ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი შეცდომა — სასახლეში უარს ამბობდა ქართულ კულტურაზე, ქართველებმა როსტომ ხანი ვერ აიტანეს და დღემდე მოღალატეთა შორის მოიხსენიებს. ამ ყველაფერს რომ გააანალიზებ, გამოგაქვს ერთი დასკვნა, რომ **სააკაშვილი ხელისუფლებაში გასაძლომად მოვიდა. სააკაშვილს ერი სახელს მოუძებნის, ტლანქად, მაგრამ მაინც მოუძებნის.** სიტლანქის უფლება კი ერს აქვს.

8 თებერვალს მომხდარ ფაქტზე ბევრს საუბრობენ, როგორ დაარტყესო, მაგრამ რას ჰქვია, როგორ დაარტყეს?! მათ ერმა სცემა. **ერს კი უფლება აქვს არა მარტო სცემოს უკეთურ მმართველს, არამედ ლინჩის წესითაც გაასამართლოს ხელისუფლება, რომელიც ამის ღირსია. უფალი ბრძანებს: „ხემან, რომელმაც არ გამოიღოს ნაყოფი კეთილი, ძირში უნდა მოიჭრას და ცეცხლში დაიწვას". სწორედ ასე უნდა მოიჭრას და მოიკვეთოს ხელისუფლება, რომელმაც ერი აქამდე მიიყვანა, ცეცხლში უნდა დაიწვას ადამიანები, რომლებსაც ბიჭების გაუპატიურება მოუვიდათ აზრად.**

არჩევნებამდე ივანიშვილს წერილი შევუგზავნე, რომელშიც ვწერდი, რომ მას უზნეო ადამიანებთან მოუწევდა ბრძოლა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, არანაირ ურთიერთობაში არ შესულიყო მათთან, რადგან ერი განრისხებული და გაბრაზებულია და ამ ადამიანების მხოლოდ დასჯას ელის, არავითარი მოლაპარაკება და ურთიერთობა, მათ უნდა მოეკითხოთ იმ დანაშაულისთვის, რომელსაც დიდხანს და მეთოდურად სჩადიოდნენ...

**— ეკლესია დამნაშავეებს როგორ სჯის?**

— ეკლესია ზიარების უფლებას ართმევს, თუ საკმარისი არ არის, ანათემას გადასცემს. ანათემა კი საშინელებაა. მესმის, რომ ძალიან ბევრს უნდა, ყოფილი ხელისუფლების წევრები და ის უსახელო ადამიანი, რომელსაც ვიღაცები პრეზიდენტს ეძახდნენ, ანათემას გადავცეთ ან დავწყევლოთ, მაგრამ **მათი მოდგმა ისედაც დაწყევლილია, ისინი ისე ამოიძირკვებიან, ვითომ არც ყოფილან არასოდეს. მათ ერი სახელს მოუძებნის და, მერწმუნეთ, ეს საშინელება იქნება. ხელისუფლება, რომელმაც ბავშვებს ასწავლა, რომ ხელმოკლე მშობელი არ უნდა უყვარდეს და რომ თვითონ წაიყვანს ბანაკში და დაასვენებს, ის ბავშვი გაიზრდება და იმ ხელისუფლებას შეიზიზღებს, რადგან ქართველია და მშობლისა და სამშობლოს სიყვარული სისხლში აქვს, მაგრამ, თუ თითო-ოროლა ისეთი გამოერია, რომლებიც დიდებულად მოიხსენიებს, ის მუდამჟამს უბედურ კაცად დარჩება.**

ამიტომ პირადად მე მათთვის წყევლაც არ მემეტება, მათ თავისი თავი, ჯიში და მოდგმა თავადვე გაანადგურეს და მოსპეს. მათი შვილები დიდხანს ველარ ივლიან თავისუფლად და შერცხვებათ მამების საქციელი. ნუთუ ამაზე მეტი წყევლა ქართველისთვის არსებობს?!

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# გასცა თუ არა ციხის ბუნტისას სროლის ბრძანება გიგა ბოკერიამ?



**2006 წლის 27 მარტს მომხდარი ციხის ბუნტი ერთ-ერთი იმ საშინელი ქმედებათაგანი იყო, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების წევრების კისერზეა. როდესაც ჩემი საუბარი ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილთან ასე დავიწყე, მან გამაჩერა და მითხრა: არა, ეს არ იყო პირველი, უკვე მოკლული იყო პრემიერი ჟვანია და აფრასიძეებიც ამოწყვეტილი ჰყავდათო.**

### გელა ნიკოლეიშვილი:

## ბაჩო ახალაია ციხის ბუნტზე აუცილებლად უნდა დაიკითხოს

ციხის ბუნტის ამბავი ახალმა ხელისუფლებამ მოსვლისთანავე გაიხსენა, მაგრამ მალევე გადაივიწყა. არადა, ეს ის თემაა, რომელმაც იმ პერიოდში საზოგადოება შეძრა და იმ დღიდან ქვეყანაში საშინელმა სიჩუმემ და შიშმა დაისადგურა. მაშინ პირველად მიხვდა ხალხი, რისი მკადრებლები იყვნენ არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი ის პატარა, უზნეო ბიჭები, რომლებიც ხელისუფლებაში მოვიდნენ.

**გამოძიების რა ეტაპზეა ციხის ბუნტის ამბავი და გამოიკვეთა თუ არა ხელისუფლების ბრალეულობა?**

— ამ შეკითხვით ბატონ **გელა ნიკოლეიშვილს** მივმართეთ. ის ბუნტში ბრალდებული პირებიდან ერთ-ერთის ადვოკატი იყო.

— 2006 წელს ციხეში მომხდარ ამბავზე ექვს პატიმარს ედებოდა ბრალი. მათ შორის სამი კანონიერი ქურდი იყო, სამი კი — კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, მაგრამ ბუნტი სინამდვილეში მათი მოწყობილი არ იყო. ეს ბაჩო ახალაიასა და მისი თანამზრახველების ინსპირირებული და დადგმული იყო. ახლა, როდესაც ბაჩო ახალაია ციხეშია, მე დავინტერესდი, დაიკითხა თუ არა ბაჩო ახალაია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ჯერ ის ამ კონკრეტულ საქმეზე დაკითხული არ არის. არადა, **ბაჩო ახალაიამ არაადამიანურად ჩაახოცინა პატიმრები და უფრო მეტი დაასახიჩრებინა. ოფიციალური ინფორმაციით, ცნობილი გახდა, რომ ცხრა პატიმარი დაიღუპა, მაგრამ დაღუპული უფრო მეტიც იყო. მაშინ იმასაც ამბობდნენ, რომ ციხის ადმინისტრაციამ დაღუპული პატიმრების ოჯახის წევრები დააშინა და ზუსტი ციფრის დადგენა ვერ მოხერხდაო. დღემდე არავინ იცის, რამდენი პატიმარი ემსხვერპლა ციხეში მომხდარ ამბავს.**

**— ბატონო გელა, მაშინ კულუარებიდან გამოვიდა ინფორმაცია, რომ სროლის ბრძანება გიგა ბოკერიამ გასცაო.**

— კი, ნამდვილად ამბობდნენ, მაგრამ არავინ იცის, სინამდვილეში რა მოხდა და ვინ გასცა ბრძანება. ისე კი, რაც ნამდვილად ვიცით, გიგა ბოკერია იმ დროს იქ იყო, თუმცა რა სტატუსით, ეს უკვე ველარ დავადგინეთ.

პატიმრები იხსენებენ, რომ, **როდესაც საკნებიდან ახალაიას აგინებდნენ და რითაც შეეძლოთ უსწორდებოდნენ — წყლის შესხმა იქნებოდა ეს თუ რაიმე საგნის ფანჯრიდან სროლა — ახალაია ეზოდან ავტომატის ჯერს უშვებდა საკნების მიმართულებით და ეს არაერთხელ გაუკეთებია. ციხეში ინსპირირებული ბუნტით მან შიშის ზარი დასცა მთელს კრიმინალურ სამყაროს და არამარტო მათ.** ციხეში მომხდარი შემზარავი ამბავი, ძირითადად, ბაჩო ახალაიას კისერზეა და დანარჩენს გამოძიება დაადგენს. ჯერ არ ვიცით, კიდევ ვისი ბრალეულობა გამოიკვეთება, იქ უამრავი ადამიანი იყო. იმ პერიოდის სასამართლოს თუ გავიხსენებთ, ჩემდა გასაკვირად, მაშინ ყველა ის პირი დაიკითხა, რომელთა დაკითხვაც დაცვის მხარემ მოითხოვა, მათ შორის ბაჩო ახალაიაც, მაგრამ ყველამ იმ ტექსტით ისაუბრა, რომლითაც სასამართლოს წინაშე მაშინდელი ციხის უფროსი, უფრო სწორად, ჯალათი წარსდგა.

მჯერა, გამოძიება ყველა დეტალს დაადგენს, მაგრამ იგი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს არა მარტო ამ საქმეზე, არამედ ბევრ სხვა საქმეზეც, თუმცა ამაში პროკურატურის დადანაშაულება არ შეიძლება, რადგან გამოსაძიებელი საქმეები უამრავია და თან ყველა მნიშვნელოვანი.

**— სანდოა თუ არა დღევანდელი სასამართლო?**

— მეტ-ნაკლებად. სასამართლოებშიც და პროკურატურაშიც ოთხმოცი პროცენტი ჯერ კიდევ ის ადამიანები სხედან, ვისი ნდობაც საზოგადოებას არ ჰქონდა. ამის გამოსწორებას დრო სჭირდება. კადრებიც მოსაძიებელია.

**— მახსოვს პერიოდი, როდესაც თქვენ, ადვოკატები, საქმეს, რომელსაც მოგების პირი უჩანდა, არ ახმაურებდით, რადგან, თუ გახმაურდებოდა, აუცილებლად წაგაგებინებდნენ, ამიტომ გერჩივნათ, რომ ჩუმად გეკეთებინათ საქმეები, მაგრამ მაინც მიჭირს ისეთი საქმის გახსენება, რომელიც წარმატებით დასრულდა. ახლა როგორ არის საქმე, ღირს თუ არა ამ ქვეყანაში ადვოკატობა თუ ყველანი პოლიტიკაში გადაინაცვლებთ?**

— არა, დღევანდელი დღის იმ პერიოდთან შედარებაც კი არ შეიძლება. ახლახან რამდენიმე საქმე მოვიგე და კიდევ მაქვს საქმეები, რომლებიც წარმატებით დასრულდება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**„ამ ტერორის ორგანიზატორები იყვნენ გიგა ბოკერია, რომელიც გამოირჩევა თავისი ანტიეკლესიური ცნობიერებით, და მისი მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი. ჩვენი დაპატიმრებით დაინტერესებული იყო ასევე სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში. მან თავის მოხსენებაში, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს მიაწოდა, დამნაშავეებად მოგვიხსენია“.**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავთო ზუმბაძე:

# როდესაც გიგი თევზაძეს სთხოვეს, უნივერსიტეტში მართლმადიდებელი სტუდენტებისთვის სამლოცველო კუთხე გამოეყო, მან უპასუხა, რომ სალოცავ კუთხეს საპირფარეშოში გამოყოფდა

**პოლიტპატიმარი, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრი, ავთო (ფოტი) ზუმბაძე, ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტის დროს დააპატიმრეს. მიუხედავად იმისა, რომ ის ვიდეოკამერით იღებდა ყველაფერს და ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღია, დანარჩენების მსგავსად, მასაც ბრალი ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლასა და ხულიგნობაში დასდეს.**

**— თქვენ პირდაპირ ტელეკომპანიის სტუდიიდან წაგიყვანეს პოლიციის განყოფილებაში. რა გახდა თქვენი დაპატიმრების მიზეზი?**

— ჩვენი დაკავების მიზეზი იყო არა რაღაც კონკრეტული შემთხვევა, არამედ, ზოგადად, ჩვენი საქმიანობა. ვინაიდან არსებობდა ეკლესიის დისკრედიტაციის გეგმა და ჩვენი დაპატიმრებაც მათი გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ვინაიდან ჩვენ, აქტიური მრევლის გარკვეული ნაწილი, ასევე ის მამაოები, რომლებსაც მართლაც შესტკივათ გული ეკლესიის საკითხზე, ვეწინააღმდეგებოდით გლობალიზაციას, რომელიც თავის თავში მოიცავს ეკლესიის დისკრედიტაციას და განადგურებას. ის დამოუკიდებლობა, რომელსაც ეს ადამიანები გვთავაზობენ, არის ჩვენი თვითმყოფადობისა და ეროვნულობის დაკარგვა. **მათ მიერ შემოთავაზებული და აღქმული დამოუკიდებლობა არის დამოკიდებულება სხვა ე. წ. ზესახელმწიფოებზე, რომელთაც გარკვეული წარმატებები გააჩნიათ ცივილიზებულ სამყაროში, მაგრამ მანკიერებები და გარყვნილება, რომელთაც თავს გვახვევენ, არაფერში გვჭირდება. გლობალიზაციის და დასავლეთის მამები წარმოადგენენ იმ ძალას, რომელთან ჭიდილიც საკმაოდ რთულია.**

**— როგორ ფიქრობთ, რა საფრთხე დაინახა თქვენში ყოფილმა ხელისუფლებამ?**

— მათ სურდათ რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვა ჩვენი უფლებების ხარჯზე. მოგეხსენებათ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკურად ქართველები, მართლმადიდებლები შეადგენენ, გრანტებზე დამოკიდებული და სულგაყიდული ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციები კი, მაგალითად, როგორიცაა ჰაინრიხ ბიოლის ფონდი და სხვები, ხელოვნურად ახდენენ ასეთი თემების წინა პლანზე წამოწევას, როცა ამის არანაირი საჭიროება არ არსებობს. იმ დღეებშიც გაიმართა ერთ-ერთი წიგნის — „საიდუმლო სირობის“ პრეზენტაცია, რაც საშინელი ღვთის გმობა იყო. ჩვენ ეს ფაქტი გავაპროტესტეთ და მოვითხოვეთ იმ ადამიანების დასჯა, რომლებმაც ამ პროექტს საფუძველი ჩაუყარეს. მით უფრო, რომ ისინი საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იყვნენ და ზოგიერთი მათგანი დღესაც თანამდებობაზე რჩება. მათ შორისაა გიგი თევზაძე — ილიას უნივერსიტეტის რექტორი. **როდესაც გიგი თევზაძეს სთხოვეს, უნივერსიტეტში მართლმადიდებელი სტუდენტებისთვის სამლოცველო კუთხე გამოეყო, მისგან საკმაოდ შეურაცხმყოფელი პასუხი მიიღეს. თევზაძემ უპასუხა, რომ სალოცავ კუთხეს საპირფარეშოში გამოყოფდა.**

ნებისმიერი პროექტი, რომელიც მიმართული იყო ეკლესიის დისკრედიტაციისკენ, ჩვენს პროტესტს იწვევდა. ჩვენი პროტესტი კი მათ ხელს უშლიდა და სერიოზულად აყოვნებდა, ველარ ახერხებდნენ თავიანთი პროექტების განხორციელებას.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ, ვის ინტერესებში შედიოდა თქვენი დაპატიმრება?**

**— ამ ტერორის ორგანიზატორები იყვნენ გიგა ბოკერია, რომელიც გამოირჩევა თავისი ანტიეკლესიური ცნობიერებით და მისი მეუღლე თამარ ჩერგოლეიშვილი. ჩვენი დაპატიმრებით დაინტერესებული იყო ასევე სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში, რომელიც არაპროფესიონალურად მოიქცა. მან დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია და ძალიან დაბალი დონის განცხადება გააკეთა ჩვენთან დაკავშირებით. თავის მოხსენებაში, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს მიაწოდა, დამნაშავეებად მოგვიხსენია. როდესაც ვკითხეთ, ასე რატომ მოიქცა, მან გვიპასუხა, ჟურნალისტ ნინო ზურიაშვილის ინტერვიუდან გამოვიტანე ეს დასკვნა, რომ თქვენ დამნაშავეები ხართ, და მე მას ვენდობიო.** ასე ცალმხრივად დასკვნის გამოტანა როგორ შეიძლებოდა?! სახალხო დამცველი უშუალოდ იყო დაინტერესებული ჩვენი დაპატიმრებით. სამწუხაროა და სირცხვილია, როცა ყველაზე ჰუმანური ინსტიტუტის წარმომადგენელი ასე იქცევა. მეტიც, **ბექა მინდიაშვილი, რომელიც ანტიეკლესიური ქმედებებით გამოირჩევა, სახალხო დამცველის აპარატში რელიგიის განყოფილებას განაგებს.** აღნიშნულ მოვლენებამდე ორი კვირით ადრე ბექა მინდიაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, სადაც შესაბამისი დირექტივები მიიღო.

**— თუმცა, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირსაც“ ხშირად აგრესიასა და ფანატიზმში სდებენ ბრალს. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თქვენ ფანატიკოსებიც გიწოდათ...**

— ადრექრისტიანულ ხანაში წარმართებს ახასიათებდათ ასეთი მეთოდები ქრისტიანების წინააღმდეგ. როდესაც ხედავდნენ, რომ ხალხი მასობრივად ინათლებოდა, ხედავდნენ ამდენ მოწამესა და მორწმუნეს, ისინი ქრისტიანებს კაციჭამიობაში სდებდნენ ბრალს, რადგან თურმე ზიარების დროს ქრისტეს სისხლსა და ხორცს ვეზიარებით. დღესაც ანალოგიური ხდება. არ გეგონოთ, რომ იმ წარმართებისგან ეს ადამიანები რაიმეთი განსხვავდებოდნენ. ცნობილი მეთოდია, ვიღაცას ჩირქი მოსცხო, გაუვრცელო ხმები. რეალურად არ არსებობს ჩვენი ძალადობის დამადასტურებელი არც ერთი ფაქტი.

რაც შეეხება სააკაშვილს, მგონი, ადამიანი არ არის, რომელსაც მასთან დაკავშირებით რაიმე კითხვები დარჩა, იმდენად გაუწონასწორებელი ადამიანია. **ფანატიზმი თავისი შინაარსით ნიშნავს არასწორ ხედვას ან აზრს, რომელსაც ადამიანი ჯიუტად ადგას და არანაირ შეგონებას არ იღებს. მაშინ, როდესაც ჩვენ გვყავს წმინდა დიდმოწამე გიორგი, რომელმაც უამრავი სატანჯველი აიტანა, ფანატიკოსი შეიძლება ვუწოდოთ მას? თუმცა სააკაშვილი იმდენად უღმერთოა, მისთვის, ალბათ, ასეთი საქციელი ფანატიზმია ან, უბრალოდ, არ იცის ამ სიტყვის მნიშვნელობა.** ფანატიკოსები თავად არიან, რადგან არ სურთ საკუთარი შეცდომების აღიარება, თუმცა ჩვენ მაინც სიყვარულით ვუყურებთ მათ, გვინდა, შეინანონ, რადგან ჩვენ ჯოჯოხეთისთვის არავინ გვემეტება, მათ შორის არც სააკაშვილი.



**«ვინაიდან აღქმული ვიყავით, როგორც ეკლესიის შვილები და მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ადამიანები, პატრიარქიც მობრძანდა. მათ დაინახეს საფრთხე, რომელიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჩვენ წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებას»**

**— სად არის ვიდეოფირი, რომელზეც ტელეკომპანია „კავკასიაში“ მიმდინარე გადაცემას იღებდით და გამოიყენა თუ არა ის სასამართლომ?**

— ფირი სასამართლომ არ გამოიყენა, ვინაიდან ის მათთვის არასახარბიელო სიტუაციას წარმოშობდა. ჯერ ხომ აბსოლუტურად უსაფუძვლოდ დაგვაპატიმრეს და **ეს ფირი ჩვენი უსაფუძვლო დაპატიმრების კიდევ ერთი ნათელი დადასტურება იქნებოდა. თან ფირზე კარგად ჩანდნენ ის ადამიანები, რომლებიც მართლაც ხულიგნობდნენ, მაგრამ ისინი არც კი დაუპატიმრებიათ.**

მე გადაცემაში არ ვმონაწილეობდი. როცა ტელევიზიით ვუყურებდი გადაცემას, იქ მიმდინარე მოვლენებმა ჩემი უკმაყოფილება გამოიწვია, არ მომეწონა ნინო ჯანგირაშვილის საქციელი, ავიღე ვიდეოკამერა და წავედი ტელეკომპანიაში. მივედი, რათა რეალობა გადამეღო და ხალხს რეალურად სცოდნოდა, რა ხდებოდა. ამას გარდა, იქ იმყოფებოდა ჩემი სულიერი ძმა ლევან ჩაჩუა, აუდიტორიაში იყო გიორგი გურჩიანი, რომელიც სცემეს, თუმცა მაინც ის დაიჭირეს ხულიგნობის ბრალდებით. აშკარა იყო პროვოკაცია. მე კითხვებს ვუსვამდი მათ. აღსანიშნავია, რომ, როდესაც მივედი ტელეკომპანიაში, კარი დაკეტილი იყო და არ შევსულვარ, როცა შესვენება გამოცხადდა გადაცემის დროს, მხოლოდ მას შემდეგ შევედი. ასევე რატიანს, მინდიაშვილსა და ხატიაშვილს, როდესაც მათ დატოვეს გადაცემა, ვკითხე, რატომ იქცეოდნენ ასე.

**— მას შემდეგ, რაც დაგაპატიმრეს, როგორ გექცეოდნენ და რა ვითარება დაგხვდათ ციხეში?**

— პოლიციაში აბსოლუტურ გაურკვევლობაში იყვნენ, არ იცოდნენ გამომძიებლებმა და პროკურორებმა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. თავიდან მოწმის სტატუსით წაგვიყვანეს და შემდეგ შეთითხნეს ბრალდება. ეს იყო კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რაც ვერ განახორციელეს. მინდა ვთქვა, რომ, **მიუხედავად ყველაფრისა, პროვოკაცია არ შედგა და ღვთის შეწევნით ჩვენ აქაც გავიმარჯვეთ. ქართველი ხალხი მაშინაც და ახლაც ცხადად ხედავდა, რომ დამნაშავეები არ ვიყავით. პროკურორმა გიორგი მიქაიამ ისიც მითხრა, მორალურად თქვენ მართლები ხართ, მაგრამ რა ვქნათ, გვავალებენო.** შინაგანად წუხდნენ ზოგიერთები და აწუხებდათ ის უსამართლობა, რაც ხდებოდა. დაზარალებულები სასამართლოზე თავს იმართლებდნენ, ჩვენი ნებით არ მოვსულვართ პროკურატურაში, გამოგვიძახესო.

თავიდან გლდანის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში წაგვიყვანეს. ვინაიდან აღქმული ვიყავით, როგორც ეკლესიის შვილები და მისი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ადამიანები, პატრიარქიც მობრძანდა. მათ დაინახეს საფრთხე, რომელიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ჩვენ წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებას. ამიტომ ჩემ მიმართ არ ყოფილან ისე თამამები და სასტიკები, როგორც სხვა პატიმრების მიმართ იყვნენ. რა თქმა უნდა, იყო გარკვეული სირთულეები, როდესაც შენს კამერაში შემოდიან და სცემენ სხვებს, შეურაცხყოფას აყენებენ, ვერ აიტანზები კედელთან და ვერ გაჩუმდები. **მე არ მირტყამდნენ, მაგრამ სხვებს სცემდნენ, რასაც, რა თქმა უნდა, ვაპროტესტებდი. იქ რომ პატიმრების ცემა და წამება ხდებოდა, მთელ საპატიმროში პატიმრების ყვირილისა და გოდების ხმაც ადასტურებდა.**

ახლა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას ვაპირებთ. პოლიტპატიმრის სტატუსს არ დავჯერდებით. აუცილებელია, ჩვენი სახელის რეაბილიტაცია მოხდეს სასამართლოს გზით, რათა ხალხმა რეალურად დაინახოს, ვინ არიან ის ადამიანები, რომლებმაც საკუთარი საქციელით საფრთხე შეუქმნეს არა ავთანდილ ზუმბაძეს ან იმ დაპატიმრებულ ბიჭებს, არამედ ღია ბრძოლა გამოუცხადეს მთლიანად ეკლესიას.

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
ჰკა მაგათა!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ახლანდელი სასამართლო კუბლაშვილისა და სააკაშვილის ხელში გადაიქცა ადეიშვილის პროკურატურად. ის მოსამართლეები, რომლებიც წლების განმავლობაში ადამიანებს ერთი პურისა და ერთი ბოთლი ლუდის მოპარვისთვის უსჯიდნენ პატიმრობას, და ასეთი ადამიანებით სავსეა დღეს ქართული ციხეები, ასეთი მოსამართლეები არიან „გასვრილები“, რომლებიც ყურებით ჰყავთ დაჭერილი სააკაშვილსა და მის დამქაშებს და ვერ იღებენ მათ საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს. ამ მოსამართლეებს თავის დროზე 99,9% გამამტყუნებელი განაჩენი გამოჰქონდათ მათთვის, ვისაც იჭერდნენ. ახლა ყველა გირაოთი გამოსაშვებია.“

# თუ სააკაშვილი ციხეში არ მოხვდა, ეს არ იქნება სამართლის აღდგენა ქვეყანაში



**არავისთვისაა უცნობი, რომ ამომრჩეველმა „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ ხმა სამართლიანობის აღსადგენად მისცა. უკვე ოთხი თვე გავიდა, მაგრამ თითქმის ყველა დიდმოხელე, რომლებიც სხვადასხვა ბრალდებებით დააკავეს, ისევ თავისუფალია. ამ ყოველივეს კი დასავლეთიდან გამოთქმული შეშფოთება ახლავს „პოლიტიკურად მოტივირებული დაპატიმრებებისა და შერჩევითი სამართლის“ გამო. რამდენად ადეკვატურია ასეთი შენიშვნები და როგორ განვითარდება სამართლიანობის აღდგენის პროცესი? — ამ კითხვებით „საქართველო და მსოფლიომ“ რამდენიმე ექსპერტსა და სამოქალაქო აქტივისტს მიმართა.**



## არ შეიძლება ნემსის ქურდი დაიჭირო, როცა აქლემის ქურდი გარეთ თავისუფლად დადის



**ლაშა ამირეჯიბი, „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

— მაღალჩინოსნები ისე გათავხედდნენ, გიგი უგულავა პროკურატურაშიც არ წავიდა დაკითხვაზე. უნდა მოეკიდათ ხელი და იძულების წესით წაეყვანათ. ეგრე სადაა?! ნებისმიერ ჩვენგანს რომ ასე გაეკეთებინა, ასეთი რეაქცია ექნებოდა გამოძიებას?! ვინმეს გვათქმევინებდნენ იმას, რომ ახლა ვერ მოვალ ან საერთოდ არ მოვალო?! მთავრობას უნდა ჰქონდეს ცოტა ხისტი ხელი! ორი კაცის დაჭერაა საჭირო: ვანო მერაბიშვილისა და გიგი უგულავასი და დამთავრებულია „ნაციონალური მოძრაობის“ დროება.

**— განსაკუთრებული აღშფოთება საზოგადოებაში, ალბათ, გურამ დონაძის გირაოთი გათავისუფლებამ გამოიწვია.**

— საქმე, იცით, რაშია? სასამართლო კვლავ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელშია. სანამ მის სათავეში კუბლაშვილი იქნება, ძალიან ხშირად განმეორდება ასეთი ფაქტები. როგორ დავიჯერო, რომ ისეთი ჭკვიანები იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები, რომ პროკურატურას არ აქვს ფაქტები და მათ ყველაფერი ისე გააკეთეს, რომ კუდი არ დაიტოვეს არანაირი. ვერ დავიჯერებ, რომ ისე სუფთად იმუშავეს, რომ ფაქტები არ დარჩა.

**— რას ფიქრობთ დასავლეთის პოზიციაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მუდმივად მოუწოდებს ახალ ხელისუფლებას ქვეყანაში პოლიტიკური სასამართლო პროცესებისგან თავი შეიკავოს?**

— ყველა დაკავება და დაკითხვა, ჩემი აზრით, კანონიერია. **რასმუსენმა და ევროპელმა დიპლომატებმა, ეტყობა, კარგად არ იციან, რას სჩადიოდა „ნაციონალური მოძრაობა“. მათ ძალიან დიდი დანაშაული მიუძღვით ერის წინაშე და, თუ ვინმე სადმე იკითხება და მის წინააღმდეგ საქმეა აღძრული, ყველაფერი კანონიერად კეთდება. ევროპას კრიტიკული მოტივის საფუძველი აბსოლუტურად არ აქვს.** ევროპასაც და ამერიკასაც უნდა, ყველა დააჯეროს, რომ ის, რა პროცესებიც დღეს საქართველოში მიმდინარეობს, პოლიტიკურადაა მოტივირებული, რადგან „ვარდების რევოლუციის“ პროექტი ჩაუვარდათ. ანალოგიური კრახი განიცადა ამ პროექტმა უკრაინაში, შუა აზიაში, ჩავარდა საქართველოშიც. **ამას თან ერთვის მათი უაზრო ომები, მსოფლიო პოლიტიკის თვალში არ უნდათ იდიოტებად გამოჩენა და ამიტომ ყველაფერს აკეთებენ, ამერიკელებს ვგულისხმობ, რათა არ აღმოჩნდეს, რომ „ვარდების რევოლუციამ“ კრახი განიცადა.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— ახალი ხელისუფლებისგან საზოგადოება, პირველ რიგში, ზუსტად იმას ელოდა, რომ მართლმსაჯულება აღსრულდებოდა და ყველა ის პირი, რომელსაც დანაშაული მიუძღოდა ამა თუ იმ გახმაურებულ საქმეებში, პასუხისგებაში მიეცემოდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. სამწუხაროდ, ეს არ ჩანს. დაიბარებენ დაკითხვაზე, ახდევინებენ შემდეგ გირაოს, რომელიც არის ძალიან ცოტა და შემდეგ გარეთ უშვებენ. ასე გრძელდება ეს „დაჭერობანა“. ცხადია, ეს უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებაზე. **ყველა დაჭერა და გამოშვება აღმაშფოთებელია. ყველამ იცის, რომ, ვინც დაკითხვაზე დაიბარეს, სერიოზული დამნაშავეები არიან. მაგალითად, დაიჭირეს და გამოუშვეს ცეზარ ჩოჩელი. გადაახდევინეს რაღაც მიზერული თანხა, მაშინ, როცა მას მილიონები აქვს შეჭმული.** ნებისმიერი, თუნდაც, მაგალითად, ჭიაბერაშვილი, მერაბიშვილი.

**— უგულავამ იქით დაიბარა გამომძიებლები...**

— ნუ ახლა, უგულავაზე საუბარი ამ ბოლო დროს ცოტა ძნელია. სულ დაკარგა კონტროლი. ისეთ განცხადებებს აკეთებს ამ ბოლო დროს, როგორიც ნორმალურმა ადამიანმა არ უნდა გააკეთოს. მასაც საკმაოდ დიდი ფული აქვს მითვისებული სახელმწიფო ქონებიდან. ასე რომ, მანაც უნდა აგოს პასუხი ამისთვის. ასეთმა ადამიანებმა პასუხი, რა თქმა უნდა, უნდა აგონ პროკურატურის წინაშე და, როცა ასეთი ადამიანები ისევ გარეთ თავისუფლად დადიან, ეს იწვევს საზოგადოებაში ძალიან დიდ უკმაყოფილებას ახალი ხელისუფლების მიმართ.

**ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში ძალიან მცირე დანაშაულზეც კი ყოფილ პრემიერებს, პრეზიდენტებს, პარლამენტარებს სჯიან. ეს იქ ჩვეულებრივი ამბავია.**

**— საზოგადოებაში გაჩნდა მოზარება, რომ, თუ „ქართულმა ოცნებამ“ ასე გააგრძელა და წინასაარჩევნო დაპირებები არ შეასრულა, შესაძლოა, ხელისუფლება იმაზე ადრე დატოვოს, ვიდრე ეს მის ოპონენტებს წარმოუდგენიათ.**

— რაც დრო გადის, „ქართული ოცნება“ აგროვებს თავისთვის მხოლოდ ცუდ ქულებს. საზოგადოება მისგან, რა თქმა უნდა, უფრო მეტს ელის, თუნდაც დამნაშავეთა დასჯის თვალსაზრისით. სრულიად მოსალოდნელია, რომ ხელისუფლებამ მალე ხალხის მხარდაჭერა დაკარგოს. **ნებისმიერ ხელისუფლებას ასეთი დიდი დანაშაული რომ ჰქონოდა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, დიდი ხანია, დამნაშავეები ციხეში იქნებოდნენ.** ის, რასაც დასავლელი დიპლომატები და რასმუსენი ამბობენ, რომ თითქოს საქართველოში პოლიტიკური ნიშნით იჭერენ ხალხს, ერთია და ფაქტი სხვაა. ის ადამიანები, რომლებიც გუშინ ხელისუფლებაში იყვნენ, დამნაშავეები არიან და მათი დასჯა აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ქვეყანა ვერ აშენდება.



**ლაშა ჩხარტიშვილი, „გრინფისის“ მხარდამჭერთა ჯგუფის ხელმძღვანელი:**

— ჩემი და საზოგადოების უმრავლესობის აზრითაც, ბოლოდროინდელი პროცესები სამართლიანობის აღდგენის მცდელობაა და არა პოლიტიკური დევნა. აქედან გამომდინარე, მისასალმებელია, თუკი ადამიანი პასუხს აგებს ჩადენილი დანაშაულებისთვის. მიხეილ სააკაშვილი იქნება ეს, ბაქრაძე თუ სხვა, მნიშვნელობა არ აქვს, ყველამ თანაბრად უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე. ამ პირებმა 9 წლის განმავლობაში შეიწირეს უამრავი ადამიანის სიცოცხლე, იქნებოდა ეს გირგვლიანი, ვაზაგაშვილი თუ სხვა, იმავე 26 მაისს დახოცილი, ნოემბრის მოვლენების დროს დაზარალებული ადამიანები, გაგრძელებული საქართველოს ტერიტორიების დაკარგვით, სხვადასხვა არაფრისმომტანი რეფორმების გატარებით სტრატეგიულ სფეროებში, — ეს ყველაფერი წინა ხელისუფლების ნამოქმედარია და მან ამისთვის პასუხი უნდა აგოს! გამოძიება კიდევ უფრო აქტიური უნდა იყოს, ვიდრე დღესაა. რაც შეეხება გამოშვების საკითხს, ყველას მინდა შევახსენო: **სამწუხაროდ, სასამართლო ჯერ კიდევ არის ის, რაც წინა ხელისუფლების დროს იყო. მას აკონტროლებს ის იუსტიციის საბჭო, რომელიც არის მიხეილ სააკაშვილზე მიბმული. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ გირაოთი დაკავებულ ადამიანებს უშვებს არა ახალი, არამედ ძველი ხელისუფლება.** იმედი მაქვს, რომ უახლოეს პერიოდში, თუნდაც მხოლოდ მოსამართლეები, სამართლის ინტერესებიდან გამომდინარე, თავად გახდებიან გამოძიების ობიექტები და ისინი აგებენ პასუხს არასწორად გამოტანილი განაჩენებისთვის. სწორედ მათ გამო უამრავი უდანაშაულო ადამიანი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

**— რაც შეეხება დასავლეთის პოზიციას დღევანდელ დაჭერებთან დაკავშირებით, რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

— პოლიტიკური დაპატიმრებები დღეს საქართველოში არ ხდება. ეტყობა, დასავლეთს არ ახსოვს, პოლიტიკური ნიშნით როგორ იჭერდნენ სააკაშვილის მმართველობის დროს ადამიანებს ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე. პირადად ჩემს თავზე გამოვცადე მსგავსი რამ. მართალია, ადმინისტრაციული წესით, მაგრამ ჩემ გარდა ძალიან ბევრმა საკუთარ თავზე იწვნია პოლიტიკური ნიშნით დევნა. ზოგმა სიცოცხლეც შესწირა ამ პროცესს, ზოგი კიდევ, იცით თქვენც, სულ ახლახან გამოვიდა ციხიდან. ჯერჯერობით ახალი ხელისუფლების მიერ ამა თუ იმ ადამიანისადმი პოლიტიკურ დევნას ვერ ვხედავ. სამართლებრივი დევნა, არა მგონია, დანაშაული იყოს, რადგან არ შეიძლება ნემსის ქურდი დაიჭირო, როცა აქლემის ქურდი გარეთ თავისუფლად დადის. **სასამართლო, ჩემი აზრით, მთავარ პრობლემას წარმოადგენს. ის ჯერ კიდევ დაკომპლექტებულია იმ დამნაშავეებით, რომლებიც წინა ხელისუფლებაში იყვნენ. იმიტომ ხდება ისე, რომ აკავებენ ადამიანებს და შემდეგ სასამართლო მათ გირაოთი ათავისუფლებს.** ▶

**„იმ რამდენიმე დაკავებამ, რომელიც, ჩემი აზრით, არც იყო სწორად დაგეგმილი და განხორციელებული, ბუნებრივია, დისკრედიტაცია მოახდინა პროცესის. ამ გაწელილ დროში „ნაცმოძრაობამ“ ისიც კი მოახერხა, რომ უკვე საკუთარი პარტია და თავი წარუდგინა საერთაშორისო თანამეგობრობას, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი ოპოზიციური პარტია და რეალურად, უკვე თითოეულ დაკავებაზე ან თითოეულ დაკითხვაზე აკეთებენ ისეთ შეფასებებს, თითქოს ეს ყველაფერი იყოს პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე და პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი.“**

# ჰკა მამათა!

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რაც შეეხება დასავლეთის პოზიციას, სააკაშვილს იქ ყავს ლობისტები, ცალკეული პირები თუ ორგანიზაციები, რომლებსაც ძალიან უხვად უხდიდა ჩვენი, საქართველოს მოსახლეობის ჯიბიდან მოპარულ თანხებს. დღეს ზუსტად ესენი ცდილობენ, ააგორონ ანტიპიარკამპანია ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ და ძველი ხელისუფლების დასაცავად. სინამდვილეში, დარწმუნებული ვარ, იქნება ეს შეერთებული შტატები თუ დასავლეთ ევროპა, ყველა გაერკვევა სიტუაციაში და ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცევა.



**გიორგი სიგუა, „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსი აშშ-ში:**

— ადამიანის გამოშვება არ ნიშნავს პასუხისმგებლობისგან მის გათავისუფლებას. გირაო არის აღმკვეთი ღონისძიება. მისი საქმე არის ძიებაში და, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ის ადამიანი მიიღებს სასჯელს. ის, რომ გირაოთი გამოუშვეს, იმას კი არ ნიშნავს, რომ აბსოლუტურად განთავისუფლდა გამოძიებისგან. ახლა, რატომ შეუფარდეს გირაო და რატომ არ უფარდებს სასამართლო მძიმე დანაშაულში ბრალდებულებს პატიმრობას, ეს უკვე ყველამ ვიცით. ვიცით, ვინაა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ვინ არიან მოსამართლეები. ოქრუაშვილის პროცესი გაიხსენეთ. პროკურატურამ მოითხოვა აღმკვეთ ღონისძიებად გირაო შევუფარდოთო, პატიმრობა მოვუხსნათო და სასამართლომ უარი უთხრა. ახლა ცოტათი როლები შეიცვალა. გამოდის, რომ **ახლანდელი სასამართლო, კუბლაშვილისა და სააკაშვილის ხელში, გადაიქცა ადეიშვილის პროკურატურად. ის მოსამართლეები, რომლებიც წლების განმავლობაში ადამიანებს ერთი პურისა და ერთი ბოთლი ლუდის მოპარვაზე უსჯიდნენ პატიმრობას, და ასეთი ადამიანებით სავსეა დღეს ქართული ციხეები, ასეთი მოსამართლეები არიან „გასვრილები“, რომლებიც ყურებით ჰყავთ დაჭერილი სააკაშვილსა და მის დამქაშებს და ვერ იღებენ მათ საწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს. ამ მოსამართლეებს თავის დროზე 99,9% გამამტყუნებელი განაჩენი გამოჰქონდათ მათთვის, ვისაც იჭერდნენ. ახლა ყველა გირაოთი გამოსაშვებია.** იმედია, განთავისუფლდება ეს სასამართლო ამ წნეხისა და უბედურებისგან. გატარდება სასამართლო რეფორმა და გვექნება თავისუფალი და სამართლიანი სასამართლო. პირველ რიგში, კუბლაშვილის ადგილია ციხეში!

**— რაც გვეტყვით ჩვენი დასავლელი პარტნიორების შენიშვნებზე ახალი ხელისუფლებისადმი, რომ თავი აარიდოს პოლიტიკურად მოტივირებულ სასამართლო პროცესებს?**

— დიპლომატი როცა ამბობს, პოლიტიკური ნიშნით იჭერენო, ის უკვე დიპლომატი აღარაა. ასეთ განცხადებას დიპლომატი არ უნდა აკეთებდეს. რაც შეეხება იმას, რომ საქართველოში პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესები იმართება, ეს ასე რომ იყოს, უკვე გასამართლებული და დაჭერილი უნდა იყოს სააკაშვილი, მთელი ყოფილი მინისტრთა კაბინეტი, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების უმრავლესობა და მთელი მაგათი ამქარი. **სააკაშვილი დაკითხვაზეც უნდა დაიბარონ და ციხეშიც უნდა ჩასვან, ჩემი პირადი აზრი ესაა. თუ ის ციხეში არ მოხვდა, ეს არ იქნება სამართლის აღდგენა ქვეყანაში.**

## ამ მოსამართლეებს თავის დროზე 99,9 პროცენტი გამამტყუნებელი განაჩენი გამოჰქონდათ

**— ანუ ის, რომ არ გამართლდა საზოგადოების მოლოდინი, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ეხილა პასუხისგებაში მიცემული, „ქართულ ოცნებას“ იმიჯს არ ულახავს?**

— დაიჭირეს მერე, არ დაიჭირეს?

**— რეალურად მხოლოდ ბაჩო ახალაია დაიჭირეს. სხვა დანარჩენები გირაოთი გაათავისუფლეს...**

— ყველას დაიჭერენ, დამიჯერეთ. რა გაუკეთოს ახალმა ხელისუფლებამ სასამართლოს, რომელიც ყურმოჭრილი მონაა კუბლაშვილის, სააკაშვილის?! იმ ადამიანთა საქმეები, რომლებიც გირაოთი გაათავისუფლეს, ძიებაშია და მათი გირაოთი განთავისუფლება არ გულისხმობს იმას, რომ ყველა ბრალდება მოეხსნათ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანების უმრავლესობა საკმაოდ სამართლიანად დაისჯება და მათ აუცილებლად ვიხილავთ ციხეში.



**ირაკლი ყიფიანი, სამოქალაქო აქტივისტი:**

— ცივილიზებულ ქვეყნებში, უპირველესად, მოსახლეობა მის მიერ ნდობით აღჭურვილი პარტიისგან თუ ბლოკისგან ითხოვს დაპირებების შესრულებას და, ვფიქრობ, საქართველოშიც ასე უნდა იყოს. სავსებით ლეგიტიმურია ის მოთხოვნები, რომლებიც საზოგადოების მხრიდან ჩნდება იმ დაპირებების შესრულებაზე, რომელთაც „ქართული ოცნება“ ასე უხვად არიგებდა წინასაარჩევნოდ. უპირველესი მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან, რაც მან ახალ ხელისუფლებას წაუყენა, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენაა, თუმცა რეალურად მოხდა ისე, რომ დაიჭირეს მხოლოდ ბაჩო ახალაია, რომელმაც, ვფიქრობ, უფრო თავი შეაფარა ციხეს ჩეჩნების გადამკიდე, ხოლო სხვა დანარჩენი გამოშვებულია ან გირაოთი, ან საერთოდ არ შეხებიან, რომლებზეც მუდმივად აპელირებდა ქართული საზოგადოება და რომლებიც მუდმივად კრიტიკისა თუ ლანძღვა-გინების ობიექტები იყო. მაგალითად, **ივანე მერაბიშვილი სამჯერ ჰყავდათ უკვე დაკითხვაზე, მაგრამ კონკრეტულ ბრალდებას ჯერჯერობით ვერ უყენებენ.**

რაც შეეხება შედეგებს, რა შეიძლება ამ ყველაფერს მოჰყვეს, წინასაარჩევნო დაპირების შესრულება კი დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“, მაგრამ **არის რაღაც ზეწოლა დასავლეთიდან, გამოცხადებულია რამდენიმე ადამიანი, რომელსაც არ უნდა შეეხონ. მე გეტყვით, მაგალითად, ასეთია გიგა ბოკერია. ზუსტად და დანამდვილებით ვიცი, რომ მას ხელს ვერავინ ახლებს.** მიუხედავად „ქართული ოცნების“ ძალიან დიდი სურვილისა, აღადგინოს ქვეყანაში სამართლიანობა, არ შეიძლება არ გავითვალსიწინოთ დასავლეთის მხრიდან ზეწოლა.

სასამართლო ხელისუფლება როგორც სააკაშვილის მმართველობის დროს, ასევე დღეს კვლავ კუბლაშვილის

## არის ზეწოლა დასავლეთიდან, გამოცხადებულია, რომ რამდენიმე ადამიანს არ უნდა შეეხონ, მაგალითად, ასეთია გიგა ბოკერია

ხელშია, მისი სასამართლო ყოველთვის ტენდენციური იყო და, მგონი, არავინ ელოდა, რომ მოვიდოდა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში და კუბლაშვილის სასამართლო გონს მოეგებოდა და დაიწყებდა საქმეების სამართლიანად წარმოებას. რეალურად, პროკურატურა იწყებს საქმის გამოძიებას, შემდეგ სასამართლო უშვებს და „ქართული ოცნება“ უძლურია ამ შემთხვევაში. **უგულავამ იქით დაიბარა გამომძიებლები. მის თავგასულ ქცევებს, მგონი, უკვე შეეჩვია საზოგადოება და არც არავის გაჰკვირვებია, თუმცა მან იცის, რომ ემუქრება ხანგრძლივი სასამართო პროცესები და ცდილობს, პროვოკაციული გამოხდომებით გადაფაროს ეს ყველაფერი.** მაგალითად, როცა ნიკა გვარამია დააკავეს და ატეხეს ერთი ამბავი, რომ აი, თავისუფალ მედიაზე მიდის ზეწოლაო, თუმცა არ იყო მაშინ „რუსთავი 2“-ის დირექტორი გვარამია, როცა უამრავი არაკანონიერი ქმედება ჰქონდა ჩადენილი. ასევე უგულავაც ცდილობს, საკუთარი პროვოკაციის მსხვერპლი გახდეს, წამებულის იმიჯი შეიქმნას, რადგან, თუ დადგება მისი პასუხისგების საკითხი, იტყვის, აი, რამხელა ზეწოლაა ჩემზეო. **უგულავა გამწარებული, დაბეჩავებული ადამიანის პოზიციაშია, რომელმაც არ იცის, რა ქნას, რით გადაფაროს ის დანაშაულები, რომელთაც 9 წლის მანძილზე სჩადიოდა.**



**კახა კახიშვილი, პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორი:**

— ძალიან ბევრი ოჯახი გამწარდა და ძალიან ბევრმა ადამიანმა გადაიტანა რეალურად საკუთარ თავზე რეპრესიული მანქანის მოქმედება. წართმეული ბიზნესები, დანგრეული ოჯახები, უსამართლოდ ციხეებში გატარებული წლები. ჯოჯოხეთური პირობები პენიტენციალურ სისტემაში. სიცოცხლეს გამოსალმებული ადამიანები. ბუნებრივია, რომ უამრავი ადამიანი ელოდა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სამართლიანობის აღდგენას. ამას მოითხოვდა კიდევაც. ჩემი აზრით, დროში ძალიან გაიწელა ეს პროცესი. ზოგ შემთხვევაში ის მოლოდინი, რომ უმაღლესი თანამდებობის პირები, რომლების მიმართაც იყო ეჭვი, რომ მონაწილეობდნენ ან რაღაც დანაშაულში, ან მათ მოქმედებებში შეინიშნებოდა წლების განმავლობაში დანაშაულებრივი ნიშნები, არცაა მათი მოქმედებები ზოგადად პროკურატურის მიერ შეფასებული. **იმ რამდენიმე დაკავებამ, რომელიც, ჩემი აზრით, არც იყო სწორად დაგეგმილი და განხორციელებული, ბუნებრივია, დისკრედიტაცია მოახდინა პროცესის. ამ გაწელილ დროში „ნაცმოძრაობამ“ ისიც კი მოახერხა, რომ უკვე საკუთარი პარტია და თავი წარუდგინა საერთაშორისო თანამეგობრობას, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი ოპოზიციური პარტია და რეალურად, უკვე თითოეულ დაკავებაზე ან თითოეულ დაკითხვაზე აკეთებენ ისეთ შეფასებებს, თითქოს ეს ყველაფერი იყოს პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე და პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი.**

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სასამართლო რჩება „ნაცმოძრაობის“ ხელში, როგორც ბერკეტი, როგორც ეს 9 წლის მანძილზე იყო. ეს სასამართლოც გადავიდა დესტრუქციის რეჟიმზე და ვხედავთ, რომ, ფაქტობრივად, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ბრალდებულებსაც გირაოს უფარდებენ. მაშინ, როდესაც 9 წლის მანძილზე ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის ბრალდებულს არ ჰქონდა საშუალება, პროკურატურის შეამდგომლობაში დასახელებული აღმკვეთი ღონისძიება შეეცვალა. სასამართლო უაპელაციოდ იზიარებდა მხოლოდ და მხოლოდ პროკურატურის მოსაზრებას აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე.

**— რას ფიქრობთ იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი პარტნიორი დასავლეთი და ამერიკა ახალ მთავრობას შენიშვნებს აძლევენ ბოლო დროს საქართველოში გახშირებულ გახმაურებულ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით?**

— საერთაშორისო თანამეგობრობამ კარგად უნდა შეისწავლოს საკითხები და მხოლოდ მას შემდეგ აკეთოს განცხადებები, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდეს საზოგადოების წინაშე. **როდესაც საუბარია იმაზე, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დაპატიმრებები ხდება და სასამართლოებს პოლიტიკური განაჩენები გამოაქვთ, ის მაინც უნდა გაიგონ, რომ სასამართლო დღეს სულაც არ ემსახურება მთავრობის ინტერესებს და ის „ნაცმოძრაობის“ ინტერესების გამტარებელია.** სრულიად ალოგიკურია, როგორ შეიძლება სასამართლო, რომელიც არის „ნაცმოძრაობის“ იარაღი, იყოს გამოყენებული ახალი მთავრობის მიერ იმავე პოლიტიკური გადაწყვეტილებებისთვის. მეორე საკითხია, რომ ასეთი განცხადებების გაკეთება მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის შესაბამისად, ადამიანი შეიძლება იქნას ცნობილი პოლიტპატიმრად რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინებით: როდესაც მას არ აქვს უფლება, ისარგებლოს ნორმალური გამოძიებით, სამართლიანი სასამართლოთი, მის მიმართ ხორციელდებოდა ზეწოლა ან არაადამიანურ პირობებში იხდიდა სასჯელს მისი პოლიტიკური მრწამსის გამო. ასეთ შემთხვევაში, იყო თუ არა პოლიტიკური ზეწოლები და პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებები, ეს გაირკვევა მხოლოდ და მხოლოდ საქმეების არსებითი განხილვის დროს, როდესაც რეალურად საზოგადოებას ექნება საშუალება, მიადევნოს ყურადღება, კონკრეტულად რა მტკიცებულებებით წარსდგა პროკურატურა კონკრეტული ადამიანების ბრალის მტკიცების პერიოდში სასამართლოზე. თუ, რა თქმა უნდა, არ იქნება საკმარისი მტკიცებულებები და არსებული მტკიცებულებები საიმედო არ იქნება, ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ, ხომ არ ჰქონდა ადგილი ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკურ მოტივაციას,

**ევროსტრუქტურების ის წარმომადგენლები, რომლებმაც რეალურად ხელი უნდა შეუწყონ იმას, რომ ქვეყანაში იყოს დამოუკიდებელი, აპოლიტიკური მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც იმოქმედებს პრინციპით, რომ მის წინაშე ყველა თანაბარია, ისეთი რჩევებით უნდა გამოვიდეს, რომ არც ერთ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირს არ უნდა ჰქონდეს ინდულგენცია კანონის მოთხოვნების წინაშე, დღეს უკვე აკეთებენ ასეთ განცხადებებს. რაც მთავარია, საკუთარ ქვეყნებში ასეთ განცხადებებს ვერ გააკეთებენ, უბრალოდ, იმიტომ, რომ იქ ვერ გაუგებენ, რა უნდათ.** ასე რომ, ცოტა უცნაურია, რომ ერთის მხრივ, გთხოვენ ისეთ სტანდარტს, რომელიც ითვალისწინებს ადამიანების თანასწორობას კანონის წინაშე და, მეორე მხრივ, წლების მანძილზე შეფასება საერთოდ არ გაუკეთებიათ იმასთან დაკავშირებით, რომ ევროპაში პირველ ადგილზე ვიყავით პატიმრების რაოდენობით, იმაზე, რომ პრეზიდენტს პირდაპირ ჰქონდა გამოცხადებული საპარლამენტო ტრიბუნიდან ნულოვანი ტოლერანტობა, შეფასება არ გაუკეთებიათ იმაზე, რომ ქუჩაში ხალხს ხვრეტდნენ, ქონებას ართმევდნენ უაპელაციოდ და დღეს უკვე რაღაც განცხადებებით გამოდიან. თანმიმდევრულები რომ იყვნენ, ჩემი აზრით, უკეთესი იქნებოდა.

**ლილი მიროტაძე**

საქართველო და მსოფლიო

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „მიხეილ სააკაშვილს შეუძლია სიტყვით საკუთარ სახლში გამოვიდეს, მაგრამ, თუ ამბობს, რომ ხალხის წინაშე უნდა გამოსვლა, მაშინ კეთილი ინებოს და ხალხს დაელაპარაკოს."



## მიშა მესხი: უამრავჯერ გვცემეს, მაგრამ ერთ ელჩს არ ამოუღია ხმა, როცა გვირტყამდნენ და გვაწამებდნენ

**8 თებერვალს, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარ ინციდენტში „ნაციონალური მოძრაობის" წევრები ახალი ხელისუფლების მხარდამჭერებს ადანაშაულებენ. ხელისუფლების წარმომადგენლები კი პირიქით აცხადებენ, რომ 8 თებერვლის ინციდენტის გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დაიწყო, თუმცა „ნაციონალები" გამოძიებას ხელს შეგნებულად უშლიან. პოლიტპატიმრების საპროტესტო აქციის ორგანიზატორები — მელორ ვაჩნაძე და მიშა მესხი — სასამართლო დარბაზიდან 100-100-ლარიანი ჯარიმის სანაცვლოდ ინციდენტიდან მეორე დღესვე გაათავისუფლეს. ინციდენტის მიზეზებზე „საქართველო და მსოფლიოს" მელორ ვაჩნაძე და მიშა მესხი ესაუბრებიან.**





## მელორ ვაჩნაძე: უნდა რცხვენოდეს ვითომ მთავარსარდალს და ვითომ პრეზიდენტს, როდესაც მოკლული ახალგაზრდების მემორიალს მახინჯ ქვას უწოდებს

**— ვინ იყვნენ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან შეკრებილი ადამიანები და რა იყო შეკრების მიზანი?**

**მელორ ვაჩნაძე:**

— ეროვნულ ბიბლიოთეკაში სააკაშვილის გამოსვლის ჩაშლას ნამდვილად არ ვაპირებდით, როგორც ეს „ნაციონალური მოძრაობის" მხრიდან იქნა შემდეგ ინსპირირებული. ჩვენ მხოლოდ გვსურდა, სააკაშვილის გამოსვლას ათი კაცი დასწრებოდა. სიაც შევადგინეთ, რომელიც ნანა კაკაბაძემ გადასცა მანანა მანჯგალაძეს, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა, მისმა ზონდერ-ჯგუფებმა, „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატებმა თუ თბილისის მერმა სპეციალურად მოაწყვეს იქ არეულობა, რათა სააკაშვილს ჰქონოდა მიზეზი, არ მისულიყო.

**მიშა მესხი:**

— ზოგიერთი ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს აქციაზე იყვნენ სპეციალურად მოგზავნილი ადამიანები, რომლებსაც ფულს უხდიდნენ, სრული სიცრუეა. **8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მშვიდობიანი აქციის გამართვას ვაპირებდით და გვსურდა, „სირცხვილის დერეფანში" გაევლო მიხეილ სააკაშვილს, თუმცა სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც იქ მივიდნენ „ნაციონალური მოძრაობის" პროვოკატორები, ასევე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი თენგიზ გუნავა და თბილისის მერი გიგი უგულავა, რომლებმაც საკუთარი საქციელით გააღიზიანეს აქციაზე მყოფი ადამიანები.** კადრებში კარგად ჩანს, როგორ იქნევდა ხელებს უგულავა. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ მოუწოდებდნენ პოლიციელები თენგიზ გუნავას, შესულიყო ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში, მაგრამ ის შეგნებულად არ შედიოდა. ამიტომ საუბარი იმაზე, თითქოს პოლიცია არ მოქმედებდა მართებულად, არასწორია. **პირველად ვნახე პოლიცია, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავდა და ხალხის გვერდით იდგა, მაგრამ ადამიანებს პოლიციელების ასეთი საქციელი უკვირთ, რადგან პოლიციელებისგან ხელკეტებით ცემას არიან მიჩვეულები.**

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად მართებული იყო თქვენი ქმედება — ხელი შეგეშალათ პრეზიდენტის გამოსვლისთვის? ეს ფაქტი „ნაციონალურმა მოძრაობამ" სათავისოდ საკმაოდ კარგად გამოიყენა.**

**მიშა მესხი:**

— ვფიქრობ, „ნაციონალურმა მოძრაობამ" თავისი ნამდვილი სახე დაანახა ქართულ საზოგადოებას. გამოჩნდა, როგორ ცდილობდნენ „ნაციონალები" ხალხის პროვოცირებას, რადგან ახლა ძალაუფლება არ აქვთ და ეს აგიჟებთ. **მიხეილ სააკაშვილს შეუძლია სიტყვით საკუთარ სახლში გამოვიდეს, მაგრამ, თუ ამბობს, რომ ხალხის წინაშე უნდა გამოსვლა, მაშინ კეთილი ინებოს და ხალხს დაელაპარაკოს.**

**ჩვენი მოთხოვნა იყო მართებული, ჩვენ გზა არ გადაგვიკეტავს და არ გვითქვამს, რომ არ შესულიყო სააკაშვილი ეროვნულ ბიბლიოთეკაში, თუმცა, ვფიქრობ, მას თავად შერცხვა და შეეშინდა „სირცხვილის დერეფანში" გავლის. თუ ელჩები შევიდნენ ეროვნულ ბიბლიოთეკაში, სააკაშვილი რატომ ვერ შევიდოდა?**

**მელორ ვაჩნაძე:**

— მე პირადად ვფიქრობ, რომ „ნაციონალებმა" სათავისოდ ეს ფაქტი ვერ გამოიყენეს და ყველამ კარგად დაინახა, რომ ინციდენტი მათ მიერ იყო პროვოცირებული. ჩვენ გვაქვს გამოხატვის თავისუფლება. თუმცა „ნაციონალები" არაადეკვატურად იქცევიან და ჭორებს ავრცელებენ, თითქოს პოლიტპატიმრებმა ნანა კაკაბაძეს ფული გადაუხადეს, იძახიან, თითქოს ფორმალური შს მინისტრები ვიყავით, თითქოს იმ დღეს სატელეფონო საუბრები გვქონდა მე და ნანა კაკაბაძეს და ხელისუფლებიდან დირექტივებს ვიღებდით. არადა, **ვერავინ იტყვის, რომ ჩემთვის ან ნანა კაკაბაძისთვის ოდესმე დირექტივები მოუცია. ასე ის ადამიანები ფიქრობენ, რომლებიც ყოველთვის მონასავით ცხოვრობდნენ და იმართებოდნენ. ცილისწამებისთვის სასამართლოს წინაშე ყველა პასუხს აგებს.**

ყოფილმა პოლიტპატიმრებმა საჩივარი უკვე შევიტანეთ პროკურატურაში იმ პროვოკაციის გამო, რამაც განაპირობა 8 თებერვალს შეკრებებისა და მანიფესტაციების და აზრის გამოხატვის თავისუფლებისთვის ხელის შეშლა და მშვიდობიანი აქციის ჩაშლა. შევხვდით გენერალურ პროკურორს. მან გვითხრა, რომ აუცილებლად განიხილავს ამ საქმეს და დეტალურად იქნება გამოძიებული, ვის მიერ იყო დაგეგმილი და რას ემსახურებოდა აღნიშნული პროვოკაცია.

**— მელორ, თქვენც ხშირად გადანაშაულებენ აგრესიულ ქმედებებში, მიიჩნევთ, რომ 8 თებერვალს სამართლიანად დაგაპატიმრეს?**

— რაც შეეხება ჩემს აგრესიას, მთელი დღის მანძილზე ვცდილობდი, დერეფანი გაგვეკეთებინა და მშვიდობიანი აქცია ჩატარებულიყო. თენგიზ გუნავას მოსვლის შემდეგ ძალიან დაიძაბა სიტუაცია, ის ძალიან აგრესიულად და უზრდელურად იქცეოდა, მეც ადამიანი ვარ და გავღიზიანდი, მაგრამ ჩემს ქმედებაში არ ყოფილა კანონდარღვევა და არ უნდა ვაგებდე და არც ვაგე პასუხი კანონის იმ სიმძიმით, როგორც „ნაციონალები" მოითხოვდნენ. პოლიცია 15-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას ითხოვდა, მაგრამ ვინაიდან მოსამართლემ ვერ ნახა ვერანაირი კანონდარღვევა, გაგვათავისუფლეს. იმ დღეს გურამ დონაძე, რომელიც მკვლელობის თანამონაწილედ ითვლება, გირაოთი გაათავისუფლეს და ჩემი საპატიმროში გამომწყვდევა არაადეკვატური იქნებოდა.

**— მიხეილ სააკაშვილმა უახლოეს მომავალში კვლავ რომ გადაწყვიტოს სიტყვით გამოსვლა, ისევ გააპროტესტებთ?**

**მიშა მესხი:**

— მიხეილ სააკაშვილი არასდროს ყოფილა ჩემი პრეზიდენტი, მაგრამ დღეს ის ვადაგასული პრეზიდენტია და მისი დრო საქართველოში უკვე დასრულდა. სადაც კი შემხვდება, იქნება ეს აქცია, რესტორანი თუ წვეულება, ყოველთვის გამოვხატავ საკუთარ პროტესტს მის მიმართ, რადგან ამ ადამიანმა მეც და ჩემი მეგობრებიც 9 წლის განმავლობაში გვაწამა. სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა დასრულდა და ის ღირსეულად თანამდებობიდან უნდა წავიდეს.

**მელორ ვაჩნაძე:**

— მე ყოველთვის გავაპროტესტებ, სანამ მიხეილ სააკაშვილი კიდევ ებღაუჭება სავარძელს. ვინაიდან მის მმართველობას უკავშირდება ქვეყნის უკუსვლა და უამრავი ახალგაზრდის სიკვდილი, ათასობით პოლიტპატიმრის არსებობა ქვეყანაში. **უნდა რცხვენოდეს ვითომ მთავარსარდალს და ვითომ პრეზიდენტს, როდესაც მოკლული ახალგაზრდების მემორიალს მახინჯ ქვას უწოდებს. ეს მემორიალი თავისუფლების სიმბოლოა და სააკაშვილს არ აქვს მორალური უფლება, მას შეურაცხყოფა მიაყენოს.**

**— 8 თებერვლის ინციდენტი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი უარყოფითად არ აისახება ახალი ხელისუფლების იმიჯზე?**

**მელორ ვაჩნაძე:**

— მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი დღეს მოღალატეობრივ პოლიტიკას ატარებენ, რათა საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს და ახალ ხელისუფლებას როგორმე იმიჯი შეულახონ და საერთაშორისო საზოგადოებას მოაჩვენონ, თითქოს საქართველოში დემოკრატიას საფრთხე ემუქრება. სინამდვილეში საქართველოში ყველა კარგად ხედავს, რომ არჩევნების შემდეგ შეთითხნილი ბრალდებით ადამიანებს უკანონოდ აღარ აპატიმრებენ, ახალგაზრდებს ქუჩაში აღარ ხვრეტენ, ბიზნესს აღარ დევნიან და ვფიქრობ, ეს ბევრად თავისუფალი საზოგადოებაა, ვიდრე აქამდე იყო. ვფიქრობ, **ლობისტური კომპანიების მცდელობა, შელახონ ხელისუფლების იმიჯი, მალე კრახით დასრულდება. საერთაშორისო საზოგადოება სიმართლეს მალე გაიგებს** და ეს პატარა გაუგებრობა მოგვარდება.

**მიშა მესხი:**

— უამრავჯერ გვცემეს, მაგრამ ერთ ელჩს არ ამოუღია ხმა, როცა გვირტყამდნენ და გვაწამებდნენ. აქციაზე იყვნენ ადამიანები, რომლებსაც საკუთარი პროტესტის გამოხატვა სურდათ. აქ არაფერ შუაში არ იყო არც ირაკლი ღარიბაშვილი და არც ბიძინა ივანიშვილი. სააკაშვილმა დღესვე რომ დაითხოვოს პარლამენტი, „ნაციონალური მოძრაობა" 5%-იან ბარიერსაც ვერ გადალახავს. ეს ადამიანები „მაგრები" მაშინ იყვნენ, როდესაც ძალაუფლება ჰქონდათ.

**— ტელევიზიით გავრცელდა ჩიორა თაქთაქიშვილისა და გიგა ნასარიძის ცემის კადრებიც...**

**მიშა მესხი:**

— მე შეიძლება პროტესტი გამოვხატო, მაგრამ ცემას არ მივესალმები, თუმცა უნდა ვთქვა, რომ ქუჩაში მოდიან მოქალაქეები, სხვათა შორის ქალებიც, და ჩიორა თაქთაქიშვილისა და გიგა ნასარიძის მიმართ დიდ აგრესიას გამოხატავენ. ამბობენ, კიდევ მეტად რატომ არ სცემესო.

**— თქვენ საპატიმროდან ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გათავისუფლდით. რა ვითარება იყო და როგორ გექცეოდნენ ციხეში?**

**მიშა მესხი:**

— ქუთაისის სასჯელაღსრულების №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში ვიმყოფებოდი. როდესაც სასამართლოში მივყავდი, გზად ხშირად მინახავს სისხლის გუბეები. თუმცა იყვნენ ისეთი ციხის თანამშრომლებიც, რომლებიც ადამიანურად იქცეოდნენ. ციხის უფროსი იყო ბაჩო ახალაიას მეგობარი, ვინმე ჯიჭონაია, რომელიც მემუქრებოდა და მოითხოვდა, თმა შემეჭრა, გარკვეული ვადაც მომცა. საბედნიეროდ, შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა და გამათავისუფლეს.

**მელორ ვაჩნაძე:**

— პოლიტპატიმრებზე ფიზიკურ ზეწოლას ერიდებოდნენ, ვინაიდან ჩვენი ბედით დაინტერესებულები იყვნენ როგორც საერთაშორისო საზოგადოება, ასევე არასამთავრობო სექტორი, თუმცა ძლიერი იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა. მემუქრებოდნენ. თუ ავად იყავი სათანადო მკურნალობას დროულად არ ჩაგიტარებდნენ, რაც ასევე ერთგვარი წამება იყო, რადგან დიდი ხნის განმავლობაში ვიყავი ცუდად და არანაირი დახმარება არ აღმომიჩინეს. დამთრგუნველი იყო ის ფაქტიც, როცა ვხედავდი ჩემს გვერდით რომ ვილაცებს აწამებდნენ. **საპატიმროებში წამების ამსახველი ვიდეოკადრები არის მცირედი ნაწილი იმისა, რაც ციხეში რეალურად ხდებოდა. ბევრი პატიმრის სიკვდილის ფაქტი გაასაღეს თვითმკვლელობად — ვითომ ინფარქტი დაემართა ან საწოლიდან ჩამოვარდა, რაც ტყუილია, სინამდვილეში პატიმრებს ცემით კლავდნენ.**

**ესაუბრა შორენა ციცქარაშვილი**

„ჩვენ წინააღმდეგ ჩადენილ ყველა ქმედებას ზურა ადეიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო სანდო და უღალატო შემსრულებლები დავით კეზერაშვილი და მამუკა ხაზარაძე იყვნენ.

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ანზორ ქოქოლაძე: «თიბისი ბანკი», ფინანსურ პოლიციასთან და პროკურატურასთან ერთად, ყველა უკანონო და თაღლითურ ქმედებაში მონაწილეობდა

**სააკაშვილის გუნდის წევრების ბიძურ საქმეებზე ხალხიც დაიღალა საუბრით და ჩვენც — წერით. იმაზე უკვე ყველანი შევთანხმდით და აღარ ვდავობთ, რომ ქვეყანას ბევრი უკანონო პატიმარი ჰყავდა. ეს პატიმრები ციხეებში რა მდგომარეობაში იყვნენ, ისიც ყველამ ვიცით, ვინ აწამებდა ამ ადამიანებს და როგორი მეთოდებით, ესეც ცნობილია. ისე, პრინციპში, კაცმა რომ თქვას, დაფარულიც უკვე აღარაფერი დარჩა. „ნაცმოძრაობას“ ციხეებში უკანონო პატიმრებისა და პოლიტპატიმრების გარდა, ასე ვთქვათ, ბიზნეს პატიმრებიც ბევრი ჰყავდა. ბიზნესმენის დაჭერა, რომელიც საკმაოდ დიდ ფინანსებს ფლობს, ალბათ, ადვილი საქმე არ არის, რადგან ის ფულს გადაიხდის და სიმართლეც მის მხარეზე იქნება. ბევრი ბიზნესმენი ასეც იქცეოდა. ხდებოდა ისეც, რომ სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები ფულის „შესაწერად“ მიდიოდნენ და ხელცარიელებიც არ ბრუნდებოდნენ. მაგრამ იყვნენ ბიზნესმენები, რომლებიც ვერ ხვდებოდნენ, სააკაშვილისთვის ფული რატომ უნდა გადაეხადათ და, რადგან ვერ ხვდებოდნენ, უკვე სხვა მეთოდებით იწყებოდა ურჩთა წინააღმდეგ მუშაობა. ახლა ამნისტიით გათავისუფლებული ბიზნესმენების უნრავლესობა ბიზნესის წართმევასა და გაკოტრებაში „თიბისი ბანკის“ ხელმძღვანელს, მამუკა ხაზარაძეს, სდებს ბრალს. „საქართველო და მსოფლიო“ ერთ-ერთ მათგანს, „ელიტ ელექტრონიქსის“ ხელმძღვანელ ანზორ ქოქოლაძეს ესაუბრა.**



**— საიდან და როდის დაიწყო წინა ხელისუფლებამ თქვენი განადგურება?**

— ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა 2007 წლიდან დაიწყო. ფინანსურმა პოლიციამ, რომელსაც იმ დროს დავით კეზერაშვილი ხელმძღვანელობდა, „ელიტ ელექტრონიქსს“ უკანონოდ 14 მილიონი ლარი ჯარიმა დაარიცხა, შემდეგ საყოფაცხოვრებო ტექნიკის 7 კონტეინერი ერთი წლის მანძილზე საბაჟოზე უკანონოდ იყო დატყვევებული. ასევე 2007 წელს მსოფლიო ბანკის შვილობილ კომპანია IFC-თან (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) მიღწეული შეთანხმება, 10 მილიონი დოლარის ინვესტიციასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მხრიდან მიზანმიმართული ხელშეშლის გამო ჩაიშალა. იმავე წელს დაგვიპატიმრეს სამი წამყვანი თანამშრომელი უსაფუძვლო ბრალდებებით და იმავე დღეს საეჭვო ვითარებაში ხანძარი გაუჩნდა „ელიტ ელექტრონიქსის“ ცენტრალურ საწყობს, რამაც 10 მილიონამდე ზარალი მოგვაყენა. მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან დაუნდობელი ქმედებებისა და ხელშეშლისა, მიუხედავად 2008 წლის ომისა და ფინანსური კრიზისისა, ჩვენ მოვახერხეთ, ყველა სირთულე გადაგველახა და 2009 წლიდან კვლავ დავიწყეთ ბიზნესის განვითარება ჩვეული, კანონიერი გზებითა და მეთოდებით. ზუსტად ამ პერიოდში „ელიტ ელექტრონიქსში“ დამატებითი ინვესტიციების საკითხზე ევრობანკთან მოლაპარაკებები დასრულდა, რის საფუძველზეც ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქციონერი ხდებოდა. **ნაციონალური ხელისუფლება ხედავდა, რომ, თუ „ელიტ ელექტრონიქსის“ აქციონერები იქნებოდნენ ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, როგორიც ევრობანკი და IFC-ია, ზეწოლა და თაღლითური მეთოდებით „ელიტ ელექტრონიქსის“ საქმეების დაუფლება გაუჭირდებოდა.**

ამიტომ მათ უკვე, ასე ვთქვათ, ვა-ბანკზე წასვლა გადაწყვიტეს და ტერორი დაიწყო. დააყადაღეს „ელიტ ელექტრონიქსის“ უძრავ-მოძრავი ქონება, თიბისი ბანკს წილი ფარულად გადაუფორმეს, ხოლო შემდეგ, რამდენიმე დღეში უკანვე დაგვიბრუნეს, რადგანაც აშკარად იშიფრებოდნენ საკუთარ უკანონო ქმედებებში. გადაფორმებული და უკან დაბრუნებული წილის შესახებ რეესტრის ამონაწერიდან ჩვენ მოგვიანებით შევიტყვეთ. რადგან ყველა მათი ნაბიჯი გავშიფრეთ და უკან დახევას არ ვაპირებდით, შეეცადნენ, უფრო ლეგალური გზით დაუფლებოდნენ „ელიტ ელექტრონიქსის“ ქონებას. რა ითვლებოდა ლეგალურ ქმედებაში, ახლავე მოგახსენებთ: **ხელისუფლებამ ყოვლად უკანონოდ თიბისი ბანკს ჯერ „ელიტ ელექტრონიქსის“ მართვის უფლება მიანიჭა, შემდეგ კი ფარულად 116 000 ლარად აქციების 55% გადაუფორმა, მოგვიანებით ბანკმა თავის კუთვნილებაში არსებული აქციები კეზერაშვილის ახლობლის, იოსებ მგელაძის, კუთვნილ ფირმას „ელიტ-ეფლაინს“ გადაუფორმა. ეს ფაქტი ძალიან აშკარა და თვალშისაცემი იყო, ამიტომ გადაწყვიტეს, კვალი დაეფარათ და „ელიტ ელექტრონიქსი“ საბოლოოდ ისევ კეზერაშვილის ახლობლის, ოღონდ ახლა უკვე უცხოეთის მოქალაქის, ვინმე მიხეილ ბენიამინის სახელზე გადაფორმდა.**

**— რა იყო მიზეზი იმისა, რომ ასე ჩაგიდგნენ ჯიბრში?**

— ჩვენ წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების ძირითადი მიზეზი ორი რამ იყო: ერთი, რომ ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა, მოეცილებინა ყველა მისთვის მიუღებელი ბიზნესმენი, მიუღებელი ერქვა ყველა იმ ბიზნესმენს, რომლებიც მათ ღონისძიებებსა და საარჩევნოდ კოლოსალური თანხებით დახმარებაზე უარს ეუბნებოდნენ, ასეთი ბიზნესმენების რიცხვს განვეკუთვნებოდით ჩვენ და, რადგან კარგი თვალით ისედაც არ გვიყურებდნენ, **2007 წლის საპროტესტო აქციების შემდეგ ჩვენი განადგურების მიზეზიც მოძებნეს. „ელიტ ელექტრონიქსის“ თანამშრომლები საპროტესტო აქციებზე შენიშნეს და მათი სამსახურებიდან გაშვება მიგვთხოვეს, რაზეც ჩვენ უარი განვაცხადეთ.** ასეც რომ არ ყოფილიყო, ის, რაც ჩვენ დაგვატყდა თავს, მაინც მოხდებოდა, რადგან მათ აუდიო-ვიდეო, მობილური ტელეფონების, საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ტექნიკის ბაზრის მონოპოლიზება ჰქონდათ განზრახული, ამისთვის კი საჭირო გახდა, პირველი დარტყმა „ელიტ ელექტრონიქსისთვის“ მიეყენებინათ.

**— როგორ იცავდით თავს?**

— თავის დასაცავად, ფაქტობრივად, ყველანაირი კანონიერი გზით ვიბრძოდით, **ხელისუფლების მხრიდან ჩადენილი ყველა უკანონო ქმედება ჯერ საქართველოს სამართლებრივ სივცრეში, შემდეგ კი სტრასბურგში გავასაჩივრეთ, ვიბრძოდით ბოლომდე. რადგან მიხვდნენ, რომ ბრძოლას თავს არ დავანებებდით, დაიწყეს დაპატიმრებები. პირველი მე დამაპატიმრეს, თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით, შემდეგ ეს მუხლი შემიცვალეს და თაღლითობისა და დოკუმენტების გაყალბების მუხლით გამასამართლეს. ჩემ შემდეგ ჩემი ოთხი უახლოესი ადამიანი დაიჭირეს. მათი დაპატიმრების მიზეზი ის იყო, რომ ჩემ წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემაზე უარი განაცხადეს.**

„ელიტ ელექტრონიქსის“ წინააღმდეგ მიმართულ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულნი არასამთავრობო ორგანიზაციები: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებათა ცენტრი, „თავისუფლება უკანონო პატიმრებს“, მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენს დაცვაში.

ვცდილობდით, ყველა ეტაპზე პროცესები გამჭვირვალე ყოფილიყო და შესაბამის განცხადებებსაც ვაკეთებდით მანამ, სანამ 2010 წლის 3 აგვისტოს ჩემი დაპატიმრების ორდერი არ გასცეს. საპყრობილეში ერთი წელი და ათი თვე დავყავი.

**ჩემს განთავისუფლებას პატრიარქი ითხოვდა, ის ციხეშიც მობრძანდა ჩემს სანახავად, სწორედ მისი დამსახურებაა, მე ცოცხალი და ჯანმრთელი რომ გამოვედი.** ციხის ჯალათები ერიდებოდნენ ჩემზე ფიზიკურ ძალადობასა და ზეწოლას, მხოლოდ ფსიქოლოგიური ზეწოლით შემოიფარგლნენ.

**— ვინ ასრულებდა ხელისუფლების დაკვეთებს თქვენ წინააღმდეგ?**

— ჩართული იყო მთელი სახელმწიფო სისტემა: პროკურატურა, ფინანსური პოლიცია, საგადასახადო სამსახური, თბილისის მერი, სასამართლო და პენიტენციალური სისტემები, „თიბისი ბანკი“ და ა.შ.

**ჩვენ წინააღმდეგ ჩადენილ ყველა ქმედებას ზურა ადეიშვილი ხელმძღვანელობდა, ხოლო სანდო და უღალატო შემსრულებლები დავით კეზერაშვილი და მამუკა ხაზარაძე იყვნენ.**

თიბისი ბანკი, ფინანსურ პოლიციასთან და პროკურატურასთან ერთად, ყველა უკანონო და თაღლითურ ქმედებაში მონაწილეობდა. გითხარით კიდეც: ის მათი საიმედო პარტნიორი იყო, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ჩვენ წინააღმდეგ ტერორი მიმდინარეობდა, თიბისი ბანკი მათ გვერდით იდგა. სამწუხაროდ, ჩვენი საქმე არ იყო გამონაკლისი. **„თიბისი ბანკმა“ სხვა უამრავ შემთხვევაშიც ხელისუფლებას ბევრი ბინძური საქმე შეუსრულა.**

„თიბისი ბანკთან“ 1998 წლიდან საკმაოდ კარგი თანამშრომლობა და ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გაუძლო ცდუნებას და ცუდი როლი შეასრულა.

მე როგორც არ უნდა დავზოგო ისინი, ფაქტები მათ წინააღმდეგ მეტყველებს, მათ ხომ მთელი ჩვენი ქონება თავისთვისაც კი არ დაიტოვეს, კეზერაშვილის ფირმებს გადაუფორმეს.

**ხაზარაძე იყო ერთ-ერთი შემსრულებელი სააკაშვილის ხელისუფლების იმ ბინძური საქმეებისა, რომლებიც მთავრობისთვის მიუღებელი ბიზნესმენების მოსაცილებლად და ქონების ნებისმიერი გზით ხელში ჩასაგდებლად იგეგმებოდა.** ის ხელისუფლებას თაღლითურ ქმედებებს „უპრავებდა“.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

## «ჩემი დაკითხვა თავისუფალ მედიაზე ზეწოლაა»

**ტელეკომპანია „იმედის“ ყოფილი გენერალური დირექტორი და მთვარი აქციონერი გიორგი არველაძე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მის დაბარებას და დაკითხვას თავისუფალ მედიაზე ზეწოლად აფასებს.** არველაძის თქმით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან შესაბამისი უწყება მას მას შემდეგ გაეგზავნა, რაც მის მიერ დაარსებულ ინტერნეტპოლიტიკურ პორტალ „პოლიტიკო.გე“-ზე წინასაარჩევნო პერიოდში გახმაურებული ბარბარე რაფალიანცის საქმის ჟურნალისტური გამოძიება განთავსდა.

**„მე ვარ ინტერნეტპოლიტიკური პორტალის — „პოლიტიკო.გე“-ს მთავარი რედაქტორი. ამ პორტალზე შაბათს ღამით დაიდო ჟურნალისტური გამოძიება ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით, სადაც გამოიკვეთა ბევრი ახალი გარემოება. სწორედ ამ მასალის დადების შემდეგ, რამდენიმე საათში მომივიდა შეტყობინება ფინანსური პოლიციიდან, რომელშიც ეწერა, რომ დაბარებული ვიყავი დაკითხვაზე“,** — განაცხადა არველაძემ.

გიორგი არველაძის თქმით, საგამოძიებო ორგანომ კითხვები მას ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით დაუსვა, დეტალებზე, თუ როგორ მოხდა აღნიშნული ტელეკომპანიის პატარკაციშვილების ოჯახისთვის გადაცემა.



კოლეგა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ცხრა წელიწადი, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ ქებით ცაში აჰყავდათ, ამბობდნენ, რომ ისინი კარგი და ჭკვიანი მენეჯერები არიანო, მე საწინააღმდეგოს ვამტკიცებდი, მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ამათზე უტვინო ხელისუფლება ძნელი წარმოსადგენია. ესენი თავიანთი მმართველობის მეორე წელსვე „დაიწვნენ“, აშკარად გამოჩნდა, რანიც იყვნენ და რანიც არიან. ახლაც ცდება, ვინც მიიჩნევს, რომ ისინი მომგებიან პოზიციაში იმყოფებიან.“**

# მამუკა ღლონტი: «ნაცმოძრაობას» ყოველთვის ყელში ვყავდით გაჩხერილი, მაგრამ ვერ ჩაგვძირეს

**მასპინძელმა მითხრა, რომ მდივანი არასოდეს ჰყოლია: არ უფროსობს, არ პოზიორობს. ასეთია მისი ცხოვრების წესი.**
**მასპინძელი მამუკა ღლონტია, „მაესტროს“ რადიოს გენერალური დირექტორი და ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთი მესაკუთრე. იგი ამჟამად „ჰიბრიდული არხის“ პროექტზე მუშაობს, იდეურ საფუძველს უქმნის ორ ახალ არხს.**
**მამუკა ღლონტი დერეფნის ბოლოს, გადატიხრულში ზის. ბუნებრივი უბრალოება, საქმიანი სივიწროვე და კედელთან მიყუდებული ველოსიპედი. კედელზე — მეორე: ველოსიპედი-საათი. დროის მსვლელობის სიმბოლო თუ მინიშნება, რომ ამ „კაბინეტის“ პატრონი ახალი ველოსიპედის გამოგონებით გატაცებას არ აპირებს.**
**პრაქტიკოსია, რაიც იმ მედიასივრცეზე აისახება, რომელსაც ხელმძღვანელობს. მედიასივრცე, სახელად „მაესტრო“, რომლის 18-წლიანი ისტორია (13 თებერვალს სწორედ ამდენი წელიწადი მიითვალა), კაცობრიობის ისტორიისა არ იყოს, ომების ისტორიაა, ზოგჯერ იქამდეც მისულა საქმე, რომ გარედან თვალის მდევნელი გამოსავალსაც ვერ ხედავდა.**



**— თქვენ დაძლიეთ. როგორ მოახერხეთ, რა გზებითა და საშუალებით?**

— ერთი პერიოდი გვქონდა, როცა „რუსთავი 2“-მა კინაღამ გაგვაკოტრა, მაშინ, როცა მისი მაქინაციებისა და უკანონობის მიზეზით, არა მარტო ვერ ვიხდიდით არენდას, არამედ 80 ათასი დოლარი ვალი დაგვედო, რაც ჩვენთვის უზარმაზარი თანხა იყო. რამდენიმე მესაკუთრემ მაშინ თქვა, დავანებოთო თავი ამ ტელევიზიას: ან ცალ-ცალკე წავიდეთ, ან რაღაც სხვა გზა მოვნახოთო.

არასოდეს მსურდა ხელმოცარულად დარჩენა, ამიტომ ვუთხარი ჩვენს ჟურნალისტებს, თუ დაიღალეთ, ენერგია აღარ გაქვთ, ეგებ დროებით სადმე დაიწყოთ მუშაობა, ოჯახი რომ არჩინოთ. მე და ბაჩო კიკაბიძე, დღევანდელი გენერალური დირექტორი, გავაკეთებთ საკაბელოების ქსელს-თქო. არავინ წასულა. დარჩნენ და მართლაც გავაკეთეთ ეს ქსელი. და „მაესტრო“ მწყობრში ჩადგა.

პირველ ეტაპზე ენთუზიაზმითა და ახალგაზრდული ენერგიის ხარჯზე ვძლევდით სიძნელეებს. შემდეგ სამართლიანობისთვის ბრძოლამ შეგვკრა და გაგვაძლიერა, თუნდაც იმ სამართლიანობისთვის, რომელიც უშუალოდ ჩვენ გვეხებოდა და რომელიც ქვეყანას სჭირდება.

**ვიბრძოდით, უკან არ ვიხევდით, რადგან მართლები ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წლის განმავლობაში „ნაცმოძრაობას“ ყოველთვის ყელში ვყავდით გაჩხერილი, მაგრამ ერთი შავი ლაქა ვერ მოგვიძებნეს ჩვენს საქმიანობაში, ვერ ჩაგვძირეს.**

მთავარი სამართლიანობისთვის ბრძოლის ჟინი და სურვილი იყო.

**— და თქვენ მოგყვებოდათ ჟურნალისტების გუნდი?**

— საქმე ის არის, რომ „მაესტროში“ გვაქვს მართვის სხვებისგან განსხვავებული სტილი, რომელიც უშუალო ურთიერთობებით არის გამორჩეული სამუშაო ადგილზე თუ მოცალეობის ჟამს. ძალიან თბილი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა — ტყუილის თქმა გამორიცხულია; არ ვმალავთ, როცა გვიჭირს, მაგალითად, ფინანსურად, როცა შეგვიძლია ხელფასების გაზრდა, ამასაც პირდაპირ ვამბობთ. პოზას არავინ იჭერს. კრიტიკულ პერიოდებშიც სჯერათ ჩვენი.

ყველაფერ ამის გამო 150-კაციანი კოლექტივი გამოგვყვა ჩვენ, როცა კიწმარიშვილი შეეცადა ჩვენს დაშლას და გათიშვას.

**— ალბათ, თქვენამდეც აღწევს მაყურებლების ხმა, რომელთა გაღიზიანებას იწვევს „ნაციონალთა“ მომაბეზრებელი სახეები — გოკა გაბაშვილი, ჩიორა თაქთაქიშვილი, თეა თუთბერიძე, დავით დარჩიაშვილი და ა. შ. თავი დაგვანებონ, დაგვასვენეთო.**

— როგორც კი ეს ადამიანები აღარ იქნებიან აქტუალურები, ვეღარ მოხვდებიან ჩვენს ეკრანზე. მაგრამ დღეს აქტუალურები არიან. ამათ მარტო ჩვენთან კი არა, ევროპულ ფორუმებზეც კი უსმენენ. თუ ჩვენ მათ აღარ გამოვაჩენთ, ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აღარ იარსებებენ.

**თუ ჩვენ არ მოვიწვევთ, ისინი „რუსთავი 2“-ზე აღმოჩნდებიან და იმ ტელემაუწყებლობის რეიტინგს გაზრდიან, ის არხი გაძლიერდება. სანამ დებატებს მაღალი რეიტინგი აქვს, ჩვენ იძულებული ვიქნებით, მოვიწვიოთ ეს ადამიანები. ამიტომ ვთვლით, რომ სწორი გზით მივდივართ.**

## «არანაირი გამართლება არ აქვს რატიანის მიერ ჭიქის დამსხვრევას პირდაპირ ეთერში. რაც გინდა ეთქვა დავითაშვილს, წამყვანისთვის ჭიქის მაგიდაზე დაბრახუნების ნება შენთვის არავის მოუცია!»



**— თეა სიჭინავას „არგუმენტებში“ პირდაპირ ეთერში რაც მოხდა — დავითაშვილისა და რატიანის ფიზიკური ჯახის თქვენეული შეფასება, თუ შეიძლება.**

— არც ერთ მხარეს არ ვამართლებ. პოლიტიკოსს უნდა ჰქონდეს არა მარტო თმენის, არამედ ზეთმენის უნარი და ვალდებულება. კობა დავითაშვილს არ ვამართლებ იმიტომ, რომ მან კარგად იცის, ვისთან მოდის სადებატოდ: „ნაცები“ ყოველთვის, თეთრზე შავიაო, ამბობენ, აბსურდს ლაპარაკობენ, ადამიანისთვის გაუგებარ რამეებს. თუნდაც ის, როცა სერგო რატიანი ეუბნებოდა კობას, რატომ იხსენებო ძველს? კობას ადგილზე მე ვუპასუხებდი, რომ 8 თებერვალიც ძველია და შენ რატომ იხსენებ-მეთქი. „ნაცმოძრაობის“ წევრებს ალოგიკურობა არ აწუხებთ.

**— მარტო ალოგიკურობა?!**

— და ელემენტარული ზრდილობის დაცვის აუცილებლობა. როცა კაცმა ლამის თავზე დაამტვრია ჭიქა პროგრამის წამყვან ახალგაზრდა ქალს, იმ კაცს რა ლოგიკა უნდა მოსთხოვო, რომელ წესიერებაზე უნდა ელაპარაკო?! ამის გამკეთებელი თუ ხარ, პოლიტიკას უნდა შეეშვა, საჯაროდ გამოსვლაზე ხელი უნდა აიღო და, საერთოდ, შინიდან არ უნდა გამოდიოდე. რომ მოხვედროდა ჭიქის ნატეხები თეა სიჭინავს და სახეზე ნაჭრილობევი დაემჩნია, მაშინ რას იზამდა?! თუ ამდენი თავშეკავება არ გაქვს, თუ ამდენი არ გესმის, დაჯექი, შვილო, შინ და კომპიუტერული თამაშებით გაერთე!

**მაყურებელს პომპეზურად კი მოუხადა ბოდიში, მაგრამ რატიანს თეა სიჭინავა არ გახსენებია, ანუ ის ადამიანი, რომელიც აშკარა საშიშროების წინაშე დააყენა.**

ერთიცაა, მიუხედავად იმისა, „ნაცმოძრაობის“ წევრს ელაპარაკები თუ სხვა პარტიის წარმომადგენელს, ტელეეკრანზე რომ ხარ და საკუთარ აზრს მაყურებელს რომ უზიარებ, იქ მუშტები არ უნდა გჭირდებოდეს.

**— უგნურის უკანასკნელი არგუმენტი მუშტიაო.**

— მუშტის მომქნევი მილიონია და ამას პოლიტიკოსობა არ სჭირდება.

**— მით უფრო, რომ მოწინააღმდეგე პოლიტიკურმა ძალამ შეიძლება სათავისოდ აიტაცოს, რაც გააკეთა კიდეც „რუსთავი 2“-მა და საპარლამენტო უმცირესობამ. იგივე არ ჩანს კოალიციის მხრიდან, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მან ყველაფერი მორალისტობითა და დიდაქტიკური მოწოდებებით ამოწურა.**

— ცხრა წელიწადი, როცა „ნაციონალური მოძრაობა“ ქებით ცაში აჰყავდათ, ამბობდნენ, რომ ისინი კარგი და ჭკვიანი მენეჯერები არიანო, მე საწინააღმდეგოს ვამტკიცებდი, მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ამათზე უტვინო ხელისუფლება ძნელი წარმოსადგენია. ესენი თავიანთი მმართველობის მეორე წელსვე „დაიწვნენ“, აშკარად გამოჩნდა, რანიც იყვნენ და რანიც არიან. ახლაც ცდება, ვინც მიიჩნევს, რომ ისინი მომგებიან პოზიციაში იმყოფებიან.

არავითარ შემთხვევაში!

ისინი კვლავ თეთრზე შავის თქმას არ იშლიან, მათ წინააღმდეგ პოლიტიკურ „ზეწოლაზე“ ლაპარაკობენ, მაგრამ **ყველამ ძალიან კარგად იცის, მათ შორის, ევროპაშიც, ამერიკაშიც, ვინც არიან ისინი და რასაც წარმოადგენენ. ილუზიაა, რომ თითქოს „ნაცები“ რაღაცას „აპრავებენ“. პირიქით — ყველა პუნქტში წაგებულები არიან, ვერც ვერასოდეს მოიგებენ. „ნაცები“ ისტორიას არიან ჩაბარებული.**

არანაირი გამართლება არ აქვს რატიანის მიერ ჭიქის დამსხვრევას პირდაპირ ეთერში. რაც გინდა ეთქვა დავითაშვილს, წამყვანისთვის ჭიქის მაგიდაზე დაბრახუნების ნება შენთვის არავის მოუცია!

თვითონვე ავრცელებენ იმ ხმებს, რომლებზეც თქვენ მიანიშნეთ. გაიკითხეთ ხალხში და აშკარა გახდება, რომ არანაირი პოზიცია, არანაირი პიარი, არანაირი გავლენა ხალხზე მათ არ აქვთ.

**სააკაშვილმა, რომელსაც ჰყავდა კორუმპირებული პოლიცია, კორუმპირებული პროკურატურა, სასამართლო, ჯარი, ზონდერები, ტელევიზიები და ა.შ., ვერ მოიგო არჩევნები. დღეს, მით უფრო, მარცხდება, რადგან უტვინოა და უტვინოები ჰყავს შემოკრებილები.**

**— ეს დღეებია, სიახლეებით გვაოცებს თქვენი ეკრანი.**

— საინფორმაციო ფორმატს საქართველოს მცირე სარეკლამო ბაზარზე თავის რჩენა არ შეუძლია. ყველაზე ძვირი ჯდება საინფორმაციო პროგრამის მომზადება. მის გადასარჩენად ვაკეთებთ მეორე არხს — გასართობ არხს, რომელიც ბევრად იაფია, შემოსავალი კი განუზომლად დიდია. ჩვენი მთავარი ამოცანაა, შევინარჩუნოთ ის ძირითადი პოლიტიკური არხი, რომელსაც ჰქვია „მაესტრო“. გვექნება „მაესტრო“ და „მაესტრო 24“, როგორიც არის France 24 ან Россия 24. საერთო მიმართულების ტელეარხზე, წესისამებრ, გვექნება სერიალიც, რეალითი შოუც, მუსიკალური პროგრამაც.

**— ის, რაც უკვე გამოჩნდა ეკრანზე, ჩემი აზრით, ადასტურებს, რომ ძებნა სწორი მიმართულებით მიმდინარეობს.**

— ჩვენ, ფაქტობრივად, ექსტრემალურ ვითარებაში ვმუშაობთ, არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ გადაცემა თვეების მანძილზე ვამზადოთ. გარკვეულწილად ორმოში ვიმყოფებით, საიდანაც ამოსვლის ძალიან მოკლე დრო გვაქვს მოცემული. ის, რაც ეთერში უკვე გადის ან გავა, თანდათან დაიხვეწება და ერთ თვეში ნორმალურ სახეს მიიღებს.

**— თუ „არგუმენტების“ ეთერში მომხდარ ფაქტს დავუბრუნდებით, ხომ არ მიიჩნევთ, რომ წამყვანმა ისე ვერ წარმართა თავის პროგრამა, ინციდენტი თავიდან რომ აეცილებინა და ორი განრისხებული მამაკაცი ერთმანეთს არ მივარდნოდა ანგარიშის გასასწორებლად?**

— ვერ ვიტყვი, რომ ეს წამყვანის ბრალი იყო. კობა დავითაშვილი მზად უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ მისი ვიზავი შეეცდებოდა წყობილებიდან მის გამოყვანას. მარტივ მაგალითს მოვიხმობ: **სააკაშვილი არასოდეს აცხადებდა, სად და როდის მიდიოდა. დღეს ამას აკეთებს, რათა კვერცხები ესროლონ და ხალხს დაჩაგრულად წარმოუდგინოს თავი. კობას უნდა გაეთვალისწინებინა სააკაშვილის პიარის ასეთი ტაქტიკური ცვლილება, რომელსაც გაიმეორებდნენ უმცირესობის წევრი აქტივისტები.**

პირდაპირ ეთერში ჩხუბი და აყალმაყალი მსოფლიოს ყველა წამყვან ტელევიზიაში ხდება. თეა სიჭინავა ინციდენტამდე მთელი ათი წუთის განმავლობაში ცდილობდა დაპირისპირებულთა დამშვიდებას.

**— მაგრამ წავიდა ის დრო, როცა ქალის თეთრი მანდილი ვაჟკაცებს ამოღებულ ხმლებს ქარქაშში ჩააგებინებდა.**

— ანკესზე წამოგების პროვოცირება „ნაციონალების“ სტილი ყოველთვის იყო. მაგრამ მე, იცით, რა მაინტერესებს? ოქტომბრის შემდეგ რას იზამენ ისინი, როცა სააკაშვილი აღარ იქნება აქტუალური, თუ მიაღწია საერთოდ ოქტომბრამდე.

ტელევიზია ვერ დამალავს ამ დაავადებას. ვამბობ, ვწერ „ფეისბუქზე“ და მინდა თქვენი მეშვეობითაც ვკითხო ჩვენს მაყურებლებს: რა გინდათ, ნახოთ ეკრანზე — ის, რაც გსურთ, თუ ის, რაც ხდება?

ხდება კი ის, რომ სააკაშვილი და „ნაცები“ დამთავრდა.

რაც ხდება, მათი უკანასკნელი გაფაფხურებაა.

**ესაუბრა**
**არმაზ სანებლიძე**

**„ერთმა ქალბატონმა მითხრა, მართალია, ღმერთის წყალობით და ბიძინას წინამძღოლობით გავთავისუფლდით ამ მაჯლაჯუნებისგან, მაგრამ, ამათ რომ ვუყურებ, სულიც, ნერვებიც და სხეულიც ერთიანად მითრთის და მიცახცახებსო. ამ მდგომარეობას ხალხი უცებ ვერ მოერევა. დროა საჭირო. გულში ვერ ჩაიხუტებ ყველას.“**

მოვლენის კვალდაკვალ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გურამ ფირცხალავა: ეზიზღებათ ეს შობელძაღლი და ამიტომ ესროლეს კვერცხები

**„საქართველო და მსოფლიოს“ დღევანდელ ნომერს საქართველოს სახალხო არტისტი გურამ ფირცხალავა სტუმრობს.**
**რედაქციაში მოსულს გავაცანი ზოგიერთი გამოხმაურება ქალბატონ მარინა ჯანაშიას ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ინტერვიუზე, კერძოდ, ნაციონალ-ბოლშევიკების ორი კერპთაყვანისმცემლის კომენტარი. პირველი — ვინმე „ანა“ წერდა: „აი, ზუსტად ასეთები არიან, გამუდმებით სიძულვილს რომ თესავენ. ჟურნალისტი კი ადგა და ტაში დაუკრა“.**
**მეორე — ვინმე „ნაციონალი“, რასაც წერდა, თქვენც გადაავლეთ თვალი, ჩვენო განათლებულო მკითხველებო, და „აღივსეთ შურით“: „რა სამწუხაროა, ვოცა ჟურნალისტობას გაბრალებენ, შენც იცი რომარ ხარ, მაგრამ რაღაცით ხომ უნდა ირჩინო თავი. ან მარინა რომელი პოლიტიკოსი ნახე, რომ პოლიტიკაზე ესაუბრები? ეგ არის ჩვენი, ქართველების პრობლემა. ყველამ ჩვენი საქმე რომ ვაკეთოთ, ყველაფერი ხუთიანზე იქნება. მაგრამ არა, ყველა პოლიტიკოსები ვართ, თვით მეხინკლე და 20000 დოლარის, თუ ლარის მონა დავითაშვილიც, ან ბესელია ფულის მონა, ან ზვიადაური, ან თვითონ ბიძინა, მოკლედ ქართველების მომავალი ბურუსით არის მოცული. ამაზე კი დღეს უფრო გამიმძაფრდა შეგრძნება. რაო ევროპამ უთხრა ქოცებს აახვიეთო, პრინციპში ქოცებს კი არა მთელ საქართველოს გვითხრეს ქოცებუს გამო“.** ***(სტილი, კორექტურა დაცულია).***



**ბატონმა გურამმა ეკრანზე წაიკითხა ამ ღვარძლიანი ადამიანების ნაწერი და აღშფოთდა:**

— მარინა ჯანაშია — ბრწყინვალე მსახიობი, შესანიშნავი ადამიანი, სიკეთით სავსე ოჯახის შვილი და ოჯახის პატრონი, თემო გოცაძის, ჩემი ძმის, ბრწყინვალე მხატვრის ღირსეული მეუღლეა.

ხელი როგორც არ მოტყდა ამ პასკვილის დამწერს, ის მიკვირს.

თუმცა რა უნდა გვიკვირდეს ჩვენ, ამ ქვეყნის შვილებს, რომელთა სულის მოწამვლასაც ასეთი მონდომებით ცდილობდა ცხრა წლის განმავლობაში ყოფილი ხელისუფლება?! ზოგი მოწამლა და იმათი წარმომადგენლები არიან უზნეო ნაწერის ავტორებიც.

ადამიანი რასაც დასთესს, იმას იმკის. ისე არ არის საქმე, სიმღერაში რომაა ნათქვამი — „ვარდი დავთესე, მოსულა ია“.

ბოროტებას თესავდნენ და მოსავალიც ადეკვატური მიიღეს.

ქალბატონი მარინა წუხს: „ჩემი თავი დავიჭირე საშინელ რაღაცაში: ვამბობდი, რომ კარგია ის, რაც ხდება, ახია, ღირსნი არიან! ერთხელ მაინც იწვნიონ თავის თავზე, რაც ცხრა წლის განმავლობაში ჩვენ გადავიტანეთ, ყველამ, სრულიად საქართველომ, იმიტომ, რომ, რაც მათ ჩაიდინეს, იმისი პატიება არ შეიძლება“.

ნიშანს კი არ უგებს, შეწუხებულია და სიმართლეს არ ღალატობს.

ასე არ იყო?!

ჩვენ, „სახალხო კრების“ წევრები ქარელის რაიონში მეუფე იობს ვსტუმრობდით. მან გვითხრა: **„ჩემო შვილებო, ფიზიკური ოკუპაცია სულიერთან შედარებით არაფერია. ჩვენს ტერიტორიებს ადრე თუ გვიან დავიბრუნებთ. სულიერი ოკუპაციიდანაა ძნელი თავის დახსნა. სულიერ ოკუპაციას განახორციელებენ ეს უცნაური ადამიანებიო** (ხელისუფლებაზე ამბობდა), **სულს უნგრევენ ერსო“.**

ყველა ხომ ვერ მოითმენს, განსაკუთრებით, ნატანჯი და ციხეში ნაწამები ადამიანები. ქალზე ხელის აღმართვას ვერ გაამართლებ, მაგრამ ისიცაა, არ უნდა შეყო ცხვირი იქ, სადაც საჭირო არ არის, ხალხს არ უნდა უძახო „მონებო“ და „მოღალატეებო“.

ბრბოდ არ უნდა მოიხსენიო ხალხი!

არადა, მოიხსენიეს „ინტელექტუალებმა“.

სპეციალურად აღიზიანებდნენ აქციის მონაწილეებს. ეს ჩიორაც და მეორე, პატარა გოგო რომ არის, თქვენი კოლეგა...

***— ირმა ნადირაშვილი.***

— დიახ, ნადირაშვილი. თვალნათლივ ჩანდა, რომ პროვოცირების ანკესზე სურდათ ხალხის წამოგება. **„აბა, ჰე, აბა, მოდით, დადგით შოუ!“ — ვინ ყვიროდა, ვინ იწვევდა პოლიტპატიმრებს? დედაქალაქის მერი! ზუსტად იქ შევიდა, სადაც აღელვებული ხალხი იდგა.** ბიჭო, აგერაა დერეფანი, შედი, გაიარე, პოლიცია დაგიცავს.

ვითომ არ იცოდნენ, საიდან უნდა შესულიყვნენ საჯარო ბიბლიოთეკაში, ვითომ არავის უთქვამს.

ნაბრძანები ჰქონდათ, იქ შეჭრილიყვნენ! ეს ხომ აშკარად ჩანს, ჩემო ბატონო.

**ერთმა ქალბატონმა მითხრა, მართალია, ღმერთის წყალობით და ბიძინას წინამძღოლობით გავთავისუფლდით ამ მაჯლაჯუნებისგან, მაგრამ, ამათ რომ ვუყურებ, სულიც, ნერვებიც და სხეულიც ერთიანად მითრთის და მიცახცახებსო.**

**ამ მდგომარეობას ხალხი უცებ ვერ მოერევა. დროა საჭირო. გულში ვერ ჩაიხუტებ ყველას.**

იმ ნაწერის ავტორები ან იმათი ახლობლები არიან, ვინც ხალხს ყვლეფდა, ან იმათთაგანი თავად.

ფოთში მაქვს ჩემი დედ-მამის ნახევრადაშენებული სახლი. ჩემი დაშანტაჟება მოინდომეს და დამაბრალეს, რომ სახლი მივითვისე ჩემი მშობლების ანდერძის გაყალბების გზით (!)

მაშინდელმა სასამართლომ განაჩენი გამოიტანა და მიწერა აღმასრულებელს — ჩამოართვითო. გადაწყვეტილება კი მიიღო, თუმცა სვლა ვერ მისცა, იმდენად აშკარა სიყალბე იყო. მაგრამ ჩემამდე მოაღწია ამ ქაღალდმა — სპეციალურად, საგანგებოდ, დასაშანტაჟებლად: ეგონათ, შევშინდებოდი და ნაცების მხარეს გადავიდოდი.

ის სახლი კი არა, ყველაფერი, რაც მაბადია, რომ წაერთმიათ, ამათთან გარიგება როგორ შეიძლებოდა!

**არ არსებობს სფერო, რომელშიც ამათ ცხვირი არ შეყვეს და არ დააბინძურეს, არ მოწამლეს, არ ააოხრეს, არ დატანჯეს ხალხი: ფიზიკურად, სულიერად.**

ამათ მხარს რომ დაუჭერ, არ ვიცი, რა ადამიანი ხარ!

**— დარწმუნებული ვარ, ნახეთ დავითაშვილის და რატიანის ჩხუბის დებიუტი „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში.**

— კი, ბატონო.

**— ამ ინციდენტის შეფასება პარლამენტის თავმჯდომარეს რომ სთხოვეს, დავით უსუფაშვილმა უპასუხა: მე საბურთალოს ამომრჩეველი ვარ. ორივე საბურთალოს მაჟორიტარობაზე კენჭს რომ იყრიდეს, არცერთს არ მივცემდი ხმასო. თქვენ როგორ მოიქცეოდით, ბატონო გურამ?**

— *(ეცინება)* მე კობას მივცემდი ხმას, იმიტომ, რომ ამათ ორჯერ მოკლეს ეს კაცი. ორჯერვე სასწაულად გადარჩა. ვერ გატეხეს. მაინც იბრძოდა. გაიმარჯვა და კიდევ ურტყამენ. კობა დინჯი კაცია, წონასწორობას იოლად ვერ დააკარგვინებ, მაგრამ ესენი ისეთი არსებები არიან, რომ შეუძლიათ ადამიანი გაგიჟების ზღვარზე მიიყვანონ. ასე რატომ იქცევიან, ვერ გავიგე, ეს მათთვის ხომ წამგებიანია: უფრო მეტად შეიზიზღებს ხალხი.

ერთმა რამემ გამაკვირვა. ამერიკის ელჩი ეკითხება აქციაზე მისულ ღვთისმსახურს, მამა ელიზბარს, შესანიშნავ ადამიანს — აქ რატომ ხართო?

— ჩვენ იმიტომ ვართ მოსულიო, — მამა ელიზბარი განუმარტავს, — რომ ამ კაცს (სააკაშვილს) პრეზიდენტობის ვადა გაუვიდა და დროზე, გვინდა, რომ წავიდესო.

ამხელა კაცია, ელჩია, დამაინტერესა, რას უპასუხებს-მეთქი და ყური ვცქვიტე:

— აი იქო, ბიბლიოთეკასთან ძალადობას ჰქონდა ადგილი.

სად მამა ელიზბარის შეკითხვა და სად ბატონ ნორლანდის პასუხი?!

**ყრუ ხარ თუ მოიყრუე? ბრმა ხარ თუ თვალი აარიდე? კარგი, რა, ბატონებო. თუ ასეთი რამე გჭირს, ელჩად რატომ მოდიხარ? გაეცი კაცს პასუხი! ასეთი რაღაცეები მართლა მაკვირვებს, მაგიჟებს და მაძულებს ამერიკასაც და ევროპასაც.**

**ეს ევროპელებიც რომ მივიდნენ ჩიორასთან, რომელმაც საწოლამდე ვერ მოასწრო მისვლა თუ რა, და ატამანკაზე წამოიშხლართა. რა იყო ეს? მართლა სასაცილოა — სამარცხვინო და სასაცილო.**

**— კინოფილმებში თქვენ ვაჟკაც პერსონაჟებს განასახიერებთ.**

— დადებითსაც და უარყოფითსაც *(იცინის)*.

**— იმათი პოზიციიდან მითხარით, ვინმე შეურაცხყოფას რომ მოგაყენებს, უნდა დაფიქრდე, აწონ-დაწონო, სისხლის სამართლის კოდექსის რომელ მუხლს მოგიყენებენ, თუ ისე უპასუხებ, როგორც იმსახურებს?**

— *(ეცინება)* არ არსებობს! თუ კაცური საწყისი დევს ადამიანში, ასეთ შემთხვევაში კანონი არ გახსენდება.

კობა, დარწმუნებული ვარ, არ დაარტყამდა რატიანს, რადგან თითქმის დაინვალიდებულია — ორჯერ სცემეს, კონდახი ურტყეს თავში. მოკვდაო, ამბობდნენ. იმათ ხელიდან მოკლულია. ღია ეთერში ჭიქას თავზე რომ დაგამტვრევენ, ადგები და მიხვალ შეურაცხმყოფელთან, აბა რას იზამ?! კობაც მივიდა. იმან კი თხლიშა. ისიც ვერ გააკეთა — კარგად ვერ გაარტყა.

**— ე.ი. კაცის შინაგანი აღელვება...**

— უფრო მეტია, ვიდრე კანონი. უნდა ანახო მოწინააღმდეგეს, შეურაცხმყოფელს, რომ ის არაკაცია. ჭკუაზე რომ გადაგიყვანენ, გააკეთებ იმას, რაც შეგიძლია. „ჯავრი არ სჭამონ მტრისანი“, — ხომ გაგიგიათ, ისე.

**როცა კაცს ღირსებას შეულახავენ, სულში ჩააფურთხებენ, რა დროს სისხლის სამართლის კოდექსზე ფიქრია?!**

**კობას მე არ ვამტყუნებ.**

არც უსუფაშვილია მტყუანი: პარლამენტის თავმჯდომარეა და ასე უნდა თქვას. ძალიან კარგი ბიჭია და პარლამენტის ძალიან კარგი თავმჯდომარე.

**ვერ დაივიწყებ, რაც სისხლში გაქვს. ამათ დაივიწყეს ყველაფერი ქართული. ეროვნული ამათ არაფერი სცხიათ. მიკვირს, ციდან ხომ არ ჩამოვარდნენ, როგორ შეიქმნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არაფრად აგდებენ ქართულ ზნეობას, ვაჟკაცობას, პატიოსნებას?! უცებ შექუჩდნენ...**

**— პრეზიდენტი კი ენის მოჩლექით გველაპარაკება...**

— თქვა კიდეც ქალბატონმა მარინამ, უნიჭო მსახიობიაო. „ტუფტა“ იყო.

**— ეს, კრავად ქცეული კაცი, თანამზრახველების წრეში რომ აღმოჩნდება, დედამიწას ქალამნად ამოიცვამს და შეურაცხყოფის შადრევანს ამოუშვებს. ხომ გახსოვთ, მთავრობაზე რა თქვა — როცა გაიგეს დასავლეთ საქართველოში მივდიოდი, მთელი მთავრობა დაოთხილი ჩავიდაო. ბრბო გვიძახეს, ახლა ცხენებს გვადარებენ. რა არის ეს, ბატონო გურამ?**

— ავადმყოფობაა. კი თქვა ბერძენიშვილმა, არ არის მაგი გიჟიო, მაგრამ ნორმალური კაცი ასე მოიქცევა?! ან საშინელი ბოროტია. მაგრამ ბოროტი ჭკვიანი უნდა იყოს, თავის მიზნებს რომ მოაღწიოს, არა? ბოროტი სულელებიო, კარგად თქვა გუბაზ სანიკიძემ.

**— დამთავრდება დაპირისპირება სააკაშვილი რომ წავიდეს?**

— ხშირად მიფიქრია, ხომ არ ჯობია, მთელი ხალხი მივიდეთ მაგის სასახლესთან და ვუთხრათ — წადი რა, შე ოჯახაშენებულო, წადი რა! არც გარეთ გამოვუშვათ. მაგრამ უკან რა მექაჩება, იცით? არ შევარდეს ხალხი, არ დაამთავროს ყველაფერი და დაწვას ის „რაიხსტაგი“. შეიძლება თვითონ წაუკიდოს ცეცხლი.

**— როგორც ნაცისტებმა არჩევნების წინ — რაიხსტაგს 1933 წლის 27 თებერვალს. ჰიტლერმა მაშინ ეს ტერაქტი კომუნისტებს დააბრალა.**

— პროვოკაცია ამათი ხერხია. ამიტომ ეგებ ჯობდეს, როგორც გვითხრეს, მივაჩანჩალოთ ოქტომბრამდე. მივაჩანჩალოთ, მაგრამ შიგადაშიგ ესენი მაინც მოაწყობენ პროვოკაციებს.

მე კარგი წამალი მაქვს: საერთოდ არ ველაპარაკოთ.

**— ევროპა რომ თანაცხოვრებისკენ მოგვიწოდებს, კოაბიტაციისკენ?**

— კი, ბატონო, დავუჯდეთ და ხმა არ ამოვიღოთ. მუნჯად ვიყოთ *(ვიცინით გულიანად)*.

**თუ ეტყვი ჭკვიანურს და კარგს, რიკოშეტს გაგიკეთებენ, ცუდს ეტყვი და — გვაგინებენ, ადამიანის უფლებებს არღვევენო.**

**— „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“?**

— ეგრეა. ამათი დახასიათებისთვის სიტყვები არ მყოფნის, უძლური ვარ.

ბებიაჩემი, უბრალო მშრომელი ადამიანი, ჩვენს სოფელზე, ლესიჭინეზე, მეუბნებოდა, როცა ძალიან გაგვიჭირდებოდა, ყოველთვის გამოჩნდებოდა კარგი ხელმძღვანელი, რომელიც კოლმეურნეობასაც წინ წაწევდა, ხალხსაც მეტ შრომადღეს გამოამუშავებინებდა და ფეხზე დაგვაყენებდაო. ზოგჯერ მოვიდოდა ისეთი უნიჭო კაცი, რომელიც ამ ყველაფერს წაშლიდა და მიწასთან გაასწორებდაო.

ასეთი კაცი იყო საქართველოსთვის სააკაშვილი.

**მადლობა ღმერთს, გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც ჭაობიდან ამოიყვანა ჩვენი ქვეყანა. უფლის ხელი ურევია მის გამოჩენაშიო, თქვა რეზო ჩხეიძემ. ეს ადამიანი ბიძინა ივანიშვილია. 18 თებერვალს მისი დაბადების დღე იყო. ვულოცავ ჩვენს ქვეყანას ამ კაცის დაბადების დღეს, და, მოდით, ერთად ვიბრძოლოთ საქართველოს გაბრწყინებისთვის.**

**— მიშას სამეგრელოში კვერცხები რომ ესროლეს?**

— ეზიზღებათ ეს შობელძაღლი და ამიტომ ესროლეს კვერცხები!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შვეიცარიაში ჯარისკაცებს კვირაში ორი დასვენების დღე აქვთ, საპირფარეშოებს არ აშენებენ, კარტოფილს არ თლიან, ჭურჭელს არ რეცხავენ, ღობეებს არ ღებავენ — ამ ყველაფერს კერძო ფირმები აკეთებენ. და ბოლოს, რაც ყველაზე საოცარია, ჯარისკაცი საყარაულოდაც კი არ დადის. მთელ შავ სამუშაოს ჯარში კერძო ფირმები ასრულებენ.**

# მშვიდობის სახელით

**ვინმემ იცის, რომელია მსოფლიოს ყველაზე მილიტარიზებული ქვეყანა? მინიშნება: ეს არ არის აშშ, არც რუსეთი, არც ისრაელი და, გვაპატიოს კიმ ჩენ ირმა, არც ჩრდილოეთ კორეა. პასუხი ყველას გააოცებს, მაგრამ სულ ტყუილად. წარმოიდგინეთ სახელმწიფო, რომელსაც მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი ჯარში ჰყავს. სახელმწიფო, რომელშიც 20-დან 50-წლამდე ასაკის ყველა მამაკაცი სამხედრო მოსამსახურეა და, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, იარაღი მუდამ სასთუმალქვეშ უდევს. სახელმწიფო, რომელიც 50 წლის შემდეგაც, უბრალოდ, გჩუქნის იარაღს და უხარია, თუ კუბოს კარამდე გიხილავს პოლიგონებზე. სახელმწიფო, რომელიც იხვეწება, მისმა მოქალაქეებმა ფასდაკლებით იყიდონ პისტოლეტი მაინც, თუ შაშხანა არა. სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია, 22-ათასიანი არმია ორ საათში 650 ათასიანად, ორ დღე-ღამეში კი 1,7-მილიონიან (შედარებისთვის: აშშ-ის არმია 1,3-მილიონიანია, ამდენივეა რეზერვში, ხოლო ჩინეთის არმიაში 2,4 კარისკაცი მსახურობს, რეზერვში 1 მილიონია) გაწვრთნილ, ორგანიზებულ და კარგად შეიარაღებულ არმიად აქციოს.**



ახლა წარმოიდგინეთ, რომ მსოფლიოს ყველაზე მილიტარიზებული ქვეყანა, რომელშიც თითქმის ყველა მოქალაქე კბილებამდეა შეიარაღებული, ჟენევიდან დავოსამდე და ციურიხიდან ლუგანომდე გვირაბებით, ატომსაწინააღმდეგო თავშესაფრებით, იარაღის საცავებით ძირგამოთხრილი მთებია, სარაკეტო-საარტილერიო საცეცხლე წერტილები კი პირდაპირ გრანიტშია ამოკვეთილი.

შვეიცარია მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა არაა, რომელსაც საკადრო-მილიციური სტრუქტურის არმია ჰყავს. ზოგიერთი მიმართულებით ზუსტად ანალოგიური პრინციპითაა აგებული, მაგალითად, ბუნდესვერი, რომელიც საბჭოთა „კადრირებული“ დივიზიების რაღაც დიდი ანალოგია. მოკლედ რომ ვთქვათ, სისტემა ასეთია: ცოტა ჯარისკაცი, ბევრი საკადრო ოფიცერი და უნტეროფიცერი, ბევრი რეზერვისტი, სასწავლო შეკრებები და ჯარის შეკრება მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს საჭიროა.

**შვეიცარიული იდეის თავისებურება ისაა, რომ „ხალხი და არმია ერთიანია“.**

რეალურად ეს შემდეგნაირად გამოიყურება:

ქვეყანაში სულ 9 000 საკადრო სამხედრო მოსამსახურეა, ძირითადად — ავიაციაში, ერთდროულად მსახურების ან გადამზადების პერიოდი დაახლოებით 10-15 ათას ჯარისკაცს უწევს. ჯარისკაცებს 90-დღიანი გაწვევები აქვთ, რომლის დასრულების შემდეგაც სახელმწიფო მებრძოლს აძლევს პირად იარაღს ორი სავსე სავაზნით, სამხედრო ფორმის სამ კომპლექტს წლის ნებისმიერი დროისთვის, აღჭურვილობას, ჯავშანჟილეტსა და ჩაფხუტს. გაწვევის შემდეგ ჯარისკაცი სახლში ამ ყველაფრით დაზურგული ბრუნდება და შემდეგ ინახავს, როგორც სურს, ინვენტარს და იარაღს არავინ შეუმოწმებს.

32 წლის ასაკამდე ჯარისკაცი არის „აუსცუგ“ მდგომარეობაში, 42 წლამდე — „ლანდვერი“, ხოლო 50 წლამდე — „ლანდშტურმი“. „აუსცუგის“ რიგითი ათი წლის მანძილზე თავის ნაწილში სამკვირიან რვა შეკრებას გაივლის, „ლანდვერი“ — ორკვირიან სამ შეკრებას, „ლანდშტურმი“ კი — ორკვირიან ერთ შეკრებას. როგორც კი ჯარისკაცს 51 წელი შეუსრულდება, მას ოფიციალურად გაათავისუფლებენ არმიიდან, ჩამოართმევენ შაშხანას, პისტოლეტს და მთელ აღჭურვილობას, სამაგიეროდ აჩუქებენ სხვა იარაღს და სამობილიზაციო მიწერილობას ტოტალური მობილიზაციის შემთხვევისთვის.

**შვეიცარიის არმიის თავისებურება რეზერვისტი ოფიცრების გაძლიერებული მომზადებაა. ოფიცრობის მსურველები გადიან დამატებით შეკრებებს, ერთი რანგით წინ წაწევა დაახლოებით უდრის შეკრებების 100 დღეს ჯამში.** სხვათა შორის, ამის გამო მუდამ უკმაყოფილონი არიან სამსახურში დამქირავებლები, რომლებიც ამბობენ, რომ მათი თანამშრომლები კანონიერად გაურბიან ცოლებსა და სამსახურს და ბიჭების პიკნიკებზე სროლებით ირთობენ თავს. თუმცა, ცხადია, ეს ასე არაა, შეკრებებზე ნამდვილად მიმდინარეობს წვრთნები. ამ შეკრებებისას თავისუფლად შეიძლება ტყვიამფრქვევის გვერდით იწვე და შენს მომავალ უფროსს, ცნობილ პოლიტიკოსს ან სულაც მეზობელს, ესაუბრო, რადგან შეკრებებიდან ვერავინ დაიხსნის თავს, აბსოლუტურად ვერავინ — ვერც სტუდენტი და ვერც თავად პრეზიდენტი, ცხადია, თუ ქალი არაა.

**და იცით, რამდენია 7,5-მილიონიანი მოსახლეობის ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი? თითქმის ხუთი მილიარდი დოლარი. შეიარაღებაში მრავალი რამაა — 800-ზე მეტი ტანკი და ჯავშანმანქანა (420 ლეოპარდ-2, 150 ს-109). ქვეყანაში, რომლის სიგრძეც სულ 300 კილომეტრია, აქვთ 14 ესკადრილია 350-ზე მეტი საბრძოლო თვითმფრინავით, 120 სასწავლო თვითმფრინავითა და 100 ვერტმფრენით. პარკი მუდმივად განახლებადია და ისეთ შემთხვევები, როგორიც ამერიკაში ხშირად ხდება და რომლის დროსაც პილოტი ხშირად თავის თვითმფრინავზე უფრო ახალგაზრდაა, აქ არ დაიშვება.**

საგულდაგულოდ შერემონტებულ და აღდგენილ არმიულ იარაღს სახელმწიფო მოქალაქეებზე მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ყიდის, განსაკუთრებით კი მას ქალებს სთავაზობს. რეგისტრაცია უმარტივესი პროცესია, ისიც ახალი იარაღის მაღაზიიდან შეძენისას, თორემ ხელზე შეძენილს რეგისტრაცია საერთოდ არ ესაჭიროება. ყველაზე ფრთხილი შეფასებებით მხოლოდ არმიის იარაღიდან დაახლოებით მილიონ-ნახევარი კარაბინი, ნახევრადავტომატური იარაღი და სანადირო იარაღი მოსახლეობის საკუთრებაშია. შვეიცარია მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე იარაღის რაოდენობის მხრივ და მეორეზე — იარაღის მქონე მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლის მხრივ.

ქვეყანაში მოქმედებს უამრავი სასროლი კლუბი და დაახლოებით იმდენივე ტირი, რამდენიც კაფე.

**როგორ მსახურობენ ჯარისკაცები? მშვენივრად. მათ კვირაში ორი დასვენების დღე აქვთ, საპირფარეშოებს არ აშენებენ, კარტოფილს არ თლიან, ჭურჭელს არ რეცხავენ, ღობეებს არ ღებავენ — ამ ყველაფერს კერძო ფირმები აკეთებენ. და ბოლოს, რაც ყველაზე საოცარია, ჯარისკაცი საყარაულოდაც კი არ დადის. მთელ შავ სამუშაოს ჯარში კერძო ფირმები ასრულებენ.**

ეს კურორტს უფრო ჰგავს, ვიდრე ჯარში მსახურებას!

ახლა კი იმის შესახებ, რაც კასრში თაფლის ქვეშაა:

დავიწყოთ იმავე „კურორტიდან“. ჯარისკაცები დილის ხუთ საათზე დგებიან და იწყება სირბილი. შესვენებები მხოლოდ ჭამის და სხვა ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის არის გათვალისწინებული, დანარჩენი დრო ეთმობა ფიზიკური მომზადებას, სროლას, ხელჩართულ ბრძოლებს, საბრძოლო ტექნიკის მართვას, ალპინიზმს და ამ ყველაფერს შორის, ისევე, როგორც ამ ყველაფრის ბოლოსაც, კვლავ სირბილი. ასე გრძელდება მთელი დღე — დილის 5 საათიდან ღამის 12 საათამდე. 12-ზე ჯარისკაცები იძინებენ, დილის 5-ზე კი ყველაფერი თავიდან იწყება.

**ჯარისკაცებს ისე ავარჯიშებენ, რომ მათგან ტერმინატორისა და რემბოს ნაზავი გამოდის.**

შემდეგ: **ჯარში გაწვევისთვის თავის არიდება ნებისმიერი „საპატიო“ მიზეზით (სესია, ქორწილი, შვებულება და ასე შემდეგ) ისჯება ჯარიმითა და ციხეში გამწესებით ისეთი სასტიკი მუხლით, რომ ნებისმიერ რიგითს შეუძლია, ამის შემდეგ თავის კარიერას სამუდამოდ დაუსვას ჯვარი.** მას ამის შემდეგ წესიერ სამსახურში აღარავინ მიიღებს... არასდროს. თეთრი ბილეთი? ბრმა, ავადმყოფი ან ემიგრანტი ხარ? მაშინ გადაიხადე 3-პროცენტიანი გადასახადი არმიის შესანახად. პაციფისტი-ალტერნატივისტი ხარ? მიიღებ იმავე უწყებებს, ოღონდ მუნიციპალიტეტისგან და ერთ-ნახევარჯერ მეტი სიხშირით. საზღვარგარეთ მუშაობ და უმიზეზოდ დაგავიწყდა ან ვერ ჩააღწიე საკუთარ ქვეყანაში გაწვევის დროისთვის? მაშინ შენი სახლი დღეიდან ციხეა.

შემდეგ: **მშვიდი და წყნარი ქვეყანა — ეს მითია. შვეიცარიას მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში მშვიდობიან ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე ცეცხლსასროლი იარაღით დახოცილთა რაოდენობის მხრივ. თუმცა, სამართლიანობის გამო უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხალხში იარაღის ზეკონცენტრაციის გამოა.**

შვეიცარიის არმიაში ერთი ჩვეულებრივი დღე ასეთია:

მე-14 სატანკო ბატალიონის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან, ცენტრალური გზიდან დაახლოებით ორასი მეტრის მოშორებით, მოჩანს სწორკუთხა შენობა, რომელსაც პირდაპირ მიწის პირზე აქვს შესასვლელი. შვეიცარიის კონფედერაცია საკმაოდ მომცრო ზომის სახელმწიფოა, ამიტომ მის არმიას სულ ორი ტანკოდრომი აქვს. ერთ-ერთი მთაგორიან ვილჰენალპში მდებარეობს. ის უკვე 40 წლისაა, მაგრამ მოდერნიზებულია ელექტრონული ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესაბამისად და ევროპაში ყველაზე დიდია. მომცრო ზომის ველს ირგვლივ კლდეები აკრავს. მათი სიმაღლე უსაფრთხოებისთვის აუცილებელ 500 მეტრს აღემატება, ამიტომ არაჩვეულებრივად ასრულებენ ბუნებრივი დაცვის ფუნქციას საბრძოლო ჭურვების სროლის დროს. შესამჩნევია უზარმაზარი შენობა 20 საბრძოლო მანქანის მექანიკური სახელოსნოებით.

სახელოსნოებს სამოქალაქო პირები ემსახურებიან ჩვეულებრივი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ერთი მხრიდან სახელოსნოებს ეკვრის ამუნიციების საწყობი, მეორე მხრიდან კი — ღია სასროლეთი ქვეითი ჯარისკაცებისთვის, რომელთაც აქ გრენადიორებს უწოდებენ. ყველა შენობა მჭიდროდაა განლაგებული პოლიგონის დასაწყისში, რაც საკმაოდ მოშორებულია სამეთაურო პუნქტის იმ კოშკიდან, რომელიც სწავლებებსა და წვრთნებზე თვალყურის დევნებისთვის ყველაზე თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი. დაჯავშნული მანქანები მოძრაობენ სულ მცირე ერთი კილომეტრის დაშორებით, მაგრამ აღჭურვილნი არიან ჩიპებით, ამიტომ მათი ნებისმიერი მანევრი აისახება ელექტრონულ რუკაზე, ვიდეოთვალთვალის სისტემა კი კიდევ უფრო ამძაფრებს „საბრძოლო მოქმედებებში“ მონაწილეობის ეფექტს.

კოშკზე მუდმივად მორიგეობს ექვსი ოფიცერი. გვერდით განთავსებულია 15-მეტრიანი ანძა სითბური კამერით, რომელიც მთების ბილიკებზე ნებისმიერ მოძრაობას აფიქსირებს, რათა შემთხვევით ვინმე არ მოხვდეს ცეცხლის ზონაში. ▶

## «ნაციონალური მოძრაობა» კიდევ ერთმა დეპუტატმა დატოვა

**უმცირესობის რიგები კიდევ ერთი დეპუტატით შემცირდა — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემადგენლობა ამჟერად სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატმა, სამეგრელოს ყოფილმა გუბერნატორმა გურამ მისაბიშვილმა დატოვა.**



საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის ხელმძღვანელმა ირინა იმერლიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ დაუდასტურა, რომ მისაბიშვილმა განცხადება ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — რეგიონების“ შემადგენლობიდან გასვლის თაობაზე უკვე დაწერა. მისივე ცნობით, განცხადების თანახმად, მისაბიშვილი არც ერთ სხვა ფრაქციაში არ შედის და ამ ეტაპზე პარლამენტის დამოუკიდებელ წევრად რჩება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — რეგიონები“ გურამ მისაბიშვილის ჩათვლით, სულ ექვსი დეპუტატისგან შედგება, რაც ფრაქციის არსებობისთვის საჭირო მინიმალური ოდენობაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობიდან“ აღნიშნულ ფრაქციაში მისი რომელიმე წარმომადგენელი დროულად არ გადავა, „ნაციონალური მოძრაობა — რეგიონები“ დაიშლება.

**იულიუს ვიასიალკი:**
**საბჭოთა კავშირში ლიტვას დასავლეთად, ჩვენი ცხოვრების წესის ვიტრინად მიიჩნევდნენ, ახლა ჩვენ ევროპის გარეუბანი, მეორეხარისხოვანი ქვეყანა ვართ და დასავლეთს ვაინტერესებთ მხოლოდ იაფფასიანი სექსტურიზმისა და ანტირუსიზმის ბასტიონის კატეგორიაში.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დღეში პოლიგონზე დაახლოებით 20-ჯერ ისვრიან და, თუ ვინმეს ეს რაოდენობა ეცოტავება, დავძენთ, რომ ერთი სატანკო გასროლა 700 დოლარი ჯდება.

შემოდგომის სწავლებების ოთხი კვირისთვის სატანკო ბრიგადა 49 ათას ლიტრ საწვავს იღებს. სულ შვეიცარიის ჯარის აღჭურვილობაში 687 ტანკი და 483 ერთეული სხვა ჯავშანტექნიკაა. ამიტომაც იმტვრევენ თავს გენერალურ შტაბში — ბერნში, თუ როგორ გადაანაწილონ მიღებული საწვავი ქვედანაყოფებს შორის ისე, რომ მეცადინეობები მინიმალური დანახარჯებითა და მაქსიმალური ეფექტით ჩატარდეს.

თავის რიგს ელოდება და შემდეგ პოზიციებზე გადის ჯავშანმანქანების მორიგი წყვილი, რომელთაგან თითოეულში ათი მედესანტეა. ისინი რკინის გრძელ სკამებზე ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილები სხედან და მუხლებს შორის „SIG 550“-ის ტიპის შაშხანები უჭირავთ. ჯარისკაცების კომუფლიაჟში ჩამონტაჟებულია ჩიპები, ამიტომ მათი მოძრაობაც კოშკზე დეტალურად კონტროლდება.

და კიდევ ერთი: **შვეიცარიის არმიაში, ისევე, როგორც მთლიანად შვეიცარიაში, თუკი რამ წესადაა დადგენილი, მას ყველა უსიტყვოდ შეასრულებს. ეს მათ სისხლში აქვთ.**

შვეიცარიის არმიაში სულ 3,5 საკადრო სამხედრო მოსამსახურეა: გენერალური შტაბის ოფიცრები, უნტეროფიცრები და სამხედრო პოლიციისა და სპეცრაზმის ჯარისკაცები. დანარჩენი 120 ათასი ეგრეთ წოდებული აქტიური მილიციური და საჯარე ოფიცერია, ასევე 230 ათასი რეზერვისტი შეიარაღებული ძალების მთავარ კუნთოვან მასას შეადგენს.

ეს უნიკალური შვეიცარული მილიციური სისტემა ფესვებს ღრმა შუასაუკუნეებიდან იღებს და ქვეყნის განვითარების ისტორიული მიზეზებით აიხსნება. ისტორია ისტორიას ჩაბარდა, ომისდროინდელი იარაღები კი ახლაც ინახება შვეიცარიელთა ოჯახებში უნიფორმებთან და სამხედრო ზურგჩანთებთან ერთად. **არმიაში, ისევე, როგორც პოლიციაში, მსახურების უფლება მხოლოდ შვეიცარიის მოქალაქეებს აქვთ.**

სამხედრო მოსამსახურე შვეიცარელი მამაკაცი ვალდებულია, წელიწადში ამ საქმეს 180-დან 270-მდე საათი დაუთმოს. ამ დროის მანძილზე მათ უნარჩუნდებათ ხელფასის 80% და, ცხადია, სამუშაო ადგილიც. გარდა ამისა, ჯარისკაცი არმიისგან ხელფასის სახით იღებს დღეში 6 დოლარს, ოფიცერი — 8,5 დოლარს.

topwar.ru

# ევროპული «ბანანის რესპუბლიკები»

**არის თუ არა ევროპაში ბანანის რესპუბლიკები? ეს რიტორიკული შეკითხვა არაა, მათ, ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ, ორმოცდაათიოდე წლის წინ ბანანის რესპუბლიკები ერქვათ ცენტრალური ამერიკის იმ მომცრო სახელმწიფოებს, რომლებშიც აშშ-ის კუთვნილი გიგანტური კომპანია „ფნაითედ ფრუთი“ მბრძანებლობდა. ის ძალზე მარტივად ნიშნავდა და უშვებდა არა მხოლოდ თანამდებობიდან, არამედ იმ ქვეყნიდანაც პრეზიდენტებსა და პრემიერებს, ჰქონდა საკუთარი ვალუტა, ჰყავდა შეიარაღებული რაზმები, რომელთა ერთადერთი დანიშნულება იყო, ადგილობრივების მონური შრომის ფასად გრინგოების კოლოსალური ბაზარი ტროპიკების ახალ-ახალი ნაყოფით მოემარაგებინათ. თუ გეოგრაფიით ვიმსჯელებთ, ზომიერ სარტყელში განლაგებულ ქვეყნებში ბანანებს რა ესაქმებათ? არადა, ასეთი ქვეყნები ევროპაში საკმარისზე მეტია...**



როგორ არ უნდა მოინათლოს **ბანანის ქვეყნად კოსოვო,** რომელიც სერბიის უძველეს ცოცხალ ორგანიზმზე შეიქმნა და მხოლოდ იმიტომ სულდგმულობს, რომ იქ აშშ-ის ყველაზე დიდი სამხედრო ბაზაა განლაგებული, მისი ლიდერი ტაჩი კი მთელ რიგ უცხოურ გამოცემებში მოიხსენიება როგორც სერბების გატაცებასა და ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობებში მონაწილე?

ან **რუმინეთი**, რომელიც სიდიდის მიხედვით საშუალო ქვეყანაზე აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ საქციელით არაფრით განსხვავდება ალბანეთისაგან, ამერიკული სუფრის ნარჩენებით იკვებება და პირდაპირ დათანხმდა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის საკუთარ ტერიტორიაზე განთავსებას.

მაგრამ **ბანანის ნამდვილი ნაკრძალი ბალტიის სანაპიროზეა.** ეს საპატიო წოდება ბალტიისპირეთის სამივე დას თანაბრად ეკუთვნის, მაგრამ მათგან უდიდესზე — ლიტვაზე შევჩერდეთ.

**ლიტვა პირდაპირ ვაშინგტონიდან იღებს მზა მმართველებს. სწორედ ასეთ წარგზავნილად იქცა ვალდას ადამკუსი — ჰიტლერის არმიის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც შემდეგ ნახევარი საუკუნის მანძილზე აშშ-ში ცხოვრობდა და ყველა წესისა თუ რეგლამენტის დარღვევით ოკეანის გაღმელი პოლიტტექნოლოგებისა და ვაშინგტონის ფულის წყალობით სახელმწიფოს მეთაური გახდა.**

მაინც რატომ არაა ავადსახსენებელი „იუნაიტედ ფრუტის“ წარგზავნილი? პოლიტიკაც შესაბამისია: თანამედროვე ნავთობქარხანა კაპიკებად იყიდება და გადაეცემა ამერიკულ კომპანია „ვილიამსს“, მათი თანამემამულეები ტრანსნაციონალური გიგანტი „ვესტინჰაუს ელექტრიკიდან“ პარტნიორებთან ერთად ატომური ელექტროსადგურის აშენებას აპირებდნენ. პარტნიორები „ჰიტაჩის“ იაპონელები უნდა ყოფილიყვნენ და, როგორც ჩანს, კვლავაც აპირებენ ამ ობიექტიდან ერთი-ორი ასეული მილიონი დოლარის გამოწურვას. რაც უნდა საოცარი იყოს, ამ პროექტს ყველანაირად უწყობს ხელს ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი დალია გრიბაუსკაიტე, რომელმაც კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები აშშ-ის ერთ-ერთ კვლევით ცენტრში გაიარა, ამ ცენტრს კი მჭიდრო კავშირი აქვს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსა და ცენტრალურ დაზვერვასთან. ამან ლიტვურ მედიას უფლება მისცა, გასჩენოდა კითხვა: ხომ არ ლობირებს ქვეყნის მეთაური ამ გასაკოტრებელ აფერას, რომელსაც ხალხმა ახლახან ჩატარებულ რეფერენდუმზე კატეგორიულად უთხრა „არა“?

ბანანურობა მხოლოდ აზროვნების თავისებურება არაა, ეს უფრო მოქმედების საშუალებაა, ლიტვასთან მიმართებაში კი ეს ცხოვრების სტილია. ელიტას, რომელიც მყუდრო კაბინეტებშია მოკალათებული, ჯიბე ფულით აქვს სავსე და ლიმუზინებით დაგრიალებს, ეს ყველაფერი ხელს აძლევს. მაგრამ არიან სხვებიც, რომლებიც ცალსახად არ ეთანხმებიან იმ დამცირებულ მდგომარეობას, რომელშიც, უკვე მესამე ათწლეულია, იმყოფებიან, ცდილობენ, მოუწოდონ ღირსებისკენ. ხელისუფლებამ დაუნდობლად მოჭრა ის ტოტი, რომელზეც იჯდა, ხელისუფლებამ გააუქმა სახელმწიფო მრეწველობა, ამ სექტორში კი ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული — ქვეყნის მუშა ძალის მესამედი თვითდინებაზე იქნა მიშვებული. ამან გაანადგურა ყველაფერი ღირებული, ღირსეული — მეცნიერება, ტექნოლოგიები, დაიკარგა უზარმაზარი აღმოსავლური ბაზარი, რის მოსაპოვებლადაც ათეულობით წელი დაიხარჯა.

როგორც ჩანს, ბანანის ქვეყანას ლიტვაში თავად ლიტველები ქმნიან. დასავლეთმა თანამედროვე ტექნოლოგიები შესთავაზა ლიტვას და ისიც დათანხმდა უკეთესი ცხოვრების პირობას, მაგრამ იმავე დასავლეთმა არ ასწავლა, რომ არსებობს სხვა, უფრო სიცოცხლისუნარიანი გზა — არსებულ ბაზაზე დაიწყო თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა. ყველაფერი ძალიან მარტივია: დაანგრიეს იგნალინსკის ატომური სადგური და გათავისუფლდა მინდორი დასავლეთის ბირთვული რეაქტორების წარმოებისთვის.

ეს ძალიან ჰგავს მეტროპოლიის დამოკიდებულებას საკუთარი კოლონიებისადმი, რომელთა ერთადერთი როლი ნედლი პროდუქტების როლი იყო. დრომ კორექტივები მოიტანა — ახლა განვითარებად ქვეყნებს გადამუშავების საქმესაც ანდობენ, მაგრამ საგამოცდო-საკონსტრუქტორო საქმიანობა, ისევე, როგორც ფინანსები, ამერიკული, ევროპული და იაპონური ცენტრების პრეროგატივაა.

მართლაც, განა შეიძლება, რომ თუნდაც თეთრკანიან და უნივერსიტეტის დიპლომიან აბორიგენებს ასეთი მნიშვნელოვანი საქმეები ანდონ? ვილნიუსში, უკვე ათობით წელია, მოქალაქეებს გათბობით უზრუნველყოფს კომპანია „Dalkia“, რომელიც პოლიტიკის მთავარი მოდერატორია. დედაქალაქის მკვიდრნი მგლებივით ყმუიან: გათბობის გადასახადი ამ დროის მანძილზე სასწაულებრივად გაიზარდა, ფრანგების მომსახურება მათ ძალზე ძვირი უჯდებათ. ის, რომ ბინების დამქირავებლებს სითბოს მიმწოდებელი ცხრა ტყავს აძრობს, ხელისუფლებამ არაერთხელ აღიარა, მაგრამ სინანულით გაშალა ხელები: ხელშეკრულება ისე ეშმაკურადაა შედგენილი, რომ ჯერჯერობით რაიმეს გაკეთება შეუძლებელია, უნდა დაელოდონ ვადის ამოწურვას. კვლავინდებურად ფრანგული „იუნაიტედ ფრუტი“ ფულს ხაპავს, აბორიგენული ხელისუფლება კი ხელებს იმტვრევს და მეტი არც არაფერი შეუძლია. ეს უკვე ის ფსიქოლოგიაა, რომელიც ძალიან წააგავს მონურს.

და ბოლოს, ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ რადიოსადგურში პირდაპირი ინტერვიუს დროს გარდაცვლილი **იულიუს ვიასიალკი**, ცნობილი პოლიტოლოგი, დამოუკიდებელი ლიტვის ერთ-ერთი პირველი მთავრობის ეკონომიკის მინისტრი, სეიმის დეპუტატი, ამბობდა: **„საბჭოთა კავშირში ლიტვას დასავლეთად, ჩვენი ცხოვრების წესის ვიტრინად მიიჩნევდნენ, ახლა ჩვენ ევროპის გარეუბანი, მეორეხარისხოვანი ქვეყანა ვართ და დასავლეთს ვაინტერესებთ მხოლოდ იაფფასიანი სექსტურიზმისა და ანტირუსიზმის ბასტიონის კატეგორიაში“.**

ბანანის ქვეყნის ძალზე სევდიანი სურათი გამოდის, მაგრამ, როგორც სამართლიანად ამბობენ, რასაც დასთეს, იმას მოიმკი...

nakanune.ru



## თბილისში გამგებლებად «ნაცმოძრაობის» აქტიური სახეები დაინიშნებიან

**1 მარტიდან თბილისის ხუთ ახალ რაიონულ გამგეობას ახალი გამგებლები უხელმძღვანელებენ. ამის შესახებ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, ზაზა გაბუნიამ, დღეს საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

მისი განმარტებით, დედაქალაქის მერიის ინიციატივითა და საკრებულოს უმრავლესობის — „ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებით, გასული თვის საკრებულოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც დედაქალაქში რაიონული გამგეობების რიცხვი 10-მდე გაიზარდა. აქედან გამომდინარე, გამგებლის 5 ახალი კანდიდატურის შერჩევის საჭიროება წარმოიქმნა.

„თბილისის მერიას, საკრებულოსთან შეთანხმების გარეშე, ერთპიროვნულად ახალი გამგებლების კანდიდატურები ჰყავს შერჩეული და ისინი უფლებამოსილების განხორციელებას 1 მარტიდან შეუდგებიან“, — განაცხადა მან. **კანდიდატურების ვინაობას რაც შეეხება, გაბუნიამ მათი გვარები არ დაასახელა, თუმცა აღნიშნა, რომ არც ერთი მათგანი საზოგადოებისთვის უცნობი არ არის და ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური წევრები არიან.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლონეთის საიდუმლო ციხე „სტარე-კეშკუტიში“ ცსს ათავსებდა ტერორისტებისა და ანტიამერიკული მოძრაობების ლიდერებს. რუმინული ციხე „მიხაილ კოგელნიჩანუ“ განკუთვნილი იყო შედარებით უფრო დაბალი რანგის დამნაშავეებისთვის. ორივე ციხე ცსს-ს დაქვემდებარებაში იყო.**

# მიგრაციული პოლიტიკის ჩავარდნა: 30-წლიანი შეცდომების საზღაური

**საფრანგეთის ხელისუფლების დაკვეთით შედგენილ ანგარიშში მრჩეველი ტიერი ტიუო კრიტიკულად აღწერს ბოლო 30 წლის განმავლობაში სახელმწიფოს ინტეგრაციულ პოლიტიკას და თავადაც ანალოგიურ შეცდომას უშვებს, როდესაც საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფაქტორებს კულტურულზე მაღლა აყენებს. ინტეგრაციის უმაღლესი საბჭოს წევრი მალიკა სორელი ამ ბრალდებას აბსოლუტურად უსაფუძვლოდ მიიჩნევს.**

ანგარიშში სახელმწიფო გაკრიტიკებულია იმისათვის, რომ მან პრაქტიკულად არაფერი გააკეთა ინტეგრაციისთვის და საერთოდაც ჩაჭრა საინტეგრაციო საშუალებები. ბრალდება აბსოლუტურად უსაფუძვლოა, რადგან სახელმწიფო ამ პროცესზე ძალზე დიდ ფულს ხარჯავდა. უფრო მეტიც, მმართველი კლასისათვის ეს პროცესი რაღაც აკვიატებულ იდეასაც კი დაემსგავსა.

ნუთუ შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ ათ წელიწადში ქალაქურ მშენებლობებში ინვესტირებული 43 მილიარდი არაფერს ნიშნავს? ნუთუ შეიძლება ანგარიშიდან ჩამოიყაროს მილიარდობით ევრო, რომელიც ყოველწლიურად იხარჯებოდა განათლებაზე? როგორ შეიძლება იმ მრავალგვარი პროგრამის დავიწყება, რომლებიც ხორციელდებოდა თანაბარი დასაქმებისა და თანაბარი პირობების შესაქმნელად? ან რას იტყვით სახელმწიფოს სახსრებით ასოციაციის დაფინანსებაზე და სიმბოლურ ფასად — 1 ევროდ გრძელვადიან იჯარაში მიწების გაცემაზე? თუ ყველა ამ ამოცანაზე დახარჯულ სახელმწიფო სახსრებს გავითვალისწინებთ, პროექტების დაბალი რენტაბელობის გათვალისწინებით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი უძირო ჭაა.

მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახლემწიფომ არც თუ ისე ბევრი რამ გააკეთა წინა მიგრაციული ნაკადების, ანუ შიდაევროპული მიგრანტების შთამომავალთათვის, არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს ადამიანები ავიწყდებათ ევროპის საზღვრებს შიდა მიგრაციის გამო. მიუხედავად ამისა, სახელმწიფომ ძალზე სერიოზული შეცდომა დაუშვა ამ მიგრაციასთან დაკავშირებით, რადგან იგი სათანადოდ ვერ აფასებდა საკვანძო პოზიციას, რომელსაც საინტეგრაციო პროცესებში კულტურა ასრულებს. ის არასწორად მიიჩნევდა, რომ მთავარ როლს აქ სოციალურ-ეკონომიკური მომენტები ასრულებს, სინამდვილეში კი ამ მომენტების უკან დაწევაც შეიძლება. ზემოხსენებულ მოხსენებაშიც კი ამას კვლავ არ მიაქციეს ყურადღება.

**არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ მოხსენებაში შემოთავაზებულია ინტეგრაციული პოლიტიკის ახლებურად გააზრება**. არ ღირს ჯერ კიდევ 1980-იან წლებში გაჩენილი იმ ლოგიკის უკიდურესობამდე მიყვანა, რომლის წყალობითაც ქვეყანა კრახის ზღვარზე დადგა და რაც ახლახან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმაც დაადასტურა.

**ანგარიში მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ თავისთავად ინტეგრაციის კონცეფცია ყოველგვარ აზრსაა მოკლებული.** საბოლოო ჯამში საფრანგეთში ინტეგრაცია უბრალოდ საზოგადოებაში ჩართვამდე დავიდა და ახლა, როდესაც იქ ინტეგრაციაზე საუბრობენ, არც თუ იშვიათად ისე ცვლიან როლებს, რომ მიმღებ სახელმწიფოს ძირძველ მოსახლეობას უწევს ახლადგამოსახლებულებთან ადაპტირება, საკუთარი პრინციპებისა და თვით იმ ღირებულებების შეცვლა, რომლებიც ცნობიერების საფუძველში დევს.

**საინტეგრაციო პროცესი მრავალი მიზეზის გამო ჩაიშალა. მიგრაციული ნაკადების ბუნება შეიცვალა, მათი ინტენსივობა კი უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ბევრად გადასცდა იმ მოცულობებს, რომელთა დაძლევა ოდესმე მოუხერხებია რომელიმე საზოგადოებას. დღეს სკოლაც პრაქტიკულად უძლურია მომავალი მოქალაქეების მოსამზადებლად, რასაც თავისი უამრავი მიზეზი აქვს. ჩვენ თვალწინაა თვითშეგნების იზოლაცია, რომელსაც ახლავს კულტურულ საწყისებთან დაბრუნება მრავალი ქვეყნის საზოგადოებაში.** გარდა ამისა, როგორც წესი, ითვლება, რომ ყველამ უნდა გაიაროს ინტეგრაცია, რაც აბსოლუტურად შეუძლებელია. გავიხსენოთ თუნდაც ის, რომ 1870-1940 წლების იტალიური მიგრაციის ტალღისას საზოგადოებაში ინტეგრირება მხოლოდ ყოველმა მესამემ მოახერხა.

ამ თემაზე დებატებისას უამრავი აკრძალვა არსებობს და ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ისინი ამსხვრევენ საკითხის ნებისმიერ სერიოზულ განხილვას. ყველაფერი თავად სიტყვა „ინტეგრაციის“ გამოყენებით იწყება. „ნაციონალურ საზოგადოებაში ინტეგრაციას“ საფრანგეთში „საზოგადოებაში ინტეგრაციამდე“ ამარტივებენ, მაგრამ ფრანგებისთვის ადამიანის ინტეგრაცია წარმატებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება აღიარებული, თუ ეს ადამიანი გაიზიარებს პირად თავისუფლებასთან, მამაკაცისა და ქალის თანასწორობასთან, ძმობასთან, მაღალ საზოგადოებასთან და უამრავ სხვა რამესთან დაკავშირებულ მათეულ პრინციპებს.



პარიზი

## საინტეგრაციო პროცესის თანმიმდევრული დეგრადაცია დღეს იქცა რეალობად, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვლინდება

**ინტეგრაცია არის მრავალი ნიშნის ერთიანობა და ამ ნიშნებს განეკუთვნება სიტყვისა და აზრის თავისუფლების პატივისცემა, იუმორისა და თვითირონიის გარკვეული გრძნობა. სახელმწიფო მრჩეველი თავის ანგარიშში უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ფრანგები სხვა სახელმწიფოდან ჩამოსულ ადამიანებს კვლავაც თვლიან უცხოელებად, რომლებმაც საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღეს.** ინტეგრაციის სფეროში საბოლოო გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, გაიარა თუ არა ეს პროცესი ადამიანმა და, თუ გაიარა, რამდენად წარმატებულად, საზოგადოება იღებს და არა ესა თუ ის პოლიტიკური ინსტიტუტი. ხალხს სუვერენული უფლება აქვს და ამას ყველა უნდა შეეგუოს.

იმისგან განსხვავებით, რაც შიდაევროპულ მიგრაციასთან დაკავშირებით ხდებოდა, დღეს ნამდვილად შეიძლება საუბარი რამდენიმე თაობის ინტეგრაციის შესახებ. საინტეგრაციო პროცესის თანმიმდევრული დეგრადაცია დღეს იქცა რეალობად, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ვლინდება. ეს ეხება, ვთქვათ, ყოველდღიურ ცხოვრებაში ფრანგული ენის გამოყენების სურვილის არქონას ან რელიგიური ნეიტრალიტეტისთვის წინააღმდეგობის გაწევას. ამ სიტუაციების შესახებ უამრავი სპეციალისტი საუბრობს. მაგალითად, იუგ ლაგრანჟი თავის წიგნში „კულტურის უარყოფა“ წერს, რომ იმიგრანტების მესამე და მეოთხე თაობები ჩვენ თვალწინ იდგამენ ფესვებს თავიანთი წინაპრებისა და მშობლიური ქვეყნის კულტურაში.

გარდა ამისა, **საფრანგეთში აბსოლუტურად არ საუბრობენ შობადობაზე,** თითქოს მრავალშვილიანი ოჯახის ბავშვი, რომლის მშობლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი განათლება ან ფრანგული წეს-ჩვეულებების სათანადო ცოდნა, მომავალში შეძლებს ზუსტად ისევე წარმოაჩინოს თავი, როგორც ჩვეულებრივი ოჯახის კარგად აღზრდილმა ბავშვმა, რომლის მშობლებიც ზრუნავენ მასზე და ეხმარებიან ფრანგულ საზოგადოებაში ჰარმონიულად განვითარებაში.

საფრანგეთში ცოტას ლაპარაკობენ აზიური წარმომავლობის ადამიანებზე. ისინი სწრაფად და წარმატებულად ერთვებიან ფრანგულ საზოგადოებაში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ბოლომდე გადიან ინტეგრაციის პროცესს? როგორც ჩანს, ჯერ ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს. ამისათვის საჭიროა მათი ქორწინებების გაანალიზება. როგორც ემანუელ ტოდი „ემიგრანტის ბედში“ წერდა, „ეკზოგამიის კოეფიციენტი, ანუ იმიგრანტების ქორწინებების, მათი შვილებისა და შვილიშვილების პროცენტული თანაფარდობა მიმღები ქვეყნის საზოგადოების წარმომადგენლებთან ასიმილაციის ან სეგრეგაციისთვის უმნიშვნელოვანესი ანთროპოლოგიური მაჩვენებელია, რომელსაც შეუძლია, თავისი ჭეშმარიტება პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ ინდექსებს დაუპირისპიროს“.

საზოგადოებრივი საკითხი არის ყველაზე უმნიშვნელო ნაწილი საინტეგრაციო მოზაიკაში და ვიდრე ამ მცირე დატალზე იქნება თვალი მიშტერებული, კრახი გარდაუვალია. ახლავე შეიძლება იმის შემჩნევა, რომ ამგვარი ცდომილებები ფრანგული საზოგადოებისთვის კატასტროფული და დრამატული შედეგებით იმუქრება.

**რაც შეეხება კულტურულ და გეოგრაფიულ სეპარატიზმს, მისი შემჩნევა ახლა ძნელი არაა. იქ, სადაც იმიგრანტების ან იმიგრანტთა შთამომავლების მრავალი ისეთი წარმომადგენელია, რომელთაც საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი არ გაუვლიათ, შეიმჩნევა მოსახლეობის სხვა ფენების მოძრაობა.** მათ განეკუთვნებიან უცხოური წარმომავლობის ოჯახები, რომელთაც სურთ, რომ მათმა შვილებმა ფრანგული კულტურის გარემოში იცხოვრონ.

ინტერესს მოკლებული არ იქნება პარიზის დემოგრაფიული მონაცემების საპირისპირო მხარის ნახვაც. ერთის მხრივ, კვლევების შედეგების თანახმად, წყვილები, რომლებიც შვილის გაჩენას აპირებენ, მიდიან პარიზიდან იქ ბინისა და სწავლების წარმოუდგენელი სიძვირის გამო. მეორე მხრივ კი, პარიზში შობადობა განუხრელად იმატებს. იმისათვის, რომ ამ ციფრებს ჩავწვდეთ, უნდა განვიხილოთ კულტურული და გეოგრაფიული სეპარატიზმის პოზიციიდან. საქმე ისაა, რომ პარიზის ზოგიერთი ოლქი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ამ ოლქების ზოგიერთი ნაწილები რაღაც გეტოს მაგვარს ემსგავსება.

**Atlantico**

მოკლედ



## არჩილ კბილაშვილი კობა დავითაშვილის პრეტენზიებს სამართლიანად მიიჩნევს

**„კობა დავითაშვილის პრეტენზია, შესაძლოა, სამართლიანი იყოს, რადგან ჩვენ მის მიმართ განხორციელებულ ძალადობას კი ვიძიებთ, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ჯერჯერობით ბოლომდე არ გვაქვს მიყვანილი“,** — ასე შეაფასა მთავარმა პროკურორმა, არჩილ კბილაშვილმა, უმრავლესობის წევრ კობა დავითაშვილის მიერ გამოთქმული პრეტენზიები იმის შესახებ, რომ ქვეყნის მართლმსაჯულების მანქანა ძალიან „ბუქსაობს“.

კბილაშვილის თქმით, პრეტენზიები იმის შესახებ, რომ პროკურატურა არაეფექტურია, გარკვეულწილად საფუძვლიანია.

რაც შეეხება კობა დავითაშვილს, მან „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უკმაყოფილება გამოთქვა იმაზე, თუ რატომ ფერხდება 7 ნოემბრის, 26 მაისის და სხვა დანაშაულების გამოძიება.

**„თუ მართლმსაჯულების სისტემას არა აქვს უნარი, დამნაშავეები დასაჯოს, მაშინ ჩვენ მოვიფიქრებთ რამეს და მერე ჩვენ გაგვასამართლონ“,** — განაცხადა დავითაშვილმა.



დაიჯესტი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ ორმაგი სტანდარტებით ცხოვრობს: საკუთარ ტერიტორიაზე ადამიანთა უფლებებს იცავს, მის საზღვრებს გარეთ კი ეს მცნება საერთოდ არ აინტერესებს. ისინი პატიმრებს არ აძლევენ არც დაცვის, არც სასამართლოში საქმის განხილვის, არც გამოძიების შედეგების გასაჩივრების უფლებას. და მათმა თანამზრახველებმა, რომლებიც ამერიკას ეხმარებიან საიდუმლო ციხეებში ადამიანების გამოკეტვაში, ამერიკასთან ერთად უნდა აგონ პასუხი ჩადენილი დანაშაულისთვის.**

# აშშ-ის საიდუმლო ციხეები და ადამიანთა უფლებები



**ვაშინგტონი, ილებდა რა ზომებს 9/11 ტერაქტის ყველა გარემოების გამოსარკვევად, თავისი სპეცსამსახურების ხელით იტაცებდა ადამიანებს, რომლებსაც ამ დანაშაულში ეჭვმიტანილად მიიჩნევდა. რადგან აშშ-ის ტერიტორიაზე აკრძალულია წამების გამოყენება, ცსს-ის საიდუმლო ციხეები ამ მეთოდის გამოსაყენებლად ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაიტანეს. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა, ისეთების, როგორიც პაკისტანი, ავღანეთი, იორდანია, ეგვიპტე და პოლონეთია, დაკავებულებისადმი წამების მეთოდების გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევენ. უფლებადამცველი ორგანიზაცია „Open Society Justive Initiative“ შეეცადა, დაეთვალა, რამდენი სახელმწიფო ეხმარება ამერიკელებს ამ საქმეში. როგორც გაირკვა, ამგვარი ქვეყანა მსოფლიოში მინიმუმ 54-ია, ეს კი მთელი მსოფლიოს ქვეყნების 21%-ია, ამ ქვეყნების 28% კი გაეროს წევრია.**



**ამერიკელებს დიდად არ ადარდებთ მათი საიდუმლო ციხეების შესახებ ინფორმაციის გაჟონვა. მათ არ ადარდებთ საზოგადოების აზრი, პენტაგონი კი ყველა ზომას მიმართავს იმისათვის, რომ უფლებადამცველებს მათ საიდუმლო ქვეგანყოფილებების მუშაობაში ჩარევის სურვილი დაუკარგოს**

ცნობილია, რომ ტერორიზმში ეჭვმიტანილების დაკავებაში აქტიურ დახმარებას ამერიკას ესპანეთი, დანია, ბრიტანეთი, ჩეხეთი, გერმანია, იტალია, სირია და ირანი უწევდნენ. თავისი საჰაერო და სახმელეთო სივრცე ამერიკული ოპერაციების ჩასატარებლად გახსნეს კანადამ, ირლანდიამ და კვიპროსმა. ისრაელი, ჰოლანდია, უნგრეთი და რუსეთი კი არ დაემორჩილნენ აშშ-ის ზეწოლას და ამერიკის სპეცსამსახურების დანაშაულებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

მსოფლიოსთვის ცნობილი გახდა, რომ ამერიკის საიდუმლო ციხეებში ევროპის ტერიტორიაზეც აწამებდნენ ადამიანებს. ამ ფაქტებმა ევროპელები ისე შეზარა, რომ **ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, გამოაშკარავებულიყო ცნობები პოლონეთში ცსს-ს კვანძების არსებობის თაობაზე.** ჯერჯერობით ანალოგიური გადაწყვეტილება არაა მიღებული ლიტვასა და რუმინეთთან დაკავშირებით, არადა, მათაც საკუთარ ტერიტორიებზე ცსს-ს საიდუმლო ციხეები აქვთ განთავსებული.

**ევროკავშირმა დაადგინა, რომ ევროპული ქვეყნების თანამშრომლობა ამერიკასთან მორალური თვალსაზრისით სამარცხვინოა.**

პოლონეთის ხელისუფლება არ ადასტურებდა თავის მონაწილეობას საიდუმლო ციხეების შექმნასთან დაკავშირებულ ცსს-ს პროგრამაში, მაგრამ ეს ინფორმაცია გაახმოვანა საუდელმა აბდ არ-რახიმ ან-ნასირმა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ იგი ექვსი თვის მანძილზე გამოკეტილი იყო პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარე საიდუმლო ციხეში.

**პოლონეთის საიდუმლო ციხე „სტარე-კეშკუტიში“ ცსს ათავსებდა ტერორისტებისა და ანტიამერიკული მოძრაობების ლიდერებს. რუმინული ციხე „მიხაილ კოგელნიჩანუ“ განკუთვნილი იყო შედარებით უფრო დაბალი რანგის დამნაშავეებისთვის. ორივე ციხე ცსს-ს დაქვემდებარებაში იყო.** რუმინეთის პრეზიდენტი, ცხადია, ინფორმირებული იყო ქვეყნის ტერიტორიაზე ამგვარი ციხის არსებობის თაობაზე, მაგრამ ბუქარესტს ცსს-ს სპეცოპერაციების მხარდაჭერისთვის ნატოში გაწევრებისთვის მხარდაჭერა აღუთქვეს.

ლიტვის ტერიტორიაზე განთავსებული ცსს-ს საიდუმლო ციხის შესახებ დეტალები საზოგადოებამ 2009 წელს შეიტყო. ციხე ლიტველი ჩინოვნიკების აგარაკების სიახლოვეს მდებარეობდა — ანტავილიაის დასახლებაში. ადრე მის შენობაში საჯირითო სკოლა მუშაობდა. შენობა იყიდა და გადაიარაღება ჩაატარა ამერიკულმა კომპანიამ „Elite LLC“. დახურული მანეჟი დაშალეს და მის ტერიტორიაზე კამერები და საწამებელი შენობები ააგეს, ასევე აღიჭურვა ავტოფარეხი და დადგა ენერგომომარაგების ავტონომიური სისტემა. ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ ამ ციხის მშენებლობა ლიტვისთვის ნატოში შესვლის საშვი იყო. ამ ყველაფრის შესახებ ინფორმაციის გაჟონვამ ლიტვის პარლამენტი აიძულა, გამოძიების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება მიეღო. მაგრამ ამ დროისათვის ცსს-ს საიდუმლო საპყრობილე უკვე ოთხწლიან უმოქმედობაში იყო და დღემდე უცნობია, რამდენმა ტყვემ გაიარა „დაკითხვა“ მის კედლებში.

**მსოფლიო საზოგადოებისთვის, დიდი ხანია, ცნობილია ამერიკელთა მოქმედების პრინციპები სხვა ტერიტორიებზე: ის, რაც მათ სჭირდებათ, თუნდაც კანონსაწინააღმდეგო იყოს, ყველაფერი შეიძლება.** ამიტომაც ევროპის მრავალი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკის საიდუმლო ციხეების არსებობის შესახებ ინფორმაციის გაჟონვა ხალხისთვის მოულოდნელობა არ ყოფილა. **აშშ-ის სპეცსამსახურები საკუთარ ტერიტორიაზე კანონებს არასდროს არღვევენ. იმ ქვეყნების ტერიტორია კი, სადაც ხელისუფლებები არ შეამჩნევენ ადამიანთა წამებას, არ მოითხოვენ ადამიანთა უფლებების დაცვას, თვალს დახუჭავენ აშშ-ის სპეცსამსახურების ნებისმიერ ქმედებაზე, ძალიან მოხერხებულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკელებთან თანამშრომლობისთვის.** ძნელია მორალურ-ეთიკური შეფასება მიეცეს აშშ-ის პარტნიორი ქვეყნების ხელმძღვანელობების ამგვარ ქცევას, მაგრამ აშშ-ის არც თუ სუფთა სპეცსამსახურებისადმი მორჩილება აშშ-ზე მათ დამოკიდებულებაზე მიანიშნებს. და მართალია, აშშ-ის საიდუმლო ციხეების შესახებ მასმედიაში ინფორმაციამ ჯერ კიდევ უმცროსი ბუშის პრეზიდენტობისას გაჟონა, სიტუაცია პრაქტიკულად არ შეცვლილა. **აშშ-ის სპეცსამსახურები განაგრძობენ საერთაშორისო მოთხოვნების და იმ ქვეყნების კანონების უგულებელყოფას, რომლებშიც განთავსებულია მათი საიდუმლო ციხეები. ამ საწამებელ საპყრობილეებში ისინი ტყვეების წინააღმდეგ იყენებენ წამების ისეთ დახვეწილ მეთოდებს, რომ ეს უკანასკნელნი თავიანთ თანამოაზრეებს ასეთების არარსებობის შემთხვევაშიც კი ჩაუშვებენ.**

ის, რომ ადამიანის ულებათა ევროპული სასამართლო იძულებული იყო, გადაწყვეტილება მიეღო ევროპის ტერიტორიაზე აშშ-ის საიდუმლო დილეგების შესახებ, ცხადყოფს, რომ ბევრი ევროპის კონტროლი ამერიკის ქმედებებზე არ ვრცელდება, დასავლური ცივილიზაციის აკვნის სტატუსს კი სერიოზული ზიანი მიადგა. მაგრამ ევროკავშირმა საკუთარ რეპუტაციაზე ეს მძიმე დარტყმა „კეთილსინდისიერად დაიმსახურა“. **ევროკავშირმა, იცოდა რა ცსს უკანონო ქმედებების შესახებ, არ მოისურვა ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობის აღება. ეჭვი არავის ეპარება, რომ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ არ შეიძლება ამ დროს იმ ქვეყნების კანონები დაირღვეს, რომელთა ტერიტორიაზეც ანტიტერორისტული მოქმედებები ხორციელდება.**

ზემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილების გამო პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ შეზღუდავდა თანამშრომლობას საერთაშორისო სასამართლო ინსტანციასთან. ცხადია, პოლონელების ქმედებებს აწონ-დაწონილს ვერ ვუწოდებთ. მათ უნდა სცოდნოდათ, რომ ევროპელები ასეთ ვულგარულ ღალატს არ აპატიებდნენ. ვარშავას ამ ტყუილმა, შესაძლოა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან შეუქმნას პრობლემები. **პოლონელები უნდა დაფიქრდნენ, ძალზე ძვირი ხომ არ უჯდებათ ვაშინგტონთან თანამშრომლობა, მით უფრო, რომ პოლონეთს აშშ-ისგან რაიმე სარგებელი არ მიუღია მის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის სანაცვლოდ. ამ თანამშრომლობის შედეგებზე კი დამოუკიდებლად უნდა აგოს პასუხი და ეს გაკვეთილი იქნება იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც განუკითხავად ასრულებენ აშშ-ის მოთხოვნებს.**

იმისათვის, რომ ამ არასასიამოვნო მდგომარეობაში ოდნავ მაინც შეინარჩუნონ სახე, პოლონეთის მთავრობამ გამოაცხადა, რომ პროკურატურა ქვეყნის ტერიტორიაზე ცსს-ს საიდუმლო ციხის არსებობის შესახებ გამოძიებას დაიწყებს. მაგრამ გამოძიება გასაიდუმლოებულია და მის დასრულებამდე ევროპის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოსთან არანაირ თანამშრომლობას ადგილი არ ექნება. ნაციონალური უშიშროების ბიუროს ხელმძღვანელმა გამოაცხადა, რომ დოკუმენტები საიდუმლოდ დარჩება, რათა საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის უშიშროებას. თავისი ევროპელი პარტნიორების ინტერესების უგულებელყოფა პოლონეთის მხრიდან პირველად არ ხდება. ვარშავა მუდამ იყენებს ტერმინებს „პარტნიორობა“ და „თანამშრომლობა“, თუ საუბარი ბრიუსელიდან ფინანსურ დახმარებას ეხება, მაგრამ თითქმის მუდამ გაურბის ევროპის წინაშე საკუთარი მოვალეობების შესრულებას.

აუცილებელია, აღინიშნოს აშშ-ის ნეგატიური როლიც, სწორედ მან მოახდინა პროვოცირება იმისა, რომ პოლონეთს დაერღვია საერთაშორისო შეთანხმებები და გამოევლონა ჩვეული ცინიზმი პარტნიორების მიმართ. თუმცა პოლონეთმა თავის ქცევაზე უნდა აგოს პასუხი.

**საიდუმლო არავისთვისაა, რომ აშშ ორმაგი სტანდარტებით ცხოვრობს: საკუთარ ტერიტორიაზე ადამიანთა უფლებებს იცავს, მის საზღვრებს გარეთ კი ეს მცნება საერთოდ არ აინტერესებს. ისინი პატიმრებს არ აძლევენ არც დაცვის, არც სასამართლოში საქმის განხილვის, არც გამოძიების შედეგების გასაჩივრების უფლებას. და მათმა თანამზრახველებმა, რომლებიც ამერიკას ეხმარებიან საიდუმლო ციხეებში ადამიანების გამოკეტვაში, ამერიკასთან ერთად უნდა აგონ პასუხი ჩადენილი დანაშაულისთვის.**

უფლებადამცველი ჯულია ჰოლის განცხადებით, ნატოში შემავალი ქვეყნების ხელმძღვანელობებმა იცოდნენ ამერიკის მიერ საიდუმლო ციხეების პროგრამის რეალიზების თაობაზე. **პირველი საერთაშორისო გამოძიება ამ თემაზე 2006 წელს ჩატარდა და ნატოს წევრებს დროც ჰქონდათ და უფლებამოსილებაც, შეეჩერებინათ წამებები საიდუმლო ციხეებში. დღემდე არ ჩატარებულა არც ერთი სასამართლო ამ დანაშაულის ჩამდენთა წინააღმდეგ.**

**ამერიკელებს დიდად არ ადარდებთ მათი საიდუმლო ციხეების შესახებ ინფორმაციის გაჟონვა. მათ არ ადარდებთ საზოგადოების აზრი, პენტაგონი კი ყველა ზომას მიმართავს იმისათვის, რომ უფლებადამცველებს მათ საიდუმლო ქვეგანყოფილებების მუშაობაში ჩარევის სურვილი დაუკარგოს.**

შემზარავია ის ფაქტი, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ამერიკის ბრძოლას უფრო მეტი ადამიანი ემსხვერპლა, ვიდრე 9/11-ს. გამორიცხული არაა, რომ სწორედ აშშ-ის სპეცსამსახურები აქეზებენ ტერორისტულ ორგანიზაციებს დანაშაულებრივი ოპერაციების აქტივიზაციისკენ.

ეს ყველაფერი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ **აშშ-ს არ აქვს უფლება, მსოფლიო საზოგადოებას ადამიანის უფლებათა სამაგალითო მცველად წარუდგინოს თავი.**

topwar.ru

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთის მმართველი ელიტისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა სტალინის დემონიზაცია, რისი გაკეთებაც შესაძლებელია მხოლოდ ნაციზმის აღზევებისა და მისი გამართლების ფონზე.**

# ნაციზმის რეაბილიტაცია — მსოფლიო მმართველი ელიტების დღის წესრიგში

**კუმ ფეხი რომ გამოჰყო, ხომ გახსოვთ ეს ანდაზა, მეც ნახირ-ნახირო, ასე იყო სააკაშვილის ხელისუფლების ამბავი. ყველგან და ყველაფერში. მაგრამ დღეს მხოლოდ ერთ საკითხს შევეხებით: ანტისტალინურ კამპანიაში გუშინდელთა თავგამოდებულ ჩაბმას.**



**რასიზმი მაინც და მაინც ჰიტლერის ახირება კი არ იყო, არამედ გერმანიის სამეცნიერო საზოგადოების მიერ კარგად შემუშავებული და ჩამოყალიბებული სამეცნიერო მიმართულება**

## ტროცკისტები ნაცისტებთან ალიანსში

ანალიტიკოსების დაკვირვებით, დღეს მსოფლიოში საოცრად გაზრდილია ინტერესი სტალინის ეპოქის, მისი ისტორიული როლისა და მნიშვნელობის მიმართ. **დასავლეთის მმართველი ელიტისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გახდა სტალინის დემონიზაცია, რისი გაკეთებაც შესაძლებელია მხოლოდ ნაციზმის აღზევებისა და მისი გამართლების ფონზე.**

ჯერ სოციალიზმისა და ფაშიზმის გაიგივებით დაიწყეს, შემდეგ სტალინისა და ჰიტლერის მსგავსებით გააგრძელეს. მაგრამ ვერ მიიღეს დამაკმაყოფილებელი შედეგი და დაიწყეს ისტორიული ფესვების ძიება.

მოდით, ჩვენც ისტორიაში ჩავიხედოთ. გადავათვალიეროთ ისტორიული ლიტერატურა, რომელიც მრავალი სერიოზული ნაშრომით არის წარმოდგენილი და რომელთა ავტორები დეტალურად შიფრავენ ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის პირობებს, მექანიზმს და ასკვნიან, რომ **მესამე რაიხი ინგლის-ამერიკისა და სიონისტური ფინანსური წრეების მიერ განხორციელებული პროექტი იყო.**

მკვლევარები დაბეჯითებით გვიმეორებენ, რომ, მეცნიერული თვალსაზრისით, ამ დებულების დარღვევა წარმოუდგენელია. მისი მხოლოდ იგნორირება და მიფუჩეჩება შეიძლება. სწორედ ამ გზით მიემართება დღეს დასავლეთის ინტელექტუალური ელიტის ნაწილი, რადგან **ობიექტურობის შემთხვევაში ოფიციალურად დადასტურდება მსოფლიოს უმაღლესი ოფიციალური წრეების პასუხისმგებლობა მეორე მსოფლიო ომის სასაკლაოს გაჩაღების გამო.**

სამწუხაროა, რომ გაცილებით ნაკლები იწერება იმ კორპორატიული ელიტების სტრატეგიული მიზნების შესახებ, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ნაცისტური რეჟიმის დამკვიდრებას. არადა, უაღრესად საინტერესო იქნებოდა იმის გარკვევა, რომ მსოფლიოს კულისებში წარმოებული პოლიტიკა, მისი არსებობის სხვადასხვა ეტაპზე ყოველთვის უცვლელი რჩებოდა და ემსახურებოდა მსოფლიოში გაბატონების თავის ძირითად ინტერესებს.

ამ კუთხით ერთ-ერთი **უმთავრესი ამოცანა იყო სტალინის რეჟიმის განადგურება, რომელიც მსოფლიო ფინანსური ოლიგარქიის ძალაუფლების ერთადერთ და რეალურ ალტერნატივას წარმოადგენდა.**

დასავლეთს არ სჭირდებოდა ჰიტლერის საგანგებოდ წასისინება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ადოლფ შიკლგუბერის ნაციონალ-სოციალისტური აგრესიული გეგმები მის წიგნშია წარმოდგენილი — „მაინ კამპფ“ (1925 წ.). ცნობილია, რომ ფაშისტების ფიურერი თავის ოპუსს ბრიტანეთის პოლიტიკური დაზვერვის „მრგვალი მაგიდის“ აგენტურის გავლენის ქვეშ მყოფი წერდა. ეს დაზვერვა აკონტროლებდა „მისტიკოსების კლუბებს“.

**ჰიტლერი მიიჩნევდა, რომ, თუ საფრანგეთი ევროპაზე კონტროლის დაწესებაში გერმანიის მთავარი მოწინააღმდეგეა, დიდი ბრიტანეთი და იტალია კი მისი მთავარი მოკავშირეები, მაშინ რუსეთი მხოლოდ ტერიტორიაა, რომელიც დასაპყრობად და კოლონიად გადაქცევისთვისაა განწირული.**

ჰიტლერი წერდა: **„ჩვენ, ნაციონალ-სოციალისტები სრულიად შეგნებულად უარვყოფთ ომამდელი დროის გერმანულ საგარეო პოლიტიკას. ჩვენ გვსურს დავუბრუნდეთ იმ პუნქტს, რომელშიც 600 წლის წინათ შეწყდა ჩვენი ძველი განვითარება. ჩვენ გვსურს შევაჩეროთ ოდინდელი გერმანული მისწრაფება ევროპის სამხრეთისა და დასავლეთისკენ და გარკვევით მივუთითებთ ტერიტორიებისკენ, რომლებიც აღმოსავლეთითაა გადაშლილი. ჩვენ საბოლოოდ ვწყვეტთ კავშირს ომამდელი პერიოდის კოლონიურ და სავაჭრო პოლიტიკასთან და შეგნებულად გადავდივართ ევროპაში ახალი ტერიტორიების დაპყრობის პოლიტიკაზე. როცა ვლაპარაკობთ ახალი მიწების დაპყრობაზე ევროპაში, ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში შეგვიძლია ვიქონიოთ, უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ რუსეთი და ის განაპირა სახელმწიფოები, რომლებიც მას ემორჩილება“.**

ყურადღება მიაქციეთ **განაპირა სახელმწიფოებს,** რომელთა ტერიტორიების დაპყრობას მიზნად ისახავს ჰიტლერი.

რომელ ტერიტორიებზეა ლაპარაკი?

განაპირა სახელმწიფოების ტერიტორიებზე.

რომელი განაპირა სახელმწიფოები იგულისხმება?

მათ შორის — საქართველო, რომელიც განაპირაა და ემორჩილება რუსეთს, ანუ შედის მის შემადგენლობაში სახელმწიფოს სტატუსით. განმარტებაც აღარ უნდა იყოს საჭირო: **ჰიტლერი აპირებს სხვა „განაპირა სახელმწიფოებთან“ ერთად საქართველოს ტერიტორიის დაპყრობასაც.**

ფაშისტების მხარეს გადასული „პატრიოტები“ კი იმის დამტკიცებას ცდილობდნენ, რომ ფაშისტები საქართველოს გასათავისუფლებლად და მისი სუვერენიტეტის აღსადგენად მოიწევდნენ სამხრეთ კავკასიისკენ.

საოცარი ის არის, რომ ამ ნაბოდვარის დღესაც სჯერა ზოგიერთ ვაიპატრიოტს და ჰიტლერის ლაქია ქართველებს ეროვნულ გმირებადაც კი წარმოგვიდგენენ.

**აღმოსავლეთი ჰიტლერს წარმოედგინა როგორც დასავლეთ ევროპის ბაზარი და ნედლეულის წყარო.**

**აზია მისი ცხოველური ზიზღის წყაროა, სრულიად მიუღებელი ფენომენია.**

ამიტომ ჩვენი გაცხელებული პოლიტიკური ტვინები დღეს რომ მოითხოვენ კონსტიტუციაში საქართველოს მაინც და მაინც დასავლური ორიენტაციის დაფიქსირებას, ხომ არ დაემსგავსება ეს იმ შორეული ნაბოდვარის მკრთალ გამოძახილს?

1941 წლის სექტემბერში ფიურერი აზუსტებს ევროპააზიის პრობლემაზე მისეულ ავადმყოფურ შეხედულებას: **„საზღვარი ევროპასა და აზიას შორის გადის არა ურალზე, არამედ იქ, სადაც მთავრდება ნამდვილი გერმანელების დასახლებები... ჩვენი ამოცანაა, რომ ეს საზღვარი გადავწიოთ რაც შეიძლება აღმოსავლეთისკენ, თუ საჭირო იქნება, — ურალს იქით...**

**შხამიანი ბუდე — პეტერბურგი, საიდანაც ასე დიდხანს ჟონავდა აზიური საწამლავი ბალტიის ზღვაში, უნდა გაქრეს პირისაგან მიწისა... აზიელები და ბოლშევიკები განიდევნებიან ევროპიდან, აზიატობის 250-წლიანი ეპიზოდი დამთავრდა... აღმოსავლეთი დასავლეთ ევროპისთვის იქნება გასაღების ბაზარი და ნედლეულის წყარო“.**

ღმერთო შეგცოდე, მაგრამ მეჩვენება, რომ ნაცისტების ფიურერს და ჩვენი ნაცების ხელისუფლებას ერთნაირად აკანკალებთ ბოლშევიკების (კომუნისტების) ხსენებისას.

სულიერ ნათესაობაზე არც მიფიქრია: მეჩვენება-მეთქი. ასეა თუ ისე, თემა, რომელიც უნებურად წამოიჭრა, ცალკე განხილვის საგანია. მოვნახავთ დროს, დავუბრუნდებით.

## „დრანგ ნახტ ოსტენ!“

**ჰიტლერი კი განაგრძობდა „აღმოსავლეთის პოლიტიკის“ დახვეწას, რომლის ძირითადი მიმართულებანი დეტალურად ჩამოაყალიბა ნაცისტების „გენერალურ გეგმაში „ოსტ“, ამ გეგმის დედანი დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა. ტექსტი მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს იპოვეს. გერმანიის ფედერალურმა არქივმა იგი სრულად 2009 წელს გამოაქვეყნა.**

**გეგმა „ოსტი“ იმპერიის უშიშროების მთავარმა სამმართველომ 1941 წელს შეიმუშავა. იგი ითვალისწინებდა აღმოსავლეთ ევროპისა და სსრ კავშირის დასავლეთის მიწების მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას და გერმანელებისთვის „სასიცოცხლო სივრცის გამოთავისუფლებას“.** მას წინ უსწრებდა ოკუპირებული ტერიტორიების რაიხსმინისტრ ა. როზენბერგის მიერ შემუშავებული პროექტი.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ამასთან დაკავშირებული ასეთი გარემოება: აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის ეროვნულ-ეთნიკური გარდაქმნის გეგმები ეფუძნებოდა მეცნიერ-ექსპერტთა შრომებს, რომლებსაც აფინანსებდა სამეცნიერო-კვლევითი თანამეგობრობა (DFG) — გერმანიაში სამეცნიერო კვლევების ცენტრალური ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია აერთიანებდა გერმანიის უნივერსიტეტების, უნივერსიტეტებგარე კვლევითი გაერთიანებების, სამეცნიერო კავშირებისა და აკადემიების უმეტესობას. დაარსებული იყო 1920 წელს როგორც „გერმანული მეცნიერების ურთიერთდახმარების საზოგადოება“. **მას იმთავითვე ხელმძღვანელობდნენ მეცნიერები, რომლებიც საფუძველს უყრიდნენ ექსპანსიონისტური და რასისტული მიმართულების პოლიტიკას.**

პირდაპირ ვთქვათ: **რასიზმი მაინც და მაინც ჰიტლერის ახირება კი არ იყო, არამედ გერმანიის სამეცნიერო საზოგადოების მიერ კარგად შემუშავებული და ჩამოყალიბებული სამეცნიერო მიმართულება.**

1949 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩამოყალიბებისთანავე ეს საზოგადოება ჩაეწერა პლურალისტურ დემოკრატიაში, ხოლო 1990-იანი წლების ბოლოდან საზოგადოების პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა ინიციატივების მთელ რიგს, რომლებიც მიმართული იყო საკუთარი ისტორიის „ტო- ▶

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მესამე რაიხის მეცნიერებს აქტიურად იყენებდნენ „ტვინების გამორეცხვის“ პროგრამების განხორციელებისას, რასაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ეწეოდა, მაგალითად, MKULTRA-ს პროექტში, რომელიც რადიაციის, ფსიქიატრიის, სხვადასხვა პროცედურებისა და ნივთიერების მეშვეობით ადამიანის ქცევის მართვის მიზნით ტარდებოდა.

◀ ლერანტული სულისკვეთებით ყოვლისმომცველ გადაფასებას“.

მალე ფაშისზმსაც გაამართლებენ.

აშშ დაზვერვა „მაინ კამპფის“ გამოსვლამდეც იცნობდა ჰიტლერის იდეურ შეხედულებებს. 1922 წელს მიუნხენში ადოლფ ჰიტლერი შეხვდა აშშ სამხედრო ატაშეს გერმანიაში, კაპიტან **ტრუმენ სმიტს**, რომელმაც ამ შეხვედრის ანგარიში თავის უფროსობას (სამხედრო დაზვერვის სამმართველოს) წარუდგინა და მაღალი შეფასება მისცა ნაცისტების ლიდერს. სწორედ სმიტის მეშვეობით ჰიტლერის ნაცნობთა შორის დამკვიდრდა **ერნსტ ფრანც ზედგვიკ განფშტენგლი (პუტცი)**, ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰიტლერის როგორც პოლიტიკოსის ჩამოყალიბებაში, დაეხმარა მას ფინანსურად და უზრუნველყო მისი დაახლოება მაღალი თანამდებობის ბრიტანელ მოღვაწეებთან. 1938 წელს განფშტენგლმა დატოვა გერმანია და ჩავიდა ამერიკაში, სადაც ომის წლებში უკვე პრეზიდენტ რუზველტის მრჩევლად მუშაობდა.

ასე რომ, **გერმანელი ნაცისტების მიზნებისა და პროგრამების შესახებ აშშ შესაბამისმა წრეებმა პრაქტიკულად ყველაფერი იცოდნენ, მაგრამ, როგორც ექსპერტები ამბობენ, „გაყინულ“ მდგომარეობაში ინახავდნენ.**

ეს ინფორმაცია მათ „გაალღვეს“ მხოლოდ 20-იანი წლების ბოლოს, როცა ჩავარდა სტალინის მოცილების ტროცკისტული გეგმა.

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, როგორ აღწერა ეს სიტუაცია ტროცკის ერთგულმა მიმდევარმა **რაკოვსკიმ** გამომძიებლისთვის მიცემულ ჩვენებებში, რომლებიც გადმოცემულია დოქტორ **ლანდოვსკის** წიგნში „წითელი სიმფონია“.

რაკოვსკი ამტკიცებს, რომ **სტალინმა ხელი შეუშალა ინტერნაციონალური კომუნიზმის შექმნის გეგმას, რომლის სათავეში უმაღლესი ფინანსური წრეები** („ისინი“, როგორც მათ რაკოვსკი მოიხსენიებს) **ლევ ტროცკის (ლეიბა ბრონშტეინს) მოიაზრებდნენ.** იგი წერს: **„ჩვენთვის სტალინი კომუნისტი კი არა, ბონაპარტისტია... ჩვენ არ გვსურს, რომ მნიშვნელოვანი წინაპირობები, რომლებიც ვერსალში შევქმენით მსოფლიოში კომუნისტური რევოლუციის გასამარჯვებლად, მოემსახუროს სტალინური ბონაპარტიზმის გამარჯვებას... მაგრამ შედეგად იმისა, რომ სტალინი სსრ კავშირის დიქტატორი გახდა და კომუნისტური ინტერნაციონალის სათავეში მოექცა, „მათ“ ვეღარ შეძლეს კომუნისტური ინტერნაციონალის გაკონტროლება. „მათ“ ერთგვარად გამოასწორეს მდგომარეობა დაუესის გეგმებით და იანგის გეგმით და იმის იმედით, რომ ამასობაში ტროცკისტული ოპოზიცია სსრკ ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა, მაგრამ... ესეც არ მოხდა.**

**თუმცა „ისინი“, როგორც რევოლუციის წყარო, განაგრძობენ მოქმედებას. გერმანიის ხელიდან წასული ეკონომიკა, რა თქმა უნდა, ბუნებრივად გამოიწვევდა კომუნისტურ რევოლუციას გერმანიაში. მაგრამ „ისინი“ ცოტა ჩაასწორებენ პროლეტარიატის ამ გააფთრებას და კომუნისტური რევოლუციის ნაცვლად იმარჯვებს ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური რევოლუცია.**

ეს დიალექტიკურად გააკეთეს. მაგრამ ამით ყველაფერი არ ამოიწურა. საჭირო იყო, რათა გერმანიაში ტროცკისტებსა და სოციალისტებს ინსტრუქციების მიხედვით გაენაწილებინათ პროლეტარიატის გაღვიძებული მასები. აი, სწორედ ამ საქმით ვიყავით დაკავებული. მაგრამ უფრო მეტი იყო საჭირო: 1929 წელს გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტია ზრდის სიძნელეებს განიცდიდა — არ იყო ფული. მაშინ „მათ“ გააგზავნეს პარტიაში თავიანთი კაცი. მე ვიცი მისი სახელი. ეს იყო ბანკირ ვარბურგთაგან ერთ-ერთი. **ჰიტლერთან მოლაპარაკების დროს ისინი შეთანხმდნენ გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის დაფინანსირების წესზე, და რამდენიმე წლის განმავლობაში ჰიტლერი მილიონობით დოლარს იღებდა უოლ-სტრიტიდან. მილიონობით დოლარს იგი შახტის მეშვეობით გერმანელი ფინანსისტებისგანაც იღებდა.**

ეს ფული დაიხარჯა **სს**-ესისა და **სა**-ს ფორმირებაზე, აგრეთვე, საარჩევნო კამპანიის დაფინანსებაზე რათა, რომ „მათ“ მიერ შემოწირული ფულით აერჩიათ ჰიტლერი... **ჰიტლერის ძალა იზრდება, და იგი უკვე აფართოებს მესამე რაიხის საზღვრებს. მომავალში ჰიტლერის ძლიერება კიდევ უფრო გაიზრდება, იმ ზომამდეც კი, რომ მოიკრებს ძალას სსრ კავშირზე თავდასასხმელად და სტალინის დასამხობად“.**

სანამ თემას განვაგრძობთ, ურიგო არ იქნება, „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს შევახსენოთ, რომ სტალინის მიერ მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციაზე უარის თქმა და ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებაზე გეზის აღება, როგორც ჩანს, ტროცკისტული, მსოფლიო კომუნიზმის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯიც იყო.

ირკვევა, რომ ის, რასაც ტროცკი და მისი მიმდევრები ქადაგებდნენ, მსოფლიოს მმართველი ელიტების ჩანაფიქრის განხორციელებისკენ იყო მიმართული: **კაპიტალის მსოფლიო ბატონობისკენ.** სტალინმა ეს გლობალური გეგმა გაშიფრა და ჩაფუშა, ბუნებრივია, რომ ამით გეგმის ავტორების სიძულვილი გამოიწვია. **ეს სიძულვილი იმდენად ძლიერია და „მათი“ იდეა დღის წესრიგიდან რომ არ მოხსნილა, იქიდანაც ჩანს, რომ უფრო და უფრო გააფთრებით გრძელდება ბრძოლა ბელადის წინააღმდეგ.**

ჩვენი წვრილფეხობა, ყოფილი ხელისუფლება, სამარცხვინო „მეც ნახირ-ნახიროთი“ აჰყვა და თუ ათი წლის წინათ კედლებზე „კმარას“ წარწერით ერთობოდა, ახლა მარტოხელა დედები თალიბების თავგამოდებით იღწვიან სტალინის ძეგლის გადაღებვაზე პასუხისმგებლობის აღებით.



**„ჰიტლერის ძალა იზრდება, და იგი უკვე აფართოებს მესამე რაიხის საზღვრებს. მომავალში ჰიტლერის ძლიერება კიდევ უფრო გაიზრდება, იმ ზომამდეც კი, რომ მოიკრებს ძალას სსრ კავშირზე თავდასასხმელად და სტალინის დასამხობად“**

## მესამე რაიხი და მსოფლიო მართვის ექსპერიმენტი

დიახ, სწორედ ასე: **მსოფლიო მმართველი ელიტების სტრატეგიული მიზანი საზოგადოების მართვის „უახლესი“ მეთოდების საცდელ სივრცედ მესამე რაიხის გამოყენება იყო.**

იდეა ადამიანის გონებასა და ქცევაზე ტოტალური კონტროლის დაწესებაში მდგომარეობდა, ასევე, „კაცობრიობის ჯიშის“ გაუმჯობესებასა და ზედმეტი მოსახლეობის რაოდენობის შემცირების გზების ძიებაში. გამოსცდიდნენ სხვა ეფექტიან სოციალურ მექანიზმებსაც, რომლებიც უზრუნველჰყოფდნენ ელიტების მმართველობის სტაბილურობას.

ცნობილია, რომ **ნაცისტების უმაღლესი ფენა ოკულტური სტრუქტურის სახით იყო წარმოდგენილი, მთელი საზოგადოებაც ოკულტური სექტის მოდელის მიხედვით იყო აგებული, რომლის შიგნით ხდებოდა „ადეპტების“ შეგნების გარდაქმნა ან შეცვლა.**

ნიშანდობლივია, რომ ქცევით ფსიქიატრიაში პირველი შრომები ორგანიზებული იყო გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს. გერმანიაში ამ მიმართულებას განახორციელებდნენ კაიზერ ვილჰელმის საზოგადოების ინსტიტუტები, დიდ ბრიტანეთში — ტავისტოკის კლინიკაში, რომელიც 1946 წელს ადამიანურ ურთიერთობათა ტავისტოკის ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ეს უკანასკნელი აღიქმებოდა ფსიქოლოგიური ომის ცენტრად და მის მუშაობას კოორდინირებას უწევდა ინტელიჯენს სერვისი და სამეფო ოჯახი. 1932 წელს ტავისტოკის კლინიკის დირექტორად დაინიშნა გერმანელი ფსიქოლოგი **კურტ ცადეკ ლევინი**, რომელიც შემდეგ აშშ-ში გადაბარგდა და სათავეში ჩაუდგა ჯგუფური დინამიკის ცენტრს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.

**ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ინგლისელი და გერმანელი მეცნიერები განაგრძობდნენ მჭიდრო თანამშრომლობას ნეიროფსიქოლოგიის, პარაფსიქოლოგიისა და ევგენიკის სფეროებში. ეს უკანასკნელი კაცობრიობის მოდგმის „გაუმჯობესების“ საკითხებით იყო დაკავებული.**

ევგენიკა აშშ-ში ფრიად პოპულარული დარგი იყო და მას უხვად აფინანსებდნენ ამერიკის ფინანსური კლანები — როკფელერების, ჰარიმანების, მორგანების და სხვა გვარების წარმომადგენლები. ისინი, როგორც ევგენიკის საზოგადოების წევრები, ასპონსორებდნენ „უმდაბლესი ადამიანების“ სტერილიზაციის და პოპულაციური კონტროლის სხვადასხვა ფორმების გამოყენების ექსპერიმენტებს. ინგლისის საზოგადოებაში მათი კოლეგები იყვნენ უინსტონ ჩერჩილი (ფინანსთა მინისტრობისას), ეკონომისტი ჯონ კეინსი, ლორდი ბალფური და ბიოლოგი ჯულიან ხაკსლი, რომელიც ომის შემდეგ იუნესკოს პირველი ხელმძღვანელი გახდა.

ნიშანდობლივია, რომ როკფელერის ფონდის მეშვეობით პრინსტონის უნივერსიტეტში შეიქმნა მოსახლეობის პრობლემების შემსწავლელი სამმართველო, რომელიც დაკავდა მოსახლეობის რაოდენობრივი ცვლილების პოლიტიკური ასპექტებით. **მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას როკფელერი განიხილავდა როგორც მზარდ პოტენციურ საშიშროებას.**

გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში როკფელერის ფონდმა გადამწყვეტი წვლილი შეიტანა გერმანული ევგენიკის დაფინანსებაში. ამ მიმართულებას გერმანიაში განაგებდა ევგენიკის ინსტიტუტი ბერლინში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფონ ფერშუერი, მომავალში სამედიცინო ევგენიკის ჰიტლერული სისტემის „არქიტექტორი“ და სტერილიზაციის შესახებ ნაცისტური კანონის მთავარი ავტორი. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ეს კანონი „ამერიკულ თარგზეა“ მოჭრილი და სწორედ იგი დაედო საფუძვლად რასობრივი ჰიგიენის მასშტაბურ პროგრამას.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ როკფელერს ხელი არ აალებინა ნაცისტური ევგენიკის დაფინანსებაზე. ნაცისტმა მეცნიერებმა ისე წარმატებულად იმუშავეს ამ მიმართულებით, რომ უკვე 1940 წელს ამერიკის ევგენიკის საზოგადოების საქმეთა მმართველმა **ლეონ უიტნიმ** თავს უფლება მისცა, განეცხადებინა: **„სანამ ჩვენ შორიახლო დავდიოდით..., გერმანელებმა საგნებს თავიანთი სახელები უწოდეს“. გენეტიკური ინჟინერიის, ქცევის მოდიფიკაციისა და „ტვინების გამორეცხვის“ ინტენსიური ექსპერიმენტები ტარდებოდა ოსვენციმისა და დახაუს საკონცენტრაციო ბანაკებში.**

## „ომი დამთავრდა, გეშინოდეთ მშვიდობის“

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აშშ ხელმძღვანელობამ ვატიკანთან აქტიური კავშირის გამოყენებით სპეციალური ოპერაციის ფარგლებში ფარულად ჩაიყვანა ქვეყანაში წამყვანი მეცნიერები და ჯაშუშები ნაცისტური გერმანიიდან და ფაშისტური იტალიიდან.** შედეგად, 1949 წელს **ფონ ფერშუერი** აირჩიეს ამერიკის ადამიანის გენეტიკის ახლად შექმნილი საზოგადოების წევრკორესპონდენტად, რომელმაც **სახელგატეხილი ევგენიკა „გენეტიკის“ სახელწოდებით შენიღბა.**

ახლა, მგონი, ცხადი ხდება, რატომ ჩათვალა სტალინმა გენეტიკა ცრუმეცნიერებად იმ დროსა და იმ პირობებში. ანტისტალინისტებმა ამის გამო იგი რეტროგრადად და მეცნიერების ახალი მიმართულების მტრად გამოაცხადეს.

აღნიშნული საზოგადოების პირველ პრეზიდენტად აირჩიეს როკფელერის უნივერსიტეტის თანამშრომელი **მელერი**, რომელიც 1932 წელს კაიზერ ვილჰელმის ინსტიტუტში ტვინის კვლევის პროგრამის მიმართულებით მუშაობდა.

იმ პერიოდის აშშ დაზვერვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენად მიჩნეულია გერმანელი გენერალი **რეინჰარდ გელენი**, სსრ კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერული დაზვერვის შეფი. სწორედ მისი და მასთან ერთად პრეზიდენტ **ტრუმენის**, სტრატეგიული სამსახურების ხელმძღვანელის **დონოვანისა** და **ალენ დალესის** მონაწილეობით განხორციელებული „ტვინების შტურმის“ შედეგად შესაძლებელი გახდა აშშ დაზვერვის სამსახურის რეორგანიზაცია და მისი გარდაქმნა საიდუმლო და მაღალეფექტიან სპეციალურ ძირგამომთხრელურ სამსახურად. მათი ძალისხმევის კულმინაციად ითვლება 1947 წელს ეროვნული უშიშროების საბჭოსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შექმნა. მკვლევარი **რომ პატონი** წერდა, რომ **„ეს იყო აისბერგის იურიდიული მწვერვალი, რომელიც ფარავდა მთავრობის უკანონო ქმედებათა უზარმაზარ ნაკადს, მათ შორის, იატაკქვეშა პროგრამებს გონების კონტროლის მიმართულებით“.**

**მესამე რაიხის მეცნიერებს აქტიურად იყენებდნენ „ტვინების გამორეცხვის“ პროგრამების განხორციელებისას, რასაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ეწეოდა, მაგალითად, MKULTRA-ს პროექტში, რომელიც რადიაციის, ფსიქიატრიის, სხვადასხვა პროცედურებისა და ნივთიერების მეშვეობით ადამიანის ქცევის მართვის მიზნით ტარდებოდა.**

ამ ექსპერიმენტის გვირგვინი გახდა პროექტი „მონარქი“, რომელიც მიმართული იყო „მძინარე მკვლელების“, ან „კანდიდატი მანქურთების“ შესაქმნელად. ისინი ამოქმედდებოდნენ მთავარი სიტყვის ან ფრაზის მიღებისთანავე პოსტჰიპნოტიკური ტრანსის დროს. ერთ-ერთი ასეთი კანდიდატი იყო **მერლინ მონროც**. ამ ოპერაციების დროს განახორციელებდნენ ოკულტურ რიტუალებს, რომლებიც კაბალისტურ მისტიკაზე იყო დაფუძნებული.

**ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ექსპერიმენტული პროგრამები, რომლებიც ნაცისტების მიერ იყო დამუშავებული, ფრიად აქტუალური გახდა „ცივი ომის“ და, განსაკუთრებით, XXI საუკუნის დასაწყისში „ახალ მსოფლწესრიგზე“ გადასვლის პერიოდში.**

**დასასრული იქნება**

პუბლიკაცია მოამზადა
**არმაზ სანებლიძემ**

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ძაღლებს მიკროჩიპებს ჩაუდგამენ

**2016 წლის აპრილიდან ინგლისში ყველა ძაღლს მიკროჩიპს ჩაუდგამენ. მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც ძაღლის მეპატრონეებს ავალდებულებს, თავიანთ ოთხფეხა მეგობრებს მიკროჩიპები ჩაუდგან.** კანონმდებელთა განცხადებით, ახალი კანონი ძაღლების დაკარგვით გამოწვეულ პრობლემებს და მათზე ძალადობის ფაქტებს გამორიცხავს. კანონის დამრღვევი, რომელიც თავის ძაღლს მიკროჩიპს არ ჩაუდგამს, 500 ფუნტი სტერლინგით დაჯარიმდება. ძაღლისთვის მიკროჩიპის ჩადგმა ვეტერინარულ კლინიკებში 20-30 ფუნტი სტერლინგი ეღირება. ჩიპს, რომელიც ბრინჯის მარცვლის ზომის იქნება, ძაღლებს მხარში ჩაუდგამენ. მსგავსი კანონი უკვე მოქმედებს ჩრდილოეთ ირლანდიაში და მალე ამოქმედდება უელსში.






# ვინ გაემგზავრება მარსზე?

**ჰოლანდიური ორგანიზაცია Mars One, რომელიც 2023 წლისთვის გეგმავს კოლონიზაციას მარსზე, აგროვებს ადამიანებს, რომლებიც წითელ პლანეტაზე სამუდამოდ გაემგზავრებიან.**



ვის შეუძლია შეიტანოს განცხადება წითელ პლანეტაზე გამზავრების შესახებ? როგორც პროექტ Mars One-ის წარმომადგენლები იუწყებიან, ეს შეიძლება გააკეთოს ნებისმიერმა ადამიანმა, თუ შემდეგ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს:

ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელია;

უკვე შეუსრულდა 18 წელი;

ამტანი, ახალ პირობებთან მარტივად შემგუებელი, ცნობისმოყვარე, რისკიანი და შემოქმედებითი ნატურაა;

ესმის მისიის შინაარსი;

იცის და შეუძლია ურთიერთობების განვითარება;

აქვს თვითანალიზისა და სხვებისადმი ნდობის უნარი.

კანდიდატები შეიძლება იყვნენ სამყაროს ნებისმიერი კუთხიდან, თუმცა აუცილებლია ინგლისური ენის თუნდაც მინიმალურად ცოდნა. ასევე ყველა მსურველმა 8 წელი უნდა დაუთმოს იმ მისიისთვის მომზადებას, რომელიც 2023 წელს განხორციელდება.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს იქნება „გაფრენა დაბრუნების გარეშე“, ამ პროექტში მონაწილეების უმეტესობას დედამიწაზე დასარჩენად ერთი მიზეზიც არ ექნება, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიზეზი.

მოხალისეების მიღება იწყება 2013 წლის პირველივე ნახევარში. წარმოიქმნება 6 ჯგუფი, თითოში მხოლოდ 4 ადამიანი გაერთიანდება. ამ ჯგუფებიდან მხოლოდ ერთი გაემგზავრება და დასახლდება მარსზე 2022 წლის სექტემბერში, ხოლო დანარჩენი ჯგუფები მათ შემდგომ შეუერთდებიან.

8-წლიან მომზადებისას მონაწილეები ისწავლიან ელექტროობას, აღჭურვილების რემონტს და სამედიცინო დახმარების მნიშვნელოვან ნაწილებს.







რაც ყველაზე საინტერესოა, Mars One-ის გადაწყვეტილებით შეიქმნება რეალითი შოუ, რომელშიც გავეცნობით გმირებს, მათ ყოველდღიურ მომზადებას და ცხოვრებას. სწორედ ხალხის გადაწყვეტილებით აირჩევენ პირველ ჯგუფს, რომელიც მარსზე გაემზავრება და სწორედ ხალხი იქნება ამ პროექტის მთავარი დამფინანსებელი.

პირველი ტესტი ჩატარდება 2016 წელს, როცა მარსზე გააგზავნიან მარსმავალს და აღჭურვილობას.

არც თუ ისე დიდი ხნის წინ დასრულდა რუსული პროექტი „მარსი 500“, რომელიც წითელ პლანეტაზე გაფრენის იმიტაციას წარმოადგენდა. ეს პროექტი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დაკვირვებით მიმდინარეობდა. 520 დღის განმავლობაში (2010-დან 2011 წლამდე) პროექტის 6 მონაწილე იმყოფებოდა ჩაკეტილ სივრცეში, „ხომალდს“ არ ჰქონდა სარკმლები და მონაწილეები ძალიან იშვიათად ახერხებდნენ გარე სამყაროსთან კონტაქტს. ჩატარდა 100-ზე მეტი ექსპერიმენტი და გამოვლინდა პროექტის შედეგები.

ეკიპაჟის ყველა წევრი „ხომალდიდან“ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი გამოვიდა. მათი ძილის ხანგრძლივობა საშუალოდ 8%-ით, ანუ დაახლოებით 35 წუთით გაიზარდა. პროექტის ექვსივე წევრი გახდა ნაკლებად მოძრავი, მთელი პროექტის განმავლობაში ისინი ხომ „მჯდომარე“ ცხოვრებას ეწეოდნენ. მათი ძილის ხარისხი შეიცვალა. ერთი მონაწილე ცხოვრობდა არა 24, არამედ 25-საათიანი ციკლით, მეორე დღის სხვადასხვა მონაკვეთში იძინებდა, ხოლო მესამის ძილის ხანგრძლივობა ნელ-ნელა მცირდებოდა. ერთ-ერთ მონაწილეს აღენიშნებოდა მსუბუქი დეპრესიის ნიშნები.

დარჩა გამოსაკვლევი რადიაცია. ყველაფრის მიუხედავად, მონაწილეებმა იცოდნენ, რომ ისინი სინამდვილეში არ იყვნენ მარსზე და შეიძლება ესაა იმის მიზეზი, რომ ამ 520 დღეს მათ ფსიქიკაზე გავლენა არ მოუხდენია, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება — ამ ექსპერიმენტმა მწვანე შუქი აუნთო მარსზე გამგზავრების მსურველებს.



# აბრაჰამის ტბის გაყინული ბუშტუკები

**აბრაჰამის ტბა არის ხელოვნური წყალსაცავი, რომელიც მდებარეობს მდინარე North Saskatchewan-ის ჩრდილოეთით, კანადაში, ალბერტას პროვინციაში. იგი 1972 წელს შექმნეს ბიგჰორნის ჭაობთან ახლოს, ხოლო სახელი მიიღო სილას აბრაჰამის საპატივცემულოდ, რომელიც ამავე პროვინციის მკვიდრი იყო მე-19 საუკუნეში.** აქ შეგიძლიათ იხილოთ უნიკალური ფენომენი — გაზის ბურთულების გაყინვა წყლის ზედაპირთან ახლოს. მას ხშირად გაყინულ ან ყინულიან ბურთულებს უწოდებენ. სწორედ ამ ფენომენის წყალობით გახდა ეს ადგილი ყველასთვის ცნობილი მთელ მსოფლიოში და ერთდერთი სანახაობა, რომლის გულისთვისაც ამ პროვინციაში ჩამოდიან, სწორედ ეს ტბაა. ფოტოგრაფი ფიკრეტ ონალი ხსნის ამ უნიკალური ფენომენის ეფექტს: „მართალია ბევრი ტბა გადამიღია, მაგრამ ამ ტბამ ყველაზე სასიამოვნო შეგრძნებები გამოიწვია ჩემში. მიუხედავად იმისა, რომ აქ თოვლი და 30-გრადუსიანი ყინვაა, მაინც ვისიამოვნე ამ სანახაობით“.







ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## სათამაშო მატარებელი

**ღირებულება — 113 750 გირვანქა სტერლინგი**

მატარებელი 1906 წელსაა გამოშვებული და კომპანია Marklin-ს ეკუთვნის. Christies აუქციონის შემფასებლების აზრით, ის არაა განკუთვნილი სათამაშოდ და მისი მთავარი ადგილი ვიტრინაშია, რათა მყიდველები მოიზიდოს. სათამაშო მატარებლის სახურავზე თავისუფლად დაეტევა ბავშვი, ხოლო მისი სიგრძე სამ მეტრს აღწევს. მატარებელს აქვს რესტორნის ვაგონი ღია ვერანდით, ხოლო მისი საკვამურიდან ნამდვილი კვამლი ამოდის. სათამაშო გარდინერის ოჯახს ეკუთვნოდა. თითქმის საუკუნის შემდეგ ახალი თაობის წარმომადგენელმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა. მას არ ეგონა, რომ საოჯახო რელიქვია ევროპელ კოლექციონერებში ასეთ აჟიოტაჟს გამოიწვევდა.

# ყველაზე ძვირადღირებული სათამაშოები

ჟურნალმა Forbes-მა 10 ყველაზე ძვირადღირებული სათამაშოს რეიტინგი გამოაქვეყნა.



## მექანიკური თოჯინა

**ღირებულება — 6.25 მილიონი დოლარი**

შვეიცარიელ კრისტიან ბაინს 15 000 საათი დასჭირდა, რათა 2340 დეტალისგან შეექმნა მექანიკური თოჯინა, რომლის ფასი რამდენიმე მილიონი აშშ დოლარია. აბრეშუმში გამოწყობილი სათამაშო ბიჭუნა უკრავს ფლეიტაზე, რომლის ხმის გაგონებაზე თოჯინის მხარზე მოთავსებული სათამაშო ჩიტები მოძრაობას და სიმღერას იწყებენ. სათამაშო 55 კგ-ს იწონის. თოჯინაში არავითარი ელექტროდანადგარი არ არის ჩამონტაჟებული. მისი მოქმედებაში მოყვანა სპეციალური გასაღებით ხდება.



## სათამაშო მანქანა

**ღირებულება — 140 000 აშშ დოლარი**

თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, 40 მილიონი ავტომოყვარული Hot Wheels-ის ბრენდის სათამაშო მანქანებზეა გაზრდილი. 40-წლიანი იუბილის აღსანიშნავად, ბრენდმა შექმნა უნიკალური სათამაშო ავტომობილი, რომელიც მთლიანად ძვირფასი ქვებითაა მორთული. სათამაშოს მოსართავად 2700 თეთრი, ცისფერი და შავი 23-კარატიანი ბრილიანტის თვლებია გამოყენებული. თვლების ქვეშ თეთრი ოქროს საფარია. მანქანის დიზაინი Jason of Beverly Hills-ს ეკუთვნის.



## საქანელა ცხენი

**ღირებულება — 1,28 მილიონი აშშ დოლარი**

იაპონიაში, პრინც აკისინოს ოჯახში ვაჟიშვილის დაბადება ნაციონალურ დღესასწაულად იქცა. იმისათვის, რომ ეს ღირსშესანიშნავი დღე აღენიშნა, იუველირმა Ginza Tanaka-მ შექმნა უძვირფასესი საქანელა-ცხენი, რომლის დასამზადებლად 30 კგ ოქრო დასჭირდა.

სათამაშო არც ისეთი სახალისო გამოდგა. იმისათვის, რომ ერთი ადგილიდან მეორემდე მიეტანა, ბიჭს უფროსების დახმარება სჭირდებოდა. მეორე მხრივ, იუველირი ამტკიცებდა, რომ ოქროს საქანელა ბევრად უფრო ადვილად ქანაობდა, ვიდრე მისი ხის ანალოგები. იმპერატორის ოჯახის წევრები საჩუქარს დიდი ენთუზიაზმით არ შეხვედრიან, რადგან პატარა პრინც ჰისაჰიტოს ბავშობიდანვე მოკრძალებულ ცხოვრებას აჩვევენ.



## დათუნია ტედი

**ღირებულება — 2,1 მილიონი აშშ დოლარი**

პლუშის დათვები მოდაში XX საუკუნეში შემოვიდა. სათამაშო მალევე გახდა კოლექციონერების ერთ-ერთი საყვარელი „გასართობი“. დათუნიებით შეპყრობილმა ადამიანებმა დღემდეც მოაღწიეს. 2000 წელს კომპანია Steiff-მა გამოუშვა სათამაშო დათუნია ტედი, რომელიც ცნობილი ბრენდის — Louis Vuitton-ის სამოსშია გამოწყობილი.



## სათამაშო გემი

**ღირებულება — 89 000 გირვანქა სტერლინგი**

ეს სათამაშო გერმანულ ფირმა Mლrklin-ს ეკუთვნის. სათამაშო გემი 1905 წელს შეიქმნა და აუქციონზე 89 000 გირვანქა სტერლინგად გაიყიდა. ის ბრიტანეთის ფლოტში შემავალი ერთ-ერთი საბრძოლო გემის ასლია.

## ფაიფურის თოჯინა



**ღირებულება — 263 000 აშშ დოლარი**

XX საუკუნეში თოჯინების ყველაზე მოთხოვნადი მწარმოებელი ფრანგი ალბერ მარკე იყო. 1915 წელს პარიზში მისი თოჯინების გამოფენა მოეწყო. გამოფენაზე ასობით ნამუშევარი გაიტანეს. უმეტესობა იმ წამსვე გაიყიდა. დანარჩენები კი უკეთესი დროის მოლოდინში საიმედოდ შეინახეს. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ ჩვენს დრომდე მხოლოდ 20-მა მათგანმა მოაღწია. მათი ფასი დღეს ასიათასობით დოლარია. მარკეს ყველაზე ძვირადღირებული ქმნილება 2009 წელს Theriaults-ის აუქციონზე ატლანტაში გაიყიდა.



## სათამაშო სახლი

**ღირებულება — 500 000 აშშ დოლარი**

ჩიკაგოს მუზეუმში უნიკალური სათამაშო სასახლე ინახება. მისი სიმაღლე 3 მეტრს აღწევს. ის მუნჯი კინოს ცნობილი მსახიობის, კოლინ მურის, შეკვეთით დაამზადეს. სათამაშო სასახლის შექმნაზე 700-მდე ხის ოსტატი, იუველირი და შუშის სპეციალისტი მუშაობდა. სასახლის ერთ-ერთი ფერწერული ტილო თავად უოლტ დისნეიმ შექმნა. სასახლე 12 სხვადასხვა ნაწილისგან შედგება და მათში 2000-მდე ნივთია განთავსებული, მათ შორისაა პატარა ზომის ავეჯი და ანტიკვარული საყვავილეები. ბოლოს სასახლე 1947 წელს შეაფასეს. დღეისთვის მისი ღირებულება კიდევ უფრო გაზრდილია.



## თოჯინა ბარბი

**ღირებულება — 302 500 აშშ დოლარი**

Mattel-მა ყველაფერი გააკეთა, რათა თავისი პროდუქციისადმი ხალხის ყურადღება მიეპყრო. მათ გამოუშვეს ბარბი-პრინცესები, ბარბი-ქალთევზები და ბარბი-ზომბებიც კი. 2010 წელს კომპანიამ წარმოადგინა თოჯინა ბარბის ახალი კოლექცია სახელად „პატარა შავი კაბა“. ამ კოლექციის ვარსკვლავად იქცა ბარბი ექსკლუზიური ბრილიანტის ყელსაბამით, რომელიც ავსტრალიელმა იუველირმა სტეფანო კანტურიმ შექმნა. ეს ძვირადღირებული თოჯინა ბარბი Christies-ს აქუციონზე გაიყიდა. მთელი თანხა მკერდის კიბოს საკვლევ ფონდს გადაერიცხა.

## სათამაშო ჯარისკაცი



**ღირებულება — 200 000 აშშ დოლარი**

1960 წელს კომპანია Hasbro-მ ისეთი სათამაშო ჯარისკაცების გამოშვება დაიწყო, რომელთა ხელები და ფეხები მოძრაობდა. ამ ჯარისკაცების სერიიდან ერთ-ერთი ჯარისკაცი, ჯო სნისკალი, იმდენად პოპულარული გახდა, რომ მოგვიანებით მასზე კომიქსებიც კი შეიქმნა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ცხრა წლის დედა



**მექსიკაში ცხრა წლის გოგონა დედა გახდა. მან ჯანმრთელი ბავშვი ორსულობის სრული 40 კვირა ატარა. ამის შესახებ ქალაქ საპოპანის (ხალისკოს შტატი) საავადმყოფოს დირექტორმა ენრიკო რაბაგო სოლორიომ განაცხადა. მისი თქმით, გოგონამ საკეისრო კვეთის დახმარებით იმშობიარა.** ახალგაზრდა დედა, რომლის ვინაობა არ სახელდება, ახალშობილ ქალიშვილთან ერთად საავადმყოფოდან უკვე გაწერილია. ორივე თავს კარგად გრძნობს. დირექტორის თქმით, გოგონა დაწესებულებაში მისმა ოჯახმა მიიყვანა. მისი ორსულობის შესახებ ინფორმაციამ საავადმყოფოს მომსახურე პერსონალი გააოგნა. მექსიკური მედიის ინფორმაციით, ჩვილს ახალშობილი ბავშვისთვის ნორმალური პარამეტრები აქვს — იგი 2,7 კილოგრამს იწონის, მისი სიმაღლე კი 50 სანტიმეტრია. საქმის გარემოებებს სამართალდამცავი ორგანოები უკვე იძიებენ. ხალისკოს პროკურატურის აზრით, საუბარი შეიძლება არასრულწლოვანის გაუპატიურებასა და სექსულურ ძალადობას ეხებოდეს.

## პითონი-ძიძა



**ჩინეთის ქალაქ დუნგუანში მცხოვრები 13 წლის აზეს ძიძა გიგანტური ზომის პითონია.**

ბიჭუნას მშობლები სამსახურში მშვიდად მიდიან და ბავშვს სახლში მარტო მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ გველთან ტოვებენ. 13 წლის ბავშვს 5 მეტრი სიგრძის პითონთან ერთად ძინავს, ჭამს და თამაშობს.

**„ჩემი ძიძა ძალიან საყვარელია და ჩემ მიმართ ყოველთვის ყურადღებიანია. თამაშის დროს ტანზე მჭიდროდ არასდროს მეხვევა“,** — ამბობს ბავშვი.

მამამ სახლში პითონის კვერცხი აზეს დაბადებამდე 6 წლით ადრე მიიტანა. სულ მალე კვერცხიდან გველი გამოიჩეკა და პითონი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

**„პითონი პირველივე დღიდან ძალიან შემიყვარდა. როცა ჩემი შვილი გაჩნდა, შემეშინდა, არ ვიცოდი, როგორ შეეწყობოდა ქვეწარმავალი ოჯახის ახალ წევრს. მალევე დავრწმუნდით, რომ გველი ჩემს ვაჟს არაფერს ავნებდა. თავს მშვიდად ვგრძნობ, რადგანაც ვიცი, რომ ბავშვი სახლში მარტო არაა“,** — ამბობს ბიჭის მამა.

## მგელკაცა







**79 წლის გერმანელი, ყოფილი პარაშუტისტი-მედესანტე ვერნერ ფრეუდი 29 მგელთან ერთად ცხოვრობს. უკვე 40 წელია, იგი მგლებზე ზრუნავს. ყველაზე საზარელი მგლების გამოკვების პროცესია. ვერნერი თავად უნაწილებს ცხოველებს ხორცის ნაჭრებს და ყველა მგელი ემორჩილება მის განაწესს. ფრეუდი მგლებისთვის საკმარის ხორცს მიწაზე დებს, შემდეგ ხორცს პირით გლეჯს და თითის დაქნევით ცხოველს მასთან მისვლის უფლებას აძლევს. მშიერი მგელი ნელი ნაბიჯებით უახლოვდება პატრონს და მისი ნებართვის შემდეგ ჭამს.**

ფრეუდმა მგლების ნაკრძალი 1972 წელს შექმნა და 40 წლის განმავლობაში 70-ზე მეტი ცხოველი გამოზარდა. მგლები მას თავს არასდროს დასხმიან და ვერნერთან თამაში ახარებთ. გერმანულ ქალაქ მერციგისგან ცოტა მოშორებით მდებარე მგლების პარკს Wolfspark Werner Freund ჰქვია. დღეს მფლობელის ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც 25 ჰექტრას შეადგენს, ცხოვრობს 29 მგელი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მეცნიერმა ისინი სულ პატარები მოიყვანა და საკუთარი ხელით აჭმევდა, ვიდრე დამოუკიდებლები გახდებოდნენ. ახლა მგლები მას პატივს სცემენ და საკუთარ ლიდერად მიიჩნევენ. ასეთი ავტორიტეტის მოსაპოვებლად ვერნერს ხშირად უხდებოდა თავადაც გამხდარიყო მგელი და, როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, სამი მეოთხედით მგელია.

## ახსოვთ თუ არა ცხოველებს წარსული?



**ადამიანის ერთ-ერთ საუკეთესო თვისებად შეიძლება ჩაითვალოს წამიერი მახსოვრობა. ჩვენ შეგვიძლია დავბრუნდეთ ძველ ფიქრებში, გავაანალიზოთ მომენტები, რაც გვეხმარება იმაში, რომ გამოვიყენოთ ძველი გამოცდილება ახლანდელ ცხოვრებაში.**

ადრე მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ ცხოველებს არ აქვთ წამიერი მახსოვრობის უნარი, მათ შეუძლიათ ადაპტირება, სწავლა, მაგრამ არ შეუძლიათ დაუბრუნდნენ ძველ ფიქრებს იმასთან დაკავშირებით, რაც ადრე მოხდა.

გენრიხ გენის უნივერსიტეტის მეცნიერების აზრით, ცხოველების ზოგიერთ სახეობას გააჩნია ეპიზოდური მახსოვრობა. მაგალითად, ერთი ადამიანი აჩვენებდა შიმპანზეს ბანანს, მაგრამ არ მისცა საშუალება, რომ მას შეხებოდა. ამ კაცმა ბანანი დამალა და გალიას მოშორდა. ცოტა ხნის შემდეგ გალიასთან მივიდა მეორე ადამიანი, რომელმაც არ იცოდა, სად იყო ბანანი, ხოლი შიმპანზემ ჟესტებით მას ანიშნა, თუ სად იყო დამალული ხილი, რაც იმას ნიშნავს, რომ შიმპანზემ არა მარტო დაიმახსოვრა, თუ სად იყო ბანანი, არამედ მეორე ადამიანს მიახვედრა მისი ადგილმდებარეობა.

ცხოველების სამეფოს სხვა სახეობისგან განსხვავებით, ყველაზე კარგ მახსოვრობას ფრინველები ფლობენ. სოიკები მალავენ საკუთარ საკვებს და შემდეგ ადვილად პოულობენ მას. გასაკვირი ისაა, რომ ისინი რალაც პრინციპით ხვდებიან, თუ რომელია მალფუჭებადი პროდუქტი და ჯერ იმას ჭამენ.



## ცეცხლოვანი ფესტივალი

**ყოველწლიურად ესპანეთში ჩასული ათობით მილიონი ტურისტიდან 20% იქ სწორედ იმ პერიოდში ჩადის, როდესაც ქვეყანა ცეცხლოვანი ფესტივალის ალშია გახვეული. დღესაც კი ესპანეთი მესამე ადგილზეა მსოფლიოში ყოველწლიურად ჩასული ტურისტების რაოდენობის მიხედვით. ესპანეთში მოგზაურობა ნიშნავს შეხვედრას მზესთან, შესანიშნავ სამზარეულოსთან, სტუმართმოყვარეობასა და სიცოცხლის სიხარულთან. ესპანეთის მრავალფეროვანი ბუნება, გეოგრაფიული, კლიმატური და პეიზაჟების კონტრასტი მის ყველა რაიონში იგრძნობა.**



მაგრამ, მეორე მხრივ, ქვეყანას ოდითგანვე ახასიათებდა საშიში ფესტივალებისკენ მიდრეკილება და ამას კორიდაც ადასტურებს. თავიდან ხარის მოკვლა სპეციალური რიტუალი იყო. უკვე ესპანეთის ერთიან სახელწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ კორიდა მოსახლეობის ელიტარული ნაწილის გასართობი გახდა. მასში მონაწილეობს 4-დან 6 წლამდე ხარი, რომელთა წონაც 450 კგ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ესპანეთი ევროპის ინდოეთია თავისი წარმართული და რელიგიური დღესასწაულებით. ამის დასტური კი ნამდვილად არის ფესტივალი „ცეცხლით განწმენდა“, ანუ „San Bartolome de Pinares“, რომლის დასრულებისას, 21 იანვარს ხალხი განსაწმენდად ეკლესიაში მიდის. ფესტივალის დროს მისი მონაწილეები ჩვენებური ჭიაკოკონის მსგავს კოცონს ცხენებით ახტებიან. მართალია, ცხენებს ამ ფესტივალში მონაწილეობისთვის სპეციალურად ავარჯიშებენ, მაგრამ ისინი ტრენინგის გარეშეც უძლებენ ხოლმე ცეცხლზე გადახტომას, რაშიც თავის გადარჩენის ინსტინქტი ეხმარებათ. კოცონი და მის ირგვლივ ღვინის სმა აქ ჩვეულებრივი მოვლენა და ულამაზესი სანახაობაა.









ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საოპერაციოდან — მინდორში

**ინდოეთში, დასავლეთ ბენგალიის შტატის სახელმწიფო კლინიკაში ადგილების სიმცირის გამო 100-ზე მეტი ნაოპერაციები ქალი ექიმებმა ღია ცის ქვეშ, მიწაზე მწოლიარე დატოვეს. მსოფლიო შეძრა ვიდეოკადრებმა, რომლებზეც ასახულია, როგორ ფხიზლდებიან ნარკოზის ქვეშ მყოფი ქალები კლინიკის გვერდით მდებარე მინდორში პირდაპირ გამვლელების თვალწინ. ყველა მათგანმა სტერილიზაციის ოპერაცია ჩაიტარა.** კლინიკაში, სტერილიზაციის სახელმწიფო პროგრამის განყოფილებაში სულ 60 პაციენტის ადგილია — 30 ქალებისთვის და ამდენივე მამაკაცებისთვის. დებულების თანახმად, ექიმებს დღეში 25 ოპერაციაზე მეტის გაკეთება ეკრძალებათ. ამის გამო კლინიკას სანქციები ემუქრება. მიუხედავად ამისა, 100-ზე მეტი ოპერაცია ერთ დღეში მხოლოდ ორმა ექიმმა ჩაატარა.





## საჰაერო ფრანების ფესტივალი ავსტრალიის «Bondi Bech» პლაჟზე

**ავსტრალიის ქალაქ სიდნეის აქვს 20 პლაჟი, რომლებიც ყოველთვის ხალხმრავლობით გამოირჩევა. ყველაზე ცნობილი პლაჟია Bondi Beach, რომელიც სერფინგის მოყვარულთათვის საუკეთესო ადგილია. ამ სანაპიროზე ტურისტებისა და ადგილობრივების ნაკადი არ წყდება.**

იყო დრო, როდესაც ამ სანაპიროს ფირზე ასახვაც კი პრობლემას წარმოადგენდა, ვინაიდან 1982 წლამდე კერძო საკუთრებაში იმყოფებოდა. ავსტრალიელი აბორიგენების ენაზე კუნძულის სახელწოდება ნიშნავს წყალს, რომელიც რიფებს ეჯახება. მიუხედავად იმისა, რომ სანაპირო დიდი სიდიდით არ გამოირჩევა, იგი თითქმის მუდამ უღრუბლო ცის და ქარის გამო აირჩიეს ქარის ფესტივალისთვის.

ამ ფესტივალზე მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩადიან მონაწილეობისა თუ სანახაობით ტკბობის მსურველნი. ეს საჰაერო ფრანების ფესტივალია, რომელიც მუდამ ღიაა როგორც პროფესიონალი მონაწილეებისთვის, ასევე ახალბედებისთვისაც. ფესტივალის დღეებში სანაპიროს უღრუბლო ცა ათასგვარი ულამაზესი ფრანითაა აჭრელებული.



## ალიგატორების მომვლელი



**3 წლის ჩარლი პარკერი ავსტრალიაში ყველაზე პატარა რეინჯერია. ჩარლის ველური ბუნების წარმომადგენლებთან ურთიერთობა არ აშინებს და ალიგატორს თავად უვლის. ბიჭუნა წყალში ჩადის, ალიგატორი, სახელად გამპი, ხელში აჰყავს, ცდილობს, ცხოველი დაიმორჩილოს და ბოლოს ნაპირზე წარმატებით გაჰყავს.**

როცა ბიჭუნას მეგობრები სათამაშოებით ერთობიან, ჩარლი გველებთან და ხვლიკებთან თამაშობს. ჩარლის მამა გრეგი შვილით ამაყობს და უხარია, რომ ბიჭუნას ეს საქმე უყვარს.

**„ჩვენ ჩარლისთვის არაფერი დაგვიძალებია, მას ქვეწარმავლებისადმი სიყვარული დაბადებიდან აქვს. ის ჩვეულებრივი ბავშვია, როგორც ყველას, მასაც ეშინია რაღაცის“,** — ამბობს ბავშვის მამა.

ჩარლის ოჯახი ავსტრალიის ქალაქ ბალარატში მდებარე ველური ბუნების ცხოველთა პარკს Ballarat Wildlife Park-ს ხელმძღვანელობს.

## საპონი ფულის სუნით




**ამერიკელმა მამაკაცმა უცნაური სუნების მქონე საპნები შექმნა — ყავის, ღვინის, მარიხუანის, კვამლისა და ფულის არომატით.**

წარმოშობით ნებრასკელი, 27 წლის გამომგონებელი ადამ ანდერსონი ყოველთვის ოცნებობდა, შეექმნა საპონი ნამდვილი მამაკაცებისთვის. ამასთან, მისივე თქმით, მას მობეზრდა „ქალების არომატიანი“ საპნით ხელის დაბანა, რომელიც სხვადასხვა ყვავილისგან მზადდება.

ადამმა სამზარეულო ქიმიურ ლაბორატორიად აქცია და უამრავი ექსპერიმენტის შემდეგ მაინც მიაღწია სასურველ შედეგს. სულ 20 განსხვავებული არომატის მქონე ჰიგიენური საშუალება შექმნა. ერთ-ერთ მათგანს ლუდის სუნიც აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძვირი ღირს, ანდერსონის საპონი მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობს. პროდუქტს „მამაკაცის ხელები“ ჰქვია და 7 დოლარი ღირს.

## ყველაზე ხანდაზმული ოფისმენეჯერი 100 წლის გახდა



**ბრიტანეთში ყველაზე ხანშიშესულმა ოფისმენეჯერმა 100 წლის იუბილე აღნიშნა.**

ჯიმ კლემენტსი ინჟინერის თანამდებობაზე მუშაობდა და პენსიაზე მხოლოდ 66 წლის ასაკში გავიდა, თუმცა, მისივე თქმით, „პენსიაზე ყოფნა მოსწყინდა“ და გადაწყვიტა, დროებით მუშაობა ოფის-მენეჯერად დაეწყო.

ასეთი „დროებითი სამუშაო“ პენსიონერის ცხოვრებაში უკვე 34 წელი გრძელდება. ამასთან, კლემენტსი თანამდებობის დატოვებას არ აპირებს, რადგან მუშაობა ძალიან მოსწონს.

**„ვაწესრიგებ დოკუმენტებს, ვპასუხობ სატელეფონო ზარებს, ვაკეთებ ქსეროასლებს და კოლეგებს ჩაის ვუმზადებ. შედეგად ოფისის მუშაობა არ ცდება უმნიშვნელო რამეების გამო, მე კი 100 წლის ასაკში თავს უფრო ახალგაზრდად ვგრძნობ“,** — აცხადებს 100 წლის ოფისმენეჯერი.

**„ჯიმი არაჩვეულებრივი ადამიანია. მას საოცარი იუმორის გრძნობა აქვს“,** — აცხადებს ჯიმ კლემენტსის კოლეგა ჯეკი კოული.

დასაქმებულმა პენსიონერმა 100 წლის იუბილე ნათესავებისა და მეგობრების წრეში აღნიშნა. მას ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი ჰყავს.

## კატამ ორ ფეხზე სიარული ისწავლა

**ბრიტანეთში მცხოვრები სპარსული ჯიშის კატა, სახელად კეფრი, ორ ფეხზე დადის. ფისომ ორი მარცხენა თათი უბედური შემთხვევის შედეგად დაკარგა და ახლა იძულებულია მარჯვენა თათებს შორის ბალანსის დაცვით გადაადგილდეს.**

კეფრი 10 წლის წინ მანქანამ გაიტანა და მარცხენა უკანა თათი დაკარგა. სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ ფისუნია აქტიური ცხოვრების წესს კვლავ დაუბრუნდა, მაგრამ მალე ექიმებმა მარცხენა წინა თათზე სიმსივნე აღმოუჩინეს და კიდურის ამპუტაცია ჩაუტარეს. ექიმების უიმედო პროგნოზის მიუხედავად, კეფრი კლინიკიდან გამოწერისთანავე დარჩენილ თათებზე წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა. მალე სიარული და სირბილიც შეძლო. **„ვინც ხედავს, თვალებს არ უჯერებს. ისე მოხერხებულად დგას ორ ფეხზე, თითქოს დაკარგული თათები არც არაფერში სჭირდებოდა“,** — ამბობს მისი პატრონი — 58 წლის მისის გრივსი.



## საფრენი ბილიკი ცენტრალურ მაგისტრალზე

**გერმანიის ქალაქ შკოიდიცში აეროპორტის საფრენი ბილიკი ცენტრალურ მაგისტრალზე გადის. როცა მაგისტრალზე ათასობით ავტომობილი დაქრის, ხიდზე აშენებულ ასაფრენ-დასაფრენ ტრასაზე თვითმფრინავი მოძრაობს.**

თანამედროვე აეროპორტის ტერმინალის აშენებისას საკმარისი სივრცე არ იყო. სწორედ ამიტომ აშენდა სამი ხიდი, რომლებიც თვითმფრინავებს ემსახურება. ხიდები ავტომაგისტრალზე აიგო და საკმარისი სივრცე შეიქმნა იმისთვის, რომ აეროპორტმა თვითმფრინავები მიიღოს და არც ავტომობილის მძღოლებს შეექმნათ საცობის გამო პრობლემები.



# სააკაშვილს იმდენად შეეშინდა ნარაზენში 100 კაცის პროტესტის, რომ თბილისში შვეულმფრენით გადაფრინდა



**„სამეგრელოში ანტიმიშისტური მოძრაობა დაიწყო. სადაც ჩამოვა, ყველგან პროტესტით დავხვდებით. ვადაგასული სააკაშვილი აუტანელია მეგრელებისათვის“, — აცხადებს „დაიცავი საქართველოს“ წევრი კახა მიქაია:**

— სააკაშვილი გაბრაზებულია იმ პროტესტით, თბილისელები რომ გამოხატავენ და ამიტომ გამოაცხადა, სოფელ-სოფელ ვივლიო. უნდოდა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში ჩასვლით პიარი გაეკეთებინა, მაგრამ სამეგრელოდან გაქცევა მოუწია. პროტესტი დღითიდღე მატულობს სამეგრელოში, სადაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნები მოიგო. სააკაშვილს სურდა, სოფელ ნარაზენის ცენტრში, კრივის კლუბში შეხვედროდა მოსახლეობას. მე და ჩემი მეგობრები ამ შეხვედრაზე იმ მიზნით მივედით, რომ მისთვის დაგვესვა კითხვები. გვინდოდა, გვეკითხა, ვინ არის მეგის ქარდავა ან კრიმინალი გუნავა, რომელიც გუბერნატორად დანიშნა. სააკაშვილმა დაინახა საშიშროება, რომ მწვავე კითხვებზე მოუწევდა პასუხის გაცემა და შეხვედრის ფორმატი შეცვალა — ვიღაც თოდუას ოჯახში შეხვდა 12 დევნილს. არც ერთი ნარაზენელი არ დასწრებია იმ შეხვედრას. ის დევნილები ხეცერის მეურნეობიდან მოიყვანეს და წინასწარ მომზადებული კითხვები დაასმევინეს. სააკაშვილს იმდენად შეეშინდა ნარაზენში 100 კაცის პროტესტის, რომ თბილისში შვეულმფრენით გადაფრინდა. **სააკაშვილს მარტო საპრეზიდენტო ვადა კი არა, ყველანაირი ყავლი გაუვიდა. ის უკვე ნერვებს უშლის საზოგადოებას და ხალხი ამიტომ გამოხატავს პროტესტს. მის ესკორტს ამიტომაც მიასხეს წყალი და კვერცხები ესროლეს. სააკაშვილს სამეგრელოში კუბოც დავუდგით და ცოცხლადაც დავმარხეთ.**

მიუხედავად იმ ტერორისა, რომელიც სამეგრელოში სუფევდა კოდუების, ახალაიების, ლომაიების, გოროზიებისა და ქობალიების წყალობით, ხალხს აღარ ეშინია.

დღეს მთელი სამეგრელოს მოსახლეობა ბოთლიდან ამოსული ჯინივით არის და თავის ემოციას გამოხატავს. ამას ხელი არავინ უნდა შეუშალოს და ბუნებრივად დაწყნარდება ყველაფერი. ნარაზენი კახა ლომაიას მშობლიური სოფელია და სიმბოლურია, რომ სააკაშვილი სწორედ ამ სოფლიდან გაიქცა.




# «დავით ბაქრაძემ განცხადებები საკნიდან უნდა აკეთოს»



**საპარლამენტო უმრავლესობის წევრ კობა დავითაშვილის განცხადებით, უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბაქრაძე ციხეში უნდა იჯდეს და განცხადებები საკნიდან უნდა აკეთოს.**

„დავით ბაქრაძემ განცხადებები უნდა აკეთოს ციხეში. თუნდაც იმაზე, როგორ დააზიანეს და ვისი დავალებით გაანადგურეს სახელმწიფო ქონება, პარლამენტის შენობა... უკვე დროა, გამომძიებელთან დაიწყოს საუბარი სააკაშვილმაც. ამ ქვეყანაში ყველა მკვლელობა თუ მკვლელობის მცდელობა მის მიერ იყო დაგეგმილი და ვერავინ მაიძულებს ამ მკვლელთან კოაბიტაციას“, — აცხადებს კობა დავითაშვილი.

# ბენდუქიძესაც დაიბარებენ? ასი მილიონი ოთხ მილიონად?!

**სანდო წყაროს ცნობით, სულ მალე პროკურატურა დასაკითხად კახა ბენდუქიძესაც დაიბარებს. ამის მიზეზი ის დოკუმენტები გახდება, რომლებიც ნათლად ასახავს, თუ როგორ ჩაიგდო გროშებად ხელში ძვირადღირებული სახელმწიფო ქონება კახა ბენდუქიძის „ცოდნის ფონდმა“.**



ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, სახელმწიფო ქონება, რომელსაც შპს „აგრომეტი“ განკარგავდა, რომლის დამფუძნებელი ასევე სახელმწიფო იყო ასპროცენტიანი წილით, შეადგენდა დაახლოებით 100 მილიონი ლარის უძრავ-მოძრავ ქონებას. მარტო ჩამონათვალი რად ღირს: 1324 ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მათ შორის თბილისში მდებარე აგრარული უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობები, უნიკალური ლაბორატორიები, საცდელი მეურნეობები და სხვა მოძრავი ქონება.

ეს სახელმწიფო ქონება საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2012 წლის 15 თებერვალს პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა აგრარულ უნივერსიტეტს (რომლის დამფუძნებელიც „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდია“, რომელიც, თავის მხრივ, კახა ბენდუქიძის „ცოდნის ფონდმა“ დააფუძნა) სულ რაღაც 4 მილიონ დოლარად. გამოდის, რომ 1 კვმ მიწა მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით გასხვისდა სულ რაღაც 0,31 დოლარად(?).

საინტერესოა, ბენდუქიძეც ხომ არ გაჯიუტდება, პროკურატურაში არ გამოვცხადდებიო?! ამ თემით „კვირის პალიტრა“ მომავალშიც დაინტერესდება.

# თურქებს დაავადებული კარტოფილი აქ შემოაქვთ, თურქეთში კი ქართული გააქვთ



**2012 წელს საქართველოში მოხმარებული კარტოფილის 85% თურქეთიდან იმპორტირებული კარტოფილი იყო, ამის შესახებ განცხადება საააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას ხულოს სასოფლო საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელმა გია ძირკვაძემ გააკეთა. მისი განმარტებით, შესაბამისი უწყებების მხრიდან არ არსებობდა კონტროლი და საქართველოში დაავადებული თურქული კარტოფილი თავისუფლად შემოდიოდა, თუმცა, როგორც ხულოს სასოფლო საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელი აცხადებს, საქართველოშიც იყო კარტოფილის დაავადების ფაქტი, დაახლოებით 7 წლის უკან, მაგრამ სათანადო ჩარევის შემდეგ დაავადება აღმოიფხვრა.**

„საქართველოს ტერიტორიაზე აღნიშნული დაავადება რომ არ გავრცელდეს, ხელისუფლება უნდა მოიქცეს ისე, როგორც ახლა მოიქცა, ანუ ჩაკეტოს თურქეთი.

თურქეთში აღნიშნული დაავადება მასიურადაა გავრცელებული. როდესაც თურქებს საქართველოში შემოაქვთ კარტოფილი, სანაცვლოდ ყიდულობენ ხულოს, ახალქალაქის, წალკის კარტოფილს და თურქეთში გააქვთ“, — განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში გია ძირკვაძემ.

# 2005-2012 წლებში საპყრობილეებში 700-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, მათი დიდი ნაწილი მოკლულია

სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ ვითარებაზე საზოგადოება უახლოეს ხანში სიახლეს მოისმენს, — ამის შესახებ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ მიმდინარე ღონისძიებაზე მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა.

**„როცა პროკურატურის ოფისში მივედით, სამი ძირითადი პრიორიტეტი დავსახეთ – ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინაშე ჩადენილი დანაშაული, საფინანსო სფეროში დანაშაული და გახმაურებული დანაშაული. ამ დროისთვის გვაქვს გარკვეული პროგრესი იმ დანაშაულების გამოძიების საქმეში, რომელიც ადამიანის უფლებების ხელყოფას შეეხება. საზოგადოებისთვის ცნობილია, რა ვითარება იყო სასჯელაღსრულების სისტემაში, თუმცა ამ მხრივ უახლოეს პერიოდში კიდევ მნიშვნელოვან სიახლეს მოისმენთ. პროკურატურამ სასჯელაღსრულების სამინისტროს დახმარებით 18 სხვადასხვა დაწესებულებაში განთავსებული ორი ათასი პატიმრისგან აიღო ჩვენება, რომლებიც ყვებიან ცემის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ“,** — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.



**„2005-2012 წლებში საპყრობილეებში 700-ზე მეტი ადამიანია გარდაცვლილი. მიმდინარეობს მათი გარდაცვალების რეალური მიზეზის დადგენა, ვინაიდან, წინასწარი მონახაზით, რეალობა ის არის, რომ მათი დიდი ნაწილი, უბრალოდ, მოკლულია“,** — აღნიშნა კბილაშვილმა.

# ნიკო ხაჩირიშვილმა «ნაცმოძრაობა» დატოვა

**საკრებულოს უმრავლესობის ლიდერმა, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ფრაქცია და პარტია დატოვა.**

ამის შესახებ ინფორმაციას ზაზა გაბუნია ავრცელებს. როგორც გაბუნია სოციალურ ქსელში წერს, ის ხაჩირიშვილის ამ გადაწყვეტილებას მიესალმება. **„საკრებულოს უმრავლესობის ლიდერმა, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ფრაქცია და პარტია დატოვა. მივესალმები ნიკო ხაჩირიშვილის ამ მნიშვნელოვან ნაბიჯს,“** — წერს ზაზა გაბუნია.







http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009